

ელ ინ უ რ ი მ ი თ ე ბ ი

მოთხოვნილი

ალ. მიქაბერიძის მიერ

II ნაწილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

საბლიტგამი 1949 თბილისი

წინასიტყვაობა

„წარსული სინამდვილე მითოლოგიური
ფანტაზიის ქმნილებაში ისახება“.

კ. მარქსი

ამ წიგნის ახალგაზრდა მკითხველს შეიძლება დაეხადოს კითხვა: რა საჭიროებას წარმოადგენს ვიცოდეთ ელინური მითები, ძველ ბერძენთა ეს ფანტასტიკური თქმულებები მათ ღმერთებსა და გმირებზე?

მითი – ეს ხომ ფანტაზიაა, თავისებური ზღაპარი, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის შემოქმედება. თითქოს არ უნდა იყოს ის ახლა, ჩვენს დროში, საინტერესო – ორთქლის, ელექტრონის, ავიაციის, რადიოს ხანაში, როდესაც ადამიანი უკვე ბატონობს ბუნების ძალებზე და, მამასადაძმე, მითოლოგიას გამოცლილი აქვს ნიადაგი.

ჩვენს დროში, მართლაც, შეუძლებელია მითოლოგია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მისდამი ინტერესს.

ყველა ძველი ხალხის თქმულებანი, მათ შორის, პირველ რიგში, ბერძნული თქმულებანი, დიდ მეცნიერულ და მხატვრულ ინტერესს წარმოადგენს. ზოგჯერ ისინი, ეს თქმულებანი, ერთადერთი ისტორიული წყაროა ჩვენს ხელთ, რომელშიც წარსული სინამდვილე ისახება; და როდესაც გვსურს კაცობრიობის კულტურის, განსაკუთრებით, ანტიკური კულტურის მონაპოვარის ამა თუ იმ სახეს, ლიტერატურას თუ ხელოვნებას, სრულქმნილად დავეუფლოთ, უნდა ვიცნობდეთ ძველ ხალხთა თქმულებებს და, პირველ ყოვლისა, ელინურ მითებს, რადგან, მარქსის თქმით. „...ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც.“

ელინური მითები თავისი მითოლოგიური სახეების სიუხვითა და არაჩვეულებრივი ნაირფერადობით, თავისი მომაჯადოებელი სიმარტივითა და შეუდარებელი მხატვრული ძლიერებით იზიდავდა და ხიბლავდა ყველა დროისა და ყველა ხალხის მწერლებს, მხატვრებს, პოეტებს, მეცნიერებს.

ჰომეროსი, ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე, ვერგილიუსი, ოვიდიუს ნაზონი და აპულეუსი თავის შესანიშნავ ქმნილებებს მითოლოგიურ სიუჟეტებზე აგებდნენ.

შოთა რუსთაველი და ალექსანდრე პუშკინი, გოგოლი და ლერმონტოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, აკაკი წერეთელი, დანტე ალიგვიერი, ჰაინე, შექსპირი, გოეთე, ბაირონი და მრავალი სხვა ხშირად მიმართავდნენ მითოლოგიურ სახეებს.

მაშინ ქაჯეთს მოუწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:

კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა.

– ამბობს შოთა თავის სწორუპოვარ პოემა „ვეფხის ტყაოსანში“.

ო, მეგობრებო, მშვენიერია
დიანას მკერდი, სახე ფლორასი,
მაგრამ მე ვამბობ სხვა იერია,
რომ მიყვარს ფეხი ტერფსიქორესი, –

– ამბობს პუშკინი თავის უკვდავ „ევგენი ონეგინში“.

მეგზურმა ჩემმა ხელი მკიდა და მეუბნება:
„ეს არის ნესოს, მშვენიერ დეიანირასთვის,
ოდესღაც თავი რომ გასწირა და მოიკვდინა.
შუაში მდგომი არის თავათ დიდი ქირონი,
რომელიც იყო მამამძუძე აქილევსისა...“ –

– ასე გვიამბობს დანტე ალიგჰიერი თავის შესანიშნავ ქმნილებაში
„ჯოჯოხეთი“.

და რომელი ერთი დავასახელოთ ამ მრავალთა შორის!

ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი მხატვრებიცა და მოქანდაკეებიც
ფართოდ სარგებლობდნენ თქმულებებში მოთხრობილი ამბებით, და თავისი
უკვდავი სურათებისა და ქანდაკებების შესაქმნელად უშრეტ წყაროს პოულობდნენ
განსაკუთრებით ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში.

ჩვენს ყოველდღიურ საუბარშიც ხშირად ვიყენებთ მითოლოგიურ სახეებს.
მაგალითად, ვიტყვით ხოლმე: „ტიტანური ბრძოლა“, „გიგანტური შრომა“. ახლა
არავის არა სჯერა, რასაკვირველია, რომ ოდესღაც არსებობდნენ დედამიწის მიერ
წარმოშობილი გოლიათები, რომელთაც ბერძნები გიგანტებს უწოდებდნენ, და ისინი,
ვითომდა, ებრძოდნენ რომელიღაც „ყოვლისშემძლე“ ღმერთებს. მაგრამ ეს ხელს
როდი გვიშლის ახლა რომელიმე დიდ საქმიანობას, დიად შრომას გიგანტური
ვუწოდოთ, ხოლო დიდ, გრანდიოზულ, ბუმბერაზულ ბრძოლას – ტიტანური.

ანდა გავიხსენოთ ცის თარზე უძრავად მოფენილი ვარსკვლავების
სახელწოდებანი – პერსევსის თანავარსკვლავედი, ჰერკულესის თანავარსკვლავედი,
ტყუპების თანავარსკვლავედის ორი კაშკაშა ვარსკვლავი – კასტორი და პოლუქსი
(დიოსკურიები), ორიონის თანავარსკვლავედი და სხვ., ან კიდევ, ამ ვარსკვლავებს
შორის მოძრავი პლანეტები – სატურნი (კრონოსი), ვენერა (აფროდიტე, ქართულად–
ასპიროზი), იუპიტერი (ზევსი, ქართულად–მუშთარი), მერკური (ჰერმესი,
ქართულად–ოტარიდი), მარსი (არესი, ქართულად–მარიხი), და სხვ. ეს
სახელწოდებანი აღებულია ბერძენთა და რომაელთა¹ ღმერთებისა და გმირების
სახელებიდან; ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა შეარქვეს ეს სახელები ამ
თანავარსკვლავედებსა და პლანეტებს.

ჩვენი დიდი მასწავლებლები – მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი – აზრის
მკვეთრად გამოსახატავად ხანდახან მიმართავენ თავის შრომებში ძველ ბერძნულ
მითოლოგიას, სარგებლობენ ბერძენთა და რომაელთა ღმერთებისა და გმირების
სახეებითა და სახელებით.

ვ. ი. ლენინი სარგებლობს ანტიკური მითებით გზადაგზა, მოსწრებულად
ჩართული აქვს მსჯელობაში ესა თუ ის მითოლოგიური სახე, მითის სიუჟეტურ
გაშლას კი თითქმის არსად არ იძლევა. მის გენიალურ შრომებში გვხვდება ბერძნულ–
რომაული მითოლოგიური სახეები, როგორცაა–ჰერკულესი, იუპიტერი,

¹რომაელთა თქმულებების ციკლში გადანერგილ იქნა ბერძნული მითოლოგიური სახეები, ოღონდ
შეიცვალა სახელები, ოღონდ შეიცვალა სახელები: მაგალითად, ჰერკულესი – ბერძენთა ჰერაკლეა,
იუპიტერი – ბერძენთა ზევსია, სატურნი – ბერძენთა კრონოსია და სხვ.

ორპირსახიანი იანუსი, ტანტალე, მინერვა, აქილევსი, პრომეთე, ნარცისი (ანუ ნარცისი) და სხვ.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ნარცისის მითოლოგიური სახე, რომელსაც საკმაოდ ხშირად მიმართავს ვ. ი. ლენინი.

თქმულება ნარცისზე – ელინური მითია. მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

ნარცისი მდინარის ღმერთის კეფისის შვილი იყო. ულამაზეს ვაჟად ითვლებოდა. ყველა შესტრფოდა მის სიმშვენიერეს, მაგრამ ნარცისს მეტად ამაყად, მედიდურად და ამპარტავნად ეჭირა თავი. არავინ არ უყვარდა, გარდა საკუთარი თავისა; მხოლოდ თავის თავს თვლიდა სიყვარულის ღირსად. ასეთი მედიდურობისათვის იგი დასწყევლა ერთ–ერთმა ნიმფამ და უსურვა: – დატანჯულიყო იმით, რომ საკუთარ თავს შეყვარებული სამაგიერო სიყვარულს ვერ ღირსებოდა.

ერთხელ, ნადირობის დროს, ნარცისი წყაროს მიადგა. დაიხარა წყლის დასალევად და ანკარა წყალში თავისი თავი დაინახა. მოიხიბლა ნარცისი საკუთარი წარმტაცი სილამაზის ცქერით. დაავიწყდა ყოველივე ამქვეყნად. ვეღარ მოსცილდა წყაროს. არ ჭამდა, არ სვამდა და არ სძინავდა. შესტრფოდა საკუთარ თავს, მაგრამ სამაგიერო სიყვარულს ვერ ეღირსა, რადგან წყალში მხოლოდ მისი ანარეკლი იყო... ამ არაბუნებრივ ტრფიალში დღითი დღე დაიღია, ჩამოხმა ნარცისი და, ბოლოს, მოკვდა. ნიმფებმა საფლავი გაუთხარეს ნარცისს, სურდათ მიწას მიეზარებინათ, მაგრამ ვეღარ იპოვეს. იმ ადგილას, სადაც ნარცისი ეგულებოდათ, თეთრი, ცივი, უსიცოცხლო სილამაზის სურნელოვანი ყვავილი–სიკვდილის ყვავილი ამოსულიყო. ნარცისი უწოდეს ამ ყვავილს.²

ნარცისის მითოლოგიურ სახეს ვ. ი. ლენინი იყენებს ქედმაღალ და პედანტურ მენშევიკებთან შესადარებლად და დასცინის მათ ნარცისისებურ თვითშეყვარებულობას. „მოიგონეთ, როგორი შეუდარებელი, ჭეშმარიტად „ნარცისისებური“ ქედმაღლობით ასწავლიდნენ ეს ბრძენნი პლენხანოვს...“, – წერს ვ. ი. ლენინი თავის შესანიშნავ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ (რჩეული, I–252 გვ.).

სტატიაში „მემარცხენე“ ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ“ ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ბრესტის ზავის მოწინააღმდეგეებს, ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით ცოტაოდენი მაინც შესვენება სამი წლის უსაშინლესი ომის შემდეგ, „მემარცხენე“ ინტელიგენტუნები კი, თავის თავზე შეყვარებული ნარცისის მედიდურობით“, ღრმააზროვნულად წარმოსთქვამენ ამპარტავნულ ფრაზებს კვლავ ომზე. (XXII–604).

ფელეტონში „სათათბირო და რუსი ლიბერალები“ ვ. ი. ლენინი ამ მითის პოეტური შინაარსის პაროდის იძლევა და ლაპარაკობს „თვითკმაყოფილ ნარცისებზე“, რომლებიც „შეყვარებული არიან მათ გარემომცველ ნეხვის გროვაზე“. (XI–192 გვ.).

სტატიაში „პარტიზანული ომი“ ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს პარტიზანული ბრძოლის უარყოფელ სოციალ–დემოკრატიის თეორეტიკოსზე, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ მწუხარება გამოსთქვას ამ ბრძოლის შეუმზადებლობის გამო, „სიამაყითა და კმაყოფილებით და ნარცისისებური აღფრთოვანებით იმეორებს ადრინდელ ახალგაზრდობაში გაზეპირებულ ფრაზებს ანარქიზმისა, ბლანკიზმისა, ტერორიზმის შესახებ“. (X–108 გვ.).

² ქართულად ნარციუსს ვუწოდებთ

სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის“ ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს ბურჟუაზიულ დემოკრატებსა და ლიბერალებზე (კადეტებზე) და წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებზე (მენშევიკებსა და ესერებზე): „ეს ლაჩრები, ყბედები, თავის თავზე შეყვარებული ნარცისები და პაწია ჰამლეტები მუყაოს მახვილს აქნევდნენ – და მონარქიაც კი ვერ მოსპეს! ჩვენ მთელი ეს მონარქიული ნაგავი გადავყარეთ, ისე, როგორც არავის, როგორც არასოდეს“. (რჩეული, III–731 გვ.)

ნარცისის სახე ვ. ი. ლენინს გამოყენებული აქვს რამდენჯერმე აგრეთვე სტატიაში „სასურსათო გადასახადის შესახებ“.

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 3 მარტს დაახასიათა ბოლშევიკების მუდმივი კავშირის აუცილებლობა ხალხის ფართო მასებთან, როგორც დედასთან, რომელმაც ისინი ჰშობა და გამოზარდა. თავისი აზრის მკვეთრად გამოსახატავად ამხანაგმა სტალინმა მოიყვანა, როგორც მაგალითი, ძველ ბერძენთა მითი გმირ ანტეოსზე:

„ძველ ბერძნებს თავიანთი მითოლოგიის სისტემაში ჰყავდათ ერთი სახელგანთქმული გმირი – ანტეოსი, რომელიც, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, იყო პოსეიდონის – ზღვათა ღმერთისა, და გეას – მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი ჰშობა, გამოჰკვება და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებინოს მას – ამ ანტეოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა მისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც ჰშობა და გამოჰკვება იგი, და ახალ ძალას ღებულობდა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი – ეს იყო მიწისაგან რამენაირად მოწყვეტის საშიშროება. მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უდარაჯებდნენ მას. და აი, გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო ჰერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვიტა იგი მიწას, აიყვანა ჰაერში, დაუკარგა მას მიწის შეხების საშუალება და ამრიგად დაახრჩო იგი ჰაერში.

ვფიქრობ, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანტეოსს. ისინიც, ისევე, როგორც ანტეოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი ჰშობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ“.

ამხანაგ სტალინის ამ შედარების მთელი სიძლიერე და სიმახვილე თავისთავად მეტყველებს.

ბერძნული მითის ასე ოსტატურად გამოყენება ადასტურებს იმას, რომ ეს უძველესი თქმულებები კვლავ ცოცხლობენ ჩვენს აზროვნებაში, გვეხმარებიან ალეგორიებით, იგავთქმებით მოსწრებულად, ძლიერად და მკაფიოდ გამოვთქვათ აზრი.

აი ყოველივე ამისათვისაა საჭირო ვიცოდეთ ელინური მითოლოგია, ვიცოდეთ მისი უმთავრესი მითები მაინც.

რას წარმოადგენს მითოლოგია?

განუვითარებელ საზოგადოებრივ საფეხურზე მყოფ ხალხებისათვის, კერძოდ, ძველი ბერძნებისათვის ქვეყნის გაჩენა, გარემო ბუნების მოვლენები, სიზმარი, ძილი, სიკვდილი გაუგებარი მოვლენები იყო. მათ არ იცოდნენ ბუნების კანონები, ამიტომ ყოველ მოვლენაში რაღაც ზებუნებრივ არსებათა – ღმერთების ნება–სურვილის გამოვლინებას ხედავდნენ. მთელი სამყარო, ძველთა გაგებით, ასეთი ღმერთებით იყო

სავსე. თითოეულ მოვლენას თავისი ღმერთი ჰყავდა, თითოეულ მდინარეს – თავისი ნიმფა, თითოეულ ჭალას – თავისი დრიადა. ამიტომაც, რომ მითოლოგიაში უამრავ „უკვდავ“ ღმერთებზეა ლაპარაკი.

„უკვდავ“ ღმერთებზე მითების გვერდით ძველ ბერძნებს აქვთ აგრეთვე მითები მოკვდავ ადამიანებზე – გმირებზე. „მითები ღმერთებზე და მითები გმირებზე, – ამბობს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი თავის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“, – ახლო კავშირში იყვნენ. ჯერ ერთი, გმირთა საქმეები, ისევე როგორც ყოველგვარი საქმიანობა ამქვეყნიურ სამყაროში, ბერძნების წარმოდგენით, წარმართებოდა ღმერთების მიერ, ისინი აძლევდნენ მიმართულებას გმირთა მოქმედებას, ისინი ამარჯვებინებდნენ მათ მტერზე. შემდეგ: გმირები, თავიანთი წარმოშობით, ღმერთებთან დანათესავებული იყვნენ. მაგალითად, თესალიელი გმირის აქილევსის დედა იყო თეტიდა, ზღვის ღვთაების ნერევსის ქალიშვილი; პილოსელი გმირის ნესტორის მამა იყო ზღვათა მპყრობელი ღმერთის პოსეიდონის შვილი და სხვ.“

მითები ღმერთებზე და მითები გმირებზე ჩვენ გვაცნობენ, თუ როგორი არიან ბერძენთა ღმერთები და გმირები. ბერძენთა ღმერთები იმავე თვისებებისა არიან, როგორც ადამიანები: ბერძნებმა შექმნეს ღმერთები „სახისაებრ თვისისა“, თვისი სათნოებითა და თვისი ბიწიერებით აღჭურვილნი. ამიტომაც, „უკვდავი“ ღმერთები ხშირად უმსგავსო საქციელსაც რომ არ ერიდებიან, შეუბრალებელი, სასტიკი და დაუნდობელი არიან: უამრავ ბოროტებას ჩადის ზევსი, მეტად უღმობელია ჰერა, მძვინვარეა არესი, ცრუ და თაღლითია ჰერმესი...

ზოგიერთი გმირიც არ იქცევა ზოგჯერ მისაბამად და სანაქებოდ. მაგრამ გმირებს შორის არიან ისეთებიც, როგორიცაა, მაგალითად ტიტანი პრომეთე, ჰერაკლე, თეზევსი, პერსევსი, დიოსკურები და სხვ., რომლებიც დიდ სამსახურს უწევენ ადამიანს. ისინი თვით ღმერთებთან შებრძოლებასაც არ ერიდებიან და მრავალ ტანჯვასა და წამებას იტანენ ადამიანის კეთილდღეობისათვის.

ამის ერთ–ერთი შესანიშნავი მაგალითია ტიტან პრომეთეს შეუპოვარი ბრძოლა ზევსისი ძალადობა–უსამართლობის წინააღმდეგ. პრომეთემ, როგორც ბერძნული მითოლოგია გადმოგვცემს, ოლიმპოდან ციური ცეცხლი მოიტაცა, მიუტანა ადამიანებს და ასწავლა მისი გამოყენება, თუმცა, როგორც „წინასწარ მჭვრეტმა“ (პრომეთე ნიშნავს „წინასწარ მჭვრეტს“) თავიდანვე იცოდა, თუ რა სასტიკი სასჯელი მოელოდა ამისათვის. განრისხებულმა ზევსმა პრომეთე კლდეს მიაჯაჭვა კავკასიის მთებში და მიუჩინა თავისი არწივი, რომელიც ყოველდღე გულ–ღვიძლს უწიწვნიდა. ზევსის ნება–სურვილით პრომეთეს წყლული ღამით უმთელდებოდა, რათა დღისით ხელახლა ეწიწვნა არწივს. ბოლოს, ჰერაკლემ მოჰკლა არწივი და გაათავისუფლა ეს შეუდრეკელი ტიტანი.

ღმერთების წინააღმდეგ პრომეთეს ბრძოლის მითი გადმოცემული აქვს ესქილეს თავის ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. ესქილეს პრომეთე შეურიგებელი მტერია ყოველგვარი ზეციური თუ მიწიერი ტირანიისა, იგი მეამბოხეა, ღმერთების ურჩი:

„ვიტყვი პირდაპირ, მამაც ღმერთები ყველა“, – ეუბნება იგი ღმერთების მოციქულს ჰერმესს.

ადამიანისათვის თავდადებულ გმირებზე სხვა ხალხებიც მოგვითხრობენ თავიანთ მითებში. ბერძენთა პრომეთე, ქართველთა ამირანი, რუსთა მიკულა სელიანინოვიჩი და მრავალი სხვა, მშრომელი ხალხისათვის თავდადებული გმირებია. მათზე თქმულებებს ჰქმნიდა მშრომელი ადამიანი, მათ აწერდა ბუმბერაზულ საქმიანობას, გასაოცარ გმირობას, რადგან იგი ოცნებობდა უკეთეს ცხოვრებაზე, რადგან მას სურდა თავისი ტანჯული და გამწარებული ცხოვრების

გარდაქმნა, განახლება. „უკეთეს ცხოვრებაზე ოცნება, – ამბობს მ. გორკი, – შეემლო მხოლოდ მონას. მუქთახორა ბატონს ბუნების ძალები სრულებით არ უშლიდა ხელს ეცხოვრა, მონის შრომის შემსუბუქებაში კი იგი არ იყო დაინტერესებული. მისთვის განუწყვეტლივ მუშაობდა ცოცხალი, უფასო ძალა, იგი აძლევდა მას პურს, ჭურჭელს, იარაღს, ტანისამოსს, სამკაულებს, – იგი ყველაფერს „მოულობდა, რაც ბატონს ესაჭიროებოდა?“ ამიტომ იყო, რომ მშრომელი ადამიანი თავის ზრაპრებში ბატონს სახავდა გველეშაპად, ცხრათავიან თუ ასთავიან დევად, კაციჭამია მინოტავრად და ათასგვარ სხვა ურჩხულად. ამ ურჩხულებს კი დაუნდობელ ბრძოლას უმართავდნენ გმირები. ეს გმირები, ხალხის წარმოდგენით, შეუდრეკელნი არიან, ისინი ეძებენ სიმართლეს და იმედით შეჰყურებენ მომავალს. კიდევაც რომ დაეცნენ ბრძოლაში, მათ მაინც სწამთ საბოლოო გამარჯვება.

ასეთი უშრეტი მხნეობითა და სიცოცხლისადმი სიყვარულით არის გამსჭვალული ეს მითები. ათასეული წლების მიღმა ესიტყვება ისინი გმირული ბრძოლებით, მატერიალური და გონებრივი ძალების აღმავლობით, გიგანტური სოციალისტური მშენებლობის პათოსითა და საბოლოო გამარჯვებისადმი ურყევი რწმენით აღსავსე ჩვენს დროს, ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ადამიანების მისწრაფებებსა და იდეალებს.

ჩვენს დიად ქვეყანაში, სადაც მთელს საბჭოთა ხალახს, ისე, როგორც არსად და არასოდეს, ყველა პირობა მოეპოვება ჭეშმარიტი ხალხური შემოქმედებისათვის, დიდი ინტერესით სარგებლობს ელინური მითები, ეს მარადუშრეტი წყარო ხალხური პოეზიისა. რუსულ ენაზე საკმაოდ დიდძალი და მდიდარი ლიტერატურა არსებობს ბერძნული მითოლოგიის დარგში. ქართულ ენაზე კი, სამწუხაროდ, მეტად ღარიბია ეს ლიტერატურა. ალ. მიქაბერიძის მიერ მოთხრობილი „ელინური მითების“ მეორე წიგნის გამოცემა ამიტომ სავსებით მიზანშეწონილად და სასარგებლო საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ამ წიგნის დიდ ნაწილს მოიცავს შუა საბერძნეთის ქალაქ თებეს თავგადასავალი. ეს არის საგმირო თქმულებების ერთი ციკლი, ეგრეთ წოდებული თებეს ციკლი, რომელიც მოგვითხრობს ბერძენ ტომთა სამმათაშორისო ბრძოლების ამბავს. ბერძნებს, ცხადია, თქმულებების სხვა ციკლებიც ჰქონდათ, სადაც უმთავრესად მოთხრობილია ბერძენ ტომთა ბრძოლების ამბავი უცხო ტომთა წინააღმდეგ. ასეთი იყო, მაგალითად, ტროის ციკლი, რომელიც ცალკე წიგნად, ქართულად კარგა ხნის წინათ გამოვიდა იმავე ავტორის, ალ. მიქაბერიძის მიერ მოთხრობილი.

წინამდებარე წიგნში, გარდა თებეს ციკლის თქმულებებისა, არის სხვა თქმულებებიც: არგოსის, ატიკის, კრეტას ციკლი და სხვა თქმულებები. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ ციკლებიდან მთელი რიგი თქმულებები უკვე გამოქვეყნებულია „ელინური მითების“ პირველ წიგნში, რომელიც გამოვიდა 1938 წელს, ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში. მეორე წიგნისათვის გამზადებული თქმულებები ამიტომ ვეღარ ჰქმნიან სრულ ციკლებს. მაგალითად, თებეს ციკლში არ შევიდა მთელი რიგი თქმულებები, თუნდაც ისეთი თქმულება, როგორცაა „ოიდიპოს მეფე“. ეს თქმულება, რატომღაც, ავტორს პირველ წიგნში მოუთავსებია სრულიად განცალკევებულად. ასეთივე მდგომარეობაა მეტ-ნაკლებად სხვა ციკლებშიც. როგორც ჩანს, ავტორს არ ჰქონია განზრახვა ციკლებად შეეკრა თქმულებები, და ეს მეორე წიგნიც ისეთივე სახითაა გააზრებული, როგორც, თავის დროზე, პირველი წიგნი. ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით მოცემული მასალა ციკლებად (თუნდაც არასრულყოფილი სახით, მაგრამ მაინც გარკვეული წესით განლაგებულად) შეგვეკრა. ამრიგად წიგნში წარმოდგენილია თქმულებათა თებეს ციკლი, არგოსის ციკლი,

კრეტას ციკლი, ატიკის ციკლი, გმირები და „დამატება“. ამ უკანასკნელ განყოფილებაში, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ტექსტისადმი დამატებას, ოთხი თქმულებაა მოტანილი: „დაფნე“, „გალატეა და აკისი“, „ეასაკოსი და ჰესპერეა“ და „ადონისი“. მათში მოთხრობილია სხვადასხვა გარდაქმნათა ამბები, მაგალითად, ადამიანის მდინარედ, ფრინველად, თუ მცენარედ გარდაქმნათა ამბავი. ასეთი მითებით ხალხური ფანტაზია ცდილობდა თავისებურად აეხსნა და დაედგინა კავშირი ამა თუ იმ მცენარესა, ცხოველსა და ღვთაებას შორის. მაგალითად, რატომ ითვლებოდა დაფნის ხე ღმერთ აპოლონის ხედ? რა კავშირი არსებობდა ამ ხესა და ღვთაებას შორის? ამის ასახსნელად ხალხურმა ფანტაზიამ შეთხზა მითი მშვენიერ ნიმფა დაფნეზე და მისდამი ტრფობით გატაცებულ ღმერთ აპოლონზე. აპოლონის სიყვარულისაგან თავის დასაღწევად, დაფნე შეევედრა ღმერთებს, რომ იგი ხედ გადაექციათ, და ღმერთებმა შეისმინეს ეს მისი ვედრება.

არსებული მასალის რედაქტირების დროს საჭირო შეიქნა აგრეთვე საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემის შესწორება ბერძნულ–ლათინური ორიგინალებისა და ქართულ ლიტერატურაში ამჟამად ხმარებული წესების შესაბამისად. აქ ჩვენ უმთავრესად პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიას“ ვეყრდნობოდით.

გარდა ამისა, საჭიროდ ვცანით „გვეჩვენებია წყაროები, რის მიხედვითაც მოთხრობილია ესა თუ ის მითი. ამიტომ ყოველ თავს, თუკი ის ძირითადად გადმოცემულია გარკვეული წყაროს საფუძველზე, დართული აქვს დასათაურების ქვეშ, ფრჩხილებში, ამ წყაროს დასახელება. მითები, უმთავრესად, მოთხრობილია ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ოვიდიუს ნაზონის ნაწარმოებების მიხედვით. მაგრამ ავტორი, როგორც ჩანს, ძირითადად გ. შტოლის მიერ მოთხრობილ „მითებს“ ეყრდნობოდა და არა უშუალოდ ბერძნულ–ლათინურ ორიგინალებს.

წიგნის ბოლოში დართული გვაქვს პირთა სახელებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი. ვფიქრობთ, ამ საძიებელში მოკლედ მოცემული ცნობები წიგნში ნახსენები თითოეული პირის შესახებ სასარგებლო იქნება მკითხველისათვის უამრავ მითოლოგიურ სახელებში გასარკვევად.

„ელინური მითები“, მოთხრობილი ალ. მიქაბერიძის მიერ, მსგავსად პირველი წიგნისა, დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას ბერძნული ლიტერატურის შესწავლის დროს.

შ. გვინჩიძე

თებეს ციკლის

თქმულებანი

ზეთოსი და ამფიონი

თებეს სამეფო ტახტის მემკვიდრის ლაბდაკეს მცირეწლოვანების დროს სახელმწიფო საქმეებს პოსეიდონ ღმერთის შვილიშვილი ნიქტევსი განაგებდა.

ტახტის დროებითი გამგებელს ჰყავდა შესანიშნავად ლამაზი ასული, რომელსაც სახელად ანტიოპე ერქვა.

ანტიოპეს სილამაზეს და სიმშვენიერეს მთელ სახელმწიფოში, კიდით კიდემდე, ყველა შესტროდა.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი მეფის ასულის კალმით აუწერელ სილამაზეს შესტროდნენ და შეჰხაროდნენ, ყველანი ქალღმერთების მსგავსად დიდის პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებდნენ მის შარავანდმოსილ სახელს.

ოლიმპოს მბრძანებელმა, ყოვლისშემძლე დიდმა ზევსმა, როგორც კი ერთხელ თვალი მოჰკრა სილამაზით სახელგანთქმულ მეფის ასულს, იგი თავისი ღვთაებრივი სიყვარულით დაასაჩუქრა.

ანტიოპე დიდხანს უმაღავდა მშობლებს ღმერთების მამამთავართან ასე დაახლოებას.

მაგრამ ამგვარი მდგომარეობის გაგრძელება მშობლიურ ოჯახში უკვე შეუძლებელი გახდა.

მშობლების რისხვის თავიდან ასაცილებლად ანტიოპე მამის ნებადაურთველად სიკიონში გაიქცა და ამ ქვეყნის მეფე ეპოპევსს ცოლად მისთხოვდა.

ნიქტევსმა დიდ შეურაცხყოფად ჩასთვალა თავისი საყვარელი ასულის ასეთი თვითნებობა და დაჟინებით მოსთხოვა სიკიონის მეფეს განქორწინებოდა ანტიოპეს და სამშობლოში დაებრუნებია.

ეპოპევსმა გადაჭრით უარი შეუთვალა ნიქტევსს მისი მოთხოვნის შესრულებაზე.

განრისხებულმა თებეს დროებითმა გამგებელმა შეკრიბა მთელ სახელმწიფოში უამრავი მხედრობა და მეფე ეპოპევსს ომი გამოუცხადა.

ორი მოწინააღმდეგე ლაშქარი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ. ატყდა ამ ორ სახელმწიფოთა შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა.

თავგანწირული ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ძნელი გამოსაცნობი იყო, ვინ ვის სძლეოდა ამ საშინელი ბრძოლის დროს.

ბრძოლის ველი ის იყო ღამის წყვდიადს უნდა მოეცვა, რომ მეფე ეპოპევსის ძლევამოსილმა მხედრობამ უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლო იერიში მიიტანა მტერზე და იგი კიდევაც საბოლოოდ უკუაქცია.

დასრულდა ეს მძვინვარე ბრძოლა თებელი მხედრობის სრული დამარცხებით.

ამ საშინელი ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრეს მხედრობის მთავარსარდალი, თებეს სახელმწიფოს დროებითი გამგებელი ნიქტევსი, რომელიც დიდის გაჭირვებით საკაცეთი თებეში გადაიყვანეს.

სიკვდილის წინ ნიქტევსმა მოიწვია თავისი ღვიძლი ძმა ლიკოსი და სახელმწიფოს დროებითი მართვა გამგებლობა ჩააბარა, სანამ ლაზდაკე სრულწლოვანი გახდებოდა.

სულთმობრძავმა ნიქტევსმა სთხოვა თავის ერთგულსა და საყვარელ ძმას, მეფე ეპოპევსი და მისი უღირსი მეუღლე ანტიოპე სასტიკად დაესაჯა და ამრიგად სამაგიერო გადაეხადა.

ლიკოსმა პირნათლად შეასრულა ძმის ანდერძი.

სახელმწიფოს სათავეში მოქცეულმა ლიკოსმა შეკრიბა უამრავი ჯარი და სიკიონის სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრა.

ძლევამოსილმა თებეს მხედრობამ სძლია სიკიონის შეიარაღებული მხედრობა და სიცოცხლეს სამუდამოდ გამოასალმა მხედრობის მთავარსარდალი მეფე ეპოპევსი.

ბრძოლის ველზე სახელოვნად გამარჯვებულმა ლიკოსმა თავისი ძმისწული ანტიოპე თებეში წამოიყვანა და ხელ–ფეხ შებორკილი სატუსალოში დაამწყვდია.

ანტიოპეს მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. საბრალო მეფის ასულს როგორც მკვიდრი ბიძა, ისე მისი მეუღლე, უსულგულო დირკე უდიერად ექცეოდნენ და დღითი დღე აუტანლად ხდიდნენ თავისი ასე ახლონათესავის ყოფა–ცხოვრებას.

თებეში ანტიოპეს ყოვლისშემძლე ზევსისაგან ორი ტყუპი ვაჟიშვილი შეეძინა – ზეთოსი და ამფიონი.

ლიკოსისა და დირკეს რისხვა რომ თავიდან აეცილებინა, ანტიოპემ ორივე ახალშემძენი შვილი მახლობელ მთაზე აიყვანა და იქ დატოვა იმ სრულის იმედით, რომ ყოვლადმოწყალე ზევსი თავის ღვიძლ შვილებს უპატრონოდ არ დატოვებდა.

მთებში მიტოვებული ბავშვები ადგილობრივმა მწყემსმა ნახა, შეებრაღა ისინი და აღსაზრდელად სახლში წაიყვანა.

მწყემსი და მისი მეუღლე დიდის მზრუნველობით უვლიდნენ ბავშვებს და შეძლებისდაგვარად პატრონობდნენ.

ზეთოსი და ამფიონი ისე შეეჩვივნენ თავის აღმზრდელებს, რომ მწყემსსა და მის მეუღლეს თავის ღვიძლ მშობლებად თვლიდნენ.

ბავშვები, როცა წამოიზარდნენ, თავისი ხასიათითა და მიდრეკილებით ერთმანეთისაგან დიდად განირჩეოდნენ.

ზეთოსი ღონიერი ახალგაზრდა დადგა, იგი მწყემსობასა და ნადირობას უფრო ეტანებოდა, ვიდრე სხვა საქმიანობას. ყმაწვილს თავდავიწყებით უყვარდა საომარი იარაღის ტარება და ნადირობაში მონაწილეობის მიღება.

სულ სხვა ხასიათის ყმაწვილი დადგა ამფიონი. ყველგან და მარადის მშვიდი და წყნარი ამფიონი მთელი დღეები სიმღერისა და ჩანგზე საუცხოო სიმთა ჟღერით ერთობოდა.

ამფიონი აპოლონ ღმერთისაგან ნაჩუქარ ჩანგზე ისე დახელოვნებულად, ისე ნაზად და საამურად აჟღერებდა სიმებს, რომ უზარმაზარი ხეები და პიტალო კლდეები ერთიანად მოძრაობდნენ, სიმთა საუცხოო ჟღერით დამტკბარი ნადირთა სამეფო ისე იხიბლებოდა, რომ ადგილიდან დაძვრას ვერ ახერხებდა.

ფრინველები, როგორც კი ამფიონის ჩანგის სიმთა ჟღერას ყურს მოჰკრავდნენ, ჰაერში ფრენას შეწყვეტდნენ და საუცხოო ჰანგებით მოხიბლულნი ნეტარების ფიალას ეწაფებოდნენ.

ზეთოსი და ამფიონი უკვე დავაჟკაცდნენ. ყმაწვილებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვინ იყო მათი ნამდვილი მშობლები. ახალგაზრდა ყრმები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ მწყემსი და მისი მეუღლე ნამდვილი მათი ღვიძლი მშობლებია.

ყმაწვილების საბრალო ნამდვილი დედა კი, რომელიც შეუბრალებელ ბიძას და მის მეუღლეს ფეხებზე ხუნდებდადებული საპყრობილეში ჰყავდათ დამწყვდეული, უსაზღვროდ იტანჯებოდა.

ერთხელ, როცა ანტიოპე საპყრობილეში მეტის ტანჯვისაგან სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, უეცრივ რაღაც უხილავმა ძალამ ფეხებზე ხუნდები ჩამოხსნა და საპყრობილედან გაათავისუფლა.

ანტიოპე დაუყოვნებლივ გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც თავისი საყვარელი შვილები ეგულებოდა.

მაგრამ საბრალო დედას, ის იყო თავისი საყვარელი შვილების სახლის კარები უნდა შეეღო, რომ უეცრივ, სრულიად მოულოდნელად, წინ შემოხვდა ბოროტი დირკე, რომელიც სწორედ იმ ხანებში სახელმწიფოს წარჩინებული მანდილოსნების თანხლებით მთებში ამოსულიყო დიონისე ღმერთის პატივსაცემად და მსხვერპლის შესაწირავად.

დირკეს მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან საპყრობილედან განთავისუფლებული ანტიოპე დაინახა.

ლიკოსის ბოროტმა მეუღლემ ცბიერებითა და ცილისწამებით დაარწმუნა ზეთოსი და ამფიონი, რომ ანტიოპეს სახელმწიფოს წინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის და ამიტომ საჭიროა სასტიკად დაისაჯოს იგი. ბოროტმა დირკემ წინადადება მისცა ძლევათაგან მისი ქაბუკებს დამნაშავე ანტიოპე გარეული ხარის რქებზე წამოეგოთ და ამრიგად მოესპოთ მისთვის სიცოცხლე.

საბედნიეროდ, როცა ყმაწვილებს თავისი მშობელი დედა ასე მხეცურად სიცოცხლეს უნდა გამოესალმებინათ, დროზე მოასწრო მოხუცმა მწყემსმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ზეთოსი და ამფიონი ანტიოპეს ღვიძლი შვილები იყვნენ.

მოხუცმა მწყემსმა დაარწმუნა თავისი აღზრდილები, რომ სასიკვდილოდ გამზადებული საბრალო ქალი მათი მშობელი დედაა და ბოროტი დირკე სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვს უდანაშაულო ადამიანის დასჯა.

ძალზე განრისხებულმა ზეთოსმა და ამფიონმა იმწამსვე სტაცეს ხელი ცილისმწამებელ დირკეს, წამოაგეს იგი გარეული ხარის რქებზე და ნაკუნ-ნაკუნად დააგლეჯინეს.

დირკეს ასე დასჯის შემდეგ ზეთოსი და ამფიონი საყვარელ დედასთან ერთად თებეს გაემგზავრნენ, მოჰკლეს ვერაგი ლიკოსი და სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს.

ზეთოსი და ამფიონი დაუყოვნებლივ შეუდგნენ სახელმწიფოს საქმეების მოწესრიგებას.

პირველ რიგში ახალგამეფებულმა ძმებმა გააუქმეს ის კანონები, რომლებიც ვერაგი და ცბიერი ლიკოსის მიერ გამოცემული იყო სახელმწიფოს მკვიდრთა საზიანოდ და შესავიწროებლად.

ზეთოსი და ამფიონი სახელმწიფოში უფლებრივი მდგომარეობის დამყარებასთან ერთად დანგრეული და გაპარტახებული სახელმწიფოს დედაქალაქის აღდგენასა და გამშენიერებას შეუდგნენ.

ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულმა ძმებმა ქალაქის ქუჩები გამართეს და გაამშენიერეს, მკვიდრი შენობები გააშენეს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში, მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინები წესრიგში მოიყვანეს, ბაღები და ქუჩები

გამწვანეს, ქალაქის სხვადასხვა ადგილას არხები და აუზები გამართეს და ამრიგად მოსახლეობის ცხოვრების პირობები მრავლად გააუმჯობესეს.

მაგრამ ქალაქის ამ კეთილმოწყობასთან ერთად ხალხის მოჭირნახულე ძმები მტრის შემოსევისაგან თავდასაცავად პირველ რიგში შეუდგნენ ქალაქის მიუვალი კედლით შემოზღუდვას.

გოლიათის ძალ-ღონით დაჯილდოებული ზეთოსი კედლის ასაგებ ქვებს, სილასა და კირს თავისი ზურგით ეზიდებოდა და ხალხს შრომისმოყვარეობის იშვიათ მაგალითს უჩვენებდა.

ხალხის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა იგი ხედავდა, რომ საყვარელი მეფე პიტალო კლდის უზარმაზარ ლოდებს ძალდაუტანებლად ეზიდებოდა და კედლის ამოსაყვანად ლოდს ლოდზე მწყობრად ალაგებდა.

მეორე ძმა ამფიონი წყნარად იჯდა ერთსა და იმავე ადგილას და აპოლონ ღმერთის ნაჩუქარ ჩანგს საოცნებოდ აჟღერებდა.

ჩანგის სიმთა ნახსა და გულის წარმტაც ჟღერას მოძრაობაში მოჰყავდა თვალუწვდენელი პიტალო კლდეები, რომელნიც უზარმაზარ ლოდებად იშლებოდნენ და თავისთავად ეწყობოდნენ ქალაქის გარშემოსავლებ კედელზე.

ხალხისა და სახელმწიფოსათვის თავდადებული მეფეების გმირული შრომით აგებული კედელი ქალაქს მიუვალ ციხესიმაგრედ ხდიდა.

სახელმწიფოს მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დიდის აღტაცებით შეჰყურებდნენ ზეთოსისა და ამფიონის თავდადებულ მოღვაწეობას და ყველგან და მარადის გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდნენ ხალხის საკეთილდღეოდ მოვლენილ გმირ ძმებს, ზეთოსსა და ამფიონს.

ა ე დ ო ნ ი

(ჰომეროსი – „ოდისეა“)

მშვენიერ ანტიოპესა და ყოვლისშემძლე ზევსის შვილები, ზეთოსი და ამფიონი, მას აქეთ რაც თებეს სახელმწიფოს უზენაესი ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ძმურად, მეგობრულად ერთიმეორეს შენაცვლებით განაგრძობდნენ თებეს სახელმწიფო საქმეების გამგებლობას.

გულკეთილი ძმების მთელი ცოდნა, გამოცდილება სახელმწიფოს საკეთილდღეოდ იყო მიმართული.

სამწუხაროდ, ძმების ამ იშვიათმა ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა.

მეფე ზეთოსს ჰყავდა ცოლად ეფესელი პანდარეს ასული აედონი, ხოლო ამფიონს – ტანტალეს ასული ნიობე.

აი, სწორედ ცოლები გახდნენ ერთგული მეფეების სამაგალითო ბედნიერების დამრღვეველნი, სწორედ ცოლების ავი ზნის გამო მოევლინათ მეფეებს ის ოჯახური

უბედურება, რომელმაც ეს მეგობრულად განწყობილი ორი სამაგალითო ოჯახი მოსპო და გაანადგურა.

მეფე ამფიონის მეუღლე ნიობე მთელს სახელმწიფოში თავისი სილამაზით სახელგანთქმული იყო.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი განცვიფრებაში მოდიოდნენ ნიობეს კალმით აუწერელი სილამაზით. და, შეიძლება ითქვას, ქალღმერთების თანსწორადაც კი სახავდნენ.

ნიობეს ამაცობას, ზვიადობას და ამპარტავნობას საზღვარი არა ჰქონდა. ამაცი დედოფალი იმდენად გაკადნიერდა, რომ სილამაზით სახელგანთქმულ ქალღმერთებსაც კი დიდ მეტოქეობას უწევდა და მათ ღვთაებრივ ძლიერებას ოდნავადაც ანგარიშს არ უწევდა.

ამფიონსა და ნიობეს მოწყვეტილი ვარსკვლავით ექვსი ვაჟი და ექვსი ქალიშვილი ჰყავდათ.

სახელმწიფოს მკვიდრნი ამფიონისა და მშვენიერი ნიობეს ოჯახს დიდბედნიერ ოჯახად თვლიდნენ.

ზეთოსსა და აედონს, თუმცა ამფიონისა და ნიობესავით მრავალრიცხოვანი ოჯახი არ ახარებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ თავისი ბედითა და თავის ერთადერთ შვილს იტისს შესტრფოდნენ და შეჰხაროდნენ.

სამწუხაროდ, აედონს მრავალ კარგ თვისებასთან ერთად, გულჩახვეულობა და გადამეტებული შურიანობა ახასიათებდა.

აედონი შურის თვალთ შეჰყურებდა ნიობეს ბედნიერებას და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა თავისი ამაცი რძლის ეს ბედნიერება როგორმე დაერღვია, მოეშალა.

შურით აგზნებულმა აედონმა, რადაც უნდა დაჯდომოდა, გადაწყვიტა ნიობეს უფროსი შვილი მოეკლა და ამნაირად ეს ბედნიერი ოჯახი დაერღვია, გაეუბედურებინა.

ერთ კუნაპეტივით შავზნელ ღამეს, როცა ნიობეს უფროს ვაჟსა და იტისს მშვიდად ეძინათ ოთახში, შურით აგზნებული აედონი ბასრი მახვილით ხელში ფეხაკრეფით შეიპარა მათ ოთახში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მძინარე ყმაწვილს ბასრი მახვილი ჩაჰკრა გულ-მკერდში და სასიკვდილოდ განგმირა.

მაგრამ, დახეთ საბრალო დედის, აედონის განუსაზღვრელ მწუხარებას, როცა მან მეორე დილით ოთახში თავისი მაზლიშვილის მაგივრად გულმკერდგანგმირული თავისი საყვარელი პირმშო იტისი დაინახა.

უსაზღვრო და უნუგეშო იყო საბრალო დედის ენით გამოუთქმელი მწუხარება.

შეშლილივით სახეგაფითრებული მწუხარე დედა მდუმარედ თავს დასდგომოდა თავისი საყვარელი შვილის გასისხლიანებულ გვამს და გონებადაკარგული გულამოსკვნით ქვითინებდა და ქვითინებდა.

უსაზღვრო და უნუგეშო იყო საბრალო აედონის მწუხარება, იგი სულით და გულით იტანჯებოდა და შველას კი ვერსაიდან ხედავდა.

ყოვლისშემძლე ღმერთების მამამთავარმა ზევსმა შეიბრალა საცოდავი დედა და ბულბულად გადააქცია იგი.

ყოველწლივ, როგორც კი გაზაფხულის ცხოველმყოფელი მზის პირველი სხივები დედამიწას მოეფინება და ტყეები და მინდორ-ველები ფოთლებითა და ყვავილნარევი ბალახებით იმოსება, მაღალი ხის ტოტზე შემჯდარი პანდარეს საცოდავი ასული, ფერმკთალი და უზომოდ შეწუხებული, მგლოვიარედ იწყებს

გალობას და თავის წკრიალა ხმით ქვეყანას ამცნობს უბედური დედის უსაზღვრო მწუხარებასა და გულისტკივილს.

ტირის და გოდებს, კვნესის და ქვითინებს საბრალო აედონი, და მისი გულის სიღრმიდან ამონახეთქი გლოვის ზარი შორს, შორს გაისმის და მსმენელს სევდას სევდაზე უმატებს.

უნუგემოდ მწუხარე აედონი ქვეყანას შესჩივის და სევდიანის ხმით განუწყვეტლივ გაჰკვივის:

„იტის, იტის, ჩემო კარგო!
გულამოსკვნით ვსტირი მეო,
იტის, იტის, გენაცვალე,
იტის, შენი ჭირიმეო!“

მთელი სულიერი და უსულო ბუნება, საცოდავი დედის სიბრალულით გამსჭვალული, გულისტკივილით ისმენს ხშირ ტყეში სადღაც მიმალულ ბულბულის სევდიან ხმას და საბრალო დედის უსაზღვრო მწუხარებას იზიარებს.

გზის პირად მორცხვ იას თავი ნაზად დაუხრია და გულამოსკვნით იცრემლება.

ტყის ნადირნი ბულბულის სევდიან ხმას ბუნაგში დაუტყვევებია და სიბრალულით გამსჭვალულნი ადგილიდან ვერ იძვრიან.

ფრინველებს თავისი ჩვეულებრივი ჭიკჭიკი შეუწყვეტიათ და თანაგრძნობის ნიშნად ხის ტოტებზე თავები დაუხრიათ და მწუხარედ გამოიყურებიან.

პანდარეს ასული, საბრალო აედონი კი ისევ გულამოსკვნით შესჩივის ქვეყანას თავის უსაზღვრო მწუხარებას და ისევ სევდიანის ხმით გაჰკვივის და გაჰკვივის:

„იტის, იტის, ჩემო კარგო!
გულამოსკვნით ვსტირი მეო,
იტის, იტის, გენაცვალე,
იტის, შენი ჭირიმეო!“

პოლინიკე და მეფე ადრასტე

მეფე ოიდიპოსის ტახტიდან სამარცხვინოდ გადადგომის შემდეგ, სანამ უფლისწულები – პოლინიკე და ეტეოკლე სრულწლოვანი გახდებოდნენ, თებეს სახელმწიფოს დროებით გამგებლობას შეუდგა დედოფალ იოკასტას ღვიძლი ძმა კრეონტი.

მეფე ოიდიპოსი, მას შემდეგ, რაც მთელ სამეფო ოჯახს უმაგალითო უბედურება თავს დაატყდა, შიშით სასახლიდან არ გამოდიოდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს სასახლის დარბაზებში უმწეოდ და უნუგემოდ ატარებდა.

მეფეს მარტოდმარტო მოგონება ოჯახური უბედურების შესახებ თავზარს სცემდა და დღითი დღე სიცოცხლეს უმწარებდა.

მართალია, შვილები პირველ ხანებში დიდის პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდნენ მწუხარებაში ჩავარდნილ მამას, მაგრამ ოიდიპოსი მაინც უბედურად,

უმწეოდ თვლიდა თავის თავს და დღითი დღე მოუსვენრობა, ხასიათის სიანჩხლე და გულფიცხოზა იპყრობდა მთელ მის არსებას.

სულ უბრალო უყურადღებობა და უმართებულო სიტყვა შვილების მხრით ოიდიპოსს გულს უსერავდა და, ისედაც ღმერთებისა და ადამიანებისაგან მოძულეზულს, სევდას სევდაზე უმატებდა.

პოლინიკე და ეტეოკლე, ანტიგონე და ისმენე სულ იმას ცდილობდნენ, საბრალო მოხუცი მამა ენუგეშებინათ, მისი უსაზღვრო და აუტანელი მწუხარება მცირედად მაინც შეემსუბუქებინათ, მაგრამ საცოდავი ოიდიპოსის მწუხარება იმდენად უსაზღვრო, იმდენად შეუნელებელი იყო, რომ სულ უბრალო უსიამოვნო სიტყვას მეფე მოთმინებიდან გამოჰყავდა, იგი წონასწორობას ჰკარგავდა და ამ დროს არავის ინდობდა.

ერთხელ პოლინიკემ და ეტეოკლემ საგანძეულო დარბაზიდან გამოიტანეს მეფე კადმოსის კუთვნილი ვერცხლის მაგიდა და ოქროს თასი და საბრალო მამას წინ დაუდგეს იმ სრულის რწმენით, რომ ოიდიპოსი ამ მამაპაპეული განძეულის ხელის შეხებით მცირედად მაინც გაიხარებდა და ნასიამოვნები დარჩებოდა.

მაგრამ ოიდიპოსმა, როგორც კი გაიგო, რომ შვილებმა ხელი ახლეს მამაპაპათაგან დატოვებულ ძვირფას განძეულობას, ვერ მოითმინა შვილების ასეთი კადნიერება და ორივენი საშინლად დაწყევლა: „დეე, ყოვლისშემძლე ღმერთებმა არ მოგასწოთ ის დრო, როცა მამის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის განაწილების თადარიგს შეუდგებით! დეე, თქვენს შორის მუდამ შუღლი და ბრძოლა არსებობდეს მამაპაპეული მემკვიდრეობის განაწილებისათვის! დეე, ყოვლისშემძლე ღმერთებმა მამის უპატივცემულობისათვის ღირსეულად დაგსაჯოთ! ვფიქრობ, ჩემი წყევლა–კრულვა ყველგან და მარადის თანა გსდევთ და მოსვენებას არ მოგცემთ, სანამ იგი თავის საბედისწერო შედეგს არ გამოიღებს!“

მეფე ოიდიპოსი ამ სამწუხარო ამბის შემდეგ ყოველთვის განცალკავებით სადილობდა. შვილები მოხუც მამას, როგორც ჯერ კიდევ სახლის მეთაურს, ყოველ სადილზე საპატიო ულუფას უგზავნიდნენ.

სამწუხაროდ, ერთხელ შვილებმა სრულიად შემთხვევით მამას სადილად შეუგზავნეს შედარებით უფრო მდარე კერძი.

ოიდიპოსი ცეცხლივით აენტო და მეტის სიბრაზისაგან ერთბაშად გადისროლა მაგიდიდან შვილების მიერ შემოგზავნილი კერძი და მრისხანედ წამოიძახა: „ვაგლახ, მე საბრალოვ! განა მოსათმენი და შესაწყნარებელია, რომ მე ამ დამცირებამდე მივადწიე! ჩემმა შვილებმა განზრახ შემომიგზავნეს ასეთი ცუდი კერძი, ჩემთვის რომ შეურაცხყოფა მოეყენებინათ, დავემცირებინეთ!“

შვილებისაგან შეურაცხყოფილმა ოიდიპოსმა ცისაკენ ხელები აღაპყრო და ყოვლისშემძლე ზევსს მხურვალედ შეევედრა: „ოლიმპოს დიდო მბრძანებლო! გევედრები, გემუდარები ყოვლადმოწყალეო დიდო ღმერთო, სასტიკი სასჯელი მოუვლინო შვილებს, რომლებმაც დაივიწყეს მოხუცი მამის ღირსეული პატივისცემა. გთხოვ, ყოვლადმოწყალეო ღმერთო, ჩემს უღირს შვილებს მოუვლინო სამუდამო ტანჯვა და განსაცდელი როგორც ამქვეყნად, ისე საიქიოს სამფლობელოში! დეე, ჩემმა უღირსმა შვილებმა იცოდნენ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთები სასტიკად სჯიან ყველას, ვინც კი უსამართლობას ჩაიდენს ცხოვრებაში!“

ყოვლისშემძლე ზევსმა შეისმინა შეურაცხყოფილი მამის ვედრება და ოიდიპოსის შვილების წინააღმდეგ აამხედრა შურისმაძიებელი ქალღმერთები ერინიები, რომლებიც ამიერიდან ცდილობდნენ მამის უხეშად შეურაცხყოფისათვის შვილების სასტიკად დასჯას.

პოლინიკე და ეტეოკლე, მამის წყევლა და კრულვა რომ თავიდან აეცილებინათ, შეთანხმდნენ რიგრიგობით დაეჭირათ სამეფო ტახტი თებეს სახელმწიფოში.

მაგრამ სულ მოკლე ხანში ძმებს შორის ტახტის დაუფლებისათვის უთანხმოება ჩამოვარდა. ეტეოკლემ ძმის წინააღმდეგ ააჯანყა სახელმწიფოს მკვიდრნი, წაართვა პოლინიკეს სამეფო ტახტი და სახელმწიფო საზღვრებიდანაც განდევნა თავისი მეტოქე ძმა.

უფლებახდილი პოლინიკე არგოსში გადასახლდა იმ აზრით, რომ არგოსის მეფის ადრასტეს დახმარებით სამეფო ტახტი დაებრუნებინა.

შუალამე იქნებოდა, როცა პოლინიკემ მიაღწია ადრასტეს სამეფო სახლის კარებამდე. სასახლეში შესვლა ასე უდროოდ დროს მოუხერხებელი იყო. მეფესა და მის სახლობას უკვე ეძინათ. ამიტომ პოლინიკემ გადაწყვიტა დილამდე ღამე გაეთენებინა სასახლის შესავლის წინაკარში.

სწორედ იმავე საღამოს და იმავე დროს მეფე ადრასტეს სასახლის კარებს მოადგა კალიდონის მეფის ოინევსის შვილი ტიდევსი, რომელიც იძულებული იყო ბიძის მკვლელობისათვის სამშობლო დაეტოვებინა და არგოსში თავშესაფარი მოემებნა.

პოლინიკე და ტიდევსი სასახლის შესავალ კარებთან შეხვდნენ ერთმანეთს. უცნობნი ერთიმეორეს არ უთმობდნენ სასახლის წინაკარს ღამის გასათევად.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთმანეთს სხვადასხვა მხარედან მოსული ყრმები.

მებრძოლთა ატეხილმა ხმაურობამ გამოადვილა მეფე ადრასტე, რომელიც დაუყოვნებლივ გამოვიდა სასახლიდან ამბის შესატყობად.

მეფე ადრასტეს ერთხელ მისანმა უწინასწარმეტყველა, რომ იგი თავის საყვარელ ასულებს მიათხოვებს ერთს – ლომს და მეორეს კი – გარეულ ღორსაო.

მეფეს ეს წინასწარმეტყველება გონებიდან არ შორდებოდა. ადრასტეს ვერ აეხსნა, როგორ უნდა გაეგო მისნის ეს ბუნდოვანი წინასწარმეტყველება.

მეფე ადრასტე, როცა ახალგაზრდა მებრძოლების ხმაურობაზე სახლიდან გამოვიდა და ერთი მებრძოლის ფარზე ლომისა და მეორე მებრძოლის ფარზე ღორის გამოხატულება შენიშნა, ახლა კი მიხვდა, რას ნიშნავდა მისნის წინასწარმეტყველება.

ადრასტემ დაუყოვნებლივ გააშველა მებრძოლი ახალგაზრდები და თავაზიანად მიიპატიჟა სასახლეში.

პოლინიკემ და ტიდევსმა გულახდილად მოახსენეს მეფე ადრასტეს თავისი თავგადასავალი და დახმარების აღმოჩენა თხოვეს.

არგოსის ძლევამოსილმა მეფემ თავისი საყვარელი ასული არგეა პოლინიკეს მიათხოვა, ხოლო დეიპილე – ტიდევსს და სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის სიძეებს დახმარება აღუთქვა.

თებეს წინაარმდეგ გალაშქრება

არგოსის მეფე ადრასტემ ის დაპირება, რომელიც სიძეებს აღუთქვა, სულ მოკლე ხანში სისრულეში მოიყვანა.

პოლინიკესა და ტიდევსის უფლებების აღსადგენად ადრასტე პირველ რიგში თებეს წინააღმდეგ გასალაშქრებლად სამზადისს შეუდგა.

ძლევამოსილმა მეფემ მიწვია სახელმწიფოს წარჩინებულნი და მათთან ერთად მოსალოდნელი ომის შესახებ სამხედრო თათბირი გამართა.

ამ საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე მეფემ განუმარტა სახელმწიფოს წარჩინებულთ ომის ნამდვილი მიზეზი და მიზანი:

„პოლინიკე სრულიად უსაფუძვლოდ და უმართებულოდ ჩამოაგდო ტახტიდან ღვიძლმა ძმამ ეტეოკლემ და სახელმწიფოდან წარბშეუხრელად სამუდამოდ გააძევა“, – განუცხადა ადრასტემ თათბირის წევრებს. – „პოლინიკემ აუცილებლად უნდა დაიბრუნოს უკანონოდ, უმართებულოდ ჩამორთმეული სამეფო ტახტი და უღირსი ძმა ეტეოკლე სასტიკად დაისაჯოს. არგოსის დიდებულო და სახელოვანო გმირებო, ყველას ერთიანად მოგიწოდებთ მონაწილეობა მიიღოთ თებეს საწინააღმდეგოდ განზრახულ ომში! თითოეული პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა უსამართლობას ბრძოლა გამოუცხადოს და უდანაშაულოდ დასჯილი ადადგინოს თავის კანონიერ უფლებებში!“

ასე დაამთავრა თავისი სიტყვა მეფე ადრასტემ იმ თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო მოსალოდნელი ომის თადარიგის დასაჭერად.

კრების მონაწილენი დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ ადრასტეს მოწოდებას და ყველა, გმირი ამფიარაეს გარდა, თანახმა გახდა მონაწილეობა მიეღო ომში.

მეფე ადრასტეს დიდი სურვილი ჰქონდა თავისი სიძე ამფიარაეც მიემხრო, რადგან ამფიარაეს ომში მონაწილეობის მიღებას, მეფის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა საქმის საკეთილდღეოდ დამთავრებისათვის.

ადრასტე და ამფიარაე არგოსის სამეფო ტახტის დაუფლებისათვის წინათ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ.

ამ დაუნდობელ ბრძოლაში გამარჯვება ამფიარაეს ხვდა წილად. ადრასტე იძულებული შეიქნა არგოსი დაეტოვებინა და სიკიონში მოეძებნა თავშესაფარი.

მაგრამ შემდეგ ამფიარაე და არგოსის ყოფილი მეფე ადრასტე შერიგდნენ და კიდევაც დამოყვრდნენ.

მეფე ადრასტემ ამფიარაეს ცოლად თავისი ღვიძლი და ერიფილე მიათხოვა.

სიძემ და ცოლისძმამ ასეთი პირობა შეკრეს: „თუ ვინიცობაა, სიძესა და ცოლისძმას შორის ოდესმე რაიმე უთანხმოებას ადგილი ექნებოდა, ამ უთანხმოების გადასაწყვეტად შუამავლობა უნდა გაეწია ერიფილეს, რომლის განაჩენი ორივე მხარესათვის სავალდებულოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული“.

მეფე ადრასტე დიდად მოწადინებული იყო თებეს წინააღმდეგ განზრახულ ომში მონაწილეობა მიეღო ამფიარაეს, ამფიარაე კი არ თანხმდებოდა.

გულთამხილავი ამფიარაე წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ განზრახული ომი საბედისწეროდ გადაიქცეოდა არგოსის მხედრობისათვის, თებეს ძლევამოსილი მხედრობა სასტიკად დაამარცხებდა არგოსის მხედრობას და მის მთავარსარდლობას.

ამრიგად უთანხმოება ამფიარაესა და მეფე ადრასტეს შორის, თანახმად უკვე დადებულ პირობისა, ერიფილეს უნდა გადაეწყვიტა.

ცბიერმა პოლინიკემ ანგარებამოყვარულ ერიფილეს აჩუქა ოქროს გულსაკიდი და ამრიგად მოისყიდა ეს ბოროტი და მედიდური მანდილოსანი.

ომიანობის ღმერთის არესის წყევლა-კრულვა თანსდევდა ამ ოქროს გულსაკიდს: ის ოჯახი, სადაც ეს გულსაკიდი იქნებოდა დაცული, აუცილებლად უნდა დაღუპულიყო.

ერიფილემ, როგორც მსაჯულმა, უღალატა თავის სინდისს და უთანხმოება სიძესა და ცოლისძმას შორის მეფე ადრასტეს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ერიფილე ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მისი მეუღლე ომში აუცილებლად დაიღუპებოდა, მაგრამ გულსაკიდით მოსყიდულმა ბოროტმა მანდილოსანმა თავისი ერთგული მეუღლე გაიმეტა და ომში სასიკვდილოდ გაგზავნა.

ამფიარაე იძულებული შეიქნა ცოლის განაჩენს დამორჩილებოდა და ომში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა გამოეცხადებინა.

არგოსელთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაიგეს, რომ ძლევაძმოსილი ამფიარაე ომში მონაწილეობას მიიღებსო.

სიხარულით აღფრთოვანებული თავადები ომში დაუყოვნებლივ წასასვლელად საჭირო სამზადისს შეუდგნენ.

კაპანევსი, პართენოპე არკადიელი, ეტეოკლე – შვილი ოფისისა, პოლინიკე, ტიდეუსი, ამფიარაე და ჰიპომედონტი – სულ შვიდი საუკეთესო ძლევაძმოსილი გმირი, – მეფე ადრასტეს მთავარსარდლობით, ელვის სისწრაფით რაზმავდნენ არგოსის მამაც მეომრებს და მოუთმენლად მოელოდნენ იმ წუთს, როცა არგოსელების ძლევაძმოსილი მხედრობა მიადგებოდა თებეს და მის შვიდ კარიბჭეზე იერიშს მიიტანდა.

ახალგაზრდა გმირ სარდლებს საბოლოოდ ჰქონდათ გადაწყვეტილი ან დაენგრიათ და მიწასთან გაესწორებინათ შვიდკარიბჭიანი თებე, ანდა მის მიუვალ ზღუდეთა წინაშე სიცოცხლეს გამოსალმებოდნენ.

ომის სამზადისით გატაცებულმა გმირებმა ყურადღება არ მიაქციეს ამფიარაეს წინასწარმეტყველებას, არგოსელების მხედრობა არ გაყოლოდა იმ ჭაბუკს, რომელსაც მშობელი მამის წყევლა კარგს არაფერს უქადდა.

როცა არგოსის ძლევაძმოსილი მხედრობა უკვე მზად იყო ომისათვის, მეფე ადრასტემ მოიწვია მხედრობის სარდლები და ბრწყინვალე ნადიმი გაუმართა.

ნადიმზე ყველანი ერთი და იმავე სურვილით იყვნენ გამსჭვალული, რაც შეიძლება სასწრაფოდ გამგზავრებულიყვნენ ბრძოლის ველზე და თავისი ძლევაძმოსილება გამოეცადათ მტერზე დაუნდობლად თავდასხმით.

ამ საერთო ზეიმში ამფიარაე თუმცა მონაწილეობას იღებდა, მაგრამ ომში გამგზავრება სრულებითაც არ ახარებდა.

ამფიარაე ომში გამგზავრებისას მწუხარედ გამოემშვიდობა თავის სახლობას და მცირეწლოვან შვილებს, ალკმეონსა და ამფილოხს, ანდერმად დაუტოვა: „როცა დავაჟკაცდებით, სამაგიერო გადაუხადეთ მოღალატე დედას, რომელმაც ოქროს გულსაკიდზე გაცვალა მამათქვენიო.“

მძიმედ შეიარაღებული არგოსელების მხედრობა, რომელსაც წინ მიუძღოდა ფეხმალი ცხენებით შებმულ საბრძოლო ეტლით მეფე ადრასტე, შვიდკარიბჭიან თებესაკენ გაემართა.

შუადღე იქნებოდა, როცა საბრძოლველი წესით დარაზმულმა არგოსელების მხედრობამ ნემეას ველს მიაღწია.

ნემეას ველი ყოველთვის სახელგანთქმული იყო თავისი წყაროებით. თითქმის ყოველ ნაბიჯზე მოჩუხჩუხებდა ანკარა ცივი წყალი, რომელიც ფართოდ გადაშლილ ველს უხვად რწყავდა.

თებეში დაბადებულ ღმერთის ბახუსის ბრძანებით ნიმფებმა ნემეას წყაროები სწორედ იმ ხანებში, როცა არგოსელთა მხედრობა ამ ველს უახლოვდებოდა, სილით ამოავსეს და ამნაირად მთელ ამ მხარეს წყალი მოუსპეს.

სიცხე–ჰაპანაქებით დაღლილი და მოქანცული ჯარისკაცები აუტანელის დასაკმაყოფილებლად ველის მთელ სივრცეზე დასალევ წყალს დაემებდნენ, მაგრამ ვერსად პოულობდნენ.

მხედრობას, როცა იგი დასალევ წყალს ასე მოუთმენლად დაემბდა, უეცრივ წინ შემოხვდა საკვირველად ლამაზი ქალწული, რომელსაც ხელში ძუძუმწოვარი ბავშვი ჰყავდა.

ეს მშვენიერი ქალწული იყო კუნძულ ლემნოსის მეფის ასული ჰიფსიპილე.

სწორედ მაშინ, როცა კუნძულ ლემნოსზე ქალებმა შეუბრალებლად ამოწყვიტეს მამაკაცები, ჰიპსიპილემ სიკვდილს გადაარჩინა თავისი მშობელი მამა, რისთვისაც ლემნოსელმა ქალებმა ჰიპსიპილე მოღალატედ გამოაცხადეს და სასჯელის მოსახდელად უცხო ქვეყანაში გაყიდეს.

ნემის სახელმწიფოს მეფემ ლიკურგმა და მისმა მეუღლემ ევრიდიკემ ჰიპსიპილე მოსამსახურედ აიყვენეს და შემდეგ თავისი პირმშო შვილის ოფელტეს გამდებლობაც დააკისრეს.

არგოსელთა მხედრობის სარდლებმა სთხოვეს მშვენიერ ჰიპსიპილეს, თუ სადმე კიდევ დაუშრობელი წყარო დარჩა, მხედრობისათვის ეჩვენებინა.

ჰიპსიპილემ ბავშვი ხის ძირას დააწვინა, თვითონ კი მხედრობას წინ გაუძღვა ტყეზე მიმავალ ბილიკით ერთ–ერთ ჯერ კიდევ დაუმშრალ წყაროს საჩვენებლად.

გახარებულმა მეომრებმა ხარბად მოიკლეს წყურვილი და შემდეგ ისევ წამოვიდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც ჰიპსიპილემ ბავშვი ხის ქვეშ დატოვა.

სამწუხაროდ, მეომრებს ბავშვი ცოცხალი არ დახვდათ. ბავშვი სასიკვდილოდ დაეკბინა შხამიან გველს, რომელიც თურმე იქვე ხის მახლობლად ბუდობდა.

საბრალო ჰიპსიპილე შეშლილივით ხმამაღლა ტიროდა და მის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა.

მხედრობის ჯარისკაცები და სარდლები გარშემოერთყნენ საბრალო ქალწულს და, რამდენადაც კი შეეძლოთ, ანუგეშებდნენ გამწარებულ გამდელს.

ძლევამოსილმა გმირმა კაპანევსმა მოიმარჯვა ბასრი ისარი, სტყორცნა შხამიან გველს და იქვე მოჰკლა.

საბედისწერო ადგილას დაუყოვნებლივ მოირბინეს ბავშვის საბრალო მშობლებმა, რომელთაც მოულოდნელმა უბედურებამ თავზარი დასცათ.

მწუხარებით გონებადაკარგულმა ლოკურგმა იძრო ხმალი და ის იყო სასიკვდილოდ უნდა გაეგმირა ჰიპსიპილე, მაგრამ საცოდავ ქალწულს დაუყოვნებლივ მიეშველნენ მეფე ადრასტე და ამფიარაე და დიდის გაჭირვებით სიკვდილს გადაარჩინეს.

მეომრებმა საბედისწერო ხის ძირას შესაფერისი პატივისცემით, მთელი მხედრობის თანდასწრებით, დაასაფლავეს დაღუპული ბავშვი.

ამფიარაემ ახლაც უწინასწარმეტყველა არგოსელების ძლევამოსილ მხედრობას, რომელიც შვიდკარიბჭიან თებესაკენ მოუთმენლად მიისწრაფოდა, რომ მხედრობას თებელებისაგან დიდი უბედურება მოეღობო.

„გაფრთხილებთ, ძლევამოსილო სარდლებო, – მწუხარებით წინასწარმეტყველებდა გულთამხილავი ამფიარაე, – ხედავთ, როგორ უდროოდ დაიღუპა უდანაშაულო ბავშვი გველეშაპის შხამიან კბილებისაგან! აი სწორედ თქვენც ასე უდროოდ დაგლუპავთ ღმერთების მორწმუნე კადმოსის მიერ დათესილი გველეშაპის კბილებისაგან წარმოშობილი თებელები! გაფრთხილებთ და კვლავ გაფრთხილებთ, თებელთა ძლევამოსილი მხედრობა ჯოჯოხეთის გენიას დაატრიალებს არგოსელების მხედრობის რიგებში და არგოსის რჩეულ გმირებს სიცოცხლეს სამუდამოდ გამოასალმებს! ვინ მოსთვლის მაშინ არგოსელთა დედების, ცოლებისა და უმწეოდ დარჩენილი ობლების უნუგემო მწუხარებას და ვაებას! გაფრთხილებთ, ჩემს წინასწარგრძნობას, ჩემს საგულისხმო სიტყვებს ჯეროვანი

ყურადღება მიაქციოთ და ჩვენი საერთო და საყვარელი არგოსი ჩვენის წინდაუხედაობით, ჩვენის გაუფრთხილებლობით არ დავაობლოთ, მტრების აბუჩად ასაგდები არ გავხადოთ! გული მიკვნესის, სული მეხუთება, ჩემი მთელი სულიერი და ხორციელი არსება უცეცხლოდ იწვის და იდაგვის, როცა თვალწინ წარმოვიდგენ იმ საშინელ უბედურებას, რომელიც მეხივით თავს დაგვეცემა შვიდკარიბჭიან თებეს ზღუდეთა წინ გადაშლილ ბრძოლის ველზე!“

არგოსის ძლევამოსილმა მხედრობამ გულთამხილავ ამფიარაეს გაფრთხილებას ყურადღება არ მიაქცია.

საბრძოლველად დარაზმული მხედრობა და მისი სარდლები, მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, მაინც ბრძოლის ველისაკენ მიისწრაფოდნენ და მოუთმენლად მოელიდნენ იმ წუთს, როცა მტერს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთებოდნენ.

თებეს გარშემო ბრძოლის გაჩაღება

(ესქილე – „შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ“.
ვერიპიდე – „ფინიკიელი ქალები“.)

მხედრობის სარდლებმა, სანამ ჯერ კიდევ ომს გააჩაღებდნენ, სამხედრო თათბირზე გადაწყვიტეს წინადადება მიეცათ თებელებისათვის, რათა მოწინააღმდეგე ორი ღვიძლი ძმა, პოლინიკე და ეტეოკლე, დამღუპველი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, მორიგებულიყვნენ და სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება ნებაყოფლობით გაენაწილებინათ.

შუაკაცად თებეში გასაგზავნად აირჩიეს ძლევამოსილი ტიდევსი, რომელიც სამხედრო თათბირის გადაწყვეტილებას დაემორჩილა.

ყველგან და მარადის უშიშარი და მამაცი ტიდევსი გაემგზავრა მოწინააღმდეგეთა ქალაქში და გაბედულად შევიდა მეფე ეტეოკლეს სასახლეში, სადაც სწორედ იმ დროს თავი მოეყარათ სათათბიროდ სახელმწიფოს წარჩინებულ მოქალაქეებს.

ტიდევსმა მოახსენა მეფე ეტეოკლეს და სასახლეში იმჟამად შეკრებილ წარჩინებულ თებელებს არგოსელების მხედრობის მთავარსარდლობის წინადადება და თავისი მხრითაც გულწრფელი სურვილი გამოსთქვა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომის თავიდან ასაცილებლად, გადამტერებული ძმები შერიგებულიყვნენ და ორ მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა აწინდელი გამწვავებული მდგომარეობა ნებაყოფლობით გამოესწორებინათ.

თებელებმა უარყვეს ტიდევსის წინადადება, მაგრამ, შემოდებული ჩვეულების ერთგვარი თავაზიანობის დასაცავად, არგოსელების მხედრობის მიერ გამოგზავნილი შუამავალი საგანგებოდ გამართულ ნადიმზე მიიპატიჟეს.

ძლევამოსილმა ტიდევსმა აღშფოთებით უარყო ნადიმზე მიპატიჟება. ნაცვლად ნადიმზე წასვლისა ამაყმა გმირმა ორთაბრძოლაში გამოიწვია თითოეული იქ დამსწრე თებელი და ყველანი სამარცხვინოდ სძლია.

ამ დამარცხებით შეურაცხყოფილმა თებელებმა გადაწყვიტეს ვერაგულად მოეკლათ ტიდევსი, როცა იგი ქალაქიდან არგოსელების სამხედრო ბანაკში დაბრუნებას დააპირებდა.

ორმოცდაათი თებელი ორი წინამძღოლის მეთაურობით ჩაუსაფრდნენ გზაში ტიდევეს და, როცა იგი უკვე სამშვიდობოს უნდა გასულიყო, მოულოდნელად თავს დაესხნენ.

ძლევამოსილი ტიდევესი გააფთრებული ლომივით ტრიალებდა თავდამსხმელთა რიგებში. ამ საშინელ ხელჩართულ ბრძოლაში ტიდევესმა ყველანი სიცოცხლეს გამოასალმა. სიცოცხლე აჩუქა მხოლოდ ერთს, სამარცხვინო დამარცხების ეს ამბავი თებელებისათვის რომ ეუწყებია.

ყოველივე ამის შემდეგ მოწინააღმდეგეთა მხარეების შერიგების შესახებ ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა.

არგოსელთა ძლევამოსილი მხედრობა თებეს კედლებს მიუახლოვდა.

ქალაქის გარშემო მდებარე გაშლილ ველზე მოხდა ორი მოწინააღმდეგე მხედრობის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება.

თებელთა სამხედრო რაზმებმა ვერ გაუძლეს არგოსელთა მეომრების მიერ მოტანილ იერიშებს და იძულებული შეიქნენ ბრძოლის ველის ხაზი ქალაქის კედლებს შიგნით გადაეტანათ და თავდაცვითი ბრძოლა გაეჩაღებინათ.

არგოსის მხედრობის წინამძღოლებმა ომის ღმერთის, არესის წინაშე ფიცი დასდეს, რომ ან დაიპყრობენ შვიდკარიბჭიან თებეს და მიწასთან გაასწორებენ კადმოსის სიმაგრეებს, ანდა, თუ ეს არ მოხერხდა, თავისი სისხლით გაანოყიერებენ თებელების სიმაგრეთა გარშემო ატეხილ ველებს.

არგოსელების მთავრებმა თითქოს იგრძნეს, რომ ისინი თავის ძვლებს შვიდკარიბჭიან თებეს მიდამოებში სამუდამოდ დატოვებდნენ; საკუთარის თმებისაგან დაწული გვირგვინებით შეამკეს ადრასტეს ეტლი და სთხოვეს მეფეს, სამშობლოში დაბრუნებისას, ეს გვირგვინები მათი ოჯახების დაობლებულ წევრებისათვის გადაეცათ სახსოვრად და მოსაგონებლად.

გვირგვინებით შემკული ეტლის დანახვაზე გმირ მეომრებს თვალთაგან ცრემლები წასკდათ, მაგრამ თითოეული მათგანი თავს იმაგრებდა და თავის გამოუთქმელ მწუხარებას გულში იკლავდა.

არგოსელების გმირებმა გაინაწილეს თებეში შესასვლელი შვიდი კარიბჭე და თითოეულს მიუჩინეს თითო გმირი საჭირო ჯარის რაზმებით.

ეტეოკლეც თავის მხრით მტრისაგან ქალაქის დასაცავად სასწრაფო ზომებს იღებდა.

მტრის ბანაკის მდგომარეობის შესატყობად ეტეოკლემ გაგზავნა მზვერავი, რომელსაც გამჭრიახმა მეფემ დაავალა სწორი და უტყუარი ცნობების შეკრება მტრის ბანაკში.

წინასწარმეტყველმა ტირეზიამ გააფრთხილა მეფე ეტეოკლე, მტრის რაზმები საცაა იერიშებს მოიტანენ თებეს კედლებზე, და საჭიროა საიმედო ზომების დასახვაო.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა და ქალაქში მტრის შემოჭრას ყოველ წუთს მოელოდნენ.

ყველანი შიშის ზარს აეტანა, ქალი და კაცი, ყველანი გაფითრებული სახით ერთმანეთს აწყდებოდნენ და რღაც საშინელებას მოელოდნენ.

ერთადერთი მეფე ეტეოკლე უშიშრად შეჰყურებდა მოახლოებულ საფრთხეს და თავისი მხნეობით, გაბედულებითა და გამჭრიახობით თითოეულ მოქალაქეს გულში იმედს უნერგავდა.

არგოსელების ბანაკის ხელმეორედ დაზვერვა

(ესქილე – „შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ“.
ევრიპიდე – „ფინიკიელი ქალები“)

უშიშარი და გაბედული მეფე ეტეოკლეს ბრძანებით ყველა მოქალაქე, მათ შორის მოხუცებულები და მცირეწლოვანებიც კი, იარაღით ხელში ბრძოლის ველზე უნდა გამოსულიყვნენ საერთო მტრის მოსაგერიებლად.

თებეს მთელი მხედრობა სასახლის ფართო მოედანზე შეიკრიბა და მეფის ბრძანებას ელოდა, რომ მტერს მედგრად შებრძოლებოდა, და ამრიგად სამშობლო ქალაქი განსაცდელს გადაერჩინა.

ჯარის გასაცილებლად მოედანზე შეიკრიბნენ მეომრების დედები, ცოლები და შვილები და საცოდავი ტირილითა და გოდებით მთელ არემარეს აყრუებდნენ.

საომრად გამზადებული ჯარისკაცების საბრალე განწყობილება ტირილითა და ვაებით რომ არ შემფოთებელიყო, წინდახედულმა მეფემ მეომრების დედები და ცოლები საყვედურით თავთავის სახლში გაისტუმრა.

როცა მხედრობა უკვე მზად იყო ომისათვის, მეფე ეტეოკლემ ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და ამავე დროს ყოვლად მოწყალე ღმერთებს აღუთქვა, რომ თუ ომი საკეთილოდ დამთავრდებოდა, იგი სამღვთო ჰეკატომბას³ შეწირავს მსხვერპლად.

თებეს ძლევამოსილმა მხედრობამ ის იყო მსხვერპლის შეწირვა დაასრულა და ბრძოლა უნდა გაეჩაღებინა, მაგრამ მეფე ეტეოკლემ საჭიროდ დაინახა ხელმეორედ გაეგზავნა მოწინააღმდეგეთა ბანაკში მზვერევი, რომ დანამდვილებით გაეგო მტრის ჯარის სულიერი განწყობილება და ომისათვის მზადყოფნა.

როცა მზვერავი დაბრუნდა მტრის ბანაკიდან, შემდეგი მოახსენა მეფე ეტეოკლეს და მის ძლევამოსილ მხედრობას.

„დიდებულო მეფეო და ძლევამოსილო მხედრობავ!“ – ასე დაიწყო თავისი მოხსენება მტრის ბანაკიდან დაბრუნებულმა მზვერავმა: „ყველაფერი, რაც მე ამჟამად უნდა მოგახსენოთ, ჩემი საკუთარი თვალითა და ყურთასმენითაა დანამდვილებით შემოწმებული.“

მტრის მეომრთა სულიერი განწყობილება მეტად თვალსაჩინო და საგულისხმოა. ყველანი მოუთმენლად მოელიან იმ წუთს, როცა ომის ქარცეცხლს დაატრიალებენ და თებეს მიუვალ კედლებზე იერიშს იერიშზე მოიტანენ.

სარდლები მუდამ წუთს ჯარის რაზმებთა შორის ტრიალებენ და ჯარისკაცებს საბრძოლველად ამხედრებენ, ახალისებენ.

პრეტის კარიბჭეს მახლობლად დაბანაკებულია მამაცი და შეუბრალებელი ტიდევსის ლაშქარი და ჩვენ დედაქალაქს ამ მხრით დიდ საფრთხეს უმზადებს.

ძლევამოსილი ტიდევსი უკვე მზად იყო გადმოეღახა მდინარე ისმენი, მაგრამ მამაცი გმირის განზრახვას წინ აღუდგა ყოვლად გულთამხილავი ამფიარაე და ნება მისცა მდინარე გადმოეღახა.

ტიდევსი მეტად აღაშფოთა ბრძენი გულთამხილავის გაფრთხილებამ და გაჯავრებისას მხდალობაც კი დასწამა გმირ გულთამხილავს.

³ ჰეკატომბა – ასი ხარის მსხვერპლად შეწირვა.

ტიდევსმა სიბრაზისაგან სამჯერ შეარხია თავისი ხშირბალნიანი მუზარადი და ჟღარუნა ფარი.

ძლევამოსილი გმირის ფარზე გამოხატულია ღამის პირქუში ცის თაღი, რომელზეც კაშკაშებენ სრული მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავები. ფიცხი ცხენივით დგას გმირი მდინარის ნაპირას და მტერზე გალაშქრებას დაჟინებით მოითხოვს“.

ეტეოკლემ თებეს ჯარისკაცთა გასაგონად მზვერავს ასე უპასუხა: „ტიდევსის მძიმედ შეიარაღება სრულიად არ მაშინებს! ჩვენთვის საშიში არ არის გმირის მუზარადის ჯიღი და ფარის ჟღარუნა ზანზალაკები.

ღამე, რომელიც ტიდევსის ფარზეა გამოხატული, შესაძლებელია, თვით ფარის პატრონს უქადის სამუდამო ღამეს.

დეე, ამაყი ტიდევსის მოწინააღმდეგეთ გაიგზავნოს ასტაკის დიდებული შვილი მელანიპე, რომელიც სამხედრო საქმეებში მეტად დახელოვნებულია და მტრის ამაყ სიტყვებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

სპარტის დიდებულო შთამომავლო, გაილაშქრე თავხედი და ამაყი ტიდევსის წინააღმდეგ და დაიცავი შენი სამშობლო ქალაქი მტრის შემოსევისაგან!“

ასე დაამთავრა სიტყვა ძლევამოსილმა ეტეოკლემ და მხედრობამ ერთხმად მოიწონა მეფის წინადადება.

„ელექტრას კარიბჭეზე იერიშის მოტანა, – განაგრძო მზვერავმა, – წილად ხვდა გონიერ გმირს კაპანევსს. „ღმერთები მომიწონებენ თუ არა, ეს ჩემთვის სულ ერთია“, ამაყად დაიკვივნა კაპანევსმა: „მე მიწასთან გავასწორებ მთელ სატახტო ქალაქს! ყოვლისშემძლე ზევსის მრისხანებას ყურადღებასაც არ მივაქცევ! მე სრულიადაც არ მემინია ოლიმპოს მბრძანებლის მეხისა და ჭექა-ქუხილისა!“

კაპანევსის ფარზე გამოხატულია ტანშიშველი მეომარი, ჩირაღდნით ხელში. მეომრის ქვემოთ ასეთი წარწერაა: „ქალაქს ამოვბუგავ“.

მეფე ეტეოკლემ დამშვიდებული კილოთი უპასუხა მზვერავს: „ვინც ასე ამაყობს, ვინც ყოვლისშემძლე ღმერთებს ასე გმობს, ასე უპატივცემულოდ ეპყრობა, ოლიმპოს მბრძანებელი სასტიკად დასჯის. ღრმად დარწმუნებული ვარ, ღმერთების მამამთავარი დიდი ზევსი მეხსა და ქარიშხალს მოუვლენს ამაყ გმირს და სამუდამოდ სიცოცხელს მოუსპობს ღმერთების ასე უხეშად გმობისა და შეურაცხყოფისათვის.

ამაყი კაპანევსის მოწინააღმდეგედ ვნიშნავ ძლევამოსილ გმირს პოლიფონტს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღირსეული გმირი სასახელოდ დაიცავს სამშობლო ქალაქს ყოვლისშემძლე ღმერთების დახმარებით“.

ძლევამოსილი პოლიფონტი ენაშემოუბრუნებლად დაემორჩილა მეფის ბრძანებას და თავისი ლაშქრით გაემართა ქალაქის ელექტრას კარიბჭისაკენ.

„ნეიტის კარიბჭესთან, – განაგრძო მზვერავმა, – დაბანაკებულია თავისი ლაშქრით ძლევამოსილი ეტეოკლე – შვილი იფისისა. ამ დიდებული გმირის ცხენები თავშეუკავებლივ ჩვენსკენ მოისწრაფვიან. ეტეოკლეს ფარზე გამოხატულია მეომარი, რომელიც სასწრაფოდ ადის მტრის კომპზე. ამ მეომრის ქვემოთ წარწერაა: „კომპიდან თვით ღმერთი არესიც კი ვერ ჩამომაგდებსო“.

ამ გმირის მოწინააღმდეგედ მეფე ეტეოკლემ კრეონტის ვაჟიშვილი მეგარევსი დანიშნა.

„ონკეას პალასის კარიბჭეზე იერიშის მოსატანად, – განაგრძობს მზვერავი, – არგოსელთა მხედრობამ დანიშნა გოლიათი ტანის გმირი ჰიპომედონტი. ამ გმირის ფარზე გამოხატულია ტიფონი, რომლის ცეცხლისმფრქვეველ პირიდან ამოხეთქავს შავი კვამლი. ფარის კუთხეებს გარს ევლებიან საშინელი გველები.

საბრძოლველი ყიჟინით მოუძღვის ლაშქარს ჰიპომედონტი და ბრძოლის დაწყების სურვილით გატაცებული შიშის ზარს სცემს მთელ არემარეს“.

მეფე ეტეოკლემ უპასუხა მზვერავს: „იმედი მაქვს თებეს მცველი ქალღმერთი ათენა შემწობას აღმოგვიჩენს. ჩვენი სახელმწიფოს დედაქალაქის ყოვლადმოწყალე დამცველი ქალღმერთი დახმარებას არ მოგვაკლებს ჩვენი საყვარელი ქალაქის განსაცდელისაგან გადასრჩენად.“

ამაყი ჰიპომედონტის წინააღმდეგ ლაშქრის სარდლად ვნიშნავ ენოპსის დიდებულ შვილს ჰიპერბის, რომელიც ჰიპომედონტს მამაცობით არ ჩამოუვარდება. დარწმუნებული ვარ, ძლევამოსილი ჰიპერბი ბასრი ხმლით შეუბრალებლად განგმირავს ამაყ ჰიპომედონტს და ამრიგად გამარჯვებას ქალაქის ამ კარიბჭესთან უდაოდ ჩვენ გვარგუნებს“.

ჰიპერბი ენაშემოუბრუნებლად თავისი ლაშქრით გაემართა ონკეას პალასის კარიბჭესაკენ მტრის საწინააღმდეგოდ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გასაჩაღებლად.

„ბორეათა კარიბჭეს მახლობლად, – განაგრძო მზვერავმა, – თავისი მძლავრი ლაშქრით დაბანაკებულია პართენოპე არკადიელი, რომელიც წლოვანებით თუმცა ახალგაზრდაა, მაგრამ გაბედულობით და იშვიათი სიმამაცით მთელ სახელმწიფოში, კიდითი კიდემდე, სახელგანთქმულია. ახალგაზრდა გმირი უშიშრად მოიწევს თებეს სიმაგრეებისაკენ და ფიცსა სდებს, რომ ყოველ ეჭვს გარეშე მიწასთან გაასწორებს, ერთიანად გაანადგურებს თებეს სახელმწიფოს სატახტო ქალაქს. „ყოვლისშემძლე ზევსმა კიდევაც რომ მოისურვოს, ამ ჩემს შეურყეველ გადწყვეტილებას ვერასგზოთ ვერ შემაცვლევინებსო“, – ამბობს იგი. პართენოპეს ფარზე გამოხატულია სფინქსი, რომელიც თებელ ვაჟკაცს სიცოცხლეს ასალმებს“.

ამაყი ჭაბუკის წინააღმდეგ მეფე ეტეოკლემ დანიშნა ჰიპერბის ძმა ძლევამოსილი არკტევსი, რომელიც მთელ სახელმწიფოში განთქმული იყო თავისი იშვიათი სიმამაცითა და შეუდარებელი გულადობით.

„მეექვსე ჰომოლოას კარიბჭესთან დაბანაკებულია, – განაგრძო მზვერავმა, – არგოსელების მხედრობის უკეთილშობილესი, დიდად გაბედული და მამაცი სარდალი ამფიარაე, რომელიც მეტად უკმაყოფილოა თავისი თანამემამულეების ასე უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ თებეს წინააღმდეგ გალაშქრებით.“

უკეთილშობილესი გმირი სარდალი სრულებითაც არ ჰვარავს თავის გულისტკივილს და ხმამაღლა, სრულიად მოურიდებლად კიცხავს ტიდევსს, რომელსაც საჯაროდ კაცისმკვლელს უწოდებს, ერინიების ყურმოჭრილ მსახურს, არგოსის გამანადგურებელსა და დამღუპველს.

„მეფე ადრასტე ამ საბედისწერო ომს სრულიადაც არ დაიწყებდა, რომ შენ არ წაგექეზებინა და ერთგვარად არ დაგეიმედებინაო,“ – საჯაროდ უსაყვედურებდა უკეთილშობილესი გმირი ამფიარაე უსირცხვილო და თავხედ ტიდევსს.

შემდეგ ამფიარაე მიუბრუნდა პოლინიკეს და მწუხარედ მოახსენა: „აბა, პოლინიკე, კარგად ჩაუფიქრდი, რასა სჩადიხარ! ნუთუ გგონია, რომ თებეს მომავალი თაობა შენ სახელს ოდესმე კეთილად მოიხსენიებს! აბა, ვინ მოგიწონებს, რომ შენ უცხოელი ჯარით თავს ესხმი სამშობლო მხარეს, სულითა და გულით მოწადინებული ხარ სამშობლო ქალაქი მიწასთან გაასწორო, ღმერთების პატივსაცემად აგებული ტაძრები გაანადგურო, შენი ღვიძლი თანამემამულეები ამოჟლიტო და ამრიგად მთელი სახელმწიფო დააობლო, დალუპვის კარს მიიყვანო! შენ მოწადინებული ხარ განადგურებული სამშობლოს მიწა-წყალი მეომართა საბრალე დედების, საბრალე ცოლებისა და ობლების ცხარე ცრემლებით მორწყო!

ნუთუ ფიქრობ, შენ ოდესმე განიწმენდ სისხლში ამოსვრილ ხელებს, იმ სისხლში, რომლითაც შენ გსურს მორწყა ძლევა მოსილი თებეს მიდამოები და ყველგან, სადაც კი ხელი მიგიწვდება, ამ სისხლის ღვარები დააყენო!

როგორ გგონია, ნუთუ შენ მიერ განადგურებული სამშობლო გულწრფელად მიგიღებს და თავის ღირსეულ შვილად ჩაგვთლის?

ამ კითხვაზე ორგვარი პქსუხის მოცემა ყოვლად შეუძლებელია. შენ ღირსეულად დაიმსახურებ ხალხის გულის სიღრმიდან ამონახეთქ უსაზღვრო ზიზღსა და სიძულვილს!

სამშობლოს ღალატს ხალხი არავის აპატიებს და, ადრე თუ გვიან, სამაგიერო სასჯელს მთელი თავისი სისასტიკით სამართლიანად მიუზღავს.

ჩემი მომავალი ბედისწერა წინასწარ გათვალისწინებული მაქვს. ჩემ ძვლებს ამ საბედისწერო ომში დავტოვებ! მიუხედავად ასეთი წინაგრძნობისა, მე გაბედულად ვიბრძოლებ და როცა ჩემი ბედისწერა სიცოცხლეს გამომასალმებს, სხვებსავით დამძიმებული სინდისით მაინც არ ჩავალ სამარეში“.

ასე იწინასწარმეტყველა უკეთილშობილესმა ამფიარაემ და რამდენჯერმე თავისი საბრძოლველი სპილენძის ფარი მწუხარედ შეარხია.

მსგავსად სხვა სარდლებისა უკეთილშობილეს გმირის ამფიარაეს ფარს არ ამშვენებს არც თვალსაჩინო ნიშანი და არც მყვირალა წარწერა.

გმირი ცდილობს თავი მამაცად კი არ მოაჩვენოს, არამედ საქმით დაამტკიცოს თავისი მამაცობა და კეთილშობილება“.

მეფე ეტეოკლემ, როცა მზვერავის ეს სიტყვები მოისმინა, მწუხარედ წამოიძახა: „ოჰ, ბედისწერავ! ბედისწერავ! რად შეაერთე ამ ალალ–მართალი კეთილშობილი ადამიანის ბედი სხვა მოკვდავ ბოროტი ადამიანების ბედისწერასთან!

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდებული გმირი ჩვენი ქალაქის კედლებს არ შემუსრავს, არა იმიტომ, რომ სიმამაცე და გამბედაობა აკლდეს, არა იმიტომ რომ შიშსა გრძნობდეს, არამედ იმიტომ, რომ ეს საბედისწერო ომი უსამართლოდ, უსაფუძვლოდაა არგოსელების მიერ დაწყებული.

ამ კეთილშობილი გმირის წინააღმდეგ ვნიშნავ მამაც ლასთენს, აღჭურვილს ჭაბუკის ძალ–ღონითა და მოხუცის ჭკუა–გონებით“.

სარდალი დაუყოვნებლივ დანიშნულ ადგილისაკენ გაემართა.

„მეშვიდე კარიბჭესთან, – განაგრძო მზვერავმა, – დაბანაკებულია პოლინიკე თავისი ლაშქრით. როგორი უშვერი, უწმაწური სიტყვებით იხსენიებს იგი თავის სამშობლო ქალაქს! ამაყი სარდალი მოწადინებულია ავიდეს ქალაქის სიმაგრეების თავზე და თავისი თავი თებეს კანონიერ მეფედ გამოაცხადოს! თავხედი სარდალი ლამობს პირისპირ შეგხვდეს, გამოცადოს თავისი ძალ–ღონე, სიცოცხლეს გამოგასალმოს, ანდა შენთან ერთად სამუდამოდ სიცოცხლეს გამოესალმოს. თუ ცოცხალი გადარჩებით, სამაგიერო გადაგიხადოს და სამარცხვინოდ გაგაძევოს სახელმწიფოს საზღვრებიდან.

პოლინიკე გულმხურვალედ თხოვს ყოვლისშემძლე ღმერთებს შეისმინონ ვედრება და სამართლიანი მსჯავრი დასდონ.

პოლინიკეს ფარზე გამოხატულია ქალრმერთი დიკე, რომელსაც მიყავს შეიარაღებული ჯარისკაცი. ჯარისკაცის ქვემოთ წარწერაა: „მე დავაბრუნებ ამ ჯარისკაცს სამშობლოში. იგი დაეუფლება სამშობლო სახლსა და სამშობლო ქალაქს“.

მეფე ეტეოკლემ, როგორც კი მოისმინა მზვერავის მიერ მოტანილი ამბავი პოლინიკეს სულისკვეთების შესახებ, საბოლოოდ გადაწყვიტა, მოლალატე ძმას ბრძოლის ველზე პირადად თვითონ შებრძოლებოდა და სამაგიერო გადაეხადა.

„დეე! – მრისხანედ წამოიძახა მეფე ეტეოკლემ: – დროა აღსრულდეს ჩემს თავზე მამაჩემის, მეფე ოიდიპოსის, კრულვა–შეჩვენება! დაუყოვნებლივ მომიტანეთ ჩემი საიმედო მშვილდ–ისარი და მომგვარეთ ფეხმალი ცხენებით შებმული ჩემი სამხედრო ეტლი! დეე, ღვიძლი ძმა შეებრძოლოს ღვიძლ ძმას, ისე, როგორც მოსისხლე მტერი მოსისხლე მტერს! თუ კი ყოვლისშემძლე ღმერთები იწებებენ, დეე მეფე ლაოსის მთელი გვარეულობა ჩავიდეს საიქიოს სამეფოში თავის წინაპართა ცოდვების მოსანანიებლად!

თვალწინ უკვე მიდგას შურისმაძიებელი ბოროტი ქალღმერთი ერინი, რომელიც გარკვევით ყურებში ჩამძახის: „მართალია გამარჯვებით კი დასტკბები, მაგრამ შემდეგ სიცოცხლეს მაინც გამოესალმები“.

ყოვლისშემძლე ღმერთებმა დიდი ხანია, რაც დამივიწყეს და ვგონებ სრულიადაც არ ვაგონდები! ვფიქრობ, ბრძოლის ველზე ჩემი სიკვდილი ოლიმპოს მბრძანებელს სასურველ მსხვერპლად შეეწირება.

„ბედისწერას დიდი ხანია ჩემთვის დაწესებული აქვს სიკვდილი და ჩემის მხრით დიდი სულმოკლეობა იქნებოდა პატიებისათვის ცისაკენ ხელები აღმეპყრო!“

ამ სიტყვების შემდეგ მეფე ეტეოკლე, მძიმედ შეიარაღებული, ჩაჯდა საბრძოლო ეტლში და თავისი ძლევამოსილი ლაშქრით სასწრაფოდ გაემართა მეშვიდე კარიბჭესაკენ იმ სრულის რწმენით, რომ თავხედ, მოღალატე ძმას სიცოცხლეს მოუსპობდა და, თუ ყოვლისშემძლე ღმერთები მოისურვებდნენ, თვითონაც თავის თავს მსხვერპლად შეწირავდა ქალაქის კეთილდღეობისათვის.

თებელი დედები და ცოლები, როგორც კი საყვარელი მეფე ეტეოკლე ძლევამოსილი ლაშქრით კარიბჭესაკენ მიმავალი დაინახეს, ტირილითა და ვაებით თმებს იშლიდნენ და პირისახეს იკაწრავდნენ.

სბრალო ქალების გულამოსკვნითი ქვითინი და ვაება მთელ ქალაქს, კიდიითი კიდემდე, აყრუებდა და ყველას ცხარე ცრემლებს გვრიდა.

„ვაგლახ ჩვენ! – გულამოსკვნით მოსთქვამდნენ საბრალო ქალები, – ჭეშმარიტად რაღაც საშინელება უნდა დატრიალდეს ჩვენ თავზე! ვხედავთ, როგორ თანდათან გვიახლოვდება ყველგან ყველაფრის გამანადგურებელი შურისმაძიებელი ქალღმერთი ერინი! შიშის ზარს გვგვრის მისი მოახლოება, ვცახცახებთ მისი შიშით, როცა ამ ბოროტი ქალღმერთის ბოროტი ხმა გარკვევით ყურში გვეწვეთება!

დიახ, მოისწრაფვის ეს საზარელი ქალღმერთი, რომ თავისი სისხლიანი საქმე სისრულეში მოიყვანოს, ღვიძლი ძმები, თუმცა ამჟამად ერთმანეთის მოწინააღმდეგენი, დაღუპოს, სიცოცხლეს გამოასალმოს და ჩვენი საყვარელი დედაქალაქი, ჩვენი სამშობლო თებე დაანგრიოს და მიწასთან გაასწოროს!“

დიახ, თავის დასალუპავად მიისწრაფვიან ბრძოლის ველზე ოიდიპოსის უკვე დავაჟკაცებული შვილები!

ამ საბედისწერო ბრძოლას ოიდიპოსის მემკვიდრეების მახვილი ჯავარდენი გადაწყვეტს!

მამაპაპისეულ სამკვიდრებელს პოლინიკესა და ეტეოკლეს შორის იგივე ჯავარდენი გაანაწილებს და თითოეულს მიუზომავს მტკაველ მიწას სამარის გასათხრელად და დასასაფლავებლად.

აი, როცა ღვიძლი ძმები ერთმანეთს პირისპირ შეებრძოლებიან, როცა ღვიძლი ძმა ღვიძლი ძმის სისხლს დაღვრის, როცა ღვიძლი ძმების უსულო გვამები შავი სისხლით შეიღებება, ვინღა განბანს საცოდავებს? ჭეშმარიტად, საბრალო და საცოდავი გვარეულობისაგან მომდინარეობენ ეს ჯერ კიდევ გაუხარებელი, ჯერ კიდევ ცხოვრების სიტკბოებას მოუსწრებელი ახალგაზრდები!

ამ ჭაბუკთა გვარეულობის წარსულ უბედურებას განა ეს ახალი უბედურება თან უნდა დართოდა?!

მეფე ეტეოკლესა და პოლინიკეს წინაპრებმა დიდი ხანია, რაც ღირსეული სასჯელი მიიღეს იმ დანაშაულისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს.

მაგრამ რა შუაშია მეფე ლაოსის შვილიშვილები!

მართალია, მეფე ოიდიპოსმა თავის ორივე ღვიძლ შვილს, ეტეოკლეს და პოლინიკეს, წყევლა-კრულვა მოუვლინა, მაგრამ საბრალო მეფემ ეს ხომ მეტად აღელვებისა და გაჯავრების დროს ჩაიდინა!

განა სიფიცხისა და სიბრაზის დროს წარმოთქმულ წყევლა-კრულვას ანგარიში უნდა გაეწიოს?!..

მაგრამ, ჩანს ასეთი ყოფილა საბრალო ძმების მწარე ბედი!

ღვიძლი ძმების ორთა ბრძოლა

(ესქილე – „შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ“.
ვერიპიდე – „ფინიკიელი ქალები“)

ორი მოწინააღმდეგე მხედრობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთმანეთს ქალაქის მიუვალ კედლების მახლობელ მიდამოებში.

თებელთა მხედრობის ჯარისკაცები იშვიათ გმირობას იჩენდნენ ბრძოლის ველზე. არგოსელთა ჯარისკაცებიც არანაკლები სიმამაცით იბრძოდნენ და მტერს შიშის ზარს სცემდნენ.

არგოსელთა სარდლობის მიერ გამხნეებულ მხედრობას იერიში იერიშზე მიჰქონდა და მტერს ქალაქის კედლებისაკენ ავიწროებდა.

მეფე ეტეოკლეს განკარგულებით, რადგან ქალაქის კედლების გარშემო ბრძოლის სასურველად წარმოება ყოვლად შეუძლებელი გახდა, მხედრობის განსაზღვრული ნაწილი კედლების შიგნით გადავიდა საბრძოლველი ადგილების გასამაგრებლად.

არგოსელთა ჯარისკაცები გააფთრებული ლომებივით მიიწევდნენ ქალაქის კედლებისაკენ. მხედრობის დიდმა ნაწილმა უკვე იწყო კედლებზე ასვლა, რომ აქედან გაეჩაღებიათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თებელების მხედრობის წინააღმდეგ.

მძვინვარებდა საშინელი სისხლისმღვრელი ბრძოლა. ორივე მხარე თავდავიწყებით იბრძოდა და მოწინააღმდეგეთა რიგებს დაუნდობლად ანადგურებდა.

დაჭრილთა და დასახიჩრებულთა გმინვა და ვაება მთელ არემარეს აყრუებდა. მოკლული მეომრების გვამები ორივე მხარეს სისხლის გუბებში ცურავდა. ბრძოლის ველი რაღაც საშინელებას წარმოადგენდა.

მიუხედავად ასეთი საშინელებისა, მეომრები სრულიად უშიშრად, იშვიათის გამბედაობითა და მამაცობით ერთმანეთს თავდავიწყებით ეკვეთებოდნენ და ერთი მტკაველი მიწისათვის სიცოცხლეს წირავდნენ.

ქალაქის კარიბჭესთან, სადაც ღვიძლი ძმები, პოლინიკე და ეტეოკლე, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ, გაჩაღდა საშინელი ბრძოლა,

რომლის შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო. ვინ ვის ძლევდა, ამის გამოცნობა ომში დახელოვნებულ მეომრებსაც კი არ შეეძლოთ.

მოსისხლე მოწინააღმდეგეები თანასწორი წარმატებით იბრძოდნენ და გამარჯვების მაჩვენებელი სასწორის თვალი არც ერთ მხარეზე არ იხრებოდა. მაშინ მეფე ეტეოკლემ მაღალი კოშკის კარიბჭედან ასეთი წინადადებით მიმართა ორივე მოწინააღმდეგე მხედრობის ჯარისკაცებსა და სარდლებს: „თქვენ, ელადის ძლევამოსილო ჯარისკაცებო და სარდლებო, თქვენ, თებელო ჯარისკაცებო და სარდლებო, მოისმინეთ ჩემი წინადადება! კმარა ამდენი სისხლისღვრა! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თებეს გარშემო მთელი არემარე სისხლის მორევში ცურავს! მოკლულთა, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რისხვის აღნუსხვა მოკვდავის შესაძლებლობას აღემატება.

ვინ იცის, მოკლულთა და დაჭრილ-დასახიჩრებულთა დედები, ცოლები და უმწეოდ დარჩენილი ბავშვები რა საშინელ მდგომარეობას განიცდიან იმ წუთს, როცა ჯერ კიდევ ჩვენს შორის ატეხილ საბედისწერო ომს ბოლოც კი არ უჩანს!

გთხოვთ ეს ჩემი ნათქვამი გაითვალისწინოთ, მოიგონოთ თქვენი დედები, ცოლები და შვილები, რომლებიც ამჟამად უნუგეშოდ ქვითინებენ და თავისი გულსაკლავი ტირილითა და ვაებით მთელ არემარეს აყრუებენ, და მიიღეთ ჩემი გულწრფელი წინადადება, რომელიც, ერთ წუთსაც არ ვეჭვობ, ბოლოს მოუღებს ჩვენ შორის ატეხილ საბედისწერო ომს.

წინადადებას ვიძლევი ჩემი ღვიძლი ძმა, პოლინიკე, რომელიც ამჟამად დირკვას კარიბჭესთან ჩემ წინააღმდეგ იბრძვის და იერიში იერიშზე მოაქვს თებელ მხედრობაზე, ორთა ბრძოლაში გამომყვეს.

თუ ჩემ ძმას ამ ორთა ბრძოლაში ვძლევ და სიცოცხლეს გამოვასალმებ, თებეს სახელმწიფოს მთელი ხელისუფლება უბრძოლველად მე მომანიჭეთ.

ხოლო თუ ჩემი ძმა პოლინიკე მძლევს და სიცოცხლეს მომისპობს, დეე უბრძოლველად აიღოს ხელში მთელი ძალაუფლება თავის სამშობლო ქალაქში“.

ორივე მოწინააღმდეგე მხარემ მოიწონა მეფე ეტეოკლეს წინადადება და დაუყოვნებლივ დროებითი ზავი შეკრეს.

მთავარსარდლებმა ფიცი დადეს ღმერთების წინაშე, რომ მტკიცედ დაიცავდნენ დროებითი ზავის პირობებს.

ქურუმებმა მსხვერპლი შეიწირეს ყოვლისშემძლე ღმერთებს და ორივე მხედრობის ფალავნები ყოვლადმოწყალე ღმერთებს შეავედრეს.

მოწინააღმდეგე მხედრობის წინაშე წარსდგნენ ორთა ბრძოლის დანიშნულ ადგილას პოლინიკე და ეტეოკლე, რომლებიც მოუთმენლად მოელოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებრძოლებას.

პოლინიკემ ადაპყრო ხელები ცისაკენ და არგოსელების მფარველ ქალღმერთს ჰერას მხურვალედ შეევედრა მისთვის გამარჯვება მიენიჭებინა.

მეფე ეტეოკლემაც მიმართა თებეს დამცველ ქალღმერთს ათენა-პალადას და დიდის თხოვნით შეევედრა დახმარება აღმოეჩინა, რათა ბასრი ისრით სასიკვდილოდ განეგმირა თავისი ღვიძლი ძმა პოლინიკე, რომელიც მამაპაპეულის მიერ დატოვებულ მიწა-წყალს განადგურებით ემუქრება და საცაა არგოსელების ძლევამოსილი მხედრობის დახმარებით დედაქალაქში შემოიჭრება სამშობლო მხარეს დასაქცევად და გასანადგურებლად.

დაიწყო ღვიძლი ძმების საშინელი ორთა ბრძოლა.

პოლინიკე და ეტეოკლე გააფთრებული ლომებივით ისრებით მედგრად ეკვეთნენ ერთმანეთს. თითოეული მებრძოლი ფარს იშველიებდა, რომ ბასრი ისარი აეცილებინა.

არგოსელებისა და თებელების მხედრობა გულის ცახცახით შეჰყურებდა მებრძოლთა მარჯვედ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს და დიდის მოუთმენლობით მოელოდა ორთა ბრძოლის დამთავრებას.

მაგრამ, როცა ეს შებრძოლება უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა, უეცრივ ეტეოკლემ შემთხვევით ქვას ფეხი წამოჰკრა, ფალავანი შეტორტმანდა და მცირედი ხნით სხეული ფარჩამოუფარებელი დარჩა.

პოლინიკემ ისარგებლა ამ შემთხვევით, ელვის სისწრაფით მიიჭრა ძმასთან და ბარძაყი ბასრი ისრით განუგმირა.

არგოსელთა მხედრობის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველგან რაზმელთა შორის, კიდით კიდემდე, სასიხარულო ყიჟინი გაისმა, ყველანი აღტაცებით გამარჯვებას ულოცავდნენ პოლინიკეს.

მაგრამ იმავე წუთს დაჭრილმა ეტეოკლემ, როგორც თვალი მოჰკრა, რომ პოლინიკეს მხარ-ბეჭზე ფარი ჩამოეშორებინა, მძლავრად სტყორცნა ისარი.

მართალია, ეტეოკლეს მიერ ნატყორცნმა ისრმა პოლინიკე მხარ-ბეჭში ვერ დასჭრა, სამაგიეროდ მშვილდისარი მთლიანად დაუმსხვრია.

უისროდ დარჩენილი პოლინიკე იძულებული შეიქნა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადაედგა, მაგრამ იმავე წუთს ფეხი წინ წასდგა, ხელში მძიმე ქვის ლოდი მოიმარჯვა და ისეთი ძლიერებით სტყორცნა ეტეოკლეს ეს უზარმაზარი ლოდი, რომ ძმის შორსმტყორცნელი ისარი ერთიანად დაამსხვრია.

უისრებოდ დარჩენილი მებრძოლები ახლა ხმლებს სწვდნენ და ფარი ფარს მიყრდნობილნი ერთმანეთს მედგრად შეებრძოლნენ.

გაიმართა ცხარე ბრძოლა. ვინ ვის ძლევდა, ძნელი გამოსაცნობი იყო. ხოლო ერთი რამ კი უდავო იყო, ორი თავდადებული მებრძოლი თავდავიწყებით, იშვიათის მხნეობით ერთმანეთს უმკლავდებოდა და გამარჯვების იმედს არც ერთი არ ჰკარგავდა.

ეტეოკლე პოლინიკეს მიერ თითოეულ მარჯვედ მოქნეულ ხმალს, ფარჩამოფარებული, იშვიათის სიმკვირცხლით და მხნეობით იგერიებდა და მოწინააღმდეგეს საშუალებას არ აძლევდა გამარჯვება მოეპოვებინა.

ბოლოს, როცა ბრძოლამ უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია, ეტეოკლემ შემდეგ ხერხს მიმართა: მეფემ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, თითქოს დამარცხებას განიცდისო, მაგრამ იმავე წუთს, სრულიად მოულოდნელად, ეკვეთა ძმას და ისე მძლავრად ჩაჰკრა ხმალი მუცლის არეში, რომ ბასრი მახვილი ხერხემლამდე მისწვდა.

მუცლის არედან ამოხეთქილი სისხლი მთელ მახლობელ არემარეს წითლად ღებავდა. ფერმიხდილი საბრალო პოლინიკე წელში ერთბაშად მოიკაკვა და გონება მიხდილი მიწაზე დაეშვა.

მეფე ეტეოკლე უკვე გამარჯვებას დღესასწაულობდა. თებელ მხედრობის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჯარისკაცები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ.

ამ გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ეტეოკლემ ხმალი განზე გადაისროლა და სასწრაფოდ მიიჭრა ძმასთან, რომ საბრძოლო საჭურველი შემოეხსნა.

მაგრამ დახეთ უბედურებას! პოლინიკეს, რომლის გულმკერდიდან სიკვდილის ხრიალი სუსტად მოისმოდა, ხელში ხმალი შერჩენოდა.

სულთმობრძავმა პოლინიკემ, როგორც კი თვალი მოჰკრა ეტეოკლეს უიარალოდ, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ბასრი ხმლით სასიკვდილოდ გულ-მკერდი გაუპო თავის მოძულე ძმას.

მეფე ეტეოკლე იქვე პოლინიკეს გვერდით უგონოდ მიწაზე ჩაიკეცა. ორმა ძმამ თითქმის ერთსა და იმავე წუთს დახუჭეს თვალები და სამუდამოდ სიცოცხლეს გამოესალმნენ.

არგოსელების მხედრობის დამარცხება

(ესქილე – „შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ“.
ვერიპიდე – „ფინიკიელი ქალები“)

არგოსელების ძლევამოსილმა მხედობამ, როგორც კი პოლინიკემ და ეტეოკლემ ერთმანეთი სასიკვდილოდ განგმირეს ბრძოლის ველზე, დაუყოვნებლივ სამკვედრო-სასიცოცხლო ომი განაახლა.

არგოსელების ჯარისკაცებმა იერიში მიიტანეს თებეს სიმაგრეებზე და იშვიათი მხნეობითა და მამცობით თავს ესხმოდნენ თებელთა მხედრობის რაზმებს და სულ ერთიანად ანადგურებდნენ.

თებეს სახელმწიფოს სათავეში, მეფე ეტეოკლეს სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ, მოექცა მეფე ოიდიპოსის ცოლისძმა კრეონტი, რომელმაც მთელი ძალაუფლება დაუყოვნებლივ ხელში აიღო.

მძიმე და აუტანელ მდგომარეობას განიცდიდა იმჟამად მტრის ძლევამოსილი მხედრობით გარშემორტყმული თებეს სახელმწიფო.

მართალია, თებელთა მხედრობის ჯარისკაცები იშვიათის მამაცობით და თავგანწირვით იგერიებდნენ ყოველისმხრით შემოსეულ მტრის ჯარებს, მაგრამ სახელმწიფოს დედაქალაქის მდგომარეობა მაინც დიდ განსაცდელში იყო, ის მუდამ წუთს მტრის შემოჭრას მოელოდა.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა კრეონტმა რჩევისათვის მიმართა მოხუც მისანს ტირეზიას.

ხალხის სრული ნდობით აღჭურვილმა მოხუცმა გულთამხილავმა ტირეზიამ დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ კრეონტს ასე მოახსენა: „დიდებულო მეფეო! სწორედ იმ ადგილას, სადაც თქვენმა წინაპარმა კადმოსმა ოდესღაც მოჰკლა ომიანობის ღმერთის სახელობის გველეშაპი, მსხვერპლად უნდა შეწიროთ თქვენი საკუთარი შვილი მენეკევსი. მხოლოდ და მხოლოდ ამ მსხვერპლის შეწირვა დაამშვიდებს გაჯავრებულ არესს, რომელიც გველეშაპის მოკვლის დღიდანვე სდევნის თებელ ხალხს, ავიწროებს და მუდამ ჟამს განადგურებით ემუქრება.

განრისხებული ღმერთი დაჟინებით მოითხოვს სპარტების შთამომავლის მსხვერპლად შეწირვას. თქვენ, დიდებულო მეფეო, და თქვენი შვილები, დედის მხრით და მამის მხრიდანაც, სპარტების ერთადერთი პირდაპირი შთამომავალნი ხართ! როცა მენეკევსს სამსხვერპლოზე თავს მოჰკვეთენ, მაშინ განრისხებული ღმერთი გულს მოიბრუნებს და დახმარებას აღმოუჩენს მტრით გარშემორტყმულ ჩვენ სამშობლო ქალაქს და მოსალოდნელი დანგრევისა და განადგურებისაგან დაიხსნის“.

ასე დაამთავრა მოხუცმა ტირეზიამ თავისი წინასწარმეტყველება თებეს მომავალი ხვედრის შესახებ.

მოხუცი ტირეზიას წინასწარმეტყველებამ მეფე კრეონტს თავზარი დასცა. მამის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა.

დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ თავზარდაცემულმა მეფემ ასე მიმართა იქვე მყოფ შვილს მენეკევს: „ჩემი სამშობლო ქალაქის საკეთილდღეოდ პირადად მე დიდის სიამოვნებით შევწირავდი ჩემ სიცოცხლეს! მაგრამ შვილი როგორ გავიმეტო? განა დასაშვები და შესაწყნარებელია მშობელმა მამამ თავისი საყვარელი ღვიძლი შვილი სამსხვერპლოდ გაიმეტოს და სიცოცხლე მოუსპოს! ჩემო საყვარელო შვილო! სანამ ჯერ კიდევ დროა და თებულებს არ შეუტყვიათ მოხუცი ტირეზიას წინასწარმეტყველება, დაუყოვნებლივ დატოვე შენი სამშობლო ქალაქი და სადმე ღმერთების საკურთხეველს შეაფარე თავი და ამრიგად უდროოდ სიცოცხლეს ნუ გამოესალმები!“.

კრეონტის ვაჟი მენეკევსი მოკრძალებით ყურს უგდებდა მოხუცი ტირეზიას წინასწარმეტყველებას და თავი ისე ეჭირა, თითქოს მამის ბრძანებას კიდევაც ემორჩილებო.

მენეკევსმა, როგორც კი მამის უკანასკნელი აზრი და ბრძანება მოისმინა, ენაშემოუბრუნებლივ დატოვა სასახლე თითქოს იმიტომ, რომ მამის ბრძანება შეესრულებინა.

ნამდვილად კი მეფის ახალგაზრდა ვაჟიშვილს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა სამშობლო ქალაქისათვის თავისი თავი, თავისი საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შეეწირა და ამრიგად მთელი სახელმწიფო მოსალოდნელ უბედურებისაგან დაეხსნა.

ყველგან და მარადის გაბედული და მხნე ჭაბუკი მენეკევსი ასე მსჯელობდა: „სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი დედაქალაქი, ჩვენი საყვარელი სახელმწიფო მტრის უამრავი ლაშქრითაა გარემოცული, როცა ჩვენი მხედრობა ასე რიგად საჭიროებს თითოეული ჯარისკაცის შველასა და დახმარებას, ნუთუ დასაშვები და შესაწყნარებელია, მე, ვითარცა მხდალმა, მოღალატემ ჩვენ ქალაქს ქურდულად თავი დავაღწიო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი სიცოცხლე შევიწინარჩუნო! დღეს, როცა ჩვენი წინაპრების ნაამაგარ და სისხლით მორწყულ სამშობლო მხარეს მტერი გასანადგურებლად, გასაპარტახებლად კარს მოდგომია, ნუთუ თითოეული პატიოსანი თებელი მოქალაქე ვალდებული არ არის თავისი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას შესწიროს! ნუთუ სამარცხვინოდ უნდა გავწირო ჩემი სამშობლო ქალაქი, ჩემი მშობლები და ჩემი საყვარელი დები და ძმები! განა ვინ შეიწყნარებს, ვინ მაპატიებს ასეთ სამარცხვინო საქციელს! მე რომ მართლაც ჩემს საყვარელ სამშობლოს ვუღალატო, ეს ხომ სამუდამოდ წარუშლელ ლაქად დაედება მთელ ჩემ სიცოცხლეს!“

არა, მე არ შევასრულებ და არც უნდა შევასრულო მამაჩემის ბრძანება! მე რომ ისე მოვიქცე, როგორც მშობელი მამა მირჩევს და მარიგებს, ჩემი საყვარელი სამშობლო, ეჭვს გარეშეა, დაიღუპება!

მთელი ჩემი არსებით, მთელი ჩემის აზრითა და გონებით ჩემ საყვარელ სამშობლოს ვეკუთვნი და კიდევაც ამიტომ ვალდებული ვარ, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, ჩემი საკუთარი სიცოცხლეც კი შევწირო ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ბედნიერებასა და კეთილდღეობას!“.

ამ სიტყვებთან ერთად მენეკევსი სასწრაფოდ გაემართა კადმოსის მიერ აგებულ სიმაგრეებისაკენ, მივიდა წყვდიადით მოცულ იმ უფსკრულის პირას, სადაც ოდესღაც გველეშაპი ბუნაგობდა.

მხნე და გაბედულმა ჭაბუკმა ბასრი ხმლით განიგმირა გულ-მკერდი და გონებაშიხდილი თავქვე გადაეშვა უფსკრულის თვალუწვდენელ სიღრმეში.

მთელ ქალაქს, კიდით კიდემდე მოედო ის ხმა, რომ მეფე კრეონტის ვაჟმა მენეკევსმა სამშობლოს განსაცდელისაგან დასახსნელად, განრისხებულ ღმერთს არესს თავისი საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შეწირა.

ქალაქის მთელმა მოსახლეობამ და თებელმა მხედრობამ გაორკეცებული ძალ-ღონით იერიში მიიტანეს მოწოლილ მტერზე.

ძლევამოსილ კაპანევსს ქალაქის კედელზე გრძელი კიბე მიედგა და საცაა კედელზე უნდა ასულიყო, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა.

„თვით ჭექა-ქუხილის მფარველი ყოვლისშემძლე ღმერთი ზევსიც კი ვერ დამაკავებს!“ – ამყად გაიძახოდა ზვიადი და ქედმაღალი კაპანევისი და ჯოჯოხეთის დატრიალებას აპირებდა თებეს მეომართა რიგებში.

სწორედ იმ დროს, როცა ქედმაღალი კაპანევისი უკვე კიდევაც ავიდა თებეს მიუვალ კედელზე, ყოვლისშემძლე ზევსმა ამყსა და ღმერთების ურჩ სარდალს ელვა-ქუხილი მოუვლინა.

მეხის საზარელმა გრიალმა მთელი დედამიწა შესძრა. კაპანევისის უსულო გვამმა კედლის გარშემორტყმულ მხედრობის წინაშე მთელი თავისი სიმძიმით ზღართანი მოიღო.

არგოსელების მხედრობის რიგებში გმირი კაპანევისის მოულოდნელმა სიკვდილმა დიდი არევ-დარევა შეიტანა. შიშით ზარდაცემული არგოსელების მხედრობა სამარცხვინოდ უკუიქცა.

თებელთა მხედრობამ ახლა კი გააღო ქალაქის კარიბჭე და ზოგი ფეხდაფეხ, ზოგი კი ეტლებითა და ცხენებით დაედევნა უკუქცეულ არგოსელთა მხედრობას.

სასიკვდილოდ დასჭრეს ძლევამოსილი ტიდევსი და მხედრობის სხვა წარჩინებული სარდლებიც.

ძლევამოსილი პერიკლიმენი კვალდაკვალ მისდევდა უკეთილშობილეს სარდალს ამფიარაეს და ის იყო ბასრი ხმლით უნდა გაეგმირა ეს ყოვლად კეთილშობილი გმირი მდინარე ისმენის ნაპირას, რომ უეცრივ მიწა ორად გაიპო და ღმერთების მოშიში წინასწარმეტყველი ამფიარაე თავისი საბრძოლველი ეტლითა და მეეტლეთი მიწის თვალუწვდენელ ნაპრალში გადაეშვა.

ამ საბედისწერო ომში სიკვდილს თავი დააღწია მხოლოდ და მხოლოდ მეფე ადრასტემ, რომელმაც სრულიად შემთხვევით მოახერხა თავისი ფეხმალი შავფაფრიანი ცხენით ატიკაში დაბრუნება.

სწორედ იმ ადგილას, სადაც უკეთილშობილესი გმირი ამფიარაე მიწამ შთანთქა, შემდგომში ააგეს დიდებული ტაძარი, აქ მისნები ამფიარაეს შთაგონებით წინასწარმეტყველებდნენ და ხალხს საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევდნენ.

ათენელების გალაშქრება თებეს წინააღმდეგ

(ევრიპიდე – „მავედრებელი ქალები“)

მეფე ადრასტეს მხედრობის დამარცხებამ არგოსში გამოუთქმელი მწუხარება გამოიწვია.

მთელ სახელმწიფოში, კიდით კიდემდე, ყველგან გლოვისა და მოთქმის ზარი გაისმოდა.

დახოცილ ჯარისკაცებისა და სარდლების მოხუცი დედები, ცოლები და ობლად დარჩენილი ბავშვები მწარედ ქვითინებდნენ და მათ გამოუთქმელ მწუხარებას დასასრული არ უჩნდა.

მეფე ადრასტეს და არგოსელთა მთელ მოსახლეობას განსაკუთრებით ის აწუხებდა, რომ დახოცილთა გვამები დაუსაფლავებელი უპატრონოდ ეყარნენ შვიდკარიბჭიან თებეს მიდამოებში.

ელინთა ხალხის წარმოდგენით, სანამ მიცვალებულს შემოღებული წესის მიხედვით არ დაასაფლავებდნენ, ასეთი მიცვალებულის სული ამქვეყნად დაუსრულებლად იტანჯებოდა და მოსვენებას ვერ ჰპოულობდა.

ამიტომ მეფე ადრასტემ და დახოცილ მეომართა დედებმა და ცოლებმა მიმართეს თებელებს მიცვალებულთა გვამები დაებრუნებიათ, რათა ელინთა ხალხის მიერ შემოღებული წესების მიხედვით დაუსაფლავებიათ უპატრონოდ ველზე დაყრილი საყვარელ არსებათა გვამები.

ამაყმა თებელებმა უხეშად უარყვეს არგოსელთა სრულიად კანონიერი თხოვნა.

თებელები ასე ასაბუთებდნენ თავის უარს: „ჩვენ ვერ დავუბრუნებთ ბრძოლის ველზე დახოცილთა გვამებს მტრებს, რომლებიც შვიდკარიბჭიან თებეს დანგრევითა და განადგურებით ემუქრებოდნენ. დეე, ჩვენი მოსისხლე მტრების გვამები დაუსაფლავებელი დარჩეს მტაცებელი ფრინველების საძიძვნად და ქოფაკი ძაღლების სათრევად!“

მეფე ადრასტე, ბრძოლის ველზე დახოცილთა დედები და ცოლები ყოვლად დაუშვებლად თვლიდნენ თებელების მიერ უარის თქმას მიცვალებულთა გვამების დაბრუნების შესახებ.

ელინთა ხალხის რწმენით, მიცვალებულის დაუსაფლავება, ვინც უნდა იყოს იგი – მტერი თუ მეგობარი, ყოვლისშემძლე ღმერთების მიერ დადგენილ კანონს ეწინააღმდეგება.

ამიტომ მეფე ადრასტე მოხუცი დედებისა და დაქვრივებული ცოლების თანხლებით გაემგზავრა ატიკაში, რათა მეფე თეზევს შევედრებოდნენ დახმარება აღმოეჩინა მიცვალებულთა გვამების დაბრუნების საკითხის მოსაგვარებლად.

მეფე ადრასტე და მისი მხლებელი ქალები მივიდნენ ელევსინში, საცა დემეტრე ქალღმერთის მშვენიერი ტაძარი იყო აგებული.

სწორედ იმ დროს, როცა მეფე ადრასტე და მისი მხლებელი ქალები ტაძარში შემავალ კარების კიბეზე იჯდნენ და ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ, ტაძარში შედიოდა ათენის მეფის თეზევსის დედა აითრა მსხვერპლის შესაწირავად.

ყველგან და ყოველთვის გულკეთილმა აითრამ, როგორც კი გაიგო უცხოელების მოსვლის მიზეზი, დაუყოვნებლივ შიკრიკი აფრინა ათენში და თავისი საყვარელი შვილი თეზევსი ელევსინში დაიბარა.

მეფე თეზევსი დაუყოვნებლივ ეახლა საყვარელ დედას ელევსინში.

დედის უსაზღვროდ მოსიყვარულე შვილი თეზევსი გულმტკიცნეულად შეეკითხა საყვარელ აითრას: „რა ამბავია, ჩემო საყვარელო დედავ? ცუდი რამ ხომ არ გადაგხდენია? ვინ არიან ეს უცხოელები, რომლებიც ძამებში გამოხვეულნი ასე საცოდავად, გულამოსკვნით ტირიან, ქვითინებენ? რა გაჭირვებიათ ისეთი, რომ უცხოეთში გადმოხვეწილან და დაუსრულებლად იტანჯებიან, სასოწარკვეთილებით ცხარე ცრემლებს აფრქვევენ?“

„აი შვილო! – თვალცრემლიანმა აითრამ მოახსენა თავის შვილს: – ეს მოხუცი ქალები დედებია იმ მეომრებისა, რომლებიც შვიდკარიბჭიან თებეს მიდამოებში ბრძოლის ველზე სამუდამოდ სიცოცხლეს გამოესალმნენ. აი თვით წინამძღოლი იმ დახოცილთა გმირებისა, არგოსის მოხუცი მეფე ადრასტე, რომელიც, უეჭველია, ყველაფერს დაწვრილებით გაიმბობს და ჩვენთან მოსვლის მიზეზსაც დაუფარავად მოგახსენებს!“

მეფე ადრასტე წარსდგა ათენის მეფე თეზევსის წინაშე და ცრემლების ფრქვევით შემდეგი მოახსენა: „ძღვევამოსილო დიდებულო მეფეო! შენ უეჭველია მოგეხსენება, როგორ სამწუხაროდ და საუბედუროდ დამთავრდა ის საბედისწერო ომი, რომელსაც ჩემის მეთაურობით აწარმოებდა ოდესღაც ძღვევამოსილი არგოსელთა მხედრობა შვიდკარიბჭიან თებეს მიდამოებში. მთელი ჩემი მხედრობა, ჩემი ყველა წარჩინებული სარდალი თებელებმა ბრძოლის ველზე სასტიკად დაამარცხეს.

არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი სარდალი ბრძოლის ველიდან სამშობლოში არ დაბრუნებულა.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენთვის თავდადებულთა მეომრების გვამები დღესაც დაუსაფლავებელი ჰყრია თებეს კედლებთან ნადირისა და ქოფაკი ძაღლების სათრევად და საჯიჯგნად.

ამაყმა თებელებმა, რომლებსაც მივმართე თხოვნით დახოცილთა გვამები დაებრუნებინათ დასასაფლაველად, უკმეხად უარი მითხრეს ჩემს სრულიად კანონიერ თხოვნაზე.

აი, ყველგან და მარადის პატივცემულო დიდო მეფეო, ამჟამად მოგმართავ შენ, როგორც საწყალთა და უმწეოთა მფარველს, და გთხოვ დამეხმარო, თებელებმა დაგვიბრუნონ ჩვენი მეომრების გვამები, რათა ღირსეულად, როგორც წესია, დავასაფლაოთ ჩვენი თანამემამულენი და ამრიგად სამუდამოდ დავამშვიდოთ მათი ამჟამად შეწუხებული სულები!“

მეფე თეზევსი ყოყმანობდა ადრასტესათვის დახმარების აღმოჩენის იმედი მიეცა.

მაგრამ, როცა გულკეთილი და ყოვლად მოწყალე აითრა შვილს ცხარე ცრემლების ფრქვევით ველზე მოეხვია და დაჟინებით მოსთხოვა არგოსელებისათვის დახმარება აღმოეჩინა, მეფე თეზევსი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა არგოსელებს გამოსარჩლებოდა, თუ ათენის ხალხი მეფეს თანხმობას მისცემდა ასეთი დახმარების აღმოჩენისათვის.

თეზევსი და ადრასტე დაუყოვნებლივ ათენში გაემგზავრნენ ხალხის ნებართვის მისაღებად.

ათენელებმა, როგორც კი გაიგეს საქმის ნამდვილი ვითარება, დაუყოვნებლივ ნება დართეს თავის საყვარელ მეფეს არგოსელებისათვის საჭირო დახმარება აღმოეჩინა. უკეთუ თებელები არ შეიწყნარებდნენ არგოსელების თხოვნას, მეფე თეზევსს დაუყოვნებლივ ომი უნდა გამოეცხადებია თებელებისათვის.

თეზევსი და ადრასტე დაბრუნდნენ ელევსინში.

მშვიდობიანობის მოყვარულ თეზევსს განზრახვა ჰქონდა თებეში შუაკაცი გაეგზავნა, რათა სადაო საკითხი მშვიდობიანის გზით მოეგვარებინა.

სწორედ იმ დროს, როცა მეფე თეზევსი თებეში შუაკაცის გაგზავნას აპირებდა, ელევსინში მოვიდა განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი თებელთა სახელმწიფოს ელჩი, რომელმაც ათენის მეფეს შემდეგი განუცხადა: „მე და თებელთა სახელმწიფოს მთელი ხალხი გიკრძალავთ ათენელების დიდო მეფეო, თავშესაფარი

მისცე არგოსელებს ატიკაში! მართალია, შენ დახმარება აღუთქვი მეფე ადრასტეს, მაგრამ შენ ადვილად შეგიძლია ეს აღთქმა დაარღვიო და მეფე ადრასტე თავისი მხლებლებით შენის სახელმწიფოს საზღვრებიდან სამუდამოდ განდევნო.

ათენელებსა და არგოსელებს აბა რა საერთო უნდა ჰქონდეთ, რომ შენ დახმარების აღმოჩენას პირდები! თუ შენ ჩემს რჩევას მიიღებ, მეფეო, მშვიდობიანად შეგიძლია განაგრძო შენი მეფობა შენს საყვარელ სამშობლოში! თუ ამ ჩემ რჩევას არ მიიღებ, თებელების ძლევამოსილი მხედრობა იარაღით ხელში სასტიკად დაგსჯის და მთელ შენს სამხედრო ძლიერებას ბრძოლის ველზე ერთიანად გაანადგურებს!

გაფრთხილებ, ათენელებსა და თებელების შორის ატეხილ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს მძიმე შედეგები მოყვება და მთელ პასუხისმგებლობას ათენელთა კეთილშობილი ხალხი პირადად შენ დაგაკისრებს!“

მეფე თეზევსმა სრულიად აღუშფოთებლად განუცხადა თებელთა კადნიერ ელჩს: „უფლებამოსილო ელჩო, გადაეცი შენს მეფეს, რომ იგი ათენელების სახელმწიფოს მბრძანებელი არასოდეს არ ყოფილა და მომავალშიც წარმოუდგენელია რომ იყოს! მეფე კრეონტს არ შეუძლია ყველგან და მარადის კეთილშობილ ათენელებს თავს მოახვიოს თავისი ახირებული სურვილი!

მეფე კრეონტი არც ისე ძლევამოსილია, რომ ქალღმერთის ათენა-პალადას მფარველობის ქვეშ მყოფი ქალაქი ასე ადვილად დაიმორჩილოს! თქვენ ყოვლად დაუშვებელსა და მიუღებელს მოითხოვთ ჩემგან! ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენი დავა საბოლოოდ იარაღმა უნდა გადაწყვიტოს.

თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, მე ვესარჩლები არა მეფე ადრასტეს, არამედ ვიცავ ელინთა ხალხის საერთო ჩვეულებას, რომლის მიხედვით მოკლულთა და დახოცილთა დასაფლავების აკრძალვა, მტერიც რომ იყოს იგი, ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელია.

თებელებს სრულებითაც არ შეურაცხვეყოფ. ელინთა ხალხის საერთო სურვილია მიცვალებულებს დასაფლავების უფლება მიენიჭოს!

ჩემ თანამემამულეებს მხოლოდ ის შეურაცხვეყოფს, ვინც ყოვლისშემძლე ღმერთების დადგენილ ამ უაღრესად სამართლიან ჩვეულებას წინააღმდეგობა, ვინც ამ ჩვეულებას უხეშად დაარღვევს.

ელინთა კეთილშობილი ხალხი ვერ მოითმენს, რომ საუკუნეობით დაკანონებული ეს ჩვეულება ვინმემ უხეშად გათელოს!“

ძლევამოსილი თეზევსის ასეთი პასუხის შემდეგ ელჩმა დაუყოვნებლივ დატოვა ელევსინი და თებესაკენ გაემართა.

ათენელებსა და თებელთა შორის ომი უკვე აუცილებელი იყო.

ათენელების მეომრები საბრძოლველი წესით დაირაზმნენ და შვიდკარიბჭიან თებესაკენ გაემართნენ მეფე თეზევსის წინამძღოლობით.

მძიმედ შეიარაღებული თებელთა მხედრობა შვიდკარიბჭიან თებეს მიუვალ კედლებს გარს შემორტყმოდა და მტრის თავდასხმას მოუთმენლად მოელოდა.

მეფე თეზევსი ერთხელ კიდევ შეეცადა მშვიდობიანის გზით გადაეჭრა სადაო საკითხი, მაგრამ კეთილშობილი მეფის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

მეფე კრეონტმა თეზევსის წინადადება, რომ სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანის გზით გადაეჭრათ სადავო საკითხი, სრულიად უპასუხოდ დატოვა.

მეფე თეზევსის სამშვიდობო წინადადების უპასუხოდ დატოვება ომით პასუხის მიცემას მოითხოვდა.

ძლევამოსილი მეფის ბრძანებით ათენელების მამაცი ჯარისკაცები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ თებელთა მხედრობას.

გაჩაღდა საშინელი, დაუნდობელი ბრძოლა. ბრძოლის ველზე დიდი უბედურება ტრიალებდა.

მეფე თეზესი უზარმაზარი კომბლით ხელში გააფთრებული ლომივით მძვინვარებდა თებელთა რაზმებს შორის და ყველას და ყველაფერს შეუბრალებლად ანგრევდა, ანადგურებდა, მიწასთან ასწორებდა.

თებელთა მხედრობა შეშფოთდა, შეშინდა, მტრის მიერ მედგრად მოტანილ იერიშებს ვერ გაუძლო და ქალაქის კედლებს შეაფარა თავი.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, მაგრამ მტრის შეჩერებას, მტრის მამაცად წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებდა.

ყველგან ტირილი და ვაება გაისმოდა. დაჭრილთა და დახოცილთა სისხლის გუბეებით ირწყვოდა ქალაქის ქუჩები.

თებელთა ღონემიხდილი მხედრობა ძლეულ იქნა და მტერს დანებდა.

თუმცა კეთილშობილმა თეზესმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მაგრამ იგი ქალაქში არ შევიდა მთელი თავისი ძლევაძმოსილი მხედრობით.

ყოვლად კეთილშობილმა და პატიოსანმა თეზესმა შეუთვალა თებელებს: „მე მოვედი ქალაქის არა დასარბევად და გასანადგურებლად! მე მოვედი მხოლოდ იმიტომ, რომ აღვადგინო არგოსელების სრულიად კანონიერი მოთხოვნა! წინადადებას ვიძლევი, არგოსელებს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს თებეს გარშემო უპატრონოდ დატოვებული მეომრების გვამები, რათა მშობლებმა და ნათესავებმა ღირსეულად დაასაფლაონ თავისი ძვირფასი და საყვარელი ადამიანები!“

მეფე კრეონტი იძულებული იყო უკლებლივ შეესრულებინა მეფე თეზესის წინადადება.

ათენელების ძლევაძმოსილმა მხედრობამ გადაასვენა არგოსელების მეომრების გვამები ელევსინში, სადაც შესაფერისი პატივისცემით უნდა დაესაფლავებინათ.

არგოსელების მხედრობის შვიდი ლაშქრის ჯარისკაცების გვამები დასწვეს შვიდ გორაკზე გამართულ კოცონებზე.

სარდლების გვამები კი მეფე თეზესმა გადაასვენა ელევსინში იმ აზრით, რომ მეფე ადრასტესა და მოხუც დედებისა და დაქვრივებულ ცოლებისათვის დაებრუნებინა მათი ფერფლი.

არგოსელთა მხედრობის დახოცილთა სარდლების დასაწვავად გამართეს ორი კოცონი.

ერთ კოცონზე განცალკევებით დაწვეს სარდალ კაპანევსის გვამი, როგორც გვამი იმ გმირისა, რომელიც ყოვლისშემძლე ზევსის მიერ მოვლენილ მეხისაგან იყო მოკლული. ასეთი გვამები კი, ელინთა წარმოდგენით, სამღვთო გვამებად იყო მიჩნეული და საგანგებო პატივისცემას მოითხოვდა.

მეორე კოცონზე კი დაწვეს დანარჩენი გმირების გვამები.

სწორედ იმ დროს, როცა სარდალ კაპანევსის გვამი ცეცხლის ალში მთლიანად გაეხვია, კოცონს უეცრივ თავს წამოადგა კაპანევსის მეუღლე ევადნა.

მშვენიერ ტანსაცმელში გამოწყობილი საბრალო ევადნა ელვის სისწრაფით ავიდა იმ კლდის მწვერვალზე, რომელიც კაპანევსის კოცონს თავს დასცქეროდა, და კლდის თვალუწვდენელ სიმაღლიდან თავქვე გადმოეშვა იმ სრულის რწმენით, რომ თავის საყვარელ მეუღლესთან ერთად საიქიოს სამეფოში დაიმკვიდრებდა ქმართან განუყრელ ბინას.

კაპანევსისა და მისი მეუღლის ევადნას ფერფლი ათენელებმა ერთ საფლავეში დაკრძალეს ელევსინში.

იმ ადგილას, სადაც გმირი კაპანევის და მისი ერთგული მეუღლე ევანდა დაასაფლავეს, ათენელებმა აღმართეს დიდებული ძეგლი, რომელიც გამვლელ-გამომვლელს ამცნობდა ამ ორი ადამიანის იშვიათ სიყვარულსა და თავგანწირულებას.

დანარჩენი სარდლების ფერფლი ლარნაკებით წაასვენეს მოხუცმა დედებმა და ცოლებმა არგოსში.

დედებისა და ცოლ-შვილის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, მთელ არგოსს მწუხარების სუდარა გადაეფარა.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი გულამოსკვნით ტიროდნენ, ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ, განუწყვეტლივ ქვითინებდნენ და ქვითინებდნენ.

დაობლებულმა მცირეწლოვანმა შვილებმა ფიცი დადეს მამების ფერფლის წინაშე, რომ ისინი, როცა დავაჟკაცდებიან სამაგიეროს გადაუხდიან თებელებს.

ანტიგონე (სოფოკლე – „ანტიგონე“)

არგოსელების მხედრობის დამარცხების შემდეგ თებეში გამეფდა ოიდიპოსის ცოლისძმა კრეონტი. თებეს ახალი მბრძანებელი დაუყოვნებლივ შეუდგა დაზარალებულ სახელმწიფოს საქმეების მოგვარებას.

მეფე კრეონტმა, როგორც კი სახელმწიფო საქმეების სათავეში მოექცა, გამოსცა ორი მეტად საყურადღებო ბრძანება.

მეფის პირველი ბრძანება მოითხოვდა, რომ თებელებს შესაფერისი პატივისცემით დაესაფლავებინათ მეფე ეტეოკლე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე შეწირა სამშობლოს დაცვის საქმეს.

მეფე კრეონტის მეორე ბრძანება თებელებს სასტიკად უკრძალავდა სამშობლოს მოღალატე პოლინიკეს დასაფლავებას.

„ვინც ამ ჩემ ბრძანებას, – მუქარით ამბობდა მეფე კრეონტი, – წინაღუდგება და ზუსტად არ შეასრულებს, შეუბრალებლად სიკვდილით დაესჯი! დეე, ყველამ იცოდეს, რომ ამ ბრძანების უგულვებლყოფას არავის ვაპატიებ!“

სამშობლოს მოღალატე პოლინიკე ღირსია ჩემს მიერ დადგენილი სასჯელისა! სამშობლოს ღალატი უდიდესი დანაშაულია! პოლინიკემ სამშობლოს აშკარად უღალატა. ამ გარეწარ ადამიანს განზრახვა ჰქონდა თავისი სამშობლო ქალაქი მტრის ჯარების დახმარებით გაენადგურებინა და ხალხისათვის თავდადებული მებრძოლები სიცოცხლეს გამოესალმებია! ამიტომ პოლინიკე, როგორც სამშობლოს მოღალატე, ღირსი არ არის დასაფლავებისა.

ღიახ, ეს არის ჩემი შეურყეველი რწმენა და კიდევაც ამიტომ ყველასაგან მოვითხოვ, ჩემი ბრძანება განუხრელად შესრულებული იქნას. ვინც ამ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებს ან არ მოისურვებს შეასრულოს, ჩემ სასტიკ გულისწყრომას დაიმსახურებს და ყოველ მიზეზს გარეშე სიკვდილით დაისჯება!“

კრეონტის ასეთმა სასტიკმა მბრძანებამ ერთიანად აღაშფოთა ორთა ბრძოლაში დაღუპულ ეტეოკლესა და პოლინიკეს ღვიძლი და ანტიგონე.

საბრალო ანტიგონეს ყოვლად მიუღებლად მიაჩნდა, რომ ადამიანმა მიცვალებული, თუნდაც იგი მტერი იყოს, დაუსაფლავებელი დატოვოს.

მეფე კადმოსის შთამომავალი კეთილშობილი ქალწული ანტიგონე ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მეფე კრეონტის ბრძანება ეწინააღმდეგება ყოვლისშემძლე ღმერთების მიერ საუკუნეობით დადგენილ კანონს, რომელიც ცოცხლად დარჩენილთაგან მოითხოვს მიცვალებულების პატივისცემით და შესაფერისი წესების დაცვით დასაფლავებას.

კეთილშობილებით აღვსილი ანტიგონე ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ყოვლისშემძლე ღმერთების მიერ დადგენილი კანონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე კრეონტის მიერ გამოცემული კანონი.

ამიტომ მართლკანონიერების მომხრე ქალწულმა გადაწყვიტა მეფე კრეონტის ბრძანებას არ დამორჩილებოდა და თავისი ღვიძლი ძმა პოლინიკე შესაფერისი პატივისცემით დაესაფლავებინა.

მართალია, ანტიგონე ასეთი თავისი მოქმედებით სიკვდილს ვერ ასცდებოდა, მაგრამ ეს მას სრულიადაც არ აშინებდა, იგი თავის საკუთარ სიცოცხლეს სიამოვნებით შეწირავდა, ოღონდ კი დაღუპული ძმის წინაშე თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებია.

ანტიგონემ, როგორც კი ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ მიიღო, დაუყოვნებლივ ინახულა თავისი ღვიძლი და ისმენე და სთხოვა მასაც მონაწილეობა მიეღო ბრძოლის ველზე უპატრონოდ დატოვებულ ღვიძლი ძმის პოლინიკეს დასაფლავებაში.

მართალია, ისმენეს სულითა და გულით უყვარდა თავისი ღვიძლი და ანტიგონე, არანაკლებ უყვარდა ორთა ბრძოლაში დაღუპული ძმები, ეტეოკლე და პოლინიკე, არანაკლებ უყვარდა უმაგალითოდ გაუბედურებული მშობლები, მეფე ოიდიპოსი და დედოფალი იოკასტე, მაგრამ იგი, ბუნებით ნაზი და გაუბედავი ადამიანი, მეტად შეშფოთდა და არ იცოდა, რა გზას დადგომოდა.

დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ისმენემ ამ სიტყვებით მიმართა თავის ღვიძლ დას: „ჩემო ძვირფასო და საყვარელო ანტიგონე! კრგად ჩაუფიქრდი, აბა როგორ სამარცხვინოდ დაამთავრა ამქვეყნიური სიცოცხლე მამაჩვენმა, ოდესღაც ძლევა მოსილმა მეფე ოიდიპოსმა! მოიგონე, ჩემო ძვირფასო დაო, როგორი უბედურება დაატყდა თავს დედაჩვენს, საბრალო იოკასტეს, მეფე ოიდიპოსის ერთსა და იმავე დროს მეუღლესა და დედას! განა ეს უბედურება საკმარისი არ იყო გვარეულობისათვის!

მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთებმა ესეც არ გვაკმარეს და ჩვენს უმაგალითო უბედურებას კიდევ ზედმეტი უბედურება თავს დაგვატეხეს! ჩვენი ორი საყვარელი ძმა, ეტეოკლე და პოლინიკე, სამეფო ტახტი რომ ხელში ჩაეგდოთ, ერთმანეთს გადაემტერნენ და ორთა ბრძოლაში სამუდამოდ გამოესალმნენ სიცოცხლეს!

აბა, დაფიქრდი, ჩვენი გვარეულობიდან ჩვენ ორის გარდა ვინლა დარჩა!

ვფიქრობ, ჩემო საყვარელო დაო, თუ ჩვენ მეფე კრეონტის ბრძანებას არ დავემორჩილებით და წინაღუდგებით, ორივეს მეტად სამწუხარო ბედი მოგველის!

სად შეგვწევს ჩვენ იმდენი ძალ-ღონე, რომ მამაკაცებს გავუმკლავდეთ! ქალები, საზოგადოდ, სუსტები ვართ და განსაკუთრებით ჩვენ, ამდენი უბედურების შემდეგ.

ჩემის აზრით, ჩემო საყვარელო დაო, მეფე კრეონტის განკარგულებას, სამწუხაროდ, უნდა დავემორჩილოთ! ხომ გაგიგონია ხალხის თქმულება – ძალა აღმართსა ხნავსო

გაფიცვებ, ძვირფასო ანტიგონე, ყოვლისშემძლე ღმერთებს, ნუ გადადგამ ისეთ საბედისწერო ნაბიჯს, რომელსაც აუცილებლად ცუდი ბოლო მოყვება!

პირადად მე გულმხურვალედ ვთხოვ საიქიოს ღმერთებს, დეე, მაპატიონ ჩემი დანაშაული, თუ რომ წინააღმდეგ მოვიქცევი და მეფე კრეონტის ბრძანებას დავემორჩილები!“

ანტიგონე მეტად აღაშფოთა ისმენეს პასუხმა. საბრალო ანტიგონეს ვერ გამოერკვია, რატომ ამბობდა უარს ისმენე თავისი ღვიძლი ძმის დასაფლავებაში მონაწილეობის მიღებაზე.

ნუთუ მოსალოდნელი სასჯელის შიშის გამო ხელს იღებს ისმენე თავისი სამღვთო მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე?

ანტიგონე დიდის გულისტკივილით მოშორდა ისმენეს და სასწრაფოდ გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც საყვარელი ძმის პოლინიკეს გვამი უპატრონოდ დაუსაფლავებელი ეგდო ბრძოლის ველზე.

სიმართლის მოყვარულ ქალწულს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა უშიშრად, მოურიდებლად მოეყვანა თავისი განზრახვა სისრულეში და თავისი ღვიძლი ძმა დაესაფლავებინა.

კრეონტის მშვენიერი სასახლის ერთ–ერთ დარბაზში მოწვეული არიან თებეს წარჩინებული მოხელეები და მოქალაქენი, რომლებთანაც მეფე სახელმწიფო საქმეების შესახებ თათბირობს.

კრეონტმა ერთხელ კიდევ მოაგონა თათბირზე დამსწრეებს, რომ აუცილებლად საჭიროა სისრულეში მოყვანილ იქნას ბრძანება მოღალატე პოლინიკეს დასაფლავების აკრძალვის შესახებ.

„სახელმწიფოს წარჩინებულ მოხელენო და მოქალაქენო, – თქვა მეფე კრეონტმა: – პოლინიკე სამშობლოს მოღალატეა მან წარბმეუხრელად განიზღახა მტრის ჯარების დახმარებით საკუთარი სამშობლოს განადგურება, ყოვლისშემძლე ღმერთების ტაძრების აოხრება და შეურაცხყოფა, კანონიერი მეფის, ღვიძლი ძმის ეტეოკლეს, ტახტიდან ჩამოგდება! აი, კიდევაც ამიტომ არ არის იგი ღირსი დასაფლავებისა!

სამშობლოს მოღალატის გვამი ქოფაკი ძაღლებისა და ყვავ–ყორნების სათრევად და საძიძგნად უნდა დარჩეს ბრძოლის ველზე! ვინც ამ ჩემ ბრძანებას წინააღმდეგა და სავსებით არ დაემორჩილება, სასტიკად დავსჯი, სიცოცხლეს შეუბრალებლად გამოვასალმებ!“

სწორედ იმ დროს, როცა მეფე კრეონტი ასეთ სასტიკ ბრძანებას იმეორებდა, სათათბირო დარბაზში სასწრაფოდ შემოიჭრა სრულიად გაფითრებული პირისახით ის მცველი, რომელიც დარაჯობდა ბრძოლის ველზე დატოვებულ პოლინიკეს გვამს.

დარაჯმა საშინელი ამბავი მოიტანა: ვიღაც თავზე ხელაღებულს პოლინიკეს გვამზე მიწა დაუყრია და ამრიგად მეფის ბრძანება დარღვეულია.

ამ ამბის შეტყობამ მეფე დიდად შეაშფოთა. კრეონტს ეჭვი შეეპარა, რომ უეჭველია მტრებმა მოისყიდეს დარაჯი და ასე უხეშად დაარღვიეს მეფის ბრძანებაო.

ბრაზმორეული მეფე სიკვდილით დაემუქრა დარაჯს, თუ იგი დამნაშავეს არ აღმოაჩენდა და თავს არ გაიმართლებდა.

მეფის რისხვამ იმდენად შეაშინა დარაჯი, რომ მან იმწამსვე დატოვა სასახლის დარბაზი და ღმერთებს მადლობა შეწირა, ცოცხალი რომ გადარჩა.

მეფე კრეონტს ჯერ კიდევ თათბირი არ დაემთავრებია, რომ სასახლეში დაბრუნდა გახარებული დარაჯი, რომელსაც უკან მოყვებოდა ოიდიპოს მეფის ასული ანტიგონე.

„დიდებულო მეფეო! – გაბრწყინებული პირისახით მოახსენა დარაჯმა კრეონტს: –აი დამნაშავე, რომელმაც ასე უხეშად დაარღვია თქვენი ბრძანება! ჩვენ

შევიპყართ ეს ქალი სწორედ მაშინ, როცა მიცვალებული ძმის დასაფლავებას აპირებდა.

მოწყალე ხელმწიფეო! მომისმინეთ და ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ.

როცა მე ჩემს ამხანაგებს გადავეცი თქვენი მრისხანე სიტყვები, ყველანი შიშისზარმა მოიცვა. მიცვალებულის გვამს დაუყოვნებლივ ზედ გადაყრილი მიწა ჩამოვაშორეთ და იქვე მახლობლად დავიმალენით, სათვალთვალოდ.

უკვე შუადღემ მოატანა. ანაზღად ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ქარი არნახული ძლიერებით ჰქროდა და ყველაფერს ამსხვრევდა და ანადგურებდა. მიწიდან აზიდული მტვერი და ქვების ვეებერთელა ნატეხები ცის ტატნობს სწვდებოდა და ქვეყანას წალეკვით ემუქრებოდა. ქარიშხალი უფრო და უფრო ძლიერდებოდა და თვალთა ხედვას გვიბნელებდა.

მაგრამ მალე ეს საშინელი ქარიშხალი დაცხრა. ჩვენც თვალი გავახილეთ და აი რასა ვხედავთ.

პოლინიკეს ტიტველ გვამს თავს დასდგომია აი ეს ქალი და მწარედ ქვითინებს, ცხარე ცრემლს აფრქვევს, გულამოსკვნით ქვითინებს, გოდებს „საბრალო–ძმაო“, და წყევლა–კრულვით იხსენიებს, ვინც მის საყვარელ ძმის გვამს მიწა ჩამოაშორა.

შემდეგ იგი ცრემლების ფრქვევით აგროვებს ხმელ მიწას, მიწით ფარავს გვამს და ლამაზი სპილენძის ჭურჭლით სანელებელ წყალს ასხურებს საყვარელი ძმის ცხედარს.

როგორც კი ეს შევნიშნეთ, ჩვენ სწრაფად მივიჭერით დამნაშავე ქალთან, შევიპყართ იგი და აი, თქვენ მოგგვარეთ“.

ანტიგონეს თავი ძირს დაეხარა და სრულიად დამშვიდებული ყურს უგდებდა დარაჯის თხრობას.

როცა დარაჯმა დაამთავრა, რაც სათქმელი ჰქონდა, კრეონტი მრისხანედ შეეკითხა ანტიგონეს, სცნობს თუ არა იგი თავის თავს დამნაშავედ, რომ მან მეფის ბრძანება მოლალატე პოლინიკეს დასაფლავების აკრძალვის შესახებ ასე უხეშად დაარღვია.

ანტიგონემ სრულიად დამშვიდებულად და უშიშრად მოახსენა კრეონტს: „მეფეო, თქვენ მიერ გამოცემული ბრძანება მართალია დავარღვით, მაგრამ ჩემ თავს დამნაშავედ სრულიად არა ვთვლი! და დამნაშავედ არა ვთვლი ჩემ თავს იმიტომ, რომ თქვენი ბრძანება ეწინააღმდეგება ყოვლისშემძლე ღმერთების მიერ დადგენილ კანონებს.

ყოვლისშემძლე ღმერთების მიერ დადგენილი კანონების დარღვევა არ შეგეძლო. აბა, რა დასაჯერებელია, რომ თქვენ მიერ გამოცემულ ბრძანებას უფრო მეტი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე ყოვლისშემძლე ღმერთების მიერ დადგენილ კანონებს! მე ღრმად მწამს, რომ არც ერთ პატიოსან ადამიანს უფლება არა აქვს წინაღუდგეს საუკუნეობით განმტკიცებულ ღვთაებრივ კანონებს და ბოროტად გამოიყენოს ეს კანონები! ღმერთების მიერ შემოღებული კანონების დარღვევა დიდ დანაშაულად მიმაჩნია და კიდევაც ამიტომ უარვყავი თქვენი ბრძანება და ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე. მე წინასწარ ვიცოდი, რომ ჩემი ძმის დასაფლავებისათვის სიკვდილს ვერ ავცდებოდი, მაგრამ ჩემს დღევანდელ უმწეო და უნუგეშო მდგომარეობაში სიკვდილი უფრო სასურველია, ვიდრე სიცოცხლე. ჩემი ღვიძლი ძმა რომ არ დამესაფლავებინა, ეს აუტანელ მძიმე ტვირთად დააწვებოდა ჩემ სინდისს და მთელს ჩემ სიცოცხლეში მოსვენებას არ მომცემდა!“

რაც უფრო დამშვიდებით და გაბედულად ლაპარაკობდა ანტიგონე, მით უფრო ღელავდა და შფოთავდა მეფე კრეონტი. სიბრაზისაგან გაბოროტებული მეფე ანტიგონეს თითოეულ სიტყვაში თავხედობას, ურჩობას ხედავდა და ასეთ კადნიერებას ვერ ითმენდა.

მოთმინებიდან გამოსულმა კრეონტმა მრისხანედ შეჰყვირა:

„ყოვლისშემძლე ღმერთებს ვფიცავ, ამ ქალის მოქმედება ორგვარი თავხედობაა.

ჯერ იყო და ჩემი ბრძანება, რომელიც ზუსტად უნდა შეესრულებინა, ფეხქვეშ გათელა და სრულიად უგულვებელჰყო. ახლა კი თავი მოაქვს და საქებრად მიაჩნია, რომ ჩემს მიერ გამოცემული ბრძანება ასე უხეშად დაარღვია, ასე უხეშად უკუაგდო. განა ყოველივე ეს დასაშვებია და მოსათმენია! განა ამის შემდეგ შეიძლება რაიმე შეწყალებაზე ფიქრი!

ყველანი ხომ ლაჩრად ჩამთვლიან, რომ ამ თავხედი, ურჩი ქალის დანაშაული დაუსჯელად დავტოვო!

მართალია, ეს ყოვლად ურჩი ქალი და მისი ღვიძლი და ისმენე ჩემი ნათესავები არიან, მაგრამ ამ ნათესაურ კავშირს ყურადღებას არ მივაქცევ და ორივე დას სასტიკად დავსჯი იმ დანაშაულისათვის, რომელიც ამ უღირსმა დებმა ჩაიდინეს ჩემი ბრძანების დარღვევით.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ისმენემაც მონაწილეობა მიიღო დასთან ერთად ძმის უკანონო დასაფლავებში.

ახლავე მომგვარეთ ისმენე! მე მსურს პირისპირ ვამხილო, რომ იმანაც მონაწილეობა მიიღო პოლინიკეს დასაფლავებაში და ამრიგად უხეშად დაარღვია ჩემი სატიკი ბრძანება“.

ანტიგონემ ისე მშვიდად და წყნარად უპასუხა უსაზღვროდ განრისხებულ კრეონტს: „მეფეო! თუ ჩემი სიკვდილი გსურთ, რატომ აგვიანებთ? ვფიქრობ, როგორც მე მეზიზღება თქვენი უმართებულო სიტყვები, უეჭველია თქვენაც ისე ჰგმობთ და არ მოგწონთ არც ჩემი სიტყვები და არც ჩემი საქციელი.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ღვიძლი ძმის დასაფლავებით დიდი სახელი და პატივისცემა მოვიხვეჭე, მე შევასრულე ჩემი პირდაპირი ზნეობრივი მოვალეობა და ამრიგად სრულიად კანონიერად მოვიქეცი.

აი, მეფეო, სახელმწიფოს ეს წარჩინებული მოქალაქენი, რომელნიც სათათბიროდ მოგიწვევიათ, გულში ქება–დიდებათ მიხსენიებენ, ჩემს საქციელს სრულიად მართებულად და კანონიერად თვლიან, მაგრამ თქვენის შიშით თავისი გულისტკივილი საჯაროდ ვერ გაუმჟღავნებიათ!“

„სტყუი! თვალთმაქცობ! – მრისხანედ შეუყვირა მეფემ ანტიგონეს: – ღრმად დარწმუნებული ვარ, არც ერთი ჩემი ქვეშევრდომი არ მოგიწონებს, რომ სამშობლოსათვის თავდადებული ეტეოკლე და სამშობლოს მოღალატე პოლინიკე გაათანასწორე. ნუთუ ჩვენ მტერი მოყვრისაგან ვერ უნდა გავარჩიოთ!

ეტეოკლემ სამშობლოს კეთილდღეობას სიცოცხლე შესწირა და ამიტომ იგი კიდევაც ღირსი იყო შესაფერისი პატივისცემით დაგვესაფლავებინა. ჩვენც, მართლაც, ასე მოვიქეციით.

მაგრამ პოლინიკე, რომელიც მტრის დახმარებით ჩვენ დედაქალაქს გარშემოერთყა, პოლინიკე, რომელიც სულითა და გულით მოწადინებული იყო სამშობლო ქალაქი დაემხო და გაენადგურებინა, ღმერთების სამლოცველო ტაძრები დაენგრია და გაეპარტახებია, თავისი მემამულენი აეწიოკებია და აეოხრებია, ნუთუ

სამშობლოს ასეთი მოღალატე ეტეოკლეს მსგავსად ღირსია დასაფლავებისა! განა ეს მოსათმენი და დასაშვებია!“

ანტიგონემ ისევ დამშვიდებულის კილოთი შენიშნა განრისხებულ მეფეს: „სახელმწიფოს უზენაესმა ხელმძღვანელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სიკვდილი ყველაფერს ათანასწორებს, ყოველგვარ ქიშპობას, უთანხმოებას სპობს, საზღვარს უდებს! ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ მის წინააღმდეგ გალაშქრება გონიერებას მოკლებულ ადამიანს შეუძლია. ადამიანს ცხოვრებაში მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული არა ქიშპობა და უთანხმოება, არამედ ყოვლისშემძლე სიყვერული, რომელიც ყველგან და ყველაფერს აკეთილშობილებს.

მე ასეთი მოსაზრება ღრმად მწამს და კიდევაც ამიტომ მას მივდეგ და შეძლებისდაგვარად ვცდილობ შევასრულო.

თუ თქვენ, მეფეო, ეს ჩემი საქციელი დანაშაულად მიგაჩნიათ, ძალაუფლება თქვენს ხელშია და გამომიტანეთ ის მსჯავრი, რომელიც თქვენ სამართლიანად მიგაჩნიათ“.

სწორედ იმ დროს, როცა მეფე და ანტიგონე ასეთი ცხარე კილოთი ლაპარაკობდნენ, სათათბირო დარბაზში შემოიყვანეს ანტიგონეს და ისმენე, რომელიც საცოდავად იცრემლებოდა და ვერ გამოერკვია, თუ რა ხდებოდა.

საბრალო ისმენე, სრულიად ფერმიხდილი, შესჩერებოდა მრისხანე მეფეს და შიშით ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა.

„სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ, – მრისხანედ შეეკითხა კრეონტი ისმენეს, – რომ თქვენ ანტიგონესთან ერთად მონაწილეობა მიიღეთ სამშობლოს მოღალატე პოლინიკეს დასაფლავებაში?“

ისმენემ მცირედი მოფიქრებისა და ყოყმანის შემდეგ მოახსენა მრისხანე მეფეს: „დიახ, მეფეო, მეც დამნაშავე ვარ, რომ ჩემს საყვარელ დასთან ერთად თქვენი სასტიკი ბრძანება დავარღვიე! მზადა ვარ ჩემი დის თანაბარი სასჯელი მოვიხადო! მე არ შემიძლია ერთ წუთსაც ვიცოცხლო, თუ ჩემ საყვარელ ანტიგონეს ჩამომამორებთ! მეფეო, იცოდეთ, მე ჩემი და ანტიგონე მიყვარს, მიყვარს მთელი ჩემი არსებით და უმისოდ ჩემი სიცოცხლე ყოვლად წარმოუდგენლად მიმაჩნია.“

ანტიგონემ გადაჭრით და სრულიად მოურიდებლად მოახსენა მეფეს, რომ ისმენეს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა პოლინიკეს დაკრძალვაში. „მთელი დანაშაული, თუ მართლაც ეს დანაშაულად ჩამეთვლება საყვარელი ძმის დაკრძალვაში, მე მიმიძღვის, – გულწრფელად განაცხადა ანტიგონემ, – და კიდევაც ამიტომ მთელ პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ.“

ისმენემ საყვარელი დისთვის რომ სასჯელი შეემსუბუქებინა, ახლა სხვა გზას მიმართა.

„დიდებულო მეფეო, – თვალცრემლიანი შეევედრა საბრალო ისმენე განრისხებულ კრეონტს: – მიიღეთ მხედველობაში, რომ ჩემი საყვარელი და ანტიგონე თქვენი შვილის ჰემონის საცოლუა! ახალგაზრდებს ერთმანეთი მოსწონთ, ერთმანეთი უსაზღვროდ უყვართ და აბა ვინ მოგიწონებთ, მოწყალეო მეფეო, რომ ეს ახალგაზრდები ასე სასტიკად დასაჯოთ და გულში შეუბრალებლად ჩაუკლათ ის ნაზი და სათუთი გრძნობები, რომლებითაც ეს ახალგაზრდები ამჟამად ჭარბად გამსჭვალულნი არიან! ამიტომ გვედრები, გემუდარები, მოიღეთ თქვენი მოწყალეობა და აპატიეთ დანაშაული ჩემ საყვარელ დას და თქვენს მომავალ სარძლოს, კეთილშობილ ანტიგონეს“.

ისმენესთან ერთად ქალაქის წარჩინებულმა მოხელეებმა და მოქალაქეებმაც სთხოვეს მეფე კრეონტს მოწყალება მოელო და თავისი სარძლო, გულკეთილი და ყოვლად კეთილშობილი ანტიგონე, სასჯელისაგან გაეთავისუფლებინა.

სამწუხაროდ კრეონტმა არ შეისმინა არც ისმენესი და არც ქალაქის წარჩინებულ პირთა გულმხურვალე თხოვნა.

„ჩემი შვილი, – ამტკიცებდა მრისხანე მეფე, – სხვა ქალსაც ადვილად მოსძებნის! ანტიგონე და ისმენე, როგორც დამნაშავენი, სასტიკად უნდა დაისაჯონ! ეს არის ჩემი სურვილი, და სურვილი სრულიად სამართლიანი! ჩემი მეფური ბრძანება უდაოდ უნდა შესრულდეს, და კიდევაც შესრულდება!“

ამ სიტყვებთან ერთად მეფემ მსახურებს უბრძანა ანტიგონე და ისმენე დარბაზიდან გაეყვანათ და ფხიზლად ედევნებინათ თვალყური.

ხალხი, რომელიც მეფე ოიდიპოსის ასულების დაკითხვას დაესწრო, სულითა და გულით იტანჯებოდა, სრულიად თანაუგრძნობდა საცოდავ ანტიგონეს, მაგრამ მრისხანე მეფე კრეონტის შიშით სიტყვას ვერ სძრავდა და მწარე საგონებელს ეძლეოდა.

მეფის ვაჟს ჰემონს გაეგო, რომ კრეონტს განზრახვა აქვს ანტიგონე სიკვდილით დასაჯოს.

ამ ამბით შეშფოთებული ჰემონი დაუყოვნებლივ შეიჭრა სამსჯავრო დარბაზში და მამას მხურვალედ შეევედრა საბრალო ანტიგონე სასჯელისაგან გაეთავისუფლებინა.

კრეონტმა ასე უპასუხა თავის საყვარელ შვილს: „შვილო, შენ ყველაფერში მამის სურვილს უნდა დაემორჩილო! მამაშენის ნება–სურვილი შენთვის კანონი უნდა იყოს! კარგად უნდა გახსოვდეს, რომ მამაშენის მტერი შენი მტერია, ხოლო მამაშენის მეგობარი შენი მეგობარია! ქალის სიყვარულმა ჭკუა და გონება არ უნდა დაგიკარგოს!“

ზიზღით მოიშორე თავიდან დამნაშავე ანტიგონე, რომელიც ჩემს სურვილსა და ბრძანებას საჯაროდ ჰგმობს და უარყოფს. შვილო, მე რომ შენი თხოვნა შევიწყნარო, როგორი პასუხი გავცე ხალხის სამართლიან მსჯავრს!

ვფიცავ ყოვლისშემძლე ზევსს, ჩემი განაჩენი ურყევად უნდა დარჩეს, მე ამ განაჩენს ვერავინ შემაცვლევინებს! ანტიგონე და ისმენე დამნაშავენი არიან და კიდევაც ამიტომ სიკვდილით უნდა დაისაჯონ! მე რომ ჩემ საკუთარ ოჯახში, ჩემს მახლობელთა შორის ურჩობა, უსამართლობა დავაკანონო, მამ გარეშენი როგორღა უნდა დაემორჩილონ, როგორღა უნდა შეასრულონ ჩემი კანონიერი განკარგულება, ჩემი კანონიერი ბრძანება!“

ყველგან და მარადის მამის გამგონი და მორჩილი ჰემონი, როცა მან ასე უსამართლო და თვითნება მშობლის მრისხანე სიტყვები მოისმინა, გაბედულად გამოესარჩლა საბრალო ანტიგონეს და ამტკიცებდა, რომ საბრალო ქალწულის სიკვდილით დასჯა ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია.

მოსალოდნელი უბედურებით თავზარდაცემულმა ჰემონმა ამ სიტყვებით მიმართა განრისხებულ კრეონტს: „თებელი ხალხი სწუხს და სასოწარკვეთილებას ეძლევა იმის გამო, რომ ოიდიპოსის კეთილშობილი ასული, საბრალო ანტიგონე, დიდებული საქმისათვის ასე სამარცხვინოდ, ასე უსამართლოდ იღუპება.“

საჭიროა გონიერებას ანგარიში გაუწიო. სათაკილო და სამარცხვინო როდია ადამიანმა სხვების რჩევა და აზრი მოისმინოს! მარტოდ მარტო თავის ჭკუასა და გონებაზე დამყარება საქმეს სწორად ყოველთვის როდი სჭრის. ჯიუტობა და ახირება საქმეს ვნებს, კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებს, დამღუპველია. ხე, რომელიც

წყალდიდობის დროს ფრთხილად ეშვება მდინარის ნაპირას, ტოტებს დამსხვრევისაგან უქველად გადაარჩენს.

მეზღვაური, რომელიც ზომაზე გადამეტებულად დაჭიმავს იალქნებს, ხომალდს დაღუპავს, ზღვის უფსკრულში ჩაძირავს.

ჩემო საყვარელო მამავ! გთხოვ კეთილი ინებო და ჩემ რჩევას ანგარიში გაუწიო! გაფრთხილებ, თუ ასე არ მოიქცევი, შენი ჯიუტობა მთელ სამეფო გვარეულობას დაღუპავს!

მართალია, როცა უბედურება თავს დაგატყდება, ბევრსაც ინანებ, მაგრამ უკვე გვიანდა იქნება“.

სიბრაზით აღშფოთებულმა კრეონტმა მრისხანედ შეუყვირა ჰემონს: „როგორ? ჩემი ხნის ადამიანს გუშინდელი ბიჭუჭები ჭკუას უნდა ასწავლიდნენ? როგორ ბედავ, რომ მამას ეურჩები, მამის ბრძანებას და სურვილს არ ემორჩილები? მერე რისთვის? სამშობლოს დამამცირებლის, სამშობლოს კანონების აბუჩად ამგდებელი ქალისათვის? იცოდე, შვილო, შენ რასაც ფიქრობ, ყოვლად დაუშვებლად და შეუძლებლად მიმაჩნია შეგისრულო. ჩემი კანონების, ჩემი ბრძანებების უხემად დამრღვევი ანტიგონე სიკვდილით უნდა დაისაჯოს, შენ ცოცხალს აქედან ვერ წაიყვან, ცოლად ვერ შეირთავ!“

„მამ შენ უკვე გადაწყვეტილი გაქვს სიცოცხლეს გამოასალმო უდანაშაულო ანტიგონე? – შეშინებული შეეკითხა ჰემონი კრეონტს. – თუ ეს ასეა, იცოდე, მამაჩემო, რომ ამ უდანაშაულო ქალწულთან ერთად სხვაც ვინმე სიცოცხლეს სამუდამოდ გამოესალმება!“

„შენ კიდევ მემუქრები! – მრისხანედ შეუყვირა კრეონტმა ჰემონს. – აი, შენ თვალწინ მოვიყვან სისრულეში ჩემ გადაწყვეტილებას! თვითონ შენვე საკუთარი თვალებით დაინახავ შენი საცოლეს სიკვდილით დასჯას! მომგვარეთ ახლავე ურჩი და მოღალატე ქალი!“

„კეთილშობილი ანტიგონეს სიკვდილს, – გაბრაზებით უპასუხა ჰემონმა მამას, – ჩემი თვალები ვერ დაინახავენ. იცოდე, მამავ, შენ ამას ვერ შეძლებ! მე ახლა სამუდამოდ ვტოვებ სამეფო დარბაზს და შენ კი დარჩი ამ ბრწყინვალე სასახლეში შენს მოწამლულ მლიქვნელთა შორის და განაგრძე შენი საბედისწერო ჯიუტობა, რომელიც, ეჭვს გარეშეა, კეთილს არაფერს მოგიტანს!“

ჰემონი გაჯავრებული გამოვიდა დარბაზიდან და სამუდამოდ დატოვა თავისი საგვარეულო სასახლე.

მეფის თვითნებობამ და სიჯიუტემ მეტად შეაწუხა ქალაქის წარჩინებული მოხუცები, რომლებიც ანტიგონესა და ისმენეს დაკითხვას დაესწრნენ, მაგრამ თავის მწუხარებას გულში ღრმად იმარხავდნენ და მის გამომჟღავნებას ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, მოხუცებულებმა გაბედეს და მეფეს მოკრძალებით მოახსენეს: „დიდებულო მეფეო, მოვალეთ ვთვლით ჩვენ თავს გაგაფრთხილოთ, რომ ჰემონი მეტად აღელვებული გავიდა დარბაზიდან და ვშიშობ ცუდი რამ არ ჩაიდინოს!“

ჰემონი ჯერ კიდევ ყმაწვილია და თავისი სიყმაწვილით ადვილად შესაძლებელია რაიმე საბედისწერო ნაბიჯი გადადგას! გთხოვთ პატივი დასდოთ ჩვენს მოხუცებულობას და მიიღოთ საჭირო ზომები, რათა ჭაბუკმა ამ აღელვების დროს ცუდი რამ არ აიტეხოს!“

სამწუხაროდ, კრეონტმა ყური არ ათხოვა ამ გაფრთხილებას და ქალაქის წარჩინებულ მოხუცებულებს განუცხადა: „ჩემი შვილი არც ისე ყმაწვილია, რომ

ანგარიშს არ უწევდეს თავის უსაფუძვლო, დამღუპველ მოქმედებას! ხოლო, თუ მე ვცდები, და იგი მართლაც რაიმე საბედისწერო ნაბიჯს გადადგამს, დეე ისე მოიქცეს, როგორც სურდეს და როგორც თავისი ჭკუა უჭრიდეს! ჩემმა შვილმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მეფე კრეონტის სიტყვა უდაო და ურყევია! ჰემონს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ჩემი კანონების უხეზად დამრღვეველი ქალწული ქალები, ყოველ მიზეზს გარეშე სიკვდილით უნდა დაისაჯონ!“

„მაშ, დიდებულო მეფეო, – გაკვირვებით შეეკითხნენ წარჩინებული მოხუცებულები კრეონტს, – ოიდიპოსის ორივე ასული გსურთ სიკვდილით დასაჯოთ?“

ამ შეკითხვამ დიდად ჩააფიქრა მეფე კრეონტი. მცირედი ყოყმანის შემდეგ მეფემ ანგარიში გაუწია მოხუცებულების სულიერ განწყობილებას და ისმენე, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პოლინიკეს დაკრძალვაში, სრულიად გაანთავისუფლა სასჯელისაგან.

საბრალო ანტიგონე კი, მეფის ბრძანებით, უნდა დაემწყვდიათ ლაბდაკიდების საგვარეულო აკლდამაში და სიცოცხლე შიმშილით მოესპოთ...

ანტიგონე გამოიყვანეს სასახლიდან და მცველებით გარშემორტყმული მიყავდათ აკლდამისაკენ, სადაც საბრალო ქალწულს შიმშილით სიკვდილი მოელოდა.

ანტიგონეს მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. მცველებით გარშემორტყმული საბრალო ქალწული გულამოსკვნით ტიროდა, გოდებდა, მაგრამ შველასა და დახმარებას მაინც არავის თხოვდა.

ანტიგონეს ძველებურმა სიმამაცემ და გაბედულებამ უღალატა, იგი ღონემიხდილი უნუგეშოდ შესცქერის თავის მომავალ ხვედრს და ცხარე ცრემლებით იწურება.

სიცოცხლის წყურვილი და სიკვდილის წინაშე შიში მთლიანად იპყრობს კეთილშობილი ანტიგონეს მგრძნობიარე გულს.

საბრალო ქალწული ხმამაღლა ქვითინებს, გოდებს, ცხარე ცრემლებს აფრქვევს და უნუგეშოდ დასტირის თავის თავს, რომ იგი ასე უდროოდ, მეგობრებისა და ნათესავების დაუტირებლად, იძულებულია ჩავიდეს იმ საგვარეულო აკლდამაში, სადაც მიცვალებულთა შორის ყოველ წუთს სიკვდილს უნდა მოელოდეს.

გულქვა, მრისხანე კრეონტი კი, თითქოს აქ არაფერი ხდებო, საბრალო ქალწულის ტანჯვა–ვაებას ოდნავაც ყურადღებას არ აქცევდა.

ამ დროს სახალხო კრებაზე, სამეფო სახლის წინ, სრულიად მოულოდნელად გამოცხადდა გულთამხილავი, მოხუცი ტირეზია, რომელმაც მწუხარე სახის გამომეტყველებით შემდეგი სიტყვებით მიმართა მეფე კრეონტს: „დიდებულო მეფეო! შენ ამჟამად მიდიხარ იმ გზით, რომელიც სრულიად არ შეშვენის ხალხის კეთილის მსურველ მმართველს და მბრძანებელს. გზა, რომელიც შენ აგირჩევია, სახიფათო და საბედისწეროა, როგორც შენისა და შენი სახლობისათვის, ისე მთელი შენი სახელმწიფოსათვის. მომისმინე – რაცა მსურს მოგახსენო და, თუ შენ უყურადღებოდ არ დატოვებ ჩემ რჩევას, ვფიქრობ საქმეს კიდევ გამოასწორობ და მოსალოდნელ უბედურებას თავიდან აიცილენ.“

აბა, მეფეო, ყური დამიგდე და გულდასმით მომისმინე რასაც ახლა მე მოგახსენებ.

მე ვიჯექი იმ გომურში, რომელიც ფრინველების საცხოვრებლად მაქვს მიჩნეული.

ანაზღადად გომურში შემომესმა ფრინველების რაღაც უცნაური ჟივილ-ხივილი. ფრინველები, ეტყობოდა, ფრთების ცემითა და კლანჭების გლეჯით ერთმანეთს დაუნდობლად წიწკნიდნენ, კორტნიდნენ და აწიოკებდნენ.

დიდად შემაშფოთა ფრინველების ასე საშინლად ჟივილ-ხივილმა და ერთმანეთის დაუნდობლად აწიოკებამ.

გადავწყვიტე ყოვლისშემძლე ღმერთებისათვის მსხვერპლი შემეწირა და გამეგო, რას ნიშნავდა ფრინველების ასეთი არაჩვეულებრივი ხმაური.

სამსხვერპლოზე მოკრძალებით დავალაგე ზვარაკის მსუქანი ნაჭრები, მაგრამ სამსხვერპლო მსუქნმა ხორცმა ცეცხლი არ მოიკიდა. ტენი, რომელიც სამსხვერპლო ხორცს ჩამოწვითავდა, ბოლავდა, ქაფთებოდა და ფერფლად ინთქებოდა. ნაღველი იბურთებოდა და სადღაც ჰაერში ჰქრებოდა.

ვფიქრობ, რაც ჩემი თვალით ვნახე და შევამოწმე, მეტად ცუდი ნიშანია, რაც ჩვენ სამშობლო ქალაქს დიდ უბედურებას უქადის. დიახ, დიდებულო მეფეო, შენის უმართებულო და უსამართლო ყოფაქცევით ქალაქის მთელ მოსახლეობას დიდი უბედურება და განსაცდელი მოელის.

წაბილწულია ჩვენი სამსხვერპლო საკურთხევლები. ქოფაკ ძაღლებს და მტაცებელ ფრინველებს დაუსაკუთრებიათ ჩვენი ტაძრების საკურთხევლები და პოლინიკეს გვამის ნახორხალებით ავსებენ. საცოდავ პოლინიკეს, დიდებულო მეფეო, შენ მოუსპე დასაფლავების უფლება და ძაღლებისა და მტაცებელი ფრინველების სათრევად და საძიძგნად დატოვე.

ყოვლისშემძლე ღმერთები შემოგვწყინენ და ჩვენგან შეწირულ მსხვერპლს უკვე აღარ იღებენ.

დიდებულო მეფეო, ჩაუფიქრდი ჩემ სიტყვებს! უცოდველი ამ დედამიწის ზურგზე ხორციელი ადამიანი არ მოიპოვება! ცოდვილი ადამიანი, თუ კი მოისურვებს, ცოდვას გულახდილად აღიარებს და გონიერ რჩევას ყურს დაუგდებს, ანგარიშს გაუწევს, საქმეს გამოასწორებს, მოსალოდნელ უბედურებას თავიდან აიცილებს.

სრულიად გულწრფელად გირჩევ, მოწყალეო მეფეო, ტყუილუბრალოდ ნუ მრისხანებ, თავი დაანებე მკვდრებთან ბრძოლას! თუ ჩემს გულწრფელ რჩევას ყურად იღებ, პირადად შენ და შენი სახლობა და მთელი ჩვენი საერთო სამშობლო ქვეყანა დიდ უბედურებას, დიდ განსაცდელს უვნებლად თავს დააღწევს“.

მოხუც ტირეზიას წინასწარმეტყველებამ მეფე კრეონტი მეტად აღაშფოთა და ბრაზობდა, მეფე ექვიანობდა და ყველას მოღალატეობას სწამებდა.

მეფე კრეონტი ფიქრობდა, მოხუცი ტირეზიაც მოღალატეა, იგი უეჭველია მტრების მიერ მოსყიდულია და ამიტომ ასე უმართებულო რჩევას იძლევაო.

„ყოვლად დაუშვებელი და შეუწყნარებელია! – მრისხანედ შეჰყვირა გონებადაკარგულმა მეფემ. – ყველა ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებს, ყველას სურს ჩემი სახელმწიფო მიწასთან გაასწოროს, პირადად ჩემს უშიშროებას საფუძველი გამოუთხაროს.

განა ოდესმე აზრად მომივიდოდა, რომ მოხუცი ტირეზია, ყოვლისშემძლე ღმერთების ეს მესაიდუმლე, ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრებდა! უეჭველია, მოხუცი ტირეზიას მოქმედება რაღაც საიდუმლოებითაა მოცული! ალბათ ეს ცრუ წინასწარმეტყველი ჩემი პირადი მტრებისგანაა მოსყიდული!

დიახ, დიახ, ვიცნობ ამ ცრუ წინასწარმეტყველის გაიძვერობას, მუქთახორობას, მექრთამეობას! ანგარებით გატაცებული ეს ვაჟბატონი სინდისით ვაჭრობს. არავის ინდობს, ოღონდ კი თავის ბოროტ ზრახვებს მიაღწიოს!

მაგრამ, იცოდე ცრუ წინასწარმეტყველო, რომ ამქვეყნად არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც ჩემ გადაწყვეტილებას შესცვლის!

მოღალატე, სამშობლოს გამცემელ პოლინიკეს ჯეროვანი პატივისცემით ვერ დავასაფლავებ! სამშობლოს გამცემლის, სამშობლოს მოღალატის ხვედრი, მწარე ხვედრი – პოლინიკეს სიკვდილის შემდეგაც თანსდევს, მისი განუყრელი თანამგზავრია.

მოხუცო გულთამხილავო ტირეზია, ნუ დაგავიწყდება, რომ ცრუ და ანგარების მოყვარული წინასწარმეტყველები ხშირად ილუპებიან.

ვფიქრობ, ასეთი სამწუხარო ბოლო შენც მოგელის! შენს ბოროტ განზრახვებს შენი მაღალფარდოვანი, მიკიბულ–მოკიბული, აფერადებული სიტყვები ვერ დაფარავს!“

მოხუცი ტირეზია ერთიანად შეაშფოთა კრეონტის უსაფუძვლო და უმართებულო სიტყვებმა. მოხუც გულთამხილავს განსაკუთრებით ის აწუხებდა, რომ მრისხანე მეფე მექრთამეობასაც სწამებდა.

ამ დაუმსახურებელი ბრალდებით აღშფოთებულმა გულთამხილავმა მეფეს მოახსენა ამჟამად ყველაფერი ის, რის მთლიანად თქმასაც წინათ ვერ ბედავდა.

„მეფეო, – აღელვებულის კილოთი მოახსენა ტირეზიამ არანაკლებ აღელვებულ მეფე კრეონტს. – გახსოვდეს, რომ მოხუცი ტირეზია ანგარებით გატაცებული არასოდეს არ წინასწარმეტყველებდა და დღესაც არ წინასწარმეტყველებს! ჩემი სიტყვა ყველგან და მარადის სწორი და საფუძვლიანია. ცრუ და ყალბი სიტყვები ჩემგან არავის სმენია.

მე მხოლოდ იმას წინასწარმეტყველებ, რასაც ყოვლისშემძლე ღმერთები შთამაგონებენ. ღმერთების სურვილი და აზრი კი, ვფიქრობ, ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს.

მეფეო, შენ კარგად უნდა იცოდე, რომ ჩემის ბაგენით ყოვლისშემძლე ღმერთები მეტყველებენ.

მაშ, ყური დამიგდე და მოისმინე რასაც ახლა მოგახსენებ!

მეფეო, სულ მოკლე ხანში ღმერთები მოუვლენენ სიკვდილს შენს ერთ ძლიერ მახლობელ ადამიანს. ამ სასჯელს მოგანიჭებენ ყოვლისშემძლე ღმერთები, იმიტომ, რომ შენ სრულიად უდანაშაულო ადამიანი ცოცხლად კუბოში ჩააწვინე! სასტიკი სასჯელი მოგენიჭება შენ კიდევ იმიტომ, რომ შენ დღემდე დაუსაფლავებელი დატოვე ბრძოლის ველზე პოლინიკეს გვამი ქოფაკი ძაღლებისა და მტაცებელი ფრინველების სათრევად და საძიძგნად! მკვდრების წინააღმდეგ შურისძიება ყოვლად დაუშვებელი და შეუწყნარებელი ბოროტმოქმედებაა! გვირგვინოსან მეფეებს არ შეჰფერის მკვდრების წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება!

დარწმუნებული უნდა იყო, მეფეო, რომ შურისმაძიებელი ერინიები სასტიკად დაგსჯიან როგორც პირადად შენ, ისე მთელ შენ სამეფო სახლობას. შემ მთელ სამეფო ოჯახს მწუხრის სუდარა გადეფარება. ტირილი, გოდება, ვაება, – აი ხვედრი, რომელიც მოელის შენს სამეფო ოჯახს.

მაგრამ მთელი უბედურება ამით როდი ამოიწურება! შენთან ერთად ძლევაძმოსილი კადმოსის შთამომავალი თებელებიც დაიტანჯებიან და მათ მწუხარებას საზღვარი არ დაადგება!

აი, ჩემი სწორი და უტყუარი სიტყვა! რამდენად მე ვტყუი და ანგარებით გატაცებული ყალბ ცნობებს გაწვდით, შენ თვითონვე ამას სულ მოკლე ხანში შეამოწმებ. მოხუცი ტირეზიას ბაგენი ყოველთვის სწორად მეტყველებდნენ და დღესაც ასე მეტყველებენ!“

ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა ტირეზიამ დატოვა თებელთა სახალხო კრება და მეფე კრეონტის ცილისწამებით აღშფოთებული თავის სახლისაკენ გაემართა.

მეფე კრეონტი მეტად ააღელვა მოხუც ტირეზიას წინასწარმეტყველებამ, მაგრამ მრისხანე მეფე უფრო და უფრო რბილდებოდა, თავის ჯიუტობას და ახირებას თანდათანობით ანელებდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ქალაქის წარჩინებულმა მოხუცებულებმა გაბედეს და მოახსენეს, რომ მოხუც ტირეზიას წინასწარმეტყველება არასდროს არ გამტყუნებულაო. თებელ მოქალაქეებს სწამდათ მოხუცი ტირეზიასი და კიდევაც ამიტომ დიდ მწუხარებას გამოსთქვამდნენ, რომ მეფემ ასე შეურაცხყოფილი თავიდან მოიშორა ხალხის მიერ საყვარელი, მარადის და ყველგან სწორი, მართალი და თავაზიანი, ყოვლისშემძლე ღმერთების მესაიდუმლე გულთამხილავი.

თებეს მოქალაქეებმა მეფეს მოახსენეს: „დიდებულო მეფეო, გთხოვთ საგვარეულო აკლდამაში უდანაშაულოდ დამწყვდეული ანტიგონე დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ და შესაფერისი პატივისცემით დაკრძალოთ ბრძოლის ველზე უპატრონოდ დატოვებული პოლინიკეს გვამი. ამ ორი საქმის შესრულება სასწრაფო და გადაუდებელია, თუ გსურთ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთებმა რაიმე საშინელი უბედურება არ მოგვივლინონ!“

მოქალაქეების ასეთმა გულწრფელმა თხოვნამ დიდი გავლენა მოახდინა მეფეზე. კრეონტმა ბოლოს გადაწყვიტა პოლინიკე ღირსეულად დაეკრძალა და უდანაშაულოდ სასიკვდილოდ აკლდამაში ჩამწყვდეული საბრალო ანტიგონე გაეთავისუფლებინა.

მეფე და მისი მხლებელნი გაემგზავრნენ იმ გორაკისაკენ, სადაც პოლინიკეს გვამი ძაღლებისა და მტაცებელი ფრინველების სათრევად და სამიძგნად იყო დატოვებული.

კრეონტმა, სანამ პოლინიკეს გვამს დამარხავდა, წინასწარ ვედრება აღავლინა ჰეკატასა და პლუტონის წინაშე, რათა საიქიოს ამ მბრძანებლებს თავისი მრისხანება მოწყალებით შეეცვალათ და პოლინიკეს სული ღმობიერად მიეღოთ საიქიოს სამფლობელოში.

მეფის მხლებლებმა, როგორც კი კრეონტი ლოცვას მორჩა, პოლინიკეს გვამი ნაკურთხი წყლით განზანეს, დაწვეს იგი ახალმოტეხილ ხის ტოტებზე და შესაფერისი პატივისცემით დაკრძალეს. მიცვალებულის საფლავზე მეფის განკარგულებით აღმართეს მშობლიური მიწის ყრილი.

კრეონტი და მისი მხლებლები, როგორც კი პოლინიკე დაკრძალეს, უმაღლესად გაემართნენ კადმოსის საგვარეულო აკლდამისაკენ, სადაც საბრალო ანტიგონე მიცვალებულთა შორის მუდამ წუთს სიკვდილს მოელოდა.

როცა კრეონტი საგვარეულო აკლდამას უახლოვდებოდა, ერთ–ერთ მხლებელს აკლდამიდან ხმამაღალი ტირილი შემოესმა და მეფეს მოახსენა.

კრეონტმა აუჩქარა ნაბიჯს. რაც უფრო უახლოვდებოდა მეფე აკლდამას, მით უფრო გარკვევით და ცხადად მოისმოდა აკლდამიდან ტირილისა და ქვითინის ხმა.

„ვაგლახ მე უბედურს! – საზრლად შეჰყვირა მეფე კრეონტმა. – გული მიწუხს, გული მიშფოთავს, გული რაღაც ცუდს მეუბნება! ნუთუ ის გზა, რომელზეც ახლა მივდივარ, ყველა ჩემ მიერ განვლილ გზაზე უფრო სახიფათო და საბედისწეროა!“

ვფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთებს, რომ ეს საშინელი ხმა ჩემი საყვარელი შვილის, ჩემი ჰემონის ტირილის ხმაა!

მიშველეთ, სასწრაფოდ შეიჭერთ აკლდამაში და დაუყოვნებლივ მაცნობეთ, ეს ტირილის ხმა მართლაც ჩემი შვილის ჰემონის ხმაა, თუ მე ვტყუვდები და მხოლოდ ასე მეჩვენება!“

მხლებლებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს მეფის ბრძანება. საზარელი სურათი გადაიშალა მეფის მხლებელთა თვალწინ.

აკლდამის თალიან ჭერზე მარყუჟებით იყო ჩამოკიდებული საცოდავი ანტიგონე, რომელსაც წვრილი თოკივით დაეგრია ტანსაცმელი, ყელზე დაეხვია და ამრიგად თავი ჩამოეხრჩო.

საბრალო ჰემონს გულში ჩაუკრავს ანტიგონეს გვამი და გულამოსკვნით ტირის, ქვითინებს, მწარედ თავს დასტირის თავის საცოლეს, თავის საყვარელ ანტიგონეს, რომელსაც ასე უხეშად, ასე უდროოდ მოუსპო ჯერ კიდევ გაუხარებელი ახალგაზრდობა უღირსი მამის, კრეონტის, აღვირახსნილმა თვითნებობამ, უღირსი მამის ჯიუტობამ, წინდაუხედაობამ და გულჭვაობამ.

კრეონტი შემლილივით შეიჭრა აკლდამაში და როცა ეს საზარელი სურათი დაინახა, თვალთაგან მდუღარე ცრემლები წასკდა და თავის საყვარელ შვილს ასე შეევედრა: „შვილო, ეს როგორი გაუნელებელი ცეცხლი გამიჩინე! გევედრები, გემუდარები, შვილო, დატოვე ახლავე ეს საბედისწერო აკლდამა და წამომყე სასახლეში, სადაც საბრალო დედაშენი, დედოფალი ევრიდიკე, ასე მოუთმენლად გელოდება! შვილო, ნუ გააუბედურებ ნურც შენ თავს და ნურც შენ საბრალო მშობლებს!“

უსაზღვრო მწუხარებით თავზარდაცემულმა ჰემონმა მრისხანედ გადახედა მამას, ხმაამოუღებლივ იძრო ხმალი და ის იყო თავისი უღირსი მშობლისათვის მკერდი უნდა განეგმირა, რომ კრეონტი სასწრაფოდ გვერდზე გადაუდგა და ამრიგად სიკვდილს თავი დააღწია.

ჰემონმა აკლდამის ჭერზე ჩამოკიდებული საბრალო ანტიგონე მოკრძალებით ჩამოხსნა, გულში მაგრად ჩაიკონა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხმლის მძლავრი მოქნევით თავისი მკერდი სასიკვდილოდ განიგმირა.

დასუსტებული, გონებამიხდილი ჰემონი, მაშინაც კი, როცა უკანასკნელად სიკვდილს ებრძოდა, თავისი მოდუნებული ხელებით საბრალო ანტიგონეს გაცივებულ გვამს გულში მხურვალედ იკრავდა და მის ფერმიხდილ ლოყებზე ცხარე ცრემლების მდუღარებას აფრქვევდა.

სულთმობრძავი ჰემონის თვალთაგან მოხეთქილი ცრემლების ნაკადი ციურ ჩანჩქერად ევლინებოდა ანტიგონეს ფერმიხდილ პირისახეს და საბრალოს თითქოს ყურში ჩასჩურჩულებდა: „გულს ნუ გავიტეხთ! თუ ბედმა ამქვეყნად გვიმუხთლა, სამაგიეროდ საიქიოს ხომ ერთმანეთს მაინც შევხვდებით და საქორწილო ზეიმი იქ გავაჩალოთ!“

მწუხარებით თავზარდაცემულმა კრეონტმა მდუღარე ცრემლების ფრქვევით წამოასვენა თავისი საყვარელი შვილი სასახლეში.

გაუბედურებულ მშობელ მამას, როცა იგი სასახლის ალაყაფის კარებს უახლოვდებოდა, კარისკაცებმა მეორე თავზარდამცემი ამბავი მოახსენეს.

მეფე კრეონტის მეუღლემ, დედოფალმა ევრიდიკემ, როცა საყვარელი შვილის ჰემონის ასე საცოდავად დაღუპვის ამბავი შეიტყო, ვერ აიტანა ეს მწუხარება და თავის მოკვლა გადაწყვიტა.

საბრალო დედოფალი ჩუმად შეიპარა სასახლის ერთ–ერთ დარბაზში, სადაც ღმერთების პატივსაცემად გამართული ჰქონდათ საკურთხეველი, და ბასრი ხმლით სასიკვდილოდ განიგმირა შვილისადმი უსაზღვროდ მოსიყვარულე გული.

ამ საშინელი ამბის გაგებამ კრეონტს თავზარი დასცა. ეს ოდესღაც ძლიერი მეფე, რომლის წინაშე მთელი სახელმწიფო შიშით ცახცახებდა, გონებადაკარგული მიწაზე პირქვე დაემხო და მწუხარედ ლულულულებდა: „ჩემმა ჯიუტობამ, ჩემმა ახირებულმა ქედმაღლობამ დაღუპა ჩემი საყვარელი შვილი ჰემონი და ჩემი ძვირფასი მეუღლე, დედოფალი ევრიდიკე. ჩამქოლეთ ყველამ, ვისაც ჯერ კიდევ სამართლიანობის გრძნობა არ დაგიკარგავთ! უღირსი მამა, უღირსი მეუღლე ღირსია სასტიკი სასჯელისა!“

შვიდკარიბჭიანი თებეს მკვიდრნი, როცა მეფის ამ მწარე სიტყვებს ისმენდნენ, მწუხარედ ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „სიბრძნე ამქვეყნიური ბედნიერების საწინდარია!“

ეპიგონების გალაშქრება თებეს წინააღმდეგ

არგოსის მკვიდრსა და ძლევამოსილ მხედრობას არ ასვენებდათ ფიქრი, რომ თებელებმა შვიდკარიბჭიანი თებეს გარშემო ბრძოლის დროს მთლიანად გაანადგურეს არგოსელთა მხედრობა და მისი სახელოვანი სარდლები.

ათმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც არგოსელთა მხედრობას ეს უბედურება თავს დაატყდა. ბრძოლის ველზე დახოცილ არგოსელ სარდლების შვილები, ეგრეთ წოდებული ეპიგონები,⁴ უკვე დავაჟკაცდნენ და სულ იმას ცდილობდნენ, რომ სამაგიერო გადაეხადათ თებელებისათვის.

ეპიგონებმა და უკვე ღრმად მოხუცებულმა არგოსის მეფემ ადრასტემ გადაწყვიტეს თებეს წინააღმდეგ გალაშქრება და თებელების სასტიკად დასჯა.

მთელი სახელმწიფო ომის სამზადისს შეუდგა. არგოსელების ძლევამოსილი მხედრობა სასწრაფოდ ირაზმებოდა. სახელმწიფოს მშვიდობიანი მოსახლეობა ჯარისკაცებს სიტყვით, საქმით ამხნევებდა და გულში გამარჯვების იმედს უწერგავდა.

მართალია, მეფე ადრასტე მონაწილეობას იღებდა განზრახულ ომში, მაგრამ მხედრობის მთავარსარდლობაზე ხანშესულობის გამო უარს აცხადებდა.

რადგან ღირსეული მთავარსარდლის არჩევა მეტად საძნელო შეიქნა, ეპიგონებმა რჩევისათვის მიმართეს დელფოს მისანს.

აპოლონ ღმერთის მისანმა ეპიგონებს უწინასწარმეტყველა, რომ ისინი მტერზე აუცილებლად გაიმარჯვებენ, თუ მხედრობის მთავარსარდლობას ამფიარაეს სახელოვან და მამაც შვილს ალკმეონს ჩააბარებენ.

ალკმეონი კი ყოყმანობდა მხედრობის მთავარსარდლობის მიღებაზე.

ალკმეონი ორცეცხლშუა იყო. ჭაბუკმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მხედრობის მთავარსარდლობა მიეღო, თუ საკუთარი დედისათვის სამაგიერო გადაეხადა, როგორც ეს საყვარელმა მამამ ანდერძით დაავალა.

ამ მძიმე მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო, ალკმეონი დელფოში გაემგზავრა აპოლონ ღმერთის მისნისაგან რჩევა-დარიგების მისაღებად.

გულთამხილავმა ალკმეონს ასეთი რჩევა მისცა: „დედას სამაგიერო გადაუხადე და არგოსელთა მხედრობის მთავარსარდლობაც მიიღეო“.

⁴ ეპიგონები ნიშნავს – შემდეგ დაბადებულნი

პოლინიკეს შვილი ტერსანდრი ყოველგვარ ზომას ღებულობდა, რომ ანგარების მოყვარულ ერიფილეს თავისი შვილები, ალკემეონი და ამფილოხი, ომში წასასვლელად აეძულებინა.

ტერსანდრმა ერიფილეს ამ მიზნით მიუძღვნა საჩუქრად ის ძვირფასი ტანსაცმელი, რომელიც ათენა ქალღმერთმა ოდესღაც აჩუქა ჰარმონიას, როცა იგი თებეს მეფეს კადმოსს გაჰყვა ცოლად.

ეს ძვირფასი ტანსაცმელი პოლინიკეს ხვდა წილად მემკვიდრეობის განაწილების დროს.

ცბიერი ერიფილე შვილებს მოუწოდებდა ომში წასასვლელად, მაგრამ ალკემეონმა კარგად იცოდა დედის ამ მოწოდების ფასი.

ამიტომ ამფიარაეს ღირსეულმა შვილმა, ალკემეონმა, გადაწყვიტა ომიდან დაბრუნების შემდეგ გადაუხადოს დედას სამაგიერო.

ამრიგად საკითხი არგოსელთა მხედრობის მთავარსარდლის არჩევის შესახებ საკეთილოდ დამთავრდა.

როგორც კი ალკემეონმა მთავარსარდლობაზე თანხმობა გამოაცხადა, ეპიგონების ძლევა მოსილი მხედრობა საბრძოლო წესით დარაზმული გაემართა შვიდკარიბჭიან თებესაკენ.

ეპიგონები ღრმად დაიმედებული იყვნენ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთების დახმარებით მტერზე ბრწყინვალედ გაიმარჯვებდნენ.

გაიმართა საშინელი ბრძოლები შვიდკარიბჭიან თებეს მიდამოებში.

მამაცი ალკემეონის მიერ გამხნეებული ჯარისკაცები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთებოდნენ თებელთა მხედრობის ურიცხვ რაზმებს და ირგვლივ ყველაფერს ანადგურებდნენ.

თებელთა მხედრობა, რომელმაც ათი წლის წინათ დაამარცხა ეპიგონების მამები, ამჟამად ეტეოკლეს შვილის ლაოდამოსის მთავარსარდლობით თუმცა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა არგოსელების მცირერიცხოვან მხედრობას, მაგრამ ეპიგონების თავდადებული გმირობის წინაშე ძრწოდა და გამარჯვების იმედს ჰკარგავდა. მეფე ლაოდამოსმა ამ საბედისწერო ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრა მეფე ადრასტეს შვილი ეგიალევსი.

ამ ახალგაზრდა გმირის დაკარგვამ საშინლად გააბრაზა არგოსელების მხედრობის მთავარსარდალი ალკემეონი, რომელიც ხმალამოღებული ეკვეთა მეფე ლაოდამოსს და გულ-მკერდი სასიკვდილოდ განუგმირა.

მეფის ასე მოულოდნელად სიკვდილმა თებელებს თავზარი დასცა.

უხელმძღვანელოდ დარჩენილი თებელთა მხედრობა შედრკა, შეტორტმანდა და უწესრიგოდ ქალაქის კარიბჭესაკენ დაიხია.

ეპიგონებმა პირველ ყოვლისა დიდის პატივისცემით დაასაფლავეს ბრძოლის ველზე დახოცილთა ჯარისკაცების გვამები, საფლავებზე აღმართეს ყრილები და შემდეგ დაუყოვნებლივ გაემართნენ შვიდკარიბჭიან თებეს კედლებზე იერიშების მისატანად.

თებელთა მხედრობას დიდი საფრთხე მოელიდა. ჯარისკაცები სულით დაეცნენ და გამარჯვების იმედი დაკარგეს.

ასეთი მძიმე მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად თებელებმა მიმართეს რჩევისათვის გულთამხილავ ტირეზიას.

მოხუცმა ტირეზიამ თებელებს ურჩია შუაკაცები გაეგზავნათ სასწრაფოდ მტრის ბანაკში მოსალაპარაკებლად და ამავე დროს ბავშვები და ქალები სადმე შორს გაეხიზნათ.

თებელეებმა სიამოვნებით მიიღეს გულთამხილავ მოხუც ტირეზიას რჩევა.

საღამოზე თებელეებმა ჩასხეს ქალები და ბავშვები ეტლებში, ფარულად დატოვეს ქალაქი და გაემართნენ მახლობელ გაუვალ ტილფოსიონის მთისაკენ, რომლის ძირას ჩამოჩუხჩუხებდა ცივი, ანკარა წყარო ტილფოსი.

ამ წყაროსთან თებელეებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს: გულთამხილავი მოხუცი ტირეზია, რომელიც გზაში მეტად დაიღალა და დაიქანცა, წყაროს ცივ წყალს ხარბად დაეწაფა და უეცრივ გარდაიცვალა.

თებელეებმა დიდის პატივისცემით დაასაფლავეს თავისი კეთილისმყოფელი მოხუცი გულთამხილავი, რომელსაც არაერთხელ გაუწევია დაუფასებელი სამსახური კადმოსის სამეფო გვარეულობისათვის.

არგოსელების მხედრობამ, როგორც კი შეიტყო, რომ თებელეებმა ქალაქი დატოვეს, დაუყოვნებლივ მიიტანა იერიშები ქალაქზე, დაანგრია ქალაქის კოშკები, შეანგრია კარიბჭეები და ქალაქში დარჩენილ მცირერიცხოვან მხედრობასთან მცირედი შებრძოლების შემდეგ საბოლოოდ დაიპყრო ოდესღაც ძლევამოსილი შვიდკარიბჭიანი თებე.

ძლევამოსილმა ალკმეონმა მოქალაქეები ყველანი მონებად გამოაცხადა, მთელი სიმდიდრე ჩამოართვა და არგოსში გადაგზავნა. თებეს მძლეველმა მთავარსარდალმა, თანახმად აღთქმისა, მოხუც ტირეზიას ასული, გულთამხილავი მანტო, როგორც ყველაფერზე უფრო ძვირფასი ნადავლი, აპოლონ ღმერთის სამისნოს შეწირა და ქალაქ დელფოში გაგზავნა.

ქალაქ თებეს უზენაესი ძალაუფლება ეპიგონებმა ლაბდაკეს სამეფო გვარეულობის ერთადერთ დარჩენილ შთამომავალს პოლინიკეს შვილს ტერსანდრეს ჩააბარეს და თვითონ კი დიდის ნადავლით დატვირთულნი განუსაზღვრელი სიხარულით და ზეიმით სამშობლო ქვეყანაში დაბრუნდნენ.

მეფე ადრასტე, როცა მხედრობა არგოსს ბრუნდებოდა, გზაში გარდაიცვალა. საბრალო მეფემ ვერ აიტანა შვილის ეგიალევის მოულოდნელად დაღუპვა ბრძოლის ველზე და სამუდამოდ სიცოცხლეს გამოესალმა.

ასე დამთავრდა შვიდკარიბჭიანი თებეს წინააღმდეგ ეპიგონების გალაშქრება.

ეპიგონებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი ზნეობრივი მოვალეობა საყვარელი სამშობლოსა და თებეს კედლებთან დახოცილი მშობლების წინაშე.

დამლუპველი საჩუქარი

ეპიგონებისა და თებეს ომი დამთავრდა. გამარჯვებული არგოსელების მხედრობა დიდის ზეიმითა და აღფრთოვანებით დაბრუნდა სამშობლო მხარეში. არგოსის მთელი მოსახლეობა ფეხზე დადგა ძლევამოსილი მხედრობის შესახვედრად.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი სიხარულით ეგებებოდნენ ძლევამოსილ მხედრობას და მის ახალგაზრდა გმირ სარდლებს და დიდის აღფრთოვანებით ულოცავდნენ მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებას.

ძღვევამოსილი ჯარის არგოსში დაბრუნება ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ქალაქის მკვიდრნი ყვავილებითა და დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ სახელოვან ჯარისკაცებს და ახალგაზრდა გმირ სარდლებს, ეპიგონებს.

მხედრობის მთავარსარდალი, ძღვევამოსილი ალკმეონი, როცა ხალხის მიერ მოწყობილი სადღესასწაულო ჯარის შეხვედრა ასე ბრწყინვალედ ჩატარდა, დაუყოვნებლივ შეუდგა აპოლონ ღმერთის მიერ მოცემულ მეორე დავალების შესრულების თადარიგს.

ალკმეონმა გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა თავისი საკუთარი დედა ერიფილე, რომელმაც ანგარების მოყვარეობით განზრახ გაგზავნა საბედისწერო ომში მეუღლე ამფიარაე.

ალკმეონს სულსა და გულს უწყამლავდა ის ფიქრი, რომ ბოროტმა დედამ ერიფილემ თავისი უგვანო საქციელით დაღუპა საყვარელი ქმარი და სათუთი მამა, რომელიც თავისი პატიოსნებით, თავისი ბრძნული გულთამხილაობით მთელ ელადაში უმწიკვლო ადამიანად იყო მიჩნეული.

შურისძიების გრძნობა ალკმეონს კიდევ უფრო მაშინ გაუძლიერდა, როცა მან დანამდვილებით შეიტყო, რომ შვილებს ომში წასვლას მხოლოდ ანგარებით – მოსყიდული ურჩევდა და აქეზებდა.

ტერსანდრის ნაჩუქარმა საბედისწერო ტანსაცმელმა იმდენად მოხიბლა ბოროტი ერიფილე, რომ ღვიძლი შვილებიც კი არ დაინდო დამღუპველ ომში გასაგზავნად.

ალკმეონმა აპოლონ ღმერთის მისნის დავალება სისრულეში მოიყვანა. ახალგაზრდა გმირმა ბასრი ხმლით სასიკვდილოდ გულ-მკერდი განუგმირა ბოროტ დედას ერიფილეს და ამრიგად პირნათლად შეასრულა საყვარელი მამის ამფიარაეს დავალება.

მართალია, ალკმეონმა ერიფილე აპოლონ ღმერთის დავალებით და ნებაყოფლობით მოკლა, მაგრამ დედის მკვლელობამ იმდენად განარისხა ერინიები, რომ შურისმაძიებელი ქალღმერთები ახალგაზრდა გმირს მთელ მის სიცოცხლეში სდევნიდნენ და სასტიკი სასჯელით ემუქრებოდნენ.

შურისმაძიებელი ერინიების დევნამ ახალგაზრდა გმირი აიძულა სამშობლოს მოშორებოდა.

ალკმეონი გადასახლდა არკადიაში ქალაქ პსოფიდაში და თან წაიღო თებელების მიერ ერიფილესათვის მიძღვნილი დამღუპველი საჩუქარი.

ქალღმერთ ერინების მიერ დევნილმა ახალგაზრდა გმირმა დახმარების აღმოჩენა სთხოვა პსოფიდის მეფე ფეგევსს.

მეფე ფეგევსმა ალკმეონი განწმინდა ჩადენილ დანაშაულისაგან და სახელმწიფოში ცხოვრების უფლება მიანიჭა.

მეფე და ალკმეონი იმდენად დამეგობრდნენ, რომ ფეგევსმა ახალგაზრდა გმირს მიათხოვა თავისი მშვენიერი ასული არსინოე.

ალკმეონმა თებელების მიერ ერიფილესათვის გაგზავნილი ძვირფასი ტანსაცმელი თავის ახალგაზრდა მეუღლეს, მშვენიერ არსინოეს მიუძღვნა.

ერიფილემ, როცა იგი შვილის ბასრი ხმლით გულმკერდგანგმირული სიკვდილს ებრძოდა, დაწყევლა ალკმეონი და ის მხარეც, რომელიც შეიხიზნებდა დედის მკვლელ შვილს.

ერიფილეს წყევლა-კრულვა საბედისწეროდ მოევლინა როგორც ალკმეონს, ისე პსოფიდის სამეფო გვარეულობას.

აღკმეონმა თავის ახალ სამშობლოშიც ვერ მოიპოვა სულის სიმშვიდე და მყუდროება.

პსოფიდას, მას აქეთ რაც ამ მხარეში აღკმეონი გადასახლდა, დიდი უბედურება მოევლინა. მთელ სახელმწიფოს შავი ჭირი მოედო და ხალხს დღითი დღე მუსრს ავლებდა. მთელ მხარეს ყოველწლივ მოუსავლობა ილაჯს სწყვეტდა. მდინარეები დაშრა. ველ–მინდვრები ერთიანად გადახმა.

მთელ მხარეს მწუხრის სუდარა გადეფარა. ხალხი დრტვინავდა, ბორგავდა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა და გამოსავალს ვერ პოულობდა.

აღკმეონმა გადაწყვიტა დელფოს მისანს შეკითხებოდა, რაგვარად შეიძლებოდა ხალხს ამ უბედურებისაგან თავი დაეღწია.

აპოლონ ღმერთის მისანმა უწინასწარმეტყველა აღკმეონს, რომ იგი მოიპოვებს სულის სიმშვიდეს და სრულ მყუდროებას იმ მხარეში, რომელიც გაშენდა ერიფილეს მკვლევლობის შემდეგ. მხოლოდ ასეთ მხარეში დედის წყევლა–კრულვა დაკარგავს თავის საბედისწერო ძალასო.

მისნის ასეთი პასუხის შემდეგ აღკმეონი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა პსოფიდის სახელმწიფო, თავის მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი.

ახალგაზრდა გმირი, რომელსაც თან სდევდა დედის ერიფილეს წყევლა–კრულვა, დასახლდა იმ კუნძულზე, რომელიც გაშენდა წყლით მოზიდულ შლამისაგან ერიფილეს სიკვდილის შემდეგ.

აღკმეონმა ამ კუნძულზე მართლაც მოიპოვა სულიერი სიმშვიდე და სრული მყუდროება.

ახალგადმოსახლებულმა ახალგაზრდა გმირმა დაივიწყა თავისი პირველი ცოლ–შვილი და მეორედ შეუუღლდა მდინარის ღმერთის აქელოეს მშვენიერ ასულს კალიროეს.

ახალდაქორწინებული აღკმეონი და კალიროე თანხმობით, ბედნიერად ცხოვრობდნენ. კეთილად განწყობილი ყოველი ოჯახი შეტრფოდა და შეხაროდა ამ იშვიათი ცოლ–ქმრის ბედნიერებას.

მშვენიერ კალიროეს გაგონილი ჰქონდა, რომ აღკმეონის დედას, ერიფილეს, თებელებმა საჩუქრად მიუძღვნეს ძვირფასი სამკაული.

კალიროემ სთხოვა თავის საყვარელ მეუღლეს ეს ძვირფასი სამკაული მისთვის დაეთმო.

აღკმეონმა სიამოვნებით თანხმობა გამოუცხადა თავის საყვარელ მეუღლეს ძვირფასი სამკაული მისთვის საჩუქრად მიეძღვნა.

ახალგაზრდა გმირი დაუყოვნებლივ არკადიაში გაემგზავრა და თავის ყოფილ პირველ მეუღლეს არსინოეს მოსთხოვა ძვირფასი სამკაულის დაბრუნება.

აღკმეონმა მოიმიზეზა, რომ ეს ძვირფასი საჩუქარი უნდა შეწიროს აპოლონ ღმერთის დელფოს ტაძარს.

მეფე ფეგევსმა სარწმუნოდ მიიღო აღკმეონის სიტყვები და ძვირფასი სამკაული დაუყოვნებლივ დაუბრუნა თავის სიძეს.

მაგრამ, როცა მეფემ შეიტყო, რომ აღკმეონს მეორე ცოლი შეურთავს და ძვირფასი სამკაული მას უნდა მიუძღვნას საჩუქრად, დაუყოვნებლივ მოიწვია თავისი შვილები პრონე და აგენორი და დაავალა ყოფილი სიძე აღკმეონი მოეკლათ და ძვირფასი სამკაული უკან დაებრუნებიათ.

მართლაც, პრონე და აგენორი, როცა აღკმეონი შინ ბრუნდებოდა, გზაში ჩაუსაფრდნენ და ახალგაზრდა გმირი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ამრიგად შვილებმა შეასრულეს მამის ბრძანება და საბედისწერო ძვირფასი სამკაული დაუბრუნეს თავის დას არსინოეს.

ალკმეონმა თუმცა არსინოეს უღალატა, მაგრამ იგი საბრალო ქალს მაინც უყვარდა.

არსინოე სულითა და გულით იტანჯებოდა და კრულვა-წყევლას უთვლიდა თავის ძმებს, რომლებმაც ასე უდროოდ მოუსპეს სიცოცხლე ძვირფას და საყვარელ ალკმეონს.

პრონემ და აგენორმა ყოვლად მიუღებლად და დაუშვებლად მიიჩნიეს არსინოეს საქციელი და გადაწყვიტეს სასტიკად დაესაჯათ იგი.

შეუბრალებელმა ძმებმა საცოდავი არსინოე გაგზავნეს ტეგეაში მეფე აგაპენორთან. მეფემ საცოდავ ქალს მეუღლის მკვლელობა დააბრალა და კიდევაც ამიტომ სასიკვდილოდ გაიმეტა.

ამრიგად თებელების მიერ მიძღვნილმა საჩუქარმა სიცოცხლეს გამოასალმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გმირი ალკმეონი და შემდეგ მისი პირველი მეუღლე, საცოდავი არსინოე.

ალკმეონის მეორე მეუღლემ კალიროემ, როცა გაიგო თავისი საყვარელი მეუღლის მკვლელობა, ცისაკენ აღაპყრო ხელები და ყოვლისშემძლე ზევსს შეევედრა: „ოლიმპოს დიდო მბრძანებელო! გთხოვ მოიღო ჩემზე მოწყალება და ჩემს ორ მცირეწლოვან შვილს, აკარნანს და ამფოტერეს, მიანიჭო ვაჟკაცური ძალ-ღონე, რათა მათ სამაგიერო გადუხადონ საყვარელი მამის ვერაგ მკვლელებს!“

ოლიმპოს მბრძანებელმა, ყოვლადმოწყალე ზევსმა შეისმინა მხურვალე და გულწრფელი ვედრება.

მართლაც, მეორე დილით აკარნანი და ამფოტერე საწოლიდან წამოდგნენ ჯან-ღონით სავსენი, სავსებით დავაჟკაცებულნი და დაუყოვნებლივ ტეგეას მხარესაკენ გაემგზავრნენ.

აკარნანი და ამფოტერემ სიცოცხლეს გამოასალმეს მეფე ფეგევსის შვილები პრონე და აგენორი და დაეპატრონენ იმ ძვირფას საგანძურს, რომლის საჩუქრად შეწირვას აპოლონ ღმერთის ტაძრისათვის ფიქრობდნენ მეფე ფეგევსის შვილები.

აკარნანი და ამფოტერე შემდეგ სასწრაფოდ გადავიდნენ არკადიაში, სასიკვდილოდ განგმირეს მეფე ფეგევსი და მისი მეუღლე, სრულიად უვნებელი დაბრუნდნენ სამშობლოში და საყვარელ დედას ჩააბარეს ძვირფასი სამკაული, რომელიც თებელებმა საჩუქრად გამოუგზავნეს ალკმეონის ბოროტ დედას ერიფილეს.

ამ საბედისწერო ძვირფას სამკაულს კიდევ უფრო დიდი უბედურება რომ არ დაეტრიალებია, აკარნანი და ამფოტერემ ის აპოლონ ღმერთის დელფოს ტაძარს შეწირეს.

იმ მხარეს, სადაც აკარნანი და მისი ძმა ამფოტერე დასახლდნენ, შემდეგ აკარნანია დაერქვა.

ალკმეონისა და არსინოეს შვილი კლიტოსი კი სამეფო გვარეულობის განადგურების შემდეგ არკადიიდან გაიქცა და სამუდამოდ ელიდაში დასახლდა.

არგოსის ციკლის

თქმულებანი

მეფე ინაქეს მშვენიერი ასული

(ოვიდიუს ნაზონი – „მეტამორფოზები“)

არგოსელების მეფეს, მდინარის ღმერთს და ოკეანეს ძეს – ინაქეს ჰყავდა ასული, რომელსაც იო ჰქვიადა.

მეფის ასულის სილამაზესა და სიმშვენიერეს მთელი სახელმწიფოს მცხოვრებნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა დიდ განცვიფრებასა და აღტაცებაში მოჰყავდა. მეფის ასულის ღვთაებრივი მშვენიერი სახე ყველას გულში ღრმად სწვდებოდა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

არგოსელთა ქალები და მამაკაცები ყვავილებითა და თაიგულებით უფენდნენ გზას მშვენიერ იოს და ყოვლისშემძლე ქალღმერთების მსგავსად პატივსა სცემდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ.

მშვენიერი იოს იშვიათი სილამაზე ღმერთების მამამთავარ ზევსს შეუმჩნევლად არ დარჩა.

ყოვლისშემძლე ქვეყნის მპყრობელს შეუყვარდა მეფე ინაქეს მშვენიერი ასული და დიდი პატივისცემითა და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მას.

სამწუხაროდ, ამ ამბავმა ზევსის მეუღლის ჰერას ყურამდე მიაღწია. ზევსმა, თავისი საყვარელი ქალი მრისხანე ჰერას დევნისა და შევიწროებისაგან რომ დაეხსნა, იგი მშვენიერ თეთრ ძროხად გადააქცია.

ჰერა ქალღმერთმა ყოვლისშემძლე თავის მეუღლეს სთხოვა ეს მშვენიერი ძროხა მისთვის ეჩუქებინა.

ოლიმპოს მბრძანებელი ზევსი, ოჯახური უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, იძულებული შეიქნა ეს მსხვერპლიც გაეღო.

ჰერამ მეუღლისაგან ნაჩუქარი მშვენიერი ძროხა მოსავლელად ასთვალა გოლიათ არგოსს მიაბარა.

არგოსს ორი თვალი მუდამ დახუჭული ჰქონდა, ხოლო დანარჩენი თვალები განუწყვეტლივ ირგვლივ იცქირებოდნენ და ფხიზლად დარაჯობდნენ ჰერა ქალღმერთის მიერ მიბარებულ ძროხას.

არგოსი დილით ძროხას ამოვებდა მინდორში და ფხიზლად სდარაჯობდა, ხოლო ღამდამობით კისერზე ჯაჭვშემბულს ბოსელში ამწყვდევდა.

მეფე ინაქეს საბრალო ასული, რომელსაც ძროხად გადაქცევის შემდეგაც ადამიანის გონიერება კიდევ შერჩენოდა, ხის ფოთლებით და მწვანე ბალახ-ბულახით იკვებებოდა, მღვრიე წყალს სვამდა და ხმელ მიწაზე ეძინა.

საბრალო ქალს შესაძლებლობა არ ჰქონდა თავისი აუტანელი მწუხარება ვინმესთვის გაეზიარებია, მას არ ჰქონდა ხელები, რომ თავისი შეუბრალებელი მცველისათვის გაეწვდინა დახმარების სათხოვნელად, საბრალოს არ შეეძლო ენა ამოელო და თავისი მწუხარება შეეჩვილა.

მეფის ასული საცოდავი ღალადისის მაგივრად მხოლოდ ღმუოდა და ამ ღმუილის თვითონაც კი ეშინოდა.

ერთხელ იო წავიდა მდინარის ნაპირას, სადაც წინათ, ვიდრე ეს უბედურება თავს დაატყდებოდა, თამაშობდა, ცელქობდა, დახტოდა, ერთობოდა. საბრალომ მდინარე წყალში დაინახა თავისი თავი, თავისი რქები და ერთიანად შეშფოთდა, თავისი თავის შეეშინდა.

საბრალო იო ვერ იცნეს ნაიადებმა, მისმა დებმა, საბრალო თავისი მშვენიერი ასული ვერ იცნო თვითონ მშობელმა მამამ ინაქემ.

საცოდავი იო ღმობიერის გამომეტყველებით მიუახლოვდა თავის საყვარელ დებს, თავის საყვარელ მშობელ მამას.

მოხუცი ინაქე მდინარის ნაპირას ბალახს წიწკნიდა და ძროხას ალერსიანად აწვდიდა. იო საყვარელ მშობელს ხელებს ულოკავდა და თვალთაგან ცრემლების ღვარი ჩამოსდიოდა.

საბრალო მეფის ასულს რომ ხმის ამოდება შესძლებოდა, იგი უეჭველია საყვარელ მამას გამოემცნაურებოდა და თავის აუტანელ მწუხარებას შეატყობინებდა; მაგრამ საბრალოს მეტყველების შესაძლებლობა არა ჰქონდა და ამიტომ გულში ღრმად იმარხავდა თავის უსაზღვრო მწუხარებას.

მეფის საცოდავმა ასულმა ერთადერთი ისლა მოახერხა, რომ მდინარის ნაპირას დაგროვილ სილაზე ფეხით ჩამოხაზა თავისი მწუხარების ამბავი და ამრიგად გააგებინა მშობელ მამას მთელი თავისი საშინელი უბედურება.

„ვაგლახ, მე უბედურს!“ – ხმამაღლა წამოიყვირა საცოდავი ხმით მოხუცმა მშობელმა და ყელზე მაგრად შემოეხვია თავის საყვარელ ასულს.

მაგრამ გულქვა და შეუბრალებელმა არგოსმა სასწრაფოდ ჩამოაშორა მშობელი მამა თავის საყვარელ ასულს და ძროხა დაუყოვნებლივ მოშორებულ ადგილას წაიყვანა საბალახოდ, თვითონ არგოსი კი ჩამოჯდა მთის უმაღლეს მწვერვალზე და ფხიზლად თვალყურს ადევნებდა მტერი არსაიდან შემოპარვოდა.

ყოვლისშემძლე ზევსმა ვერ მოითმინა თავისი საყვარელი იოს ამდენი ტანჯვა და მწუხარება, და უბრძანა ფეხმალ ჰერმესს გოლიათი არგოსი მოეკლა და საცოდავი მეფის ასული სამუდამოდ გაეთავისუფლებინა.

ჰერმესი ელვის სისწრაფით დაემზა დედამიწაზე ყოვლისშემძლე ზევსის ბრძანების შესასრულებლად.

ღმერთების ერთგულმა შიკრიკმა, როგორც კი იგი დედამიწაზე ჩამოეშვა, უმაღლესად გაიხადა ფრთებით შემოსილი ღვთაებრივი ფეხსაცმელი, აიღო ხელში თავისი გრძნეული კომბალი და სამწყემსო სალამურზე, სირინგზე, საუცხოო სიმღერების დაკვრით ცხვრების ფარა და თხების ჯოგი ასთვალა არგოსის მახლობლად მდებარე მთის კალთებისაკენ გარეკა.

სალამურის ტკბილის ხმით მოხიბლულმა არგოსმა მიიწვია ღვთაებრივი მწყემსი მთის მაღალ მწვერვალზე და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩემო კეთილო მეგობარო! შენი სამწყემსო სირინგის ღვთაებრივი ხმა ყურში ტკბილად მეწვეთება და მთელ ჩემ არსებას ხიბლავს. მომიახლოვდი და ჩამოჯექ აი აქ, ამ კლდეზე, ჩემს მახლობლად. ხედავ, როგორი საუცხოო საძოვრებია ჩვენ წინ გადაშლილი? აბა,

თვალი გადაავლე, რამდენი გრილი და საამური ჩეროები მოიპოვება ჩემს მახლობლად!“

ჰერმესი მიუახლოვდა მთის იმ მწვერვალს, სადაც არგოსი იჯდა და მის გვერდით ჩამოჯდა.

მთელი დღის განმავლობაში ჰერმესი ზოგს რას მოუთხოვდა არგოსს, ზოგს რას, და სალამურის ტკბილი ხმების მოსმენით ცდილობდა იგი დაეძინებია.

არგოსი ხან რომელ თვალს დახუჭვდა, ხან რომელს, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის რამდენიმე თვალი მაინც ღიად ეჭირა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა ძილისათვის თავი არ მიეცა.

არგოსს რომ ძილი არ მორეოდა, იგი სხვადასხვა საკითხს აძლევდა თავის მოსაუბრეს და სხვათა შორის იმის შესახებაც შეეკითხა, თუ ვინ გამოიგონა სალამურიო.

ცბიერმა ჰერმესმა შემდეგი უამბო არგოსს.

„არკადიის მაღალსა და მიუვალ მთებში ცხოვრობდა უმშვენიერესი ნიმფა, ნაიადა სირინგა.

ნიმფას სილამაზე და სიმშვენიერე ღმერთებსაც კი ხიბლავდა და ატყვევებდა.

მთელი დედამიწის ზურგზე, კიდითი კიდემდე, სირინგას ხასიათის სიმტკიცე, მისი სიამაყე და მიუკარებლობა ყველასაგან ცნობილი იყო.

ამიტომ ყველანი მოკრძალებით შეჰყურებდნენ მშვენიერ ნიმფას და ერთი წუთითაც ვერ ბედავდნენ თავისი გულისთქმა, თავისი გულწრფელი სიყვარული გაემჟღავნებიათ მისთვის.

სატირები და ველებისა და ტყეების სხვა ღმერთები ამაოდ ცდილობდნენ მშვენიერი სირინგას გულის მოგებას, სიყვარულის ქსელში მის გაბმას.

ყველგან და ყოველთვის მიუკარებელი, ამაყი სირინგა ძლიერ შორს იჭერდა თავს და ამიტომაც იყო, რომ ვერავინ მას სიყვარულის გამოცხადებას ვერ უბედავდა.

სირინგა ყველაფერში ქალღმერთს არტემიდეს ბამავდა და ყოველგვარ მაგალითს მისგან იღებდა.

ქალღმერთ არტემიდეს მსგავსად სირინგა მუდამ მთებში და უღრან ტყეებში ნადირობდა და თავისი გარეგანი შეხედულებით, ტანსაცმლით სავსებით წააგავდა ქალღმერთ არტემიდეს.

ყველანი, როცა მთებში მონადირე სირინგას დაინახავდნენ, ფიქრობდნენ, რომ ქალღმერთი არტემიდე ნადირობსო.

მათ შორის განსხვავება მარტო ის იყო, რომ ქალღმერთი არტემიდე ნადირობისას ოქროს მშვილდს ატარებდა, ნიმფა სირინგა კი – რქისას.

ერთხელ სირინგა ნადირობის შემდეგ მთებიდან ბრუნდებოდა.

გზაში ნიმფას თვალი მოჰკრა არკადიის მთების დიდმა ღმერთმა პანმა და ერთის დანახვით იგი სავსებით მოიხიბლა ნიმფას კალმით აუწერელი სილამაზითა და მშვენიერებით.

მშვენიერმა ნიმფამ უმაღვე იგრძნო დიდი ღმერთის ზრახვები და მახლობელი მდინარის ლერწმიან ნაპირისაკენ მარდად გაიქცა.

აი პანმა კიდევაც ხელი გაუწვდინა მშვენიერ ნიმფას დასაჭერად, მაგრამ, დახეთ საკვირველებას, მშვენიერი სირინგას მაგივრად, პანს ხელში ლერწმის ღერო შერჩა.

პანის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი აქვითინდა და ეს ქვითინი ლერწმის ფულუროვან ღეროდან ნაზ და მწუხარე გამოძახილად შემოესმა.

ამ ნაზი ხმით მოხიბლულმა არკადიის მთების დიდმა ღმერთმა სიხარულით წამოიძახა: „აი ამ ლერწმის ღეროს არასოდეს ხელიდან არ მოვიშორებ და განუყრელად ჩემთან ვატარებ!“

ამ სიტყვებთან ერთად პანმა ლერწმის ღერო გაჭრა ორ თანასწორ ნაწილად, ეს ნაწილები თავლის სანთლით მაგრად მიაკრა ერთმანეთს და ამ ლერწმის საკრავს სირინგა ანუ სალამური უწოდა.

ამ სიტყვების დამთავრება ძლივსლა მოასწრო ჰერმესმა, რომ არგოსმა თავისი ფხიზელი თვალები ერთიანად დახუჭა და მისი უზარმაზარი სხეული ღრმა ძილმა მოიცვა.

ცბიერმა ჰერმესმა ისარგებლა ამ მოხერხებული შემთხვევით, იძრო ბასრი ხმალი და ელვის სისწრაფით მოჰკვეთა თავი საზიზღარ გოლიათს.

კისრიდან ამოვარდნილი შავი სისხლი ცის თვალუწვდენელ სივრცეს წვდებოდა და ირგვლივ მთელ არემარეზე გაუვალ გუბეებს აყენებდა.

ამრიგად, მწუხარებისა და ტანჯვის შემდეგ, როგორც იქნა, გათავისუფლდა მეფე ინაქს მშვენიერი ასული იო.

მაგრამ განრისხებულმა ჰერამ არგოსის თვალებით თავისი საყვარელი ფარშავანგის კუდი შემოჭედა და მოკაშკაშე ვარსკვლავებივით შეამკო, საბრალო იოს კი ახალი მწუხარება და ტანჯვა მოუვლინა.

დაუცხრომელმა ქალღმერთმა ძროხადქცეულ ქალწულს მოუვლინა უზარმაზარი კრაზანა, რომელიც მწვავედ ჩხვლეტდა თავისი ნესტარით საცოდავ იოს და მთელ სხეულს უიარავებდა.

ტკივილებით გამწარებულმა იომ, რომელსაც მოუშორებლივ თანსდევდა საზიზღარი კრაზანა, განვლო ილირია, სკვითების ველური ქვეყნები, მთელი კავკასია, ამორძალების ქვეყანა, კიმერიის ბოსფორი, აზიის ქვეყნები, ბოლოს ეგვიპტეში მივიდა და მდინარე ნილოსის ქვემო ნაწილში გაიჩინა თავისი ახალი სამშობლო.

დადლილი და ღონემიხდილი იო მუხლმოდრეკით შეევედრა თავის ახალ სამშობლოში ყოვლისშემძლე ზევსს, რათა ღმერთების მამამთავარს ბოლო მოეღო საბრალო ქალის დაუსრულებელი ტანჯვისა და მწუხარებისათვის.

ზევსმა თავისი ღვთაებრივი მოხერხებულობითა და გამჭრიახობით შესძლო მცირედად მაინც შეენელებინა თავისი მეუღლის ჰერას მრისხანება და ქალწულ ქალს, მშვენიერ იოს, დაუბრუნა თავისი პირვანდელი სახე.

იოს ტანიდან ბალანი სცვივა, რქები თავს შორდება, თვალების ქუთუთოები უვიწროვდება, სქელი ტუჩები ადამიანის ტუჩების სახეს იღებს და ფეხებზე ფლოქვები სცილდება.

მშვენიერმა იომ თავისი პირვანდელი სახე მიიღო.

საბრალო იოს სიხარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ ხმის ამოღებას იგი ჯერ კიდევ ვერ ბედავს.

საბრალო ქალი შიშობდა, რომ ადამიანის ხმის მაგივრად პირუტყვის ღმუილი არ დასჩემებოდა. საცოდავი იო ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

მაგრამ დახეთ მშვენიერ იოს სიხარულს, როცა მან ადამიანურად ხმა ამოიღო, როცა მისი წინანდელი ლამაზი და დახვეწილი ხმა ყურში კიდევ ტკბილად ჩაეწვეთა.

მშვენიერ იოს ეგვიპტეში ყოვლისშემძლე ზევსისაგან შეეძინა ვაჟიშვილი ეპაფე, რომელიც შემდგომ ეგვიპტეში დიდხანს და დიდხანს მეფობდა ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

მშვენიერ იოს კი ეგვიპტელები იზიდა ქალღმერთის სახელწოდების სახით ყოველთვის უხვ მსხვერპლს წირავდნენ და ყველგან და მარადის დიდის პატივისცემით იხსენიებდნენ.

დანაე და დანაიდები

(ესქილე – „მავედრებელი ქალები“)

ეპაფეს შთამომავალს – ბელეს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა – ეგვიპტოსი და დანაე. მთელ იმ მხარეს, რომელსაც მდინარე ნილოსი რწყავს, ეგვიპტოსი ფლობდა; მისგან მიიღო ამ მხარემ სახელწოდება – ეგვიპტე. დანაე ფლობდა ლიბიას.

ეგვიპტოსს ჰყავდა ორმოცდაათი ვაჟიშვილი, ხოლო დანაეს ამდენივე ქალიშვილი.

ასე მრავალრიცხოვანი იყო მშვენიერი იოს შთამომავლობა.

მაგრამ ქალღმერთ ჰერას ჯერ კიდევ ახსოვდა ის შეურაცხყოფა, რომელიც იომ მიაყენა მას ყოვლისშემძლე ზევსთან კავშირის დაჭერით. ამიტომ ჰერა იოს შთამომავლობასაც სასტიკად სდევნიდა და ყოველგვარ უსიამოვნებას აყენებდა.

ჰერას შთაგონებით მეფე ეგვიპტოსმა ომი გამოუცხადა თავის ძმას დანაეს, სძლია იგი და სამეფო ტახტი წაართვა.

ეგვიპტოსის ვაჟიშვილებმა გადაწყვიტეს დანაეს ქალიშვილების ცოლად შერთვა.

მაგრამ დანაიდები გადაჭრით უარზე იდგნენ. მათ ყოვლად შეუძლებლად, დაუშვებლად მიაჩნდათ ასე ახლო ნათესავეებთან დაეჭირათ ცოლ–ქმრული კავშირი.

ეგვიპტიდებმა, როცა დანაიდებისაგან გადაჭრილი უარი მიიღეს, გადაწყვიტეს ძალმომრეობისათვის მიემართათ.

ყოველგვარ უსიამოვნების თავიდან ასაშორებლად დანაემ და მისმა ქალიშვილებმა გადაწყვიტეს სამშობლო სამუდამოდ დაეტოვებინათ.

საბრალო მამამ სასწრაფოდ გამოაწყო ორმოცდაათ ხოფიანი ხომალდი და თავის ქალიშვილებთან ერთად შორეულ ქვეყნისაკენ ააფრიალეს იალქნები.

ხომალდი ელვის სისწრაფით სერავდა ზღვის აბობოქრებულ ზვირთებს და ლტოლვილებს შორეული ქვეყნისაკენ მიაცურებდა.

მცირედი მოგზაურობის შემდეგ დანაე და დანაიდები მიადგნენ კუნძულ როდოსის ამწვანებულ ნაპირებს.

კუნძულ როდოსზე ღმერთების მოშიშარმა ლტოლვილებმა ქალღმერთ ატენას სახელობაზე ააგეს მშვენიერი ტაძარი და ამ კუნძულზე სამუდამოდ დაამყარეს ამ ქალღმერთის კულტი.

კუნძულ როდოსიდან დანაემ შეაცურა ხომალდი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში და ელვის სისწრაფით გაემართა თავისი წინაპრის, უმშვენიერესი იოს, სამშობლო არგოსისაკენ.

დანაემ და დანაიდებმა უვნებლად შეაცურეს ხომალდი არგოსის ნავსადგურში და დაუყოვნებლივ გამოვიდნენ ზღვის თვალწარმტაც ნაპირებზე.

დაშინებული ლტოლვილები, დაფნის ხის ფოთლებით თავზე ჩამოფარებულნი, ერთ–ერთი ტაძრის საკურთხევლის კვარცხბეკზე ჩამოსხდნენ და ამრიგად სურდათ მოეპოვათ ამ უცხო ქვეყანაში დაცვისა და ხელშეუხებლობის უფლება.

არგოსის ძლევამოსილი მეფე პელაზგე, როგორც კი გაიგო მან უცხო სტუმრების მოსვლა, დაუყოვნებლივ გაემართა ტაძრისაკენ ჯარისკაცებისა და თავისი ამალის თანხლებით. მეფემ გამოკითხა ტაძარში თავშეფარებულებს არგოსში მოსვლის მიზეზი.

დანაემ დაწვრილებით მოახსენა მეფეს, რომ თავისმა ღვიძლმა ძმამ უსამართლოდ ჩამოართვა სამეფო ტახტი, მოძალადე მეფის ვაჟიშვილებმა ამავე დროს განიზრახეს ძალდატანებით ჩემი ქალიშვილების ცოლად შერთვა, რის გამოც იძულებული შევიქენით სამშობლო მხარე დაგვეტოვებინაო. უეჭველია, დასძინა დანაემ, მოძალადე ბიძაშვილები სადაცაა მოვლენ თავისი ჯარებით არგოსშიც და შეეცდებიან ძალდატანებით წაიყვანონ ჩემი ქალიშვილებიო. თვალცრემლიანმა დანაიდებმა მიმართეს ძლევამოსილ არგოსის მეფეს: „ დიდებულო მეფეო, გთხოვთ დახმარება აღმოგვიჩინოთ და მოსალოდნელ განსაცდელს გადაგვარჩინოთ! დიდებულო მეფეო, თუ თქვენ ჩვენს გულწრფელ თხოვნას არ შეიწყნარებთ, ყველანი აქვე, ამავე ტაძრის კვარცხბეკზე ყელებს გამოვიჭრით და უსინდისო მოძალადეებს ცოცხალი ხელში არ ჩავუვარდებით!“

მეფე პელაზგეს ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ერთის მხრივ მეფეს ეგვიპტიდების ძლევამოსილი მხედრობის ეშინოდა, მეორეს მხრივ კი ყოვლისშემძლე ღმერთების რიდი და პატივისცემა მოითხოვდა ლტოლვილებისათვის საჭირო შველა და დახმარება აღმოეჩინა.

დიდი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ მეფემ საბოლოოდ გადაწყვიტა ტაძარში შეხიზნული ლტოლვილებისათვის, რადაც უნდა დაჯდომოდა, დახმარება აღმოეჩინა და თავის სახელმწიფოში უშიშრად შეეკედლებინა.

ეგვიპტიდების უამრავი ჯარი, რომელსაც მოუძღოდნენ დანაეს ძმისწულები, სამკვდრო–სასიცოცხლოდ ეკვეთა მეფე პელაზგეს მხედრობას.

ატყდა საშინელი ბრძოლა. მეომრები სისხლის ღვარს აყენებდნენ ბრძოლის ველზე. მთელი დღის განმავლობაში ეს საშინელი და საბედისწერო ბრძოლა ოდნავადაც არ შენელებულა

დახოცილთა გვამები უთავბოლოდ ცურავდნენ ბრძოლის ველზე დაყენებულ სისხლის მორევში.

დაჭრილთა და დასახიჩრებულთა კვნესა, გმინვა მთელს არემარეს აყრუებდა და ბრძოლის ველზე ჯოჯოხეთურ საშინელებას ატრიალებდა.

სადამო ჟამს ეგვიპტიდების ძლევამოსილმა მხედრობამ სძლია პელაზგეს მიერ ბრძოლის ველზე გამოყვანილ თავგანწირულ მეომრებს.

ამრიგად ამ საშინელსა და სამკვდრო–სასიცოცხლო ომში გამარჯვება ეგვიპტიდების მხედრობის მოძალადე სარდლობას ხვდა წილად.

პელაზგე საბოლოოდ დამარცხდა. მხედრობამ იარაღი დაჰყარა და მტერს დამორჩილდა.

არგოსელების მხედრობამ მეფედ დანაე აირჩია, როგორც მშვენიერი იოს ძლევამოსილი შთამომავალი.

პელაზგე გადასხლდა სახელმწიფოს ჩრდილოეთ ნაწილში და იქ გაიჩინა ახალი სამფლობელო.

დანაე, თავისი სამეფო ტახტი რომ განემტკიცებინა, იძულებული შეიქნა მოძალადე ძმისწულების მიერ წამოყენებული პირობები მიეღო.

მოძალადეები ზავის შეკვრას თანხმდებოდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ დანაე თავის ქალიშვილებს მათ მიათხოვებდა.

დანაე ძალას დაემორჩილა და ასეთ შეუწყნარებელ პირობაზე თანხმობა განაცხადა.

მოძალადეებმა შეირთეს დანაეს ქალიშვილები და ქორწილიც გადაიხადეს.

მაგრამ შეურაცხყოფილი მამა თავის მოძალადე სიძეებს დიდ განსაცდელს უმზადებდა.

ქორწინების დღეს დანაემ საიდუმლოდ დაურიგა თავის ქალიშვილებს ბასრი ხანჯლები და უბრძანა მეუღლეებისათვის ღამით გულ-მკერდი სასიკვდილოდ გაეგმირათ.

დანაიდებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს საყვარელი მამის წინადადება და, როგორც კი ქმრებს ჩაეძინათ, ბასრი ხანჯლებით განგმირეს ისინი და სამუდამოდ სიცოცხლეს გამოასალმეს.

მხოლოდ ერთმა ქალიშვილმა, ჰიპერმნესტრამ შეიბრალა თავისი მეუღლე ლინკვესი და საყვარელი მამის ბრძანება სისრულეში არ მოიყვანა.

ჰიპერმნესტრას ასეთმა საქციელმა დები მოთმინებიდან გამოიყვანა. შეურაცხყოფილი დანაიდები დაჟინებით მოითხოვდნენ მოღალატე დის სასტიკად დასჯას. დანაემ თავისი უღირსი ქალიშვილი დააპატიმრა და ისიც მოითხოვდა მის სასტიკად დასჯას.

გასამართლების დღეს სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე გამოცხადდა სამსჯავროში და მთელი თავისი ღვთაებრივი მჭევრმეტყველებით მოითხოვდა მოსიყვარულე მეუღლე ქალი სრულიად უდანაშაულოდ ეცნოთ და საპყრობილედან დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ.

ხალხმა დიდი ბჭობისა და თათბირის შემდეგ ჰიპერმნესტრა სრულიად უდანაშაულოდ სცნო და დაუყოვნებლივ საპყრობილედან გაათავისუფლა.

ჰიპერმნესტრა და მისი უსაზღვროდ მოსიყვარულე მეუღლე ლინკვესი დიდხანს, დიდხანს ბედნიერად და სიამტკბილობით ცხოვრობდნენ.

დანაემ, ხელმეორედ რომ თავისი ქალიშვილები გაეთხოვებია, საჯარო თამაშობები მოაწყო სახელმწიფოში. ამ თამაშობებში გამარჯვებულებს დანაემ საჩუქრის სახით მიათხოვა თავისი ქალიშვილები.

იმ დიდი დანაშაულისათვის კი, რომელიც დანაიდებმა თავისი პირველი ქმრების და ნათესავების მკვლელობით ჩაიდინეს, საიქიოში სასტიკ სასჯელს იხდიან და განუწყვეტლივ იტანჯებიან.

ყოვლისშემძლე ზევსის ბრძანებით დანაიდები ყოველდღე უძირო კასრში წყალს ასხამენ და ამ კასრის ამოვსებას ბოლო არ ეღება. აი ეს-ესაა უნდა გაივსოს ჭურჭელი, მაგრამ უეცრად გაეცლება წყალი და კასრი კვლავ ცარიელია. ისევ მოაქვთ დანაიდებს წყალი, ასხამენ უძირო ჭურჭელში, და ასე დაუსრულებლად გრძელდება მათი უნაყოფო მუშაობა.

ე ვ რ ო პ ა

(მოსხი – „იდილიები“ II)

ფინიკიის მდიდარ ქალაქ სიდონის მეფე აგენორს ყავდა საკვირვლად მშვენიერი და ლამაზი ასული, რომელსაც სახელად ევროპა ერქვა.

მეფის ასულის სილამაზე და სიმშვენიერე მთელ სახელმწიფოში, კიდით კიდემდე, განთქმული იყო. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ მეფის ასულს და მის ღვთაებრივ მშვენიერ სახეს გულში ღრმად იბეჭდავდნენ და გონებიდან ერთ წუთსაც არ იშორებდნენ.

ერთხელ, ჯერ კიდევ როცა ღამის წყვედიადს ირგვლივ ყველაფერი მოეცვა და განთიადის მოახლოების ნიშნები არ ჩანდა, სიყვარულის ქალღმერთმა აფროდიტემ მეფე აგენორის ასულს ტკბილი, მაგრამ ამავე დროს მეტად იშვიათი შინაარსის სიზმარი მოუვლინა.

მშვენიერმა ევროპამ სიზმრად ნახა, თითქოს ქვეყნიერების ორ ნაწილს _ აზიასა და იმ მხარეს, რომელიც აზიის დასავლეთით იმყოფება, ქალების სახე მიეღოთ და ერთმანეთს ედავებოდნენ, მეფის ასული ვის უნდა მიეკუთვნოსო. ამ მოდავე ქალებს – ერთს თანამემამულე ქალის სახე მიეღო, ხოლო მეორეს კი უცხოელი ქალის სახე.

აზია თანამემამულე ქალის სახით, დაჟინებით უმტკიცებდა თავის მოწინააღმდეგეს: „მეფის მშვენიერი ასული მე მეკუთვნის, იგი მე წარმოვმოზე და მე აღზარდეთო.

უცხოელმა ქალმა მძლავრად ჰკრა ხელი თანამემამულე ქალის სახით მოვლენილ აზიას, სასწრაფოდ ჩამოიშორა იგი და მეფის ასული თან წაიყვანა, რადგან ყოვლისშემძლე ღმერთმა ასე მოისურვა.

ევროპას გულის ცახცახით გამოეღვიძა. შიშით შეჰპრობილი დაუყოვნებლივ საწოლიდან წამოიჭრა.

ძალზე შეშფოთებული ქალწული დიდხანს , დიდხანს ენაამოუღებლივ იჯდა საწოლზე და ვერ აეხსნა, რას მოასწავებდა ეს სიზმარი. საბრალო ქალწულს სიზმარი სრულის სიცხადით თვალწინ ეხატებოდა, მოდავე ქალების სახეები თვალთაგან არ შორდებოდა, მათი სიტყვები თითქოს ცხადლივ ყურში ეწვეთებოდა.

ბოლოს მოდუნებულის ხმით ევროპამ ერთბაშად წამოიძახა: „რომელმა ღვთაებრივმა არსებამ მომივლინა ეს საკვირველი სიზმარი? ნეტავი ვინ იყო ის უცხოელი ქალი, რომელიც სიზმრად ვნახე? როგორი სიყვარულით, როგორი ალერსით მიზიდავდა იგი თავისკენ! მერე ჩემი მგრძნობიარე გული რატომ ასე მხურვალედ მიისწრაფოდა მისკენ! დეე, ნეტარმა ღმერთებმა ინებონ ამ ჩემი სიზმრის კეთილად შესრულება!“

ამ სიტყვებით მშვენიერი ევროპა გამოვიდა საწოლი ოთახიდან და მოიწვია თავისი მეგობარი ქალები, რომლებთანაც იგი ბავშვობიდანვე ცელქობდა, თამაშობდა, სასეირნოდ დადიოდა, მდინარის ანკარა წყალში ბანაობდა და თვალუწვდენელ გამლილ ველზე სურნელოვან ყვავილებს ბავშვურის გატაცებით ჰკრეფდა.

მშვენიერი ევროპა და მისი მეგობარი ქალები მცირე ხნის მასლაათის შემდეგ კალათებით ხელში გაემართნენ ზღვის სანაპიროსაკენ, სადაც ისინი ჩვეულებრივ მხიარულად ერთობოდნენ და კალათებში სურნელოვან ყვავილებს აგროვებდნენ.

მშვენიერმა ევროპამ თან წამოიღო ჰეფესტოს მიერ ნაჩუქარი ოქროს კალათა, რომელზეც მხატვრულად ამოკვეთილი იყო ყოვლისშემძლე ზევსის და მისი მშვენიერი იოს სიყვარულის ამბავი.

ახალგაზრდა ქალთა კრებული მხიარულად მოეფინა ზღვის პირას გაშლილ აყვავებულ ველს. ზოგი ჰკრეფდა სურნელოვან ნარგისსა და ჰიაცინტს, ზოგი კი იასა და ქურქუმას.

სილამაზით და სიმშვენიერით გაბრწყინებული ევროპა თავის მეგობარ ქალებთან ერთად მხიარულად ჰკრეფდა ცეცხლივით ანთებულ ყვავილებს და თავის ოქროს კალათაში აგროვებდა.

მაგრამ მშვენიერ ქალწულს დიდხანს არ დასცალდა დამტკბარიყო ბუნების ასეთი წარმტაცი სიდიადით.

ოლიმპოს მბრძანებელი ზევსი, როგორც კი მან თვალი მოჰკრა ყვავილებით აბიბინებულ ველზე მშვენიერ ევროპას, სიყვარულის ალით აენტო და დაუყოვნებლივ გადაწყვიტა იშვიათი სილამაზის ქალიშვილის მოტაცება.

მაგრამ თავისი ეჭვიანი მეუღლე ჰერა ქალღმერთი რომ არ გაენაწყენებინა და ახალგაზრდა ქალწული ევროპაც არ შეემფოთებინა, ზევსმა იშვიათი სილამაზის ხარის სახე მიიღო.

ეს მშვენიერი ხარი როდი წააგავდა ჩვეულებრივ ხარს, რომელიც მძიმე უღელს ეწევა და სამოვრებზე საბალახოდაა გაშვებული. ბაჯაღლო ოქროსავით მბრწყინავი ტანი, შუბლის შუა ადგილას მრგვალი, ვერცხლისფერი ნიშანი და თავზე ლამაზად მომარჯვებული ნამგლისმსგავსი რქები ღვთაებრივ ხარს სილამაზეს ერთიორად მატებდნენ.

ზღვის პირას თავმოყრილმა ქალიშვილებმა, როგორც კი ეს საუცხოო ხარი ყვავილებით ამწვანებულ ველზე დაინახეს, უმალ კისკისით გარშემოერთყნენ, ზურგზე და თავზე ხელებს უცაცუნებდნენ, ეალერსებოდნენ.

ღვთაებრივი ხარი მიუახლოვდა ევროპას და ალერსით შეჰყურებდა სილამაზით გაბრწყინებულ ქალწულს და მისგან ფეხს არ იცვლიდა.

მეფის ასულიც ღმობიერად თავზე ხელს უსვამდა. ზურგზე სიყვარულით ხელებს ავლებდა და ტუჩებზე მომდგარ თეთრ ქაფს უწმენდა.

ღვთაებრივი ხარი გაწვა მეფის ასულის ფეხთა მახლობლად ყვავილებით აბიბინებულ ველზე, მიუშვირა ქალწულს თავისი ფართო ზურგი და თითქოს თხოვდა შემაჯექ ზურგზე და გავისეირნოთო.

ევროპამ თავის მეგობარ ქალებს, რომლებიც ღვთაებრივი ხარის გარშემო ტრიალებდნენ და მხიარული კისკისით იქაურობას აყრუებდნენ, ამ სიტყვებით მიმართა: „ჩემო ძვირფასო და საყვარელო მეგობრებო! ხედავთ ამ საუცხოო ხარს, როგორი ალერსით და სიყვარულით შემოგვცქერის! ყოვლისშემძლე ღმერთებს მისთვის ადამიანის გონება მიუნიჭებიათ, ხოლო იგი მეტყველებას რომ არ იყოს მოკლებული, უეჭველია მოგვმართავდა და გვთხოვდა, შემაჯექით ჩემს ფართო ზურგზე და ყვავილებით აბიბინებულ ველზე გაგასეირნებთო!“

ამ სიტყვებით მეფის ასული, მშვენიერი ევროპა, სიცილითა და კისკისით შეახტა ზურგზე ღვთაებრივ ხარს.

მეგობარი ქალებიც, ის იყო ევროპას გვერდით უნდა მოსხდომოდნენ, რომ ღვთაებრივი ხარი უმაღლეს წელში გაიმართა, მეფის მშვენიერი ასული ფეხაკრეფით გაიტაცა და ელვის სისწრაფით მიაშურა ზღვის ნაპირს.

საბრალო ევროპა ხელების ქნევით თავის მეგობარ ქალებს მოუწოდებდა და შველას თხოვდა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. მეგობარი ქალები იმდენად შორს დარჩნენ, რომ მეფის ასულის დახმარებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

ღვთაებრივი ხარი, როგორც კი მან ზღვის ნაპირს მიაღწია, ელვის სისწრაფით გადაეშვა ზღვაში და მის აბობოქრებულ ტალღებში შესცურა.

დაინახეს თუ არა ნერეიდებმა ღვთაებრივი ხარი და მის ზურგზე შემჯდარი მშვენიერი ევროპა, უმაღლეს ამოცურდნენ ისინი ზღვის თვალუწვდენელი სიღრმიდან, გარშემოერთყნენ მათ და სამხიარულო ფერხული გამართეს.

ზღვის მკვრობელი ყოვლისშემძლე პოსეიდონი, ტრიტონების უამრავი ჯარით გარშემორტყმული, თვითონ ხელმძღვანელობდა ნერეიდებისაგან შემდგარ სამხიარულო კრებულს და უხიფათო გზას უკვლევდა ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში თავის ღვთაებრივ ძმას.

მხიარულების ფერხულში ჩაბმულნი ტრიტონები ბუკსა და ნაღარას უკრავდნენ და საქორწილო ჰიმნებს ტკბილად აჟღერებდნენ.

შიშისაგან აცახცახებულ მშვენიერ ევროპას ცალი ხელი ღვთაებრივი ხარისათვის ჩაეველო, ცალი ხელით კი კაბის კალთებს იწევდა, რომ ზღვის ზვირთებში არ დაესველებია.

საქორწინო მაცრიონმა მიაღწია ზღვის იმ ადგილას, საიდანაც უკვე არ ჩანდა ზღვის ნაპირები. ზემოთ მხოლოდ მაღალი ცა და ქვემოთ ზღვის თვალუწვდენელი სივრცე იშლებოდა ღვთაებრივ მოგზაურთა თვალწინ.

მშვენიერი ევროპას მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. საბრალო ქალწული, საყვარელ სამშობლო მხარეს მოწყვეტილი, უნუგემოდ იტანჯებოდა და ვერ გამოერკვია, ვის, საით და რა მიზნით მიჰყავდა იგი ზღვის ამ უსასრულო სივრცეში.

დაბოლოს, მწუხარებითა და უნუგემო სევდით ილაჯგაწყვეტილმა ევროპამ ამ სიტყვებით მიმართა ღვთაებრივ ხარს: „ვინა ხარ, ღვთაებრივო ხარო, და მითხარი საით და რა მიზნით მიგყავარ? რატომ ასე უშიშრად და გაბედულად მიცურავ ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში? ზღვა ხომ ხომალდების სასიარულოდაა განკუთვნილი? ხარებს, საზოგადოდ, ზღვის აბობოქრებული ტალღების ეშინიათ! თუ შენ რომელიმე ღმერთი ხარ, რატომ ჩადიხარ ისეთ საქმეს, რომელიც ღვთაებრივ ძლიერებას სრულიად არ შეეფერება და შეშვენის? აბა, ვის გაუგონია, რომ დელფინები დედამიწაზე მოგზაურობდნენ? შენ კი სრულიად უვნებლად მიცურავ ზღვის აბობოქრებულ ზვირთებში და შენის ფეხებით მედგრად, უშიშრად აპობ ამ თვალუწვდენელ ზღვას! შენ იქმდეც კი მიაღწევ, რომ სწრაფფრთებიან ფრინველის მსგავსად ცის თვალუწვდენელ სივრცეშიც კი ამაფრენ! ვაგლახ, მე უმწეოსა და უბედურს, რომელმაც სამუდამოდ დავკარგე ჩემი სამშობლო მხარე, სამუდამოდ მოვწყდი ჩემი ძვირფასი და საყვარელი დედ-მამის მშობლიურ ალერსს! ვაგლახ მე, ზღვებისა და წყლების ყოვლისშემძლე მბრძანებელო! მე, ერთ წუთსაც არ ვეჭვობ, რომ ღმერთების ნება-სურვილით ვმოგზაურობ ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში!“

ღვთაებრივმა მშვენიერ რქიანმა ხარმა ასე უპასუხა თვალცრემლიან მშვენიერ ევროპას: „მშვენიერო მეფის ასულო, ჩემო ძვირფასო ევროპავ, გულს მწუხარებითა და სევდით ნუ შეიშფოთებ! დამშვიდდი! დამშვიდდი, ზღვის აბობოქრებული ტალღების ნუ გეშინია! მე ყოვლისშემძლე ღმერთი ზევსი ვარ, მხოლოდ ხარის სახე მაქვს მიღებული, მე ყოველგვარი სახის მიღება შემიძლია. შენდამი სიყვარულმა მაიძულა

ხარის სახე მიმელო და ზღვის ტალღებში გამეკვლია გზა. შენთვის ახალ სამშობლოდ მე დავსახე კუნძული კრეტა, სწორედ ის ადგილი, სადაც ჩემი ღვთაებრივი აკვანი ჩემდა საკეთილდღეოდ ოდესღაც ირწეოდა.

მშვენიერი ეს კუნძული სიხარულით და სიამოვნებით მიგიღებს. ამ კუნძულზე აგიგებ საუკეთესო სასახლეს, სადაც შენ წარმოშობ დიდებულსა და სახელოვან შვილებს, სკიპტრამპყრობელ მეფეებს, რომლებიც დიდხანს, დიდხანს იმეფებენ თავის მშობელი დედისა და ღვთაებრივი მამის სასახელოდ და სადიდებლად!

ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა თავისი ღვთაებრივი დაპირება მართლაც ღირსეულად შეასრულა.

მშვენიერ ევროპას კრეტას თვალწარმტაც კუნძულზე ზევსისაგან შეეძინა სამი ვაჟიშვილი: მინოსი, რადამანთი და სარპედონი. მათ უდიდესი მეფეების სახელი მოიხვეჭეს და დიდხანს და დიდხანს ბედნიერად განაგებდნენ სახელმწიფო საქმეებს თავის საყვარელი მშობელი დედის ევროპისა და ყოვლისშემძლე ზევსის სასახელოდ და სადიდებლად.

ატაკის ციკლის

თქმულებანი

იონი

(ევრიპიდე – „იონი“)

ათენის ძლევა მოსილი მეფის ერეხთევსის მშვენიერ ასულს კრეუზას აპოლონ ღმერთისაგან შეეძინა ვაჟიშვილი.

კრეუზა ერთხანს ახალშეძენილ ვაჟს მშობლების ოჯახში მალულად ინახავდა.

მაგრამ რაც უფრო და უფრო იზრდებოდა ბავშვი, მისი ფარულად შენახვა ისე, რომ მშობლებს არა გაეგოთ რა, ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა.

ბოლოს და ბოლოს კრეუზამ თავისი საყვარელი პირმშო შვილი სხვა, უფრო მოხერხებულ ადგილას გადაიყვანა.

მოსიყვარულე დედამ ბავშვი ფრთხილად შეახვია თბილ საბანში, გააწყო მშვენიერად კალათი, რომელშიც ჩაალაგა რამდენიმე ძვირფასი ნივთი, ჩააწვინა შიგ ბავშვი და ამრიგად გამზადებული კალათი ერთგულ მოსამსახურე ქალს დაადგმევინა ათენის ჩრდილოეთის მთების კალთებზე, იქ, სადაც სამოვრების ღმერთ პანის მღვიმე იყო გამოკვეთილი.

კრეუზა ღრმად დარწმუნებული იყო, რომ აპოლონ ღმერთი თავის ღვიძლ შვილს არ მოიძულებდა და მის აღსაზრდელად საჭირო ზომებს მიიღებდა.

მართლაც, აპოლონ ღმერთმა დაუყოვნებლივ მოიწვია თავისი ძმა ჰერმესი და შემდეგი თხოვნით მიმართა: „ჩემო ძვირფასო ძმავო! გთხოვ დაუყოვნებლივ დაეშვა დედამიწაზე და პანის მღვიმედან დელფოში გადმოიტანო კალათი, რომელშიც

ჩაწვენილია ამჟამად მუძუმწოვარი ბავშვი. კალათი დელფოს ტაძრის შესავალ კარებთან დადგი, ბავშვის შემდგომი აღზრდისათვის მე თვითონ ვიზრუნებ. იცოდე, რომ ეს ბავშვი ჩემი შვილია!“

ჰერმესმა იმავე ღამეს გადმოიტანა პანის მღვიმედან კალათი, რომელშიაც კრეუზამ ასე მზრუნველობით ჩააწვინა თავისი ღვთაებრივი ვაჟი, დადგა იგი დელფოს ტაძრის შესავალ კარებთან, კალათს თავი გადახადა და თვითონ კი უმაღლეს ოლიმპოს მწვერვალზე დაბრუნდა.

მეორე დღით, როცა ტაძრის ქურუმმა ქალმა გულთამხილავმა პითიამ ტაძრის შესავალ კარებთან კალათაში ჩაწვენილი ჩვილი ბავშვი დაინახა, გადაწყვიტა, უთუოდ ეს ბავშვი არა კეთილის განზრახვითაა მოყვანილიო და, მისი თავიდან მოშორება განიზრახა.

მაგრამ პითიამ აპოლონ ღმერთის შთაგონებით ეს განზრახვა გადაიფიქრა და ბავშვისადმი სიბრაღულით გამსჭვალულმა აიყვანა იგი და მისი მოვლა-პატრონობა იკისრა.

ბავშვი პითიას მზრუნველობით აპოლონ ღმერთის ტაძარში იზრდებოდა და, რაც უფრო და უფრო ვაჟკაცდებოდა, ტაძრის ყველა მსახურის ყურადღებას უნებლიეთ იქცევდა თავისი გამჭრიახობით, გონებამახვილობით, ბეჯითობითა და თავაზიანობით.

როცა ყმაწვილი უკვე დაჭაბუკდა, დელფოს ტაძრის მსახურებმა ტაძრის გასადები ჩააბარეს და აპოლონ ღმერთის ტაძრის მუდმივ მსახურად დანიშნეს.

ამ დღიდან ყმაწვილი ტაძრის საცხოვრებელ ბინაში დასახლდა და თავის მოვალეობას ტაძრის დასუფთავებისა და გამშვენიერების საქმეში ბეჯითად და პირნათლად ასრულებდა.

ყველა კმაყოფილი იყო ყმაწვილის კეთილსინდისიერი მუშაობით, ყველა, განუსაზღვრელად, პატივსაცემდა, ყველას გულწრფელად უყვარდა.

სწორედ ამ ხანებში თესალიიდან ატიკაში გადმოსახლდა ეოლოსის ვაჟიშვილი ქსუთოსი, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ათენის მეფეს ერეხთევსს, როცა იგი ევბეელების წინააღმდეგ ომს აწარმოებდა.

მეფე ერეხთევსმა ამ დიდი დახმარებისათვის ქსუთოსს თავისი საყვარელი ასული, მშვენიერი კრეუზა მიათხოვა.

ქსუთოსი და კრეუზა დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთადერთი, რაც აწუხებდა და სიცოცხლეს უწყამლავდა მათ, ეს იყო უშვილობა.

ღმერთების მოშიშარმა კრეუზამ და მეუღლე ქსუთოსმა გადაწყვიტეს დელფოში წასულიყვნენ და აპოლონ ღმერთისათვის ლოცვა და ვედრება აღევლინათ, რათა ყოვლადმოწყალე ღმერთს ისინი შვილით დაესაჩუქრებია და ამრიგად ათენის სამეფო ტახტი სხვა გვარეულობის შთამომავლობაზე არ გადასულიყო.

აპოლონ ღმერთის ახალდანიშნული კეთილმსახური ყმაწვილი, სანამ ყოველდღიურ საქმიანობას შეუდგებოდა, ცისკენ ხელებს აღაპყრობდა და ყოვლისშემძლე ღმერთებს აქებდა და ადიდებდა:

„ყოვლისშემძლე ჰელიოს! როგორც კი ფეხმალი ცხენებით შებმული შენი ოქროს ეტლი დედამიწას თავს წამოადგება, ღამის წყვილი იფანტება და მოკაშკაშე ვარსკვლავები ცის თვალუწვდენელ სივრცეში უხილავად ჰქრებიან. პარნასის მაღალ მწვერვალს მოახლოებული დღის სხივები უხვად ეფინება. ამომავალი დიდებული მზის შუქი გულს უთბობს და ხალხს სიხარულს და მხნეობას ჰმატებს. მზით გამთბარ ზმირნის კეთილსურნელება წვდება დელფოს მაღალ მთაგრეხილებს, სადაც

ღვთაებრივ ტახტზე ზის ქურუმი ქალი პითია, რომელიც ელინთა ხალხს ამცნობს მოწყალე აპოლონ ღმერთის ნება-სურვილს.

ყოვლისშემძლე დიდებულო ღმერთო აპოლონ! ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ განგებამ მარგუნა შენს საღვთო ტაძარში სამსახური! სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგია, ამ სანაქებო სამსახურს თავს არ დავანებებ და კეთილსინდისიერად ვემსახურები იმ დიად საქმეს, რომელიც შენის წყალობით ელინთა ხალხს მომავლის იმედს გულში უნერგავს და სწორსა და საიმედო გზას უკვლევს! გაქებ და გადიდებ, დიდებულო აპოლონ, ჩემო გულკეთილო აღმზრდელო მამავ! გაიხარე და კვლავ გაიხარე, ყოვლისშემძლე ზევსისა და ღვთაებრივი ლატონას ღირსეულო შვილო!

დედამიწის ზურგზე მთელი ხალხი გულწრფელად შენ გადიდებს, და ჭემმარიტად ღირსიც ხარ ასეთი დიდებისა!“

ასეთი საგალობლით აქებდა და ადიდებდა აპოლონ ღმერთის ტაძრის მსახური ყმაწვილი ყოველ ცისმარე დღეს ყოვლისშემძლე ღმერთებს, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმიანობას.

ყმაწვილი გვირგვინებსა და დაფნის ფოთლებს მოხდენილად ჩამოკიდებდა ტაძრის მაღალსა და მშვენიერ სვეტებზე, ნაკურთხი წყლით ტაძრის იატაკს ასხურებდა, ჰგვიდა ტაძრის მთელ არემარეს დაფნის შტოებისაგან დაწნული ცოცხით, ტაძრის ოქროს სახურავზე შემომჯდარ მტრედებს აფრთხობდა და სხვა ამგვარ საჭირო საქმეს გულმოდგინედ ეწეოდა.

ერთ დილით, ყმაწვილს თავისი ყოველდღიური საქმიანობა ჯერ კიდევ არ მოეთავებინა, იგი ხედავს მშვენიერს, დიდებულს სახის გამომეტყველ მანდილოსანს, რომელიც მოსამსახურე ქალების თანხლებით ტაძარს უახლოვდებოდა.

ტაძრის კეთილმსახურ ყმაწვილის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან დაინახა დიადი გამომეტყველების სახის მანდილოსანი, რომელიც ცხარე ცრემლებს ღვრიდა. ნაცვლად იმისა, რომ სიხარულით შესულიყო ყოვლადმოწყალე აპოლონ ღმერთის ტაძარში, იგი განუსაზღვრელ მწუხარებას მისცემოდა და მწარედ იტანჯებოდა.

ყმაწვილი ტაძრის შესავალ კარებთან მიეგება მწუხარებით შეპყრობილ მანდილოსანს და მოკრძალებით შეეკითხა, ვინა ხართ, რომელი ქვეყნიდან მოსულხართ და რა არის მიზეზი თქვენი ესოდენ უნუგეშო მწუხარებისა.

კრეუზამ აპოლონ ღმერთის ტაძრის კეთილმსახურ ყმაწვილს ასე უპასუხა: „კეთილმსახურო! მე ათენის დიდებული მეფის ერეხთევსის ასული ვარ. ჩემი მეუღლე ქსუთოსი, რომელიც ამჟამად ათენაში მეფობს, თესალიიდანაა გადმოსახლებული. რაკი ჩვენ უშვილონი ვართ, ამიტომ მოვედი დელფოში და ყოვლისშემძლე აპოლონ ღმერთს ლოცვითა და ვედრებით მუხლმოდრეკილი უნდა შევთხოვო, რათა მან კეთილი ინებოს და შვილით დაგვასაჩუქროს. თუ ყოვლადმოწყალე აპოლონ ღმერთი ჩვენს მხურვალე ვედრებას შეიწყნარებს, ათენის სამეფო ტახტი სხვა გვარეულობის შთამომავლობაზე არ გადავა და ამრიგად ჩვენი დიდი ხნის გულითადი სურვილი კეთილად შეგვისრულდება“.

საბრალო კრეუზამ აპოლონ ღმერთის ტაძრის კეთილმსახურ ყმაწვილს დაუმალა თავისი უნუგეშო მწუხარების ნამდვილი მიზეზი.

კრეუზამ დაუმალა ყმაწვილს აპოლონ ღმერთსა და მათ შორის არსებული კავშირი, დაუმალა ისიც, თუ როგორ სამუდამოდ ჩამოაშორა აპოლონ ღმერთისაგან შეძენილი შვილი, რომელიც, ვინ იცის, იქნებ სადმე უპატრონოდ დაიღუპა.

საბრალო კრეუზამ ქარაგმულად განუმარტა ტაძრის მსახურს თავისი უსაზღვრო მწუხარების ამბავი: „ერთი ჩემი მეგობარი ქალი აპოლონ ღმერთმა თავისი სიყვარულით გააბედნიერა, მაგრამ სულ მოკლე ხანში ყოვლისშემძლე აპოლონ ღმერთს სიყვარული გაუგრილდა და თავისი სატრფიალო მოკვდავი ქალი დატოვა. ყოვლისშემძლე ღმერთისაგან შეძენილი ვაჟი ჩემმა მეგობარმა ქალმა თავიდან მოიშორა და დღესაც არ იცის, ცოცხალია იგი თუ მკვდარი. აი, სწორედ მე მიხდა ჩემ საკუთარ თხოვნასთან დაკავშირებით შევეკითხო აპოლონ ღმერთს ამ უბედური ჩემი მეგობრის შესახებაც. კეთილო ყმაწვილო, ჩემი მეგობარი ქალის ვაჟი ამჟამად შენი ხნის იქნებოდა, რომ იგი სადმე კიდევ ცოცხალი მოიპოვებოდეს. ჭეშმარიტად ბედნიერია ის დედა, რომელმაც შენ გშობა და აღზარდა!“

ტაძრის კეთილმა მსახურმა ასე უპასუხა მწუხარებით აცრემლებულ კრეუზას: „დედა არა მყავს და არც ვიცი მამაჩემი ვინ არის, ვინ მომიყვანა ამ ტაძარში, ეს დღესაც ჩემთვის საიდუმლოებაა. ვიცი მხოლოდ, რომ ტაძრის ქურუმმა ქალმა აღმზარდა და, აი დღესდღეობით ღმერთის ამ ტაძარს გულმოდგინედ ვემსახურები და ეს სამსახური კვლავაც მსურს განვაგრძო!“

„როგორ მეცოდები, ჩემო კეთილო მეგობარო! – ჩაურთო სიტყვა კრეუზამ: რა რიგ წააგავს შენი ბედი ჩემი მეგობრის ბედს! შენ სწუხარ და გადარდებს, დედა არა მყავსო, ჩემი მეგობარი ქალი კი სწუხს, პირმშო შვილი დავკარგეო და, შესაძლებელია, სამუდამოდაც კი!“

ასეთ ბაასში იყო კრეუზა, როდესაც დაინახა მომავალი ქსუთოსი, იგი დაბრუნებულიყო ბეოტიიდან. აქ ტროფონის მისნისაგან მას უნდა მიეღო პასუხი, თუ რამდენად შეწყნარებული იქნებოდა მათი თხოვნა. მისანმა სრული პასუხი არ მისცა, – აუწყა მხოლოდ, რომ ქსუთოსი და კრეუზა დელფოდან უშვილოდ არ დაბრუნდებიანო.

აპოლონ ღმერთის ტაძრის ახალგაზრდა მსახურის დაჟინებითი თხოვნით ქსუთოსი შევიდა ტაძრის შინაგან საკურთხეველში, რომ პითიასაგან შეეტყო აპოლონ ღმერთის გადაწყვეტილება შვილის ჩუქების შესახებ.

კრეუზა ამ დროს, დაფნის გვირგვინებით მორთული, აპოლონ ღმერთის ტაძრის მოშორებულ საკურთხეველში შევიდა და გულმხურვალედ ლოცულობდა, რათა ყოვლისშემძლე ღმერთს მისი მეუღლისათვის საკეთილო პასუხი მიეცა.

ახალგაზრდა მსახური კი გულმოდგინედ განაგრძობდა თავის ჩვეულებრივ საქმიანობას ტაძრის კარიბჭესთან.

ამ დროს გაიღო კარები და საკურთხეველიდან გაბრწყინებული სახით გამოვიდა ქსუთოსი. როგორც კი ქსუთოსმა დაინახა მის შესახვედრად მომავალი ტაძრის ახალგაზრდა მსახური, იგი სასწრაფოდ მიიჭრა მსახურთან, სიხარულით გულში მაგრად ჩაიკრა და თავის შვილად გამოაცხადა.

მსახურს ეგონა, რომ ქსუთოსი ჭკუაზე შეირყაო, და თავიდან მოშორებას ცდილობდა, მაგრამ მოხუცი არ ეშვებოდა და კიდევ უფრო მხურვალედ იკრავდა გულში.

„თვითონ მოწყალე ღმერთმა კეთილი ინება, შენი თავი შვილად მაჩუქა! ყოვლადმოწყალე ღმერთმა გამომიცხადა, საკურთხეველიდან როგორც კი გახვალ, შვილს შეხვდებიო. ღმერთების სურვილსა და ბრძანებას, შვილო, უნდა დაემორჩილო და მამად შემეცნო!“

ყმაწვილმა მცირედი დაფიქრების შემდეგ მხიარულად უპასუხა მოხუცს: „ღმერთების სურვილსა და ბრძანებას რომ არ დავემორჩილო, ყოვლად დაუშვებელი

და შეუწყნარებელია! ამიტომ მოგესალმები და მხურვალედ გკოცნით როგორც ჩემს საკუთარ მამას!

ქსუთოსი და ტაძრის ახალგაზრდა ყმაწვილი დიდხანს და დიდხანს ერთიმეორეს მხურვალედ ეხვეოდნენ და სიხარულით გულამოსკვნით ქვითინებდნენ და ქვითინებდნენ.

ქსუთოსი შიშობდა, შესაძლებელია კრეუზამ ყმაწვილს, რომელსაც იონი⁵ უწოდა სახელად, ეჭვის თვალთ შებედოს და იფიქროს, იგი სხვა ქალისაგან შეძენილი მყავსო, ამიტომ წინდახედულმა მოხუცმა გადაწყვიტა ამჟამად შვილად აღიარებული ყმაწვილი სასახლეში უცხო პირის სახით შემოეყვანა.

ქსუთოსი დარწმუნებული იყო, რომ კრეუზა, შემდგომში ყმაწვილს ერთგვარად შეეჩვეოდა და კიდევაც შეიყვარებდა, ამიტომ ყმაწვილის შვილად აღიარება და მისი სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოცხადება სულ ადვილად მოსახერხებელი შეიქნებოდა.

ქსუთოსმა და იონმა ამ ბედნიერი დღის აღსანიშნავად გადაწყვიტეს გაემართათ ბრწყინვალე ნადიმი, რომელზეც უნდა მოეპატიჟნათ დელფოს წარჩინებული მოქალაქენი.

ბედნიერმა მამამ და შვილმა შიკრიკები დაგზავნეს დელფელების მოსაპატიჟებლად.

კრეუზა კი ამ დროს თავისი ერთგული მხევლის თანხლებით ბრუნდებოდა აპოლონ ღმერთის საკურთხეველიდან და სრულიად არაფერი არ იცოდა ქსუთოსსა და ტაძრის ახალგაზრდა მსახურს შორის მომხდარ ამბის შესახებ.

კრეუზას მხევლები მოწამენი იყვნენ იმისა, თუ რა პირობებში იშვილა ქსუთოსმა იონი, და დედოფალს გაუმჟღავნეს ის საიდუმლოება, რომელიც ქსუთოსის ვარაუდით კრეუზას მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ უნდა შეეტყო.

მხევლებმა კი ასე განუმარტეს კრეუზას ტაძარში მომხდარი ამბავი: „შენმა მეუღლემ, ძვირფასო ჩვენო დედოფალო, აი ესაა იშვილა აპოლონ ღმერთის ტაძრის ახალგაზრდა მსახური. ეს ახალგაზრდა მსახური უეჭველია სხვა ქალისაგან შეძენილი ქსუთოსის შვილია. აი, ეს ვიღაც უთვისტომო, ვიღაც უცხოელი უნდა დაეუფლოს დიდებული ერებთევის სამეფო ტახტს და მეფის პირდაპირი მემკვიდრე, ჩვენი ძვირფასი და საყვარელი დედოფალი კი, ყველასგან მოძულეებული, ყოველგვარ უფლებაყრილი, თავის საკუთარ სასახლეში საცოდავად უნდა ატარებდეს თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს! ეს ყოვლად დაუშვებელი და შეუწყნარებელია! გთხოვთ, ჩვენო საყვარელო და გონებიდან განუშორებელო დედოფალო, მიიღოთ ზომები, ტახტის უღირსმა მემკვიდრემ შენს სასახლეში ფეხი არ შემოდგას, უკანასკნელი შენი დღენი არ გაგიმწაროს და შემდგომ ათენელებს მეფის სახით არ მოევიწიოს! ჩვენ, ძვირფასო დედოფალო, შენს ერთგულ და შენთვის თავდადებულ მხევლებს, ყოვლად დაუშვებლად, ყოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩნია ვიღაც ნაშვილევის სასახლეში შემოყვანა და ასეთი უმაგალითო წარჩინების მინიჭება!“

დედოფალ კრეუზას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი სულიერად და ხორციელად იტანჯებოდა და გეგმებს აწყობდა ტახტის უღირსი მემკვიდრე, რადაც უნდა დაჯდომოდა, თავიდან მოემორებინა და სასახლეში არ შემოეყვანა ნაშვილევის სახით.

საცოდავი კრეუზა მხევლებსა და დაახლოებულ პირებს რჩევას ეკითხებოდა და ყველას გულმხურვალედ დახმარებას თხოვდა.

⁵ იონი ნიშნავს – შესახვედრად მომავალი

მეფე ერეხთევსის მოხუცმა ერთგულმა მსახურმა დედოფალს ურჩია განზრახულ ნადიმზე ქსუთოსის მიერ ნაშვილევის სასიკვდილოდ მოწამვლა.

კრეუზამ თავისი ერთგული მოხუცი მსახურის წინადადება საკვებით მოიწონა და მისი წინადადების სისრულეში მოყვანა მასვე მიანდო.

ქსუთოსი, სწორედ იმ დროს, როცა საზეიმო ნადიმი უნდა გადაეხადათ, პარნასის მაღალ მწვერვალზე აპოლონ ღმერთსა და დიონისე ღმერთს სამადლობელ მსხვერპლს წირავდა შვილის ჩუქებისათვის.

იონი კი საზეიმო ნადიმის გადახდის თადარიგს იჭერდა.

მაღალ და ლამაზ სვეტებზე იონმა გამართა მშვენიერი ფარდულები, რომელთა იატაკი და კედლები ძვირფასი ქსოვილებითა და ფასდაუდებელი ხალიჩებით მოფინა.

დეღფოს მთელი მოსახლეობა შეიკრიბა იონის მიერ ბრწყინვალედ მოწყობილ ნადიმზე.

მსახურებს ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლებით გამოჰქონდათ ნაირ-ნაირი საჭმელები და სასმელები.

სტუმრები მხიარულად შეექცეოდნენ ნუგზარ საჭმელებს და ოქროს თასებით ტკბილ ღვინოს.

გაჩაღდა ბრწყინვალე ზეიმი. კითარის ნაზი და საამური ხმა მხიარულ სტუმრებს გულში ღრმად წვდებოდა და ერთიორად კიდევ უფრო ამხიარულებდა.

სწორედ იმ დროს, როცა სტუმრებმა სადილი დაამთავრეს და ღმერთების სადიდებლად თასები ტკბილი ღვინით უნდა გაეგსოთ, საზეიმო ნადიმზე შემოვიდა მეფე ერეხთევსის მოხუცი მსახური, რომელმაც თავისი გამჭირახობით, მოქნილობით, ალერსიანი და მოსწრებული სიტყვებით სტუმრების საერთო ყურადღება მიიქცია.

თვალთმაქცი მსახური თითოეულ სტუმარს ღიმილით თავაზობდა ღვინით ავსებულ ოქროსს თასს, თამბაქოს მოსაკიდებელ ცეცხლს, ჯარასავით დასტრიალებდა სტუმრებს თავს და ყველგან სიცოცხლე და მხიარულება შეჰქონდა.

დაბოლოს, როცა ღვინით სავსე თასები ყველას ჩამოურიგა, ერთი ლამაზი ოქროს პატარა თასი თავაზიან მასპინძელს იონს შესთავაზა.

მაგრამ, სწორედ იმ დროს, როცა სტუმრებს თასებით ღვინო უნდა შეესვათ, ერთ-ერთ მსახურ მონას ღმერთების საგმობი სიტყვა წასცადა პირიდან.

იონმა ეს ღმერთების საგმობი სიტყვა ცუდ ნიშნად მიიჩნია და ღვინო თავის ოქროს თასიდან იატაკზე დააქცია.

აპოლონ ღმერთის ტაძრის ყოფილმა მსახურმა, ახალგაზრდა იონმა სტუმრებსაც წინადადება მისცა მისი მაგალითისათვის მიეზამათ.

თავაზიანმა სტუმრებმა ენაშეუბრუნებლად შეასრულეს მასპინძლის წინადადება და ოქროს თასებიდან ღვინო იატაკზე გადმოღვარეს.

ამ დროს საზეიმოდ გამართულ ფარდულში ანაზდად შემოფრინდნენ აპოლონ ღმერთის ტაძრისათვის შეწირული მტრედები.

მტრედები იატაკზე დაღვრილ ტკბილ ღვინოს დაეწაფნენ ხარბად, მოიკლეს წყურვილი და სრულიად უვნებლად გაფრინდნენ ფარდულიდან, ხოლო ის მტრედი, რომელიც იონის მახლობლად ღვინის სმას დაეწაფა, უეცრივ ფეხებისა და ფრთების ფართხალით საზარლად აჩხრიფინდა, საცოდავად თავი განზე მოიგრიხა და სამუდამოდ იქვე სული დალია.

ამ სურათის დანახვაზე იონი სწრაფად წამოიჭრა ადგილიდან და მრისხანედ შეჰყვირა: – „ვინ გაზედა ჩემი სასიკვდილოდ გამეტება? მოხუცო, ეს ოქროს თასი შენ

დამიდგი წინ და უეჭველად შენვე გეცოდინება, ვინ და რა მიზნით განიზრახა ჩემი მოწამვლა? დაუყოვნებლივ გამოტყდი, თორემ სასტიკად დაგსჯი!“

მოხუცმა დიდხანს იუარა, დანაშაული არ მიმიძღვისო, მაგრამ ბოლოს მაინც გამოტყდა და იონს მოახსენა, ღვინოში საწამლავი კრეუზას დავალებით ჩავასხიო.

იონმა დაუყოვნებლივ შეკრიბა უხუცესთა მსაჯულები, იგი ბრალსა სდებდა მეფე ერეხთევსის ასულს კრეუზას მკვლელობის განზრახვაში.

მსაჯულებმა, მიიღეს რა მხედველობაში, რომ მეფე ერეხთევსის ასულმა, უცხოელმა ქალმა განიზრახა მოეკლა აპოლონ ღმერთის ყოფილი მსახური და ეს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა შეეცადა სისრულეში მოეყვანა აპოლონ ღმერთის საკურთხევლის მახლობელ ადგილას, ერთხმად დაადგინეს დედოფალი კრეუზა ქვებით სასიკვდილოდ ჩაექოლათ.

უხუცესთა მსაჯულების ეს განაჩენი დელფელებმა ერთხმად მოიწონეს და ყველანი კრეუზას ძებნას შეუდგნენ, რომ განაჩენი, რაც შეიძლება, სწრაფად მოეყვანათ სისრულეში.

კრეუზა კი ამ დროს აპოლონ ღმერთის ერთ–ერთ საკურთხეველში იმალებოდა და შიშითა და მღელვარებით მოელოდა თავისი ერთგული მსახურის დაბრუნებას და სასიხარულო ამბავს, იონის სასიკვდილოდ მოწამვლის შესახებ.

იონმა საკურთხეველში მიაკვლია კრეუზას და ხმალამოდებული მიიჭრა მასთან, მაგრამ ამ დროს ტაძრიდან გამოდიოდა ქურუმი ქალი პითია, რომელმაც თავისი აღზრდილი, ტაძრის ყოფილი მსახური შეაჩერა. პითიამ თავის აღზრდილს ასეთი ალერსიანი სიტყვებით მიმართა: „ჩემო კეთილო ტაძრის მსახურო! ამდენ ხანს ყოვლად მოწყალე აპოლონ ღმერთის სურვილი იყო შენ ჩვენთან ერთად ამ ტაძარში გემსახურნა, ამიტომ ამ კალათს, რომლიდანაც შენ ჩვილი ბავშვი ამოგიყვანე, ტაძარში ვინახავდი. მაგრამ, როცა ახლა ყოვლადმოწყალე აპოლონ ღმერთმა შენ მამა აღმოგიჩინა და დადგა დრო, რომ შენ მამასთან ერთად ათენში გაემგზავრო და აპოლონ ღმერთის ტაძარი დატოვო, ეს კალათი შენვე უნდა დაგიბრუნო. ამ კალათის საშუალებით შენ შეგიძლია შენი მშობელი დედა მოსძებნო!“

სიხარულით ჩამოართვა ტაძრის ყოფილმა მსახურმა თავის საყვარელ აღმზრდელს ყვავილებითა და თაიგულებით შემკული კალათი იმ სრულის იმედით, რომ ამ კალათის საშუალებით თავის საყვარელ დედას მოძებნიდა.

მაგრამ სულ მალე ყმაწვილის არსება ბნელმა აზრებმა მოიცვა.

საყვარელმა აღმზრდელმა უწინასწარმეტყველა, რომ ამ კალათის საშუალებით მშობელ დედას მოძებნიო. მაგრამ რა საშინელებაა ეს წინასწარმეტყველება!..

„დედა, რომელმაც იგი ბავშვობიდანვე დატოვა, დედა, რომელმაც თავისი ღვიძლი შვილი თავიდან მოიშორა და თავისი ძუძუებით ტკბილი რძე არ აწოვა, დედა, რომელმაც თავისი საყვარელი პირმშო სხვის ანაბრად დატოვა და დედობრივი ტკბილი ალერსი მოაკლო, განა ასეთი დედა ღირსია, რომ შვილმა მოძებნოს, თავის საყვარელ დედად აღიაროს! განა უმჯობესი არ იქნება, რომ ასეთი დედა სრულიად დაივიწყოს და მის მოსაძებნად არც კი იზრუნოს?!“

ასეთი გულისდამწველი ფიქრები უწამლავდა ახალგაზრდა მსახურს მთელ არსებას და საბრალომ არ იცოდა, რა გზას დადგომოდა.

ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ იონმა ყოვლადმოწყალე აპოლონ ღმერთის სურვილის შეუსრულებლობა დაუშვებლად მიიჩნია და ბოლოს კიდევაც გადაწყვიტა მშობელი დედის ძებნას შედგომოდა.

„ყოვლადმოწყალე აპოლონ ღმერთს სურს მშობელი დედა დამიბრუნოს და მეც მოვალე ვარ ასეთ სურვილს ხმამოუღებლივ დავემორჩილო!“ გადაჭრით წარმოთქვა იონმა და კალათიდან ნივთების ამოლაგებას შეუდგა.

კრეუზა სწორედ იმ დროს, როცა პითიამ ტაძრის ახალგაზრდა მსახურს კალათი გადასცა, საკურთხევლის წინ იდგა და მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა.

გახარებული კრეუზა შეშლილივით გაექანა თავისი საყვარელი შვილისაკენ.

„დაიჭირეთ! დაიჭირეთ! – შეჰკვივლა აპოლონ ღმერთის ტაძრის ყოფილმა მსახურმა. – გაქცევას აპირებს!“

მაგრამ სიხარულისაგან გონებადაკარგული კრეუზა უკვე იკრავდა გულ–მკერდში თავის ამდენ ხანს დაკარგულ საყვარელ შვილს და სიხარულის ცრემლების ფრქვევით მხურვალედ კოცნიდა და კოცნიდა თავის პირმშოს.

„ეს რა ამბავია? – კვლავ გაჰყვირის იონი: ხედავთ, დამნაშავეს, რომელსაც სიკვდილით დასჯა მოელის, ახლა ჩემს შეპყრობას აპირებს!“

„არა, შვილო, შენ ვერ გაიგე, რას ჩავდივარ მე! აი, ამ სანეტარო წუთს მე ვიპოვე ჩემი საყვარელი შვილი! შენ ჩემი ძვირფასი, ჩემი ფასდაუდებელი საუნჯე ხარ!“ – სიხარულის ცრემლების ლაპალუპით ეხმატკბილება ბედნიერი დედა ასე ანაზღეულად ნაპოვნ თავის პირმშოს.

„სტყუი, სტყუი, მატყუარა და თვალთმაქცო ქალო! ნუთუ მართლა ფიქრობ შეცდომაში შემიყვანო და სასჯელს თავი დააღწიო! – მრისხანედ შეუყვირა კრეუზას იონმა.

„არა, ჩემო საყვარელო შვილო, შენ ცდები! ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად შენ შეგიძლია ჩემს მაგივრად ეს კალათი აალაპარაკო! ახადე თავი კალათას და შემეკითხე აბა რა არის ამ კალათაში ჩალაგებული, ყველაფერს სისწორით გეტყვი! კალათაში შენ ნახავ ჯერ კიდევ სრულიად მოუთავებელ ქსოვილს, რომელიც შუაგულში ჩემს მიერ მოქარგულია გორგონის გამოხატულებით. გორგონის ირგვლივ ამოქარგულია გველების სახეები. კალათაში შენ დაინახავ ქალღმერთ ათენას მიერ ნაჩუქარ ოქროს ორ პატარა გველეშაპს. ეს არის ახალდაბადებული ბავშვის ყელსამკაული. აქვე დაინახავ ათენის აკროპოლისზე აღმოცენებულ ზეთის ხის ტოტებისაგან დაწულ გვირგვინს. ეს ტოტები მოტეხილია ათენა პალადას იმ ზეთის ხისგან, რომელიც მუდამ ჟამს ჰყვავის, არასოდეს არ ჭკნება!“

იონმა, როცა ყოველივე ეს თავისი საკუთარი თვალთ შეამოწმა და სწორი აღმოჩნდა, სიხარულით ერთი ხმამაღლად შეჰყვირა: „ჩემო, ძვირფასო, ჩემო დღემდე უნახავო, საყვარელო დედა!“ და ელვის სისწრაფით ყელზე შემოეჭდო თავის ბედნიერ დედას.

კრეუზამ ახლა კი თავის საყვარელ შვილს გულახდილად გაუმჟღავნა, რომ მამამისი აპოლონ ღმერთია და არა ქსუთოსი.

კრეუზა, ქსუთოსი და იონი სიხარულით აღსავსენი გაემგზავრნენ ათენში, სადაც ტახტის ნამდვილი მემკვიდრე იონი დაუყოვნებლივ მეფედ იქნა გამოცხადებული.

მშვიდად, წყნარად და გონივრულად განაგებდა იონი ათენის სამეფო ტახტს. ხალხი დიდად პატივსა სცემდა თავის მიწიერ მეფეს და ნიშნად ამ პატივისცემისა ელინთა ერთ–ერთ ძლევა მოსილ ტომს იონელების სახელწოდება მიენიჭა.

ჰერაკლიდები

(ევრიპიდე – „ჰერაკლიდები“)

არგოსის ბოროტი და ცბიერი მეფე ევრისტევესი ელადის საუკეთესო გმირთა გმირს ჰერაკლეს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეუბრალებლად სდევნიდა და ავიწროვებდა.

ბოროტი მეფე მხოლოდ ნაწილობრივ მაშინ დამშვიდდა, როცა უსამართლოდ დევნილი გმირი სიკვდილმა სამუდამოდ სიცოცხლეს გამოასალმა.

მაგრამ ჰერაკლეს ობლად დარჩენილ შვილებს, ანუ როგორც მათ ეძახდნენ, ჰერაკლიდებს, ჯერ კიდევ მეტად დიდი საფრთხე მოელოდათ არგოსის ბოროტი მეფისაგან.

ევრისტევესი შიშობდა, რომ ჰერაკლიდები, როცა უკვე წამოიზრდებიან, სამეფო ტახტის დაუფლებისათვის აუცილებლად შემოედავებიან და ამიტომ მან გადაწყვიტა მოსალოდნელი ფათერაკის თავიდან ასაშორებლად, ჰერაკლიდების განადგურება, მათი სასიკვდილოდ გამეტება.

დიდებული გმირთა გმირის დაობლებული შვილები ზოგი უფროს ძმა ჰილესთან ცხოვრობდნენ ტირინთოში, ზოგი კი საყვარელ დიდედა ალკმენესთან თვით ჰერაკლეს მიერ აგებულ არგოსის ციხე-სიმაგრეში.

სამწუხაროდ ტირინთოში უშიშრად ცხოვრება ჰერაკლიდებისათვის ყოვლად შეუძლებელი შეიქნა.

ჰერაკლიდები, სიკვდილისათვის თავი რომ დაეღწიათ, ტირინთოდან ტრაქინეში გადასხლდნენ და თავი შეაფარეს მეფე კეიკოსთან.

მაგრამ კეიკოსი იმდენად სუსტი მეფე გამოდგა, რომ ჰერაკლიდებს საჭირო დახმარება ვერ აღმოუჩინა და თავის სახელმწიფოში უშიშარი თავშესაფარი ვერ გაუჩინა.

ამიტომ ჰერაკლიდები, როცა ძლიერმა ევრისტევესმა კეიკოსს დაჟინებით მოსთხოვა ლტოლვილების არგოსში დაბრუნება, იძულებული შეიქნენ კეიკოსის სამეფო დაეტოვებინათ და სხვა ქვეყანაში ეძებნათ უფრო საიმედო და უშიშარი თავშესაფარი.

უმწეოდ დარჩენილი ჰერაკლიდები ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში გადადიოდნენ და ყველას დახმარებას თხოვდნენ, ყველას დიდის თხოვნით თვალცრემლიანნი ევედრებოდნენ საცოდავი ლტოლვილები შეებრალებინათ და სადმე უშიშარი თავშესაფარი გაეჩინათ.

მაგრამ ყველა სახელმწიფოს მმართველ-გამგებლები არგოსის ძლიერი მეფის შიშით უარს ეუბნებოდნენ ჰერაკლიდებს დახმარების აღმოჩენაზე.

საბედნიეროდ, აღმოჩნდა გულშემატკივარი ადამიანი, რომელმაც თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა ყველას მიერ მოძულებული, ყველას მიერ დევნილი, სრულიად უნუგემოდ და უმწეოდ დარჩენილი, უბრალო თავშესაფარს მოკლებული ჰერაკლიდები.

ეს კეთილი და უსაზღვროდ გულშემატკივარი ადამიანი იყო ჰერაკლეს ძველი მეგობარი და თანამებრძოლი, ელადის ამ უდიდესი გმირის მუდამყამ ერთგული მოხუცი იოლაოსი.

მიუხედავად თავისი ხანშესულობისა, იოლაოსი ჰერაკლიდებთან ერთად მოგზაურობდა ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში და ყველგან მამობრივი სიყვარულით და ერთგულებით ეპყრობოდა თავისი გულითადი მეგობრის შვიელს.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მოხუცი იოლაოსი და ჰერაკლიდები მივიდნენ ათენაში, სადაც ამ დროს მეფედ იყო თეზევსის შვილი დემოფონი.

მოხუცი იოლაოსი და ჰერაკლიდები ჩამოსხდნენ ყოვლის შემძლე ზევსის სახელობის ტაძრის საკურთხეველთან და მოწყალე ღმერთებს თვალცრემლიანნი დახმარებას თხოვდნენ.

ყოველგვარ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ალკმენემ და მისმა შვილიშვილმა ქალებმა მახლობელ ტაძარს თავი შეაფარეს.

ჰერაკლეს უფროსი ვაჟი ჰილე გაემგზავრა საიმედო ადგილის მოსაძებნად და ჰერაკლიდების უშიშრად დასაბინავებლად იმ შემთხვევისათვის, თუ სხვა სახელმწიფოში მოუხდებოდათ დასახლება.

უკვე დილა იყო. მზემ თავისი ცხოველმყოფელი სხივები ქალაქს კიდითი კიდემდე უხვად მოფინა.

ხალხი მოედანზე ჯერ კიდევ ნაკლებად შეკრებილიყო.

უეცრივ ლტოლვილების წინაშე წარსდგა ევრისტევსის მიერ ათენში გამოგზავნილი დესპანი, რომელსაც მოხუცი იოლაოსი და ჰერაკლიდები მეფის დავალებით არგოსში უნდა დაებრუნებია.

დესპანმა, დაინახა თუ არა იოლაოსი, უშვერი სიტყვებით მიმართა მოხუცს და წინადადება მისცა ჰერაკლიდებთან ერთად ათენი დაუყოვნებლივ დაეტოვებია და მეფე ევრისტევსის ბრძანების შესასრულებლად არგოსში გაჰყოლოდა.

თავხედმა დესპანმა საბრალო მოხუცს უხეშად ხელი სტაცა და საცოდავად მიწაზე ათრია.

იოლაოსის მწუხარებასა და ტანჯვას საზღვარი არა ჰქონდა, იგი გამვლელ-გამომვლელს საცოდავის ხმით შველასა და დახმარებას შესთხოვდა.

სახალხო მოედანზე ათენის მოქალაქეები უკვე თავს იყრიდნენ.

მოქალაქეთა განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სახალხო მოედნის შუა ადგილას მათ დაინახეს მიწაზე საცოდავად გაშხლართული იოლაოსი, რომელსაც არგოსის მეფის მიერ გამოგზავნილი დესპანი ასე უდიერად, ასე უსირცხვილოდ გვემდა და ტანჯავდა.

საბრალო იოლაოსს გარშემორტყმოდნენ გმირთა გმირის ჰერაკლეს შვილები და ცხარე ცრემლების ფრქვევით გულამოსკვნით ტიროდნენ, ყველას შებრალებასა და შეწყალებას სთხოვდნენ.

მალე სახალხო მოედანზე თავისი ამალით გამოცხადდა მეფე დემოფონი, რომელიც მოსვლისთანავე დესპანს შეეკითხა: „ვინა ხარ? ან რის, ან ვის სამებნელად მოსულხარ ათენში?“

დესპანმა ამ შეკითხვაზე პასუხად მოახსენა მეფე დემოფონს: „ჩემი სამშობლო არგოსია, ჩემმა ბრძანებელმა მეფე ევრისტევსმა გამომგზავნა ათენში, რომ ეს ლტოლვილები შებოჭილნი დავაბრუნო თავის სამშობლო ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის ძალაუფლებამ ამ ლტოლვილებს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ჩვენი ქვეყნის შვილები ჩვენვე გავასამართლოთ და სათანადო სასჯელიც დავადოთ. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამ ლტოლვილებს მფარველობას არ გაუწევ და ამრიგად არ შეჰქმნი ისეთ ურთიერთობას, რომელსაც შენსა და ჩემს მბრძანებელს შორის არასასიამოვნო შედეგი მოჰყვება. უკეთუ, მეფეო, ამ ლტოლვილთა ცრემლებსა და გოდებას ყურს ათხოვებ და თავშესაფარს მისცემ

შენს სახელმწიფოში, იცოდე, რომ ასეთი ნაბიჯით ჩვენს უფლებას უხეშად დაარღვევ და ამ შემთხვევაში სადაო საკითხს მხოლოდ ხმალი გადასწყვეტს!“

ამ სიტყვებზე ათენის მეფემ, თეზევსის ღირსეულმა შვილმა დემოფონმა, დესპანს უპასუხა: „განა დასაშვებია და შესაწყნარებელია ამა თუ იმ ბრალდების განხილვის დროს ბრალდებულს არ მოვუსმინოთ, მისი აზრი და შეხედულება არ გავიგოთ წაყენებული ბრალდების შესახებ? აბა, შენ მოხუცო, ბავშვების გამკითხავო და მზრუნველო, შენ რაღას იტყვი თავის გასამართლებლად?“

„ეს ყმაწვილები, – ასე დაიწყო თავისი სიტყვა მოხუცმა იოლასმა, – დიდებული გმირთა გმირის ჰერაკლეს შვილებია. მე, როგორც ჰერაკლეს ძველმა მეგობარმა და თანამებრძოლმა, ავიყვანე ეს ყმაწვილები ჩემი მფარველობის ქვეშ. მეფე ევრისტევსმა ჩვენ არგოსიდან გამოგვამევა და მას აქეთ მთელს ელადში შეუბრალებლად გვდევენის. აბა, როგორ შეუძლია არგოსის მეფეს ჩვენ თავის ქვეშევრდომებად ჩავთვალოს და ჩვენი გასამართლების უფლება თვითონ მიინიჭოს, როცა მან საყვარელ სამშობლოს უსირცხვილოდ მოგვწყვიტა და არგოსელთა სახელი და პატივი წარბშეუხრელად აგყარა? ნუთუ არგოსიდან დევნილებს, ყოველგვარ უფლებაყრით არ შეუძლიათ ელადის ერთ–ერთ რომელიმე კუთხეში თავშესაფარი მოიპოვონ? არა, ეს ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია, თავისუფლების მოყვარული ათენელები უმწეო, ყველასგან დევნილ ლტოლვილებს, დიახაც, თავშესაფარს მისცემენ და თავის საზღვრებიდან არ განდევნიან.“

დარწმუნებული ვარ და კიდევაც ღრმად მწამს, რომ ათენის კეთილშობილი მოქალაქენი არგოსის მოძალადე მეფეს არ შეუშინდებიან და ყოვლისშემძლე ღმერთების საკურთხევლიდან არ განდევნიან ელადის საუკეთესო გმირის ჰერაკლეს ამჟამად დაობლებულ შვილებს, რომლებსაც შველისა და დახმარებისათვის საცოდავად ხელები გამოუწვდიათ.

თავისუფლების მოყვარული ათენელები სიკვდილს უფრო ადრე ირჩევენ, ვიდრე თავისი შარავანდმოსილი სახელი შებღალონ და შეარცხვინონ!

შენ, დიდებულო მეფეო, დარწმუნებული ვარ ბოროტი ევრისტევსის მიერ დევნილი, უმწეოდ დარჩენილი დიდებული გმირის ჰერაკლეს ობლებს, რომლებიც თვალცრემლიანი შველასა და შეწყალებას შეგთხოვენ, უგულვებელ არა ჰყოფ და საჭირო დახმარებას აღმოუჩენ! შენ, თავისუფალ სახელმწიფოს თავისუფალო მეფეო, უთუოდ კარგად მოგეხსენება, რომ მამაშენი, ეს სახელგანთქმული გმირთა გმირი, კეთილშობილი თეზევსი და ამ ობლების მამა ჰერაკლე არაერთხელ მეგობრულად ხელიხელჩაკიდებულნი მტრის წინააღმდეგ ამხედრებულან და ბრწყინვალე გამარჯვებამდეც მიუღწევიათ.

პირადად მე თვითონ მონაწილეობას ვიღებდი იმ ლაშქრობაში, რომელსაც ელინთა ეს ორი საუკეთესო გმირი ქალთა ტომის ამორძალების წინააღმდეგ აწარმოებდნენ.

ვინ არ იცის ამჟამად, რომ ჰერაკლე და თეზევსი თავგანწირულებით ეკვეთნენ ბრძოლის ველზე ამორძალების ძლევადასრულ რაზმებს და სასტიკი ბრძოლის შემდეგ სამარცხვინოდ უკუაქციეს ისინი.

უეჭველია, მოწყალეო მეფეო, ისიც გემახსოვრება, რომ გმირთა გმირმა ჰერაკლემ საიქიოს სამეფოში დატყვევებული მამაშენი, დიდებული თეზევსი გაათავისუფლა და სააქაოს მშვიდობიანად გამოიყვანა.

დიდებულო მეფეო, თვალცრემლიანი გვედრები, გემუდარები ჰერაკლეს კეთილსახსოვრად მოიღე შენი მოწყალება ამ გმირთა გმირის უმწეოდ, უნუგემოდ დარჩენილ ობლებზე და კეთილ ინებე მისცე მათ საიმედო თავშესაფარი შენს

თავისუფალ საბრძანებელში! გთხოვ, ნუ დატოვებ ამ საცოდავებს უმწეოდ და უნუგეშოდ! გახდი მათი მეგობარი, მამა და ძმა! როცა ეს ობლები წამოიზრდებიან და ცხოვრების სარბიელზე გამოვლენ, იცოდე, ღირსეულად დააფასებენ შენს დიდ წყალობას და ყველგან და მარადის შარავანდმოსილ სახელს გულითადი მადლობით მოიგონებენ და გულში განუყრელად ატარებენ!“

დემოფონმა უყოყმანოდ გადაწყვიტა არგოსის მეფის მიერ დევნილ ობლებისათვის დახმარება აღმოეჩინა და უხემ დესპანს უპასუხა: „ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ათენის თავისუფალ სახელმწიფოში უცხოელმა და ისიც უსაფუძვლოდ დევნილმა თავშესაფარი ვერ მოიპოვოს! კეთილშობილი ათენელები თავის თავს ნებას არ მისცემენ უხეშად განდევნონ ყოვლისშემძლე ღმერთების საკურთხევლიდან დახმარებისათვის მოსული უცხოელები.

ამ საცოდავი ლტოლვილების მამა, დიდებული გმირთა გმირი ჰერაკლე, ჩემი მახლობელი ნათესავია და მამაჩემის თეზევის თანამებრძოლი. მე ვალდებული ვარ თქვენი მეფის ევრისტევის მიერ უსამართლოდ დევნილ და ყოველგვარ უფლებაყრით უმწეოდ დარჩენილ ობლებს მფარველობა გავუწიო და ჩემს თავისუფალ სახელმწიფოში საიმედო თავშესაფარი გავუჩინო. გადაეცი თქვენს მეფეს, რომ მე ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია ლტოლვილები არგოსში დავაბრუნო! ხოლო თუ არგოსის მეფე უკმაყოფილო დარჩება ჩემი გადაწყვეტილებით, ისე მოიქცეს, როგორაც ჰსურდეს. მხოლოდ იცოდეს, რომ ჩემი ხმალი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ღირსეულ პასუხს გასცემს.“

დესპანმა არგოსში გაბრუნებისას მეფე დემოფონი გააფრთხილა, რომ არგოსელთა ძლევამოსილი მეფე თავისი ურიცხვი მხედრობით შემოიჭრება ათენში და იარაღით ხელში აღადგენს თავის შელახულ უფლებებს.

მძიმედ შეიარაღებული დემოფონი და მამაცი ათენელები არგოსის წინააღმდეგ გასალაშქრებლად საზღვარზე სამხედრო რაზმებს თავს უყრიდნენ.

მთელი ათენის სახელმწიფო ფეხზე დადგა.

ჯარის სარდლები მტრის შესახებ სწორი ცნობების გასაგებად სხვადასხვა მიმართულებით მზვერავებს გზავნიდნენ.

ქურუმები მსხვერპლს წირავდნენ და ყოვლისშემძლე ღმერთებისაკენ აღავლენდნენ მხურვალე ვედრებას მოსალოდნელი ომის კეთილად დამთავრებისათვის.

მისნები ფრინველთა შიგნეულის გამოკვლევით ცდილობდნენ წინასწარ გამოეცნოთ, ვინ ვის სძლევდა.

მეფე დემოფონი და ათენის მთელი მხედრობა შიშისზარმა მოიცვა, როცა ერთ-ერთმა მისანმა მეფეს მოახსენა, რომ ათენელები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებენ და მტერს საზღვრებიდან უკუაქცევენ, თუ ღმერთებს კეთილშობილი შთამომავლობის ქალწულს მსხვერპლად შეწირავენ.

ჰერაკლიდების მფარველი მოხუცი იოლაოსი ჯერ კიდევ ყოვლისშემძლე ზევსის საკურთხევის წინ იჯდა და ომის დაწყებას მოუთმენლად მოელოდა, როცა მეფე დემოფონმა გულთმისნის მიერ ნაწინასწარმეტყველები სამწუხარო ამბავი აცნობა.

დემოფონმა ამ სამწუხარო ამბავთან ერთად ისიც გადსცა, რომ ვერც ერთი ათენელი მოქალაქე უცხოელების სიცოცხლის დასაცავად ასეთ აუნაზღაურებელ მსხვერპლს ვერ გაიღებდა.

დემოფონის მიერ მოტანილმა სამწუხარო ამბავმა იოლაოსს თავზარი დასცა.

საბრალო იოლაოსისა და ჰერაკლიდების სულიერი განცდა მოგაგონებდათ ამ დროს იმ მეზღვაურების სულისკვეთებას, რომლებმაც დიდის გაჭირვებით უვნებლად მიაღწიეს სამშობლოს საყვარელ ნაპირებს და ის იყო თადარიგს იჭერდნენ ნავსადგურში შეეცურებინათ აბობოქრებული ტალღებით დაზიანებული ხომალდი, რომ უეცრივ ზღვაზე დაჰბერა მძლავრმა ქარმა, ტალღები ააფორიაქა და ნავსადგურში შესასვლელად გამზადებული ხომალდი ელვის სისწრაფით მოიტაცა და ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში შეატრიალა, სამშობლოს საყვარელ ნაპირებს მოწყვიტა.

იოლაოსისა და ჰერაკლიდების მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. საბრალონი გულამოსკვნით ქვითინებდნენ და გამვლელ-გამომვლელებს შველასა და დახმარებას თხოვდნენ.

მოხუცმა იოლაოსმა ცხარე ცრემლების ფრქვევით მოახსენა მეფე დემოფონს, რომ ჰერაკლიდების სიცოცხლის შესანარჩუნებლად იგი მზადაა თვითონ თავისი თავი მიუტანოს მსხვერპლად ყოვლისშემძლე ღმერთებს.

მაგრამ დემოფონმა განუძარტა იოლაოსს, რომ ბოროტი ევრისტევსი მოხუცის მსხვერპლად შეწირვით როდი დაკმაყოფილდება.

ვერაგ ევრისტევსს შიში აქვს ჰერაკლიდების; ისინი თავის დროზე სამაგიეროს გადაუხდიან იმ უსამართლობისათვის, რომელსაც ბოროტი მეფე დიდებული გმირის ჰერაკლეს წინააღმდეგ ყოველთვის იჩენდაო.

მოხუცი იოლაოსი და საბრალო ჰერაკლიდები გულამოსკვნით ტიროდნენ და თავისი ხმამაღალი და საცოდავი ქვითინით მთელ არემარეს კიდითი კიდემდე აყრუებდნენ.

სწორედ ამ დროს იმ ტაძრიდან, რომელშიც ალკმენე და ჰერაკლეს ქალიშვილები იმყოფებოდნენ, გამოდის გმირთა გმირის ჰერაკლეს უფროსი ასული მაკარეა, რომელმაც ყური მოჰკრა მოხუცი იოლაოსისა და თავისი ძმების საცოდავ ტირილსა და ვაებას.

ჰერაკლეს კეთილშობილმა ასულმა მაკარეამ, როგორც კი გაიგო გულთმისნის წინასწარმეტყველება, სრულიად უყოყმანოდ თანხმობა გამოაცხადა ჰერაკლიდების გადასარჩენად ყოვლისშემძლე ღმერთებისათვის თავისი თავი მსხვერპლად მიეტანა და ამრიგად მტერზე გამარჯვება ათენელებისათვის ერგუნებინა.

გმირთა გმირის დიდებული ჰერაკლეს კეთილშობილმა ასულმა მაკარეამ მოედანზე შეკრებილ ათენელებს ამ სიტყვებით მიმართა:

„თავისუფალ სახელმწიფოს თავისუფალო მოქალაქენო! მე ყოვლად დაუშვებლად, ყოვლად შეუწყნარებლად მიმაჩნია, რომ ჰერაკლიდების გადასარჩენად კეთილშობილი ათენელების სახელმწიფო ცეცხლის ალში გავხვიოთ! აბა ვინ მოგვიწონებს, რომ ჰერაკლიდების გულისათვის ათენელებმა თავისი საკუთარი სიცოცხლე გაწირონ, თავისი საკუთარი ასულები მსხვერპლად შეწირონ მხოლოდ იმისათვის, რომ უცხოელები განსაცდელს გადაარჩინონ! მე სრულის რწმენით, სრულის შეგნებით, სრულიად გულწრფელად და უყოყმანოდ ვწირავ ჩემს თავს მსხვერპლად ყოვლისშემძლე ღმერთებს! დეე, აღსრულდეს გულთმისნის წინასწარმეტყველება და ათენელების ძლევამოსილმა მხედრობამ ღირსეული პასუხი გასცეს საზღვრებზე უსირცხვილოდ მომდგარ მტერს და მის ვერაგ მთავარსარდალს, ბოროტებით აღვსილ მეფე ევრისტევსს!

გთხოვთ დაუყოვნებლივ გამომაწყოთ სამსხვერპლო სამოსელში, შუბლი გვირგვინებითა და ყვავილებით შემიმკოთ და, რაც შეიძლება საჩქაროდ წამიყვანოთ იმ ადგილას, სადაც მსხვერპლად უნდა ვიქნე შეწირული! ყოველივე დახანება

შეასაძლებელია საბედისწეროდ გადაიქცეს! ჩემი საკუთარი სიცოცხლე დებისა და ძმების მომავალ კეთილდღეობისათვის შემოიწირავს.

დიდებული გმირის, ელადის საყვარელი ჰერაკლეს კეთილშობილება, ხალხისათვის მისი თავდადება მავლებს კეთილშობილურ გზას დავადგე. ჩემის ღრმა რწმენით ასეთ კეთილშობილურ გზად მიმაჩნია ჩემი თავის მსხვერპლად შეწირვა იმ დიდი საქმისათვის, რომელიც ათენის სახელმწიფოს საზღვრებზე უნდა კეთილად გადაწყდეს ათენის ძლევამოსილი მხედრობისა და ჰერაკლიდების საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ!“

მოხუცმა იოლაოსმა მაკარეას ამ სიტყვებზე უპასუხა: „გმირთა გმირის ჰერაკლეს ღირსეულო ასულო! მწამს შენი გულწრფელობა და კეთილშობილება, მაგრამ ჩემის აზრით უმჯობესი იქნებოდა, დებს ერთმანეთს შორის წილი გეყარათ და ვისაც ბედი ამ წლის არგუნებდა, იგი შეწირავდა თავის თავს მსხვერპლად! რატომ გასურს შენის ნებაყოფლობით გაიღო ასეთი დიდი შესაწირავი!“

მაკარეამ იოლაოსის წინადადება გადაჭრით უარჰყო და თან დასძინა: „მე არ მსურს ბრმა ბედს მივანდო ასეთი დიდი საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა! სიკვდილი მხოლოდ მაშინაა სანაქებო და სანატრელი, როცა ნებაყოფლობით სწირავ თავს! მე ჩემის სრულის რწმენით, ჩემის სრულის ნებაყოფლობით მივდივარ სამსხვერპლოზე და ჩემი სიცოცხლის შეწირვით მსურს ყოვლისშემძლე ღმერთებმა ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭოს ათენის ძლევამოსილ მხედრობას ჩემი დებისა და ძმების საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ! მაშ, სასწრაფოდ წამიყვანეთ სამსხვერპლოზე, რომ არ დავიგვიანოთ და ათენელების საბრძოლველად გამზადებული ძლევამოსილი მხედრობა რაიმე ფათერაკში არ ჩავაგდოთ!“

ხალხი განცვიფრებაში მოდიოდა მაკარეას ასეთი თავგანწირული გამბედაობით. საბრალო ქალწული ხალხმა მიაცილა იმ ადგილამდე, სადაც იგი ყოვლისშემძლე ღმერთებისათვის მსხვერპლად უნდა შეეწირათ.

მარტოდმარტო დარჩენილი მოხუცი იოლაოსი და ჰერაკლიდები მიწაზე პირქვე დაეცნენ და დიდხანს გულამოსკვნით ქვითინებდნენ და ქვითინებდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა იოლაოსი პირქვე დამხობილი მწარედ ქვითინებდა, მოხუცთან მივიდა შიკრიკი და მოახსენა, რომ ჰილეს ძლიერი მხედრობით შეუერთდა ათენის ძლევამოსილ მხედრობას და საზღვრებზე მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებაო.

საკავშირო მხედრობის წინ ქურუმებს სამსხვერპლოები გაუმართავთ და საცაა სისხლისმღვრელი ბრძოლებიც გაჩაღდა.

მოხუცი იოლაოსი მეტად გაამხნევა ამ სასიხარულო ამბავმა. საბრალო სიხარულით ფეხზე წამოიჭრა და ბრძოლის ველზე წასასვლელად სამზადისს შეუდგა.

ათენელებისა და ჰილეს საკავშირო მხედრობა მეფე ევრისტევსის ურიცხვი და უთვალავი ჯარების პირისპირ იდგა.

ჰილეს წარსდგა მოპირდაპირე ჯარების წინაშე და ასეთი წინადადებით მიმართა ევრისტევსს: „ორივე მოპირდაპირე მხედრობა სისხლისმღვრელ ბრძოლებს რომ გადავარჩინოთ, მე უმჯობესად მიმაჩნია ბრძოლის ბედი ორთა ბრძოლით გადავწყვიტოთ. ევრისტევსო! მე გიწვევთ თქვენ ორთა ბრძოლაში! თუ თქვენ დამძლევთ, წაიყვანეთ თან ჰერაკლეს შვილები. თუ ვერ გამიმკლავდებით, მე დაგძლევთ, დეე, ჩვენ უფლება მოგვენიჭოს სამშობლოში მშვიდობიანად ვიცხოვროთ, მოგვენიჭოს ის უფლება, რომელიც ძველად ჩვენს წინაპრებს ეკუთვნოდა!“

ჰილეს წინადადება ორივე მოპირდაპირე მხედრობამ მოიწონა, მაგრამ მხდალმა ევრისთევსმა უარჰყო და ჰილეს არ გაჰყვა ორთა ბრძოლაში.

ევრისთევსს იმედი ჰქონდა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარის გამარჯვებისა და კიდევაც ამიტომ ასე მხდალად უარჰყო ჰილეს წინადადება.

ჰილე დაბრუნდა თავისი ჯარების მეწინავე რიგებში.

ქურუმის ბასრმა დანამ სიცოცხლეს გამოასალმა ელადის საყვარელი გმირთა გმირის ჰერაკლეს ასული, ჰერაკლიდებისათვის თავდადებული კეთილშობილი მკარეა.

გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. ბრძოლის თვალუწვდენელ ველზე ახმაურდა დაფი და ნაღარა. მეომრების საბრძოლველი ყიჟინი კიდით კიდემდე წვდებოდა ველს.

დაჭრილთა გმინვა და საცოდავი კვნესა, სასიკვდილოდ გამზადებულთა შემადრწუნებელი ღაღადისი, მეომართა ფარების ჟღარუნი, მზის სხივებზე ხმლების ელვასავით პრიალი ბრძოლის ველს ჯოჯოხეთად ხდიდა.

არგოსელების მხედრობას იერიში იერიშზე მოჰქონდა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთებოდა ათენელების ძლევამოსილ მეომრებს.

მეფე დემოფონი და მამაცი ჰილე ჯარისკაცებს ამხნევებდნენ, ხან ერთსა და ხან მეორე რაზმში ტრიალებდნენ და მტრის მიერ მოტანილ იერიშებს წარმატებით იგერიებდნენ.

ბრძოლის ველი თანდათან უფრო საშინელ სახეს იღებდა. დედამიწა სულ ერთთავად ზანზარებდა და გულში მაგრად იკრავდა სამშობლოსათვის თავდადებულ ათენელების მამაც და შეუდრეკელ მეომრებს.

დადგა საშინელი წუთი. ათენელების ძლევამოსილი მხედრობა თავდადებული მეფისა და ჰილეს წინამძღოლობით მოგერიების ნაცვლად იერიშზე გადავიდა და ხელჩართული ბრძოლით არგოსელების მეომრებს მედგრად ეკვეთა. გაიმართა სისხლისმღვრელი ხელჩართული საშინელი ბრძოლა, რომელიც ათენელების გამარჯვებით დამთავრდა.

ათენელების ძლევამოსილმა მხედრობამ სამარცხვინოდ უკუაქცია არგოსელების ურიცხვი ჯარი.

გამარჯვებით გამხნევებული ათენელთა მამაცი მეომრები ფეხდაფეხ დევნიდნენ არგოსელების უკუქცეულ ჯარისკაცებს და შეუბრალებლად სიცოცხლეს ასალმებდნენ.

თავის საბრძოლველ ეტლში ჩამჯდარი ძლევამოსილი ჰილე თავის მეომრებთან ერთად კვალდაკვალ მისდევდა მტერს.

მოხუცმა იოლაოსამა, როგორც კი მოჰკრა თვალი ჰილეს, დაუყოვნებლივ მისკენ გაეშურა და საბრძოლველი ეტლის დათმობა გულმხურვალედ სთხოვა.

ჰილემ თავაზიანად შეასრულა თავისი აღმზრდელის ეს გულმხურვალე თხოვნა.

მოხუცი იოლაოსი სასწრაფოდ ჩაჯდა ჰილეს საბრძოლველ ეტლში და სხვა მეომრებთან ერთად უკუქცეულ მტერს მრისხანე ყიჟინით დევნიდა და გზაში გაფაციცებით მეფე ევრისთევსს დაეძებდა, რომ ეს ვერაგი მტარვალი ხელში ცოცხალი ჩაეგდო.

როცა ჰილეს საბრძოლო ეტლში შებმული ფეხმალი ცხენები ათენა-პალადას სამლოცველოს მიუახლოვდნენ, იოლაოსმა მოშორებით დაინახა ევრისთევსის ეტლი, რომელიც თავდავიწყებით არგოსისაკენ მიჰქროდა.

მოხუცმა იოლაოსმა ზეცას ხელები ადაპყრო და ყოვლისშემძლე ზევსს მხურვალედ შეევედრა ერთი დღით მისთვის სიჭაბუკე მიენიჭებინა.

უეცრივ ცას ორი ვარსკვლავი მოწყდა და ეტლი, რომელშიც იოლაოსი იჯდა, სქელმა შავმა ღრუბელმა შებურა.

როცა ვარსკვლავები გაჰქრა და ეტლის ირგვლივ შავი ღრუბელი გაიფანტა, იოლაოსი ეტლში ფეხზე იდგა სიჭაბუკის მთელი ძლიერებითა და სიმშვენიერით გაბრწყინებული.

მეგარასა და კორინთოს საზღვარზე ჰილეს ეტლში შებმული ფეხმალი ცხენები წამოეწია მეფე ევრისტევსის საბრძოლო ეტლს.

იოლაოსი გააფთრებული ლომივით მიიჭრა ვერაგ მეფესთან, სტაცა ყელში თავისი მძლავრი ხელები და ხელფეხშებორკილი ცოცხალი წამოიყვანა ათენელების ბანაკში.

ათენელების საკავშირო მხედრობა მხურვალედ ულოცავდა ძლევამოსილ იოლაოსს მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებას.

საზღვრებიდან დაბრუნებულ საკავშირო მხედრობას და იოლაოსს, რომელმაც ცოცხლად ტყვედ წამოიყვანა არგოსის ვერაგი და ბოროტი მეფე ევრისტევსი, ათენელებმა დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

საზეიმოდ მორთულ ათენის ქუჩებზე დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი, ყვავილებითა და თაიგულებით ჰვენდნენ ქუჩებს და ძლევამოსილ მხედრობას, მის მთავარსარდლებს და მოხუც იოლაოსს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდნენ.

ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მთელი ქალაქი კიდიტ კიდემდე მხიარულების ფერხულში ჩაება. ცეკვა, თამაში, სიმღერა, დაფისა და ნაღარას ტკბილი ღულუნით მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა.

მოხუცმა იოლაოსმა ელადის გმირთა გმირის დიდებული ჰერაკლეს დედას ალკმენეს წარუდგინა დატყვევებული არგოსის ვერაგი მეფე ევრისტევსი და მისი საჯაროდ გასამართლება სთხოვა.

უსაზღვრო მძულვარებით აგზნებული შეხვდა ალკმენე თავისი შვილისა და შვილიშვილების მუდმივ მტერსა და დაუცხრომელ მწვალებელს, ვერაგ მეფე ევრისტევსს.

„ყოვლისშემძლე ღმერთებისაგან სამარადისოდ შერისხულო მტარვალო, ძლივსღა ხელში არ ჩამივარდი!“ – სიხარულით წამოიძახა ალკმენემ, როცა მან ხელფეხშებორკილი არგოსის ბოროტი მეფე ევრისტევსი დაინახა.

„ნუთუ შენ, მტარვალო, მოწყალე ღმერთებისაგან ყოვლად შერისხულო ავაზაკო, ამჟამადაც ვერა გრძნობ შენი ბოროტი გულით ყველა იმ დანაშაულს, რომელიც შენ ოდესმე ჩაგიდენია ჩემი დიდებული შვილის ჰერაკლესა და ჩემი შვილიშვილების მიმართ! რატომ ერთხელ მაინც არ ჩაფიქრებულხარ შენს უმსგავსო, საზიზღარ საქციელს! რატომ ისე დაიბრმავე თვალები, რომ ასე უსირცხვილოდ, უხეშად ამხედრდი მთელი ელადის საყვარელი გმირის ჰერაკლესა და მისი ობლად დარჩენილი შვილების წინააღმდეგ! რატომ არ იცოდი, რომ ყოვლისშემძლე ღმერთები უსამართლობას ვერ ითმენენ და ყოველთვის და ყველგან სასტიკ სასჯელს აწესებენ იმათ მიმართ, ვინც ასეთ უსამართლობას ჩადის და თავისი ბოროტი მოქმედებით ჩირქსა სცხებს უდანაშაულო ადამიანებს! რატომ მიწისაკენ დაგიხრია ეს შენი ადრედაც დასაბრმავებელი თვალები? რატომ მერიდები პირდაპირ თვალები გამისწორო, შენ მტარვალო? ნუთუ მართლაც შენ ის საზიზღარი მტარვალი ხარ, რომელიც ჩემს შვილს, ელადის ამ დიდებულ გმირთა გმირს, ესოდენ ავიწროებდი,

ტანჯავდი, ცოცხალს საიქიოს სამეფოში ისტუმრებდი, მხეცებისა და საზიზღარი გველმაპების საკბილოდაც არ ინანებდი!

მაგრამ შენმა დაუცხრომელმა ბოროტმა ბუნებამ, შენმა გაუმაძღარმა გულმა ჩემ შვილს ეს უდიდესი და უმაგალითო მწუხარება როდი აკმარა? სირცხვილი და კიდევ სირცხვილი, შენ, ვერაგო მტარვალო! ჩემი შვილის, ამ დიდებული გმირთა გმირის სიკვდილის შემდეგ ვერ მოისვენა შენმა ბოროტმა გულმა და მეც და ჩემ შვილიშვილებს უსირცხვილოდ, შეუბრალებლად გვდევენდა, არსად უფლებას არ გვაძლევდი სადმე თავი შეგვეფარებინა, ჩვენ საყვარელ სამშობლო მხარეს უსამართლოდ, უდანაშაულოდ მოგვწყვიტე და უცხო ქვეყანაშიც ცხოვრებას გვისპობდი! შენ ყოვლად უმსგავსო და ყოვლისშემძლე ღმერთების მგმობელო მტარვალო, ღმერთების მამამთავრის ზევსის საკურთხეველიდან მოწყვეტასაც კი გვემუქრებოდი!

ჭეშმარიტად, ჩვენ აუცილებლად დავიღუპებოდით, რომ თავისუფლებისმოყვარე ათენელებს არ დავეფარეთ, დახმარება არ აღმოეჩინათ ამ ჩვენი კეთილისმყოფელ ადამიანებს, რომლებიც შენს მუქარას და ძალადობას არ შეუშინდნენ!

რატომ დაკარგე სინდისი ისე, რომ შენ, არა თუ ადამიანები, ყოვლისშემძლე ღმერთებიც კი დაივიწყე?

რატომ გგონია, რომ ქვეყანა ჩალითაა დახურული? ყოვლისშემძლე და მოწყალე ღმერთები უსამართლობას, ცუდკაცობას არავის შეარჩენენ, ყველას შესაფერისად დასჯიან, ყველას თავის ადგილს მიუჩენენ!

კარგია რომ ამჟამად ხელში ჩაგვივარდი! დარწმუნებული უნდა იყო, რომ შენ აგებ პასუხს ყველა იმ ავაზაკობისათვის, რომელიც შენ შენის უგვანო და სამარცხვინო სიცოცხლეში ასე უტიფრად, ასე უსირცხვილოდ ჩაგიდენია!

იცოდე, სიკვდილით დაისჯები და კიდევაც ღირსი იქნები ასეთი სასჯელისა!“

მეფე ევრისტევსი, ეს ოდესღაც ძლიერი და უზენაესი უფლებით მოსილი სახელმწიფოს მბრძანებელი, რომლის წინაშე ხალხი წელში იხნიქებოდა, რომელიც თავის საკუთარ კეთილდღეობას სხვის უბედურებაზე წარბმეუხრელად აშენებდა, დღეს გულზე ხელებდაკრეფილი, გაქვავებული იდგა ელადის დიდებული გმირის ჰერაკლეს მშობელი დედის სამსჯავროს წინაშე და ენა პატიებისა და შეწყნარების სათხოვნელად ვერ მოებრუნებინა.

ჰილე და კეთილშობილი ათენელები უმტკიცებდნენ ალკმენეს, რომ ყოვლისშემძლე დიდსულოვანი ღმერთები არ მოგვიწონებენ უმწეო, უიარალო, ტყვედჩავარდნილ მტრის სიკვდილით დასჯასო.

მაგრამ გამწარებული დედის გული ვერ მოალობო ასეთმა მტკიცებამ.

საბრალო ალკმენეს მოაგონდა ყველა ის ვერაგობა, რომელსაც ბოროტი ევრისტევსი მთელ თავის სიცოცხლეში გმირთა გმირის დიდებული ჰერაკლეს წინააღმდეგ ასე უსირცხვილოდ, ასე შეუბრალებლად ეწეოდა.

საბრალო დედას მოაგონდა თავისი შვილიშვილების უდიერად დევნა და შევიწროება, მოაგონდა საცოდავი მაკარეას უდანაშაულოდ მსხვერპლად შეწირვა და ამიტომ იგი ასე დაჟინებით მოითხოვდა ბოროტი ევრისტევსის აუცილებლად სიკვდილით დასჯას, და კიდევაც მიზანს მიაღწია.

გამწარებული ალკმენე შეშლილივით მიიჭრა მტარვალ ევრისტევსთან და საკუთარი ხელებით ორივე თვალები სასიკვდილოდ ამოთხარა.

ათენელებმა მეფე ევრისტევსის ცხედარი დაასაფლავეს ათენა-პალადის ტაძრის მახლობლად.

ათენის თავისუფლებისმოყვარე ხალხმა იმდენი დიდსულოვნება გამოიჩინა, რომ მტერი დაუსაფლავებელი არ დატოვა.

მთელი ატიკის მკვიდრნი დიდად აფასებდნენ ათენელების ამ იშვიათ კეთილშობილებას და კიდევაც ამიტომ ყველგან და მარადის ათენელების სახელს დიდის პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებდნენ.

გ მ ი რ ე ბ ი

დიოსკურები და აფარიდები

ყოვლისშემძლე ღმერთების მამამთავრის ზევსისა და ლედას შვილები, კასტორი და პოლუქსი, ანუ როგორც მათ ეძახდნენ დიოსკურები, თავისი ჭაბუკური გამჭრიახობით, მამაცობითა და ძლევამოსილებით მთელ საბერძნეთში, კიდითი კიდემდე, უდიდეს გმირებად იყვნენ მიჩნეული.

კასტორს მთელ სახელმწიფოში ვერავინ სჯობნიდა გარეული ცხენების გახედნასა და მოშინაურებაში.

პოლუქსი ხელჩართულ ორთა ბრძოლაში ყოველთვის პირველობას იჩენდა, მის სიმამაცეს და ძლევამოსილებას ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველანი დიდ განცვიფრებაში მოჰყავდა. ამიტომაც იყო, რომ პოლუქსს მთელ საბერძნეთში შეუდარებელი გმირის სახელი ჰქონდა მოპოვებული.

პოლუქსს და კასტორს თავის ბიძაშვილებთან ერთად, მესენიის მეფე აფარევსის შვილებთან, ლინკევსსა და იდასთან, არაერთხელ უსახელებიათ თავი სხვადასხვა საგმირო საქმეებით.

ლინკევსს ისეთი ბასრი და შორსმჭვრეტელი მხედველობა ჰქონდა, რომ მისი გამჭრიახი თვალები დედამიწის გულის სიღრმესაც კი სწვდებოდა და შეუმჩნეველს იშვიათად რასმეს სტოვებდა.

იდასს კი ყველგან და ყოველთვის უძლეველი სიმამაცით თავი მოჰქონდა. გმირი ჭაბუკი ერთხელ იმდენად გაკადნიერდა, რომ აპოლონ ღმერთსაც კი ბრძოლა გამოუცხადა.

იდასს და აპოლონ ღმერთს სილამაზით სახელგანთქმული მოკვდავი მარპესა მოსწონდათ და ორივენი მის მოტაცებას ცდილობდნენ.

იდასი აპოლონ ღმერთს არ მოერიდა და ერთ დღეს პოსეიდონ ღმერთის მიერ ნაჩუქარი ფრთებიანი ეტლით მშვენიერი მარპესა გაიტაცა.

აპოლონ ღმერთი დაედევნა უკან კადნიერ გმირს და უნდოდა მშვენიერი მარპესა იდასისათვის წაერთმია.

გაიმართა აპოლონ ღმერთისა და იდასს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ყოვლისშემძლე ზევსმა გააშველა ორივე ძლევამოსილი მეზრძოლი და სილამაზით სახელგანთქმულ მარპესას წინადადება მისცა ამ ორ მეტოქეთა შორის თვითონვე აერჩია ერთ-ერთი საქმროდ.

მარპესა დარწმუნებული იყო, რომ აპოლონ ღმერთი, როცა მარპესა ხანშესულობის გამო თავის დღევანდელ სილამაზესა და სიმშვენიერეს დაკარგავდა, თავის ღვთაებრივ მოსიყვარულე გულს სხვა უფრო ახალგაზრდა ქალს გადაუშლიდა, ამიტომ მან საქმროდ იდასი აირჩია.

დიოსკურები და აფარიდები ერთმანეთთან დიდ მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ. ოთხივე გმირი ჭაბუკი მეგობრულად, შეთანხმებულად მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ბრძოლებსა და ომებში, თავისი ძლევამოსილი მამაცობით არაერთხელ უსახელებიათ თავი მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებით.

ერთხელ კასტორი, პოლუქსი, ლინკევსი და იდასი შეიჭრნენ არკადიაში, მოიტაცეს მრავალრიცხოვანი ხარების ჯოგი და უშიშარ ადგილას გამოიყვანეს.

დადგა ჯოგის განაწილების დრო. დიოსკურებსა და აფარიდებს შორის ჯოგის სამართლიანად განაწილება ყველაზე უფრო ძლიერსა და ღონიერ იდასს მიანდეს.

იდასმა გაჭრა ერთი ხარი ოთხ თანასწორ ნაწილად და ჯოგის განაწილების ასეთი წესი დაადგინა: ვინც თავის კერძს ყველაზე უფრო ადრე შეჭამს, ჯოგის ნახევარი ნაწილი მას მიეკუთვნება, ხილო ჯოგის მეორე ნაწილი დაეთმოება მას, ვინც პირველის შემდეგ თავისი კერძის შეჭმას მოასწრებს.

იდასმა ყველაზე უფრო ადრე შეჭამა თავისი კერძი და შემდეგ თავის ძმას ლინკევსს მიეშველა ჭამაში.

ამრიგად ჯოგის ნახევარი იდასს ხვდა წილად, ხოლო მეორე ნახევარი – ლინკევსს, თანახმად დადებული პირობისა.

აფარიდებმა მთელი ჯოგი მესენიაში წაასხეს და კასტორი და პოლუქსი სრულიად ხელცარიელნი დატოვეს.

მოტყუებით გაბრაზებული დიოსკურები შეიჭრნენ მესენიაში, მოიტაცეს მთელი ჯოგი, აგრეთვე აფარიდების კუთვნილი წვრილფეხი და მსხვილფეხი საქონელი და სამშობლოში წამოასხეს.

დიოსკურებმა მარტოდმარტო ეს არ აკმარეს აფარიდებს. პოლუქსმა და კასტორმა იდასსა და ლინკევსს მოსტაცეს საცოლეებიც, და ამრიგად უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენეს ორივე გმირ ძმას.

კასტორმა და პოლუქსმა უშიშარ ადგილას დამალეს მოტაცებული ჯოგი და თვითონ მახლობლად ჩაუსაფრდნენ აფარიდებს იმ განზრახვით, თუ ძმები თავს დაესხმოდნენ ჯოგისა და საცოლეების უკანვე დასაბრუნებლად, საკადრისი პასუხი გაეცათ.

ლინკევსი ავიდა ტაიგეტის უმაღლეს მწვერვალზე, საიდანაც პელოპონესის მთელი ნახევარი კუნძული ხელის გულივით მოჩანდა და ამ თვალუწვდენელ სიმაღლიდან თავისი მახვილი მხედველობით მთელ არემარეს უთვალთვალეზდა, რომ თავხედი დიოსკურები სადმე აღმოეჩინა.

ლინკევსის მახვილ თვალებს შეუმჩნევლად არ დარჩა პოლუქსი და კასტორი, რომლებსაც უზარმაზარ ხის ფულუროში გაემართათ თავშესაფარი.

ლინკევსმა დაუყოვნებლივ აცნობა იდასს დიოსკურების ადგილსამყოფელი.

აფარიდები ელვის სისწრაფით მიიჭრნენ იმ ხესთან, რომელშიც შეფარებულიყვნენ დიოსკურები.

ძლევამოსილმა იდასმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სტყორცნა ისარი ხეს და მძიმედ დაჭრა ხეში ჩასაფრებული კასტორი.

შეშლილივით გამოიჭრა საფარიდან პოლუქსი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა აფარიდებს.

მცირე ზნის შებრძოლების შემდეგ პოლუქსმა სამარცხვინოდ უკუაქცია ლინკვესი და იდასი, რომელთაც უკან დაედევნა და მათი მამის საფლავამდე კვალდაკვალ მისდია.

სასაფალაოს მიდამოებში იდასმა და ლინკვესმა სეტყვასავით დაუშინეს უზარმაზარი ლოდები პოლუქსს, მაგრამ ოდნავაც ვერაფერი დააკლეს მას.

პირიქით, პოლუქსმა მოიმარჯვა შორსმტყორცნი ისარი და ისე მძლავრად სტყორცნა ლინკვესს, რომ გულმკერდგანგმირულმა ჭაბუკმა იქვე სული განუტევა.

ახლა ჯერი მიდგა იდასზე. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელც ვინ იცის, როგორ დაბოლოვდებოდა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთების მამამთავარ ზევსს ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არ შეეწყვიტა.

ყოვლისშემძლე ზევსის ბრძანებით ცამ მრისხანედ დაიქუხა, ბრძოლის ველს ციური ცეცხლი კიდითი კიდემდე მოედო და ლინკვესისა და იდასის ფერფლდაქცეული გვამები ერთიანად შთანთქა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ პოლუქსი სასწრაფოდ კასტორისაკენ გაემართა. საბრალო გმირი სწორედ ამ დროს სიკვდილს ებრძოდა და საცოდავად იტანჯებოდა.

პოლუქსმა ცხარე ცრემლების ფრქვევით მიმართა ყოვლისშემძლე ზევსს და მოკრძალებით მოახსენა: „ყოვლისშემძლე ოლიმპოს მბრძანებლო ზევსო, ჩემო, გონებიდან განუყრელო ძვირფასო მშობელო მამავ! გვედრები, თვალცრემლიანი გემუდარები, ყოვლადმოწყალეო ქვეყნის მპყრობელო, მოილე შენი მოწყალეობა და შემიმსუბუქე ჩემი აწინდელი ენითგამოუთქმელი, გონებით წარმოუდგენელი მწუხარება! რაღაა იგი სიცოცხლე, რომელსაც არ ათბობს, არ აცხოველმყოფელებს უგულითადესი მეგობრის, უახლოესი ადამიანის მგძნობიარე გულის ალერსი და სიყვარული? დეე, ისა სჯობს, ჩემო ყოვლისშემძლე საყვარელო მშობელო მამავ, ჩემ ძმასთან ერთად მეც სიკვდილი მომავლინო, ჩემ ძმასთან ერთად სამუდამოდ დავხუჭო თვალები და მასთან ერთად განუყრელად გადავსახლდე საიქიოს სამეფოში!“

ყოვლისშემძლე ზევსმა ასე უპასუხა თავის საყვარელ და ძვირფას შვილს: „შვილო, იცოდე, რომ შენი ძმა მოკვდავის შვილია! სრულ უფლებას განიჭებ, ორში ერთი აირჩიო. თუ გსურს, შენ შეგიძლიან ოლიმპოზე იცხოვრო, ყოვლისშემძლე ათენა ქალღმერთისა და არესის ბრწყინვალე სასახლეში და ამრიგად თავი დააღწიო სიკვდილს და მომაბეზრებელ მოხუცებულობას! თუ ამას არ მოისურვებ, ყველაფერში შენი ძმის ბედი უნდა გაიზიარო და შენაცვლებით ხან საიქიოს სამეფოში იცხოვრო, ხან კი ყოვლისშემძლე ღმერთების ზეციურ სასახლეში!“

პოლუქსმა სრულიად უყოყმანოდ ძმის ბედის გაზიარება ირჩია.

ყოვლადმოწყალე ზევსმა კასტორს თვალები აუხილა და წინანდელი მხედველობა და ძლევამოსილება დაუბრუნა.

ამ დღიდან მოკიდებული კასტორი და პოლუქსი ერთმანეთს არ შორდებიან და განუყრელად ერთად ცხოვრობენ.

ერთ დღეს გმირთა გმირი ძმები ოლიმპოს მწვერვალზე ნეტარი ღმერთების ფართო და ბრწყინვალე სასახლის დარბაზებში თავმოწონებით დასეირნობენ და ნეტარების ფიალას ეწაფებიან, ხოლო მეორე დღეს საიქიოს სამეფოს ევლინებიან და მკვდრების აჩრდილთა შორის აღამებენ, საიქიოს მკვიდრთა აუტანელ დარდსა და მწუხარებას იზიარებენ.

ხალხი დიდის პატივისცემით და სიყვარულით შეტრფის და შეხარის თავისი წიაღიდან წარმოშობილ გმირთა გმირებს, რომლებიც სრულიად გულწრფელად და უანგაროდ იღწვიან ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

ხალხს სჯერა და ღრმად სწამს, რომ გმირი ძმები, პოლუქსი და კასტორი, მხსნელად და მფარველად ევლინებიან ადამიანს ყოველგვარ ხიფათსა და გაჭირვებაში მოგზაურობის დროს, უცხო ქვეყანაში იქნება ეს, თუ სამშობლოში.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

დ ა ფ ნ ე ⁶

(ოვიდიუს ნაზონი – „მეტამორფოზები“)

სახენათელმა, მხიარულმა ღმერთმა აპოლონმაც იცის სევდა, მასაც ეწია ერთხელ მწუხარება, როდესაც იგი, სიამაყის გრძნობით აღვსილი, თავს ადგა მისი ასრებით განგმირულ საშინელ ურჩხულ პითონს, მან იქვე ახლო თვალი მოჰკურა სიყვარულის ახალგაზრდა ღმერთს ეროტს, – მას ოქროს მშვილდ-ისარი მოემარჯვებია და ტყორცნას აპირებდა.

აპოლონს გაეცინა და უთხრა ეროტს:

– რად აგიღია ხელში, ყმაწვილო, ეს მრისხანე იარაღი! ნუ მეტოქები მშვილდ-ისრის მომარჯვებაში, რომლითაც ახლახან სიცოცხლე მოვუსპე ამ საშინელ პითონს. განა შეძლებ ჩემი ბადალი გახდე, მეტოქეობა გამიწიო მე, ისრისმტყორცნელს? იქნებ ფიქრობ ჩემზე მეტი სახელის მოხვეჭას?

შეურაცხყოფილმა ეროტმა ამაყად უპასუხა:

– შენი ისრები, ფებ-აპოლონ, აუცდენლად ხვდება მიზანს, ყველას კოდავს ისინი, ხოლო ჩემი ისარი შენ დაგკოდავს.

თქვა ეს ეროტმა, აიქნია თავისი ოქროს ფრთები და თვალის დახამხამებაში მაღალ პარნასზე აფრინდა. აქ მან ამოიღო თავისი კაპარჭიდან ორი ისარი: ერთი – ოქროსი, მახვილწვეტიანი, სიყვარულის ჩამსახავი, მეორე – ტყვიის, ბლაგვწვეტიანი, სიყვარულის ჩამხშობი. ოქროს ისარი მან აპოლონს სტყორცნა, ტყვიის ისარი კი – ნიმფა დაფნეს...

და აი ერთხელ აპოლონი დაფნეს შეხვდა და უსაზღვროდ შეუყვარდა იგი. აპოლონი მოხიბლა მისმა ვარსკვლავისებრ ნათელმა თვალებმა, მისმა ვარდისფერმა ბაგეებმა, მარმარილოსებრ თეთრმა ხელებმა, მისმა ხუჭუჭა კულულებმა, მაგრამ დაინახა თუ არა დაფნემ ოქროსთმიანი აპოლონი, უმაღ პირი იბრუნა და ქარივით გაქანდა. აპოლონი მყისვე გამოუდგა მას.

– შეჩერდი, მშვენიერო ნიმფა, – ემუდარებოდა აპოლონი, – რად გამირბიხარ, ვით კრავი – მგელს, ვით მტრედი – არწივს? მე ხომ შენი მტერი არა ვარ? აგედევნე,

⁶ მოთხრობილია შ. გვინჩიმის მიერ.

რადგან სიყვარულით ვარ შეპყრობილი. შეანელე ნაბიჯი! დახე, როგორ დაისისხლიანე ფეხები ნარ-ეკალში! მე ხომ აპოლონი ვარ, ყოვლისშემძლე ზევსის ვაჟი და არა უბრალო მოკვდავი მწყემსი ვინმე. ჩემი თაყვანისმცემელია დელფოსი, დელოსი და კლაროსი. მე შევქმენი კითარა და მშვილდ-ისარი. მე მკურნალი და მხსნელი ვარ ყოველგვარი გაჭირვებიდან, ოღონდ ვერ ვუშველე ჩემს საკუთარ თავს, ვერ ვიხსენი თავი შენდამი სიყვარულისაგან.

კიდევ ბევრი რამის თქმა უნდოდა აპოლონს, მაგრამ მშვენიერმა ნიმფამ კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს.

ქარივით მისდევს მას აპოლონი. თანდათან ეწევა. აი სადაცაა კიდევაც... დაფნე გრძნობს მის მხურვალე სუნთქვას, ძალ-ღონე ღალატობს, სირბილი აღარ შეუძლია. მაშინ აღაპყრო მან ხელები და მიმართა მუდართით თავის მამას, თესალიის მდინარის ღმერთს პენეოსს:

– მშობელო მამავ, ღმერთო პენეოს, მიხსენი განსაცდელისაგან! გაიხსენ დედა-მიწავ და შთანთქე ჩემი სხეული, ანდა მიცვალე სახე, ესოდენ დიდ ტანჯვა-წამებას რომ მაყენებს!

წარმოთქვა თუ არა დაფნემ ეს სიტყვები, მყისვე გაუშეშდა მთელი სხეული. ხის ქერქი გადაეკრა მის ნაზ გულ-მკერდს, თმები მწვანე ფოთლებად გადაექცა, ცისკენ აპყრობილი ხელები – შტოებად, მარდი ფეხები კი ფესვებად წავიდა მიწაში. გულმოკლული აპოლონი ნაზად შემოეხვია ხედქცეულ დაფნეს და ქერქიდან შემოემა მშვენიერი ნიმფას მისუსტებული გულისცემა. ეხვევა და ეალერსება აპოლონი მშვენიერ ხეს და მწუხარებისაგან დიდხანს, დიდხან ვერ ახერხებს ხმის ამოღებას.

ბოლოს ასე ამბობს:

– შენ ვერ შეიქენ ჩემი მეუღლე, მშვენიერო დაფნე, მაშ ჩემი ხე მაინც იყავ! დეე, შენი ფოთლებით დაწნული გვირგვინი ამკობდეს ჩემს თავს, ჩემს კითარას და ჩემს კაპარჭს. დეე, არასოდეს არ დაჰკნეს, დაფნე, შენი ფოთლები! იყავ მარადმწვანე!

დაფნემ წყნარად ააშრიალა ხშირი ფოთლები და, თითქოს თანხმობის ნიშნად, დახარა თავისი ამწვანებული კენწერო.

გ ა ლ ა ტ ე ა დ ა ა კ ი ს ი

(ოვიდიუს ნაზონი – „მეტამორფოზები“)

ფავნისა და ნიმფა სიმეთიდას შვილი აკისი თავისი იშვიათი სილამაზით წყლის ნიმფებს – ნერეიდებს ერთიანად ხიბლავდა.

აკისი თექვსმეტი წლის იქნებოდა, როცა ნერეიდა გალატეამ პირველად თვალი მოჰკრა ამ იშვიათად ლამაზ ყმაწვილს.

აკისმა და გალატეამ ერთმანეთი შეიყვარეს, ერთმანეთს დაუახლოვდნენ.

წყლის ქალღმერთები შეტრფოდნენ და შეხაროდნენ უსაზღვრო სიყვარულით დაკავშირებულ გალატეას და აკისის ბედნიერებას.

აკისი მხოლოდ და მხოლოდ მშვენიერ გალატეასთან გრძნობდა თავის თავს ბედნიერად. აკისს ვერ წარმოედგინა, რომ იგი თავის მშვენიერ, გონებიდან განუყრელ მეგობარს ოდესმე ჩამოშორდებოდა ან ვინმე სხვას გადაუშლიდა თავისი გულის უნაზეს გრძნობებს.

გალატეასაც აკისი ისე მძლავრად და უსაზღვროდ უყვარდა, რომ ამ მჭიდრო და ურყევ კავშირს ყოვლისშემძლე ღმერთებიც კი ვერ დაარღვევდნენ, ვერ დაშლიდნენ.

აკისი და გალატეა ბედნიერად თვლიდნენ თავს, ერთმანეთს თვალ-წარბში შეცქეროდნენ და ნეტარების ცრემლებს ღვრიდნენ.

მართალია, გალატეა დიდ ბედნიერად თვლიდა თავის თავს, მაგრამ მეორეს მხრით ერთი რამ აწუხებდა, ერთი რამ მოსვენებას არ აძლევდა.

კიკლოპი პოლიფემოსი მუდამ დევნიდა, მოსვენებას არ აძლევდა მშვენიერ ნიმიფას და ყოველგვარად ცდილობდა მისი გული მოეგო.

გოლიათი პოლიფემოსი გატაცებული იყო გალატეასადმი სიყვარულით, იგი მთელი თავისი არსებით გალატეას ეკუთვნოდა, მშვენიერი ნიმიფას ერთი დანახვა მთელ თავის სიმდიდრესა და თვით სიცოცხლესაც კი ურჩევნოდა.

კიკლოპი პოლიფემოსი მზად იყო ამქვეყნად ყველაფერი დაეთმო, თვით ყოვლისშემძლე ღმერთებსაც კი შეებრძოლებოდა, ოღონდ მშვენიერი გალატეას ყურადღება, თანაგრძნობა დაემსახურებია, მშვენიერ ნიმიფას თავისი მგძნობიარე გული სასიყვარულოდ გადაეშალა.

გოლიათ პოლიფემოსს გალატეა უსაზღვროდ უყვარდა და ასეთივე სიყვარულს იგი ნიმიფას მხრიდანაც მოითხოვდა.

გალატეა კი გულგრილად შეჰყურებდა პოლიფემოსის სიყვარულით აგზნებულ გრძნობებს. ნიმიფას პოლიფემოსი არა თუ უყვარდა, პირიქით, სძულდა და მუდამჯამს ცდილობდა თავი შორს დაეჭირა მისგან.

პოლიფემოსი კარგად გრძნობდა გალატეას გულგრილობას, მაგრამ სიყვარულით აგზნებული გოლიათი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ყოველგვარად ცდილობდა ნიმიფას გული მოეგო, მოენადირებინა.

სიყვარულით შეპყრობილი კიკლოპი, რომლის სამფლობელოში გზად შევლას წინათ ვერც ერთი უცხოელი ვერა ბედავდა, ამჟამად ყურადღებას არავის აქცევდა. კოკლოპმა დაივიწყა თავისი ურიცხვი ჯოგი, დაივიწყა თავისი გამოქვაბული, სადაც იგი აქამდე სიამოვნებით ღამეებს ატარებდა.

პოლიფემოსის მთელი აზრი და გონება მშვენიერ გალატეას ირგვლივ ტრიალებდა, სიყვარულით აგზნებული კოკლოპი მთელი თავისი არსებით გალატეას ეკუთვნოდა.

უხეში და ტლანქი პოლიფემოსი ყოველდღე რკინის ფარცხით ივარცხნიდა ჯაგრიან თმას, წვერ-ულვაშს ნამგლით იკრეჭდა, ხშირად წყალში იცქირებოდა, რომ თავისი თავი გალამაზებული დაენახა.

გოლიათი კიკლოპის ბუნებრივმა ველურობამ და სიმკაცრემ, რომელიც მას აქამდე ახასიათებდა, ამჟამად ადგილი დაუთმო სინაზესა და ადამიანობას.

უცხოელების ხომალდები ახლა სრულიად თავისუფლად შემოდოდნენ კიკლოპის სამფლობელოს ნავსადგურში და მთელი კვირაობით იალქნებს უშიშრად აფრიალებდნენ ძველად ამ სახიფათო ადგილას.

სწორედ ამ ხანებში კიკლოპის სამფლობელოს ესტუმრა გამოჩენილი გულთამხილავი ტელემე, რომელმაც ინახულა პოლიფემოსი და უწინასწარმეტყველა, რომ შენს სამფლობელოში შემოივლის ელინთა მხედრობის ძლევამოსილი გმირი სარდალი, ცბიერი ოდისევსი, რომელიც შენს ერთადერთ თვალს, შუბლზე რომ გაქვს, ამოგთხრისო.

კიკლოპმა სიცილით უპასუხა ტელემს: „სისულელეს მეუბნები! ეს ჩემი ერთადერთი თვალი დიდი ხანია, რაც ჩემმა გულის სატრფომ, ჩემმა მშვენიერმა გალატეამ მომტაცაო!“

კიკლოპი თავისი ურიცხვი ჯოგით ხშირად გამოდიოდა ზღვაში სოლივით შეჭრილ გორაკზე, მწუხარედ ჩამოჯდებოდა გორაკის მწვერვალზე, ფეხთ ჩამოიდებდა უზარმაზარ კომბალს, რომელსაც იგი ჯობის მაგივრად ატარებდა, აიღებდა ხელში ვეებერთელა სალამურს და ისე მძლავრად ჩაბერავდა, რომ სალამურის უხეში და ტლანქი ხმა მთელ არემარეს აყრუებდა.

გალატეას საქებად და სადიდებლად პოლიფემოსი სიმღერებსაც კი წამოიწყებდა.

კიკლოპის საშინელი ხმა ზღვის სიღრმესა და შორეულ გორაკების მწვერვალებს სწვდებოდა.

გალატეა და მისი საყვარელი მეგობარი აკისი ზღვის ნაპირზე, მღვიმეში განცხრომით ისხდნენ და სიყვარულის გრძნობებით დამტკბარნი დროგამოშვებით ყურს უგდებდნენ გოლიათი კიკლოპის საშინელ სიმღერას.

უხეში და ტლანქი პოლიფემოსი ასეთი სიტყვებით ამკობდა სიმღერის დროს თავის სატრფოს, თავის საყვარელ, მშვენიერ გალატეას: „ჩემო ძვირფასო და გონებიდან განუყრელო, ჩემო გალატეა! სული და გული მიხარის, როცა შენ გიმღერ და გიგალობებ! შენს სახელს, შენს მშვენიერ ღვთაებრივ პირისახეს გულში ღრმად ვიმარხავ და გონებიდან ვერ ვიშორებ! შენი პირისახე თეთრ თოვლზე უფრო თეთრია, ყვავილებით მორთულ ველზე უფრო ნაზი და სათუთია! შენი ტანადობა მაღალ მურყანზე უფრო მოხდენილია! შენ ციკანივით ცელქი და ცქრიალა ხარ, ჩემო ძვირფასო გალატეა! შენ გედის ღინღლზე უფრო რბილი ხარ და მაწონზე უფრო ნაზი! მაგრამ ამავე დროს შენ უფრო უტეხი და მაგარი ხარ, ვიდრე პიტალო სალი კლდე და მძლავრი მუხა, ძუ დათვზე უფრო კერპი!

შენ, ჩემო ძვირფასო გალატეა, ჩემს უსაზღვრო მწუხარებას ოდნავაც ყურადღებას არ აქცევ, გამირბიხარ, როგორც ფურ–ირემი, რომელსაც ძაღლები ასდევნიებიან და დასაჭერად კვალდაკვალ მისდევენ.

შენ რომ კარგად მიცნობდე, ეჭვს გარეშეა ზურგს შეაქცევდი შენს კერპობას, სამარადისოდ დაწყევლიდი შენს მიუდგომლობას, შენს ჯიუტობას და შეეცდებოდი ჩემი გულის მოგებას, ჩემს სამუდამოდ დამშვიდებას, შენი მგრძნობიარე გულის ჩემთვის გადაშლას.

შენ რომ ჩემი სიმდიდრის ამბავი იცოდე, განა ასე შეუბრალებლად მომექცეოდი!

ჩემი მღვიმე, რომელიც მთაშია შეჭრილი, სავსეა ყოველი სიკეთით.

ჩემს მღვიმეში შენ ვერ იგრძნობდი, რა არის სიცხე–პაპანაქება, რა არის სუსხიანი ზამთრის სიცივე!

ჩემი ხილის ბაღი ხომ განთქმულია მთელ დედამიწაზე. ვაშლისა და მსხლის ხეების ტოტები, სურნელოვანი ვაშლებითა და მსხლებით დახუნძლულნი, მიწაზე მძიმედ იზნიქებიან.

ჭიგოებზე ათასგვარად დახლართულ ლერწმებზე ყვითლად ღვივის შარბათივით ტკბილი ყურძენი, ატამი, გარგარი, წაბლი და სურნელოვანი მარწყვი თავ–თავის დროზე შემოდის და მნახველის გულს ახარებს.

ეს საუცხოო ხილის ბაღი მთლიანად შენთვისაა განკუთვნილი.

ჩემი ცხვრებისა და თხების რიცხვს ხომ კაცი ვერ მოსთვლის! აი ეს თხები და ცხვრები სულ ჩემი საკუთრებაა! ვინ მოსთვლის, შორეულ ტყეებსა და ველებზე ჯერ კიდევ რამდენი ჩემი ცხვრისა და თხის ფარა ლაღად სძოვს სურნელოვან ბალახს!

რძე, ყველი, ერბო, ხაჭო და მაწონი თავზე საყრელად მოიპოვება ჩემს მღვიმეში.

ყოველივე ამ სიმდიდრეს, ყოველივე ამ სიკეთეს მხოლოდ და მხოლოდ შენთვის ვინახავ! ყოველივე ამას შენ გაჩუქებ, ოღონდ კი ზღვის სიღრმედან შენი მშვენიერი პირისახე დამანახე და შენი მგრძნობიარე, სათუთი გულის კუნჭულები გადამიშალე!

გალატეა! დასტოვე წყლის ზვირთები, მოდი ჩემთან, ხელს ნუ ჰკრავ გულწრფელად მოძღვნილ საჩუქრებს!

ნუთუ ჩემი გარეგნობა გაშინებს! ამას წინათ ზღვის ანკარა ზვირთებში დავინახე ჩემი პირისახე და, მართალი გითხრა, არც ისე საშიში და ხელსაკრავი ვარ! ზღვის სარკეში ჩემი თავი ძალიან მომეწონა!

აბა შეხედე როგორი გოლიათური გარეგნობა მაქვს!

ყოვლისშემძლე ზევსსაც კი მეტოქეობას ვუწევ, სიმძლავრესა და სიდიადეში თვითონ ზევსიც კი შურის თვალით მიყურებს!

ჩემს თავზე უხვად დაყრილი მაგარი თმა ტყის მსგავსად ჩემს ფართო ბეჭებს სწვდება. შუა შუბლზე ძლიერი ფარივით მაზის ვეებერთელა მოელვარე თვალი: განა ყოვლისშემძლე ჰელიოსი ერთი მოელვარე თვალით არ დასცქერის დედამიწას?

ჩემო მშვენიერო გალატეა, ნუ დაგავიწყდება, რომ მამაჩემი პოსეიდონი, თქვენი წყლების დიდებული მბრძანებელი, შენ მამამთილად გაგიხდება!

გეხვეწები, გევედრები, ჩემო, გონებიდან განუყრელო გალატეა, შემებრალე, შედი ჩემს მდგომარეობაში და გადამიშალე შენი მგრძნობიარე გულის კუნჭულები! მხოლოდ და მხოლოდ შენ გემორჩილები! შენს გარეშე ჩემთვის სიცოცხლე არ არსებობს!

მე არ მესმის, რატომ ასე გიყვარს აკისი და მე ასე უცეცხლოდ მწვავ და მტანჯავ!

იცოდე, გალატეა, სასტიკად დავსჯი იმ ჩემს მეტოქეს! ნაფლეთ–ნაფლეთად დავგლეჯ და შეუბრალებლად გადავყრი თვალუწვდენელ ზღვის აბობოქრებულ ზვირთებში!

სიბრაზისაგან გული ცეცხლით მენტება! ჩემს გულში ეტნის ჩაუქრობელი ცეცხლია დანთებული! შენ კი, ჩემო გალატეა, ჩემს ტანჯვასა და მწუხარებას ოდნავადაც ანგარიშს არ უწევ! შენთვის ყველაფერი სულ ერთია!”

პოლიფემოსი ამოდ აბრალებდა თავს გალატეას, ამოდ უშლიდა გულს.

ანაზღად კიკლოპმა თვალი მოჰკრა აკისსა და გალატეას მღვიმეში და საშინლად დაიღრიალა:

– გხედავთ! გხედავთ! უკანასკნელი იქნება თქვენი ეს ტრფიალი!

კიკლოპის საშინელ ყვირილზე მაღალი კლდეები შეინძრნენ და შეტორტმანდნენ, ზღვის ზვირთები აბობოქრდნენ და თავის კალაპოტიდან გადმოხეთქას აპირებდნენ.

– ვფიცავ, ვფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთებს, – გრგვინავდა გონებადაკარგული პოლიფემოსი, – ჩემი ასე შეურაცხყოფისათვის ორივეს სიცოცხლეს მოგისპობთ! იცოდეთ, თქვენი აღსასრულის დღე მოახლოებულია!

საბრალო გალატეა შიშმა აიტანა და სასწრაფოდ წყლის ზვირთებში ჩაიყურყუმელავა.

აკისი კი მირბის, შიშით თავზარდაცემული მირბის და თავის საყვარელ გალატეას და თავის ძვირფას მშობლებს გულამოსკვნით ევედრება: „მიშველეთ! მიშველეთ! ჩემო ძვირფასო გალატეა, ჩემო ძვირფასო მშობლებო! მიშველეთ, მიშველეთ, ვილუპები!“

გალატეამ და საბრალო ყმაწვილის მშობლებმა, თუმცა ბევრი ეცადნენ სიკვდილს გადაერჩინათ აკისი, მაგრამ ვერ მოახერხეს.

სიბრაზისაგან გამხეცებულმა პოლიფემოსმა მაღალი მთის მწვერვალს ჩამოგლიჯა უზარმაზარი კლდე და ისეთი ძლიერებით სტყორცნა, რომ საბრალო აკისი ამ კლდის ქვეშ მოჰყვა და სამუდამოდ სიცოცხლეს გამოესალმა.

ყოვლისშემძლე ღმერთებმა აკისი მდინარედ გადააქციეს. პოლიფემოსის მიერ ნატყორცნი კლდის ქვემოდან მოჩხრიალებს ანკარა წყლით სავსე მდინარე, რომელსაც ხალხმა დაღუპული ყმაწვილის პატივსაცემად აკისი უწოდა.

აესაკოსი და ჰესპერეა

ულრანი ტყეებით დაფარულ იდის მთაგრეხილების კალთების ძირას ტროადის მეფეს პრიამოსს და მდინარის ღმერთის გრანიკის მშვენიერ ასულს ალექსიროეს შეეძინათ შვილი, რომელსაც აესაკოსი დაარქვეს სახელად.

უსაზღვროდ მოსიყვარულე დედა სათუთად ზრდიდა ახალშემძენილ ვაჟს. ალექსიროე დიდის ყურადღებით თვალყურს ადევნებდა აესაკოსის აღზრდას.

აესაკოსი უკვე დავაჟკაცდა. დედის სიამაყე შვილს ქალაქის ბრწყინვალე ცხოვრება, სასახლის ფუფუნება და უდარდელი დროს ტარება არ მოსწონდა.

ამიტომ აესაკოსი უფრო სოფელსა და სოფლურ ცხოვრებას ეტანებოდა.

თავმომწონე და ამაყი ყმაწვილის მუდამ სანატრელი – სოფელი და სოფლის ცხოვრება იყო, იგი სოფელს უფრო ეგუებოდა, სოფლური საქმიანობა უფრო უყვარდა, ვიდრე ქალაქში უსაქმოდ და უდარდელად ცხოვრება.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ აესაკოსი იშვიათად ჩამოდიოდა ქალაქში, იშვიათად მონაწილეობდა ტროადელების ყრილობაში.

ახალგაზრდა აესაკოსს მთელი თავისი არსებით შეუყვარდა მდინარის ღმერთის კებრენის ასეული მშვენიერი ჰესპერეა, რომლის ღვთაებრივი ლამაზი სახე ჭაბუკს მოსვენებას არ აძლევდა.

სიყვარულით აგზნებული აესაკოსი მთელი თავისი არსებით ჰესპერეას ეკუთვნოდა, ჰესპერეასათვის ცოცხლობდა. ჰესპერეას ღვთაებრივი პირისახე ჭაბუკს მუდამ თვალწინ ედგა, იგი მის წინაშე ლოცულობდა და ნეტარების ცრემლებს აფრქვევდა.

ერთხელ სიყვარულით გატაცებულმა ჭაბუკმა დაინახა, რომ მშვენიერი ჰესპერეა მდინარის ნაპირას იჯდა, წელზე დაყრილ თმას ივარცხნიდა და მზეზე იშრობდა.

აესაკოსი მიუახლოვდა მშვენიერ ნიმფას. ჰესპერეა შიშმა აიტანა, ელვის სისწრაფით მოსწყდა მდინარის ნაპირს და მიაშურა დაბურულ ტყეს.

მირბის ელვის სისწრაფით მშვენიერი ჰესპერეა, როგორც რუხი მგლისაგან შემინებული ქურციკი, მიჰქრის მშვენიერი ნიმფა, როგორც ტბის ნაპირებს მოწყვეტილი გარეული იხვი, რომელსაც ქორი უკან ადევნებია დასაჭერად. მირბის ჰესპერეა, მოუშორებლათ თან მისდევს სიყვარულით აგზნებული ჭაბუკი აესაკოსი.

ანაზღად ნიმფა ჰესპერეამ ბალახებში მიმალულ გველს ფეხი დაჰკრა.

შხამიანმა გველმა მშვენიერ ნიმფას ფეხზე უკბინა და საბრალო მყისვე სიცოცხლეს გამოასალმა.

აესაკოსის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. საბრალო ჭაბუკი თავზარდაცემული მხურვალედ გულში იკრავდა მშვენიერ ნიმფას გაცივებულ გვამს და გულამოსკვნით ქვითინებდა და ქვითინებდა.

თვალცრემლიანი აესაკოსი საცოდავად თავს დაქვითინებდა გონებიდან განუყრელ საყვარელ არსებას და გულამოსკვნით ყოვლისშემძლე ღმერთებს ევედრებოდა: „მაღალო და ყოვლისშემძლე ღმერთებო! გევედრებით, გემუდარებით საცოდავსა და საბრალოს მომივლინოთ სიკვდილი! ჩემი სიცოცხლე განა სიცოცხლეა ჰესპერეას სიკვდილის შემდეგ! განა ჩემი გულწრფელი სიყვარული ასეთ მსხვერპლს მოითხოვდა!

სული მიწუხს, გული მიღონდება, როცა ჩემი ძვირფასი, ჩემი გონებიდან განუყრელი ჰესპერეას გაცივებულ გვამს თავს დავცქერი!

ჩემო ძვირფასო, ჩემო ნაზო და ტკბილო ჰესპერეა! შენი ასე უდროოდ სიკვდილის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ! ეს მწარე აზრი ყველგან და მარადის გულს მომიკლავს სულს აღმიშფოთებს, მთელს ჩემს არსებას მომიწამლავს! ძვირფასი და საყვარელი ჰესპერეას სიკვდილის შემდეგ განა ჩემი ამქვეყნად ცხოვრება მოსახერხებელი და შესაძლებელია! განა მე ღირსი ვიქნები დედამიწის ზურგზე ვიბოგინო, როცა ჩემი გონებიდან განუყრელი ძვირფასი ჰესპერეა შავ საფლავს ამოეფარება!

მაღალო და ყოვლისშემძლე ღმერთებო! კიდევ და კიდევ გულმხურვალედ გთხოვთ სიცოცხლე მომისპოთ, სამუდამოდ სიკვდილი მომივლინოთ! ერთადერთი სიკვდილი დაამშვიდებს ჩემს შემფოთებულ სულსა და გულს!“

ამ ვედრების შემდეგ თვალცრემლიანი აესაკოსი მიუბრუნდა ჰესპერეას გაცივებულ გვამს და გულამოსკვნით დასტირა „ჩემო ნაზო, ჩემო კეთილო მეგობარო! შენთან ერთად მეც საფლავი უნდა გავითხარო და ჩემი საკუთარი სიცოცხლე შენი სახელის ხსოვნას უნდა შევწირო!

შენთვის სიკვდილს ბედნიერებად ჩავთვლი, ჩემო ძვირფასო მეგობარო! მხოლოდ სიკვდილის ჟამსაც ერთხელ კიდევ ვინატრებდი, რომ ჩემს ობოლ საფლავს შენი ცრემლი ციურ საჩუქრად დასცემოდა!

მაგრამ, ვაგლახ, რომ ეს ჩემი ნატვრა ოცნებაა!“

ამ სიტყვებთან ერთად აესაკოსი, ცივაბო კლდის მწვერვალზე ავიდა და თვალუწვდენელ სიმაღლიდან ზღვის ტალღებში პირქვე გადაეშვა.

თეტიდა ქალღმერთმა შეიბრალა საცოდავი აესაკოსი, შემოსა იგი ფრთებით და ამრიგად მოუსპო საშუალება ზღვის ტალღებში სიცოცხლეს გამოსალმებოდა.

საბრალო ჭაბუკი ღელავს, შფოთავს, მრისხანებს, რომ სიცოცხლე ვერ შეწირა თავის ძვირფას და საყვარელ ჰესპერეას.

აესაკოსი კლდის მწვერვალიდან რამდენჯერმე გადაეშვა ზღვის სიღრმეში თავის დასახრჩობად, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია; ფრთებით შემოსილი კვლავ და კვლავ მიფრინავს იგი ზევით და იქედან მთელი ძალ-ღონით ვარდება ტალღებში, მაგრამ ფრთები ამსუბუქებს ვარდნას, და ამაოა ყოველი მისი ცდა გამოესალმოს სიცოცხლეს.

ფეხები, ცხვირი და კისერი უგრძელდება აესაკოსს, იგი ზღვის ფრინველად იქცევა, ზღვას აღარ სცილდება და მის ტალღებში ყურყუმალაობს.

ადონისი⁷

(ოვიდიუს ნაზონი – „მეტამორფოზები“)

სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთ აფროდიტეს შეუყვარდა კვიპროსის უფლისწული ადონისი, უმშვენიერესი ჭაბუკი, რომელსაც სილამაზით ვერც ერთი მოკვდავი ვერ შეედრებოდა, რომელიც თვით ოლიმპელ ღმერთებზე ულამაზესი იყო. აფროდიტეს თავდავიწყებით უყვარდა ადონისი. თვით ნათელმოსილი ოლიმპიც კი ანაცვალა მან ადონისს. სულ მასთან იყო, მასთან ერთად დადიოდა სანადიროდ კვიპროსის მთებსა და ტყეებში, ვით ნადირობის ქალღმერთი არტემიდე. აღარ ახსოვდა და არარად თვლიდა აფროდიტე თავის ოქროს სამკაულებს, თავის მომხიბლავ სილამაზეს. მცხუნვარე მზეში ნადირობდა იგი კურდღლებზე, მშიშარა ირმებსა და ქურციკებზე. მრისხანე ლომებსა და გარეულ ტახებზე ნადირობას კი თავს არიდებდა. ადონისსაც თხოვდა მორიდებოდა ლომებს, დათვებსა და ტახებს, რომ ხიფათი რამ არ შემთხვეოდა. იშვიათად ტოვებდა ქალღმერთი უფლისწულს, და თუ დატოვებდა ცოტა ხნით, ყოველთვის ევედრებოდა, მისი თხოვნა არ დავიწყებოდა.

ერთხელ, როდესაც აფროდიტე არ იყო ადონისთან, იგი სანადიროდ წავიდა. ანაზხად მისი ძაღლები უზარმაზარი ტახის კვალს წააწყდნენ. წამოაგდეს ნადირი და გამმაგებული ყეფით გამოუდგნენ. ადონისს უხაროდა, რომ ასეთ შესანიშნავ ნადავლს იგდებდა ხელთ, ის კი არ იცოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი ნადირობა იყო. აი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა ყეფა, აი უკვე ბუჩქებში გაიქროლა ვეება ტახმა. ადონისი უკვე მზად იყო ეტყორცნა თავისი შუბი გახელებული ნადირისათვის, მაგრამ უეცრად ებგერა მას ტახი და უზარმაზარი ეშვებით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მოკვდა ადონისი საშინელი ჭრილობისაგან.

როგორც კი გაიგო აფროდიტემ ადონისის სიკვდილის ამბავი, ენით გამოუთქმელმა მწუხარებამ მოიცვა იგი და უმაღლეს კვიპროსის მთებში გაეშურა საყვარელი ჭაბუკის ცხედრის სამებრად. მთის ფლატეებზე, პირქუმ ხევებში, უფსკრულთა ნაპირებზე მიდიოდა აფროდიტე, წვეტიანმა ქვებმა და ბასრმა ეკლებმა დაუსერეს ნაზი ფეხები ქალღმერთს. ბოლოს, მიაკვლია აფროდიტემ ადონისის ცხედარს. დიდი იყო მწუხარება მისი, მწარედ დაქვითინებდა იგი უდროოდ დაღუპულ მშვენიერ ჭაბუკს. მის უკვდავსაყოფად აფროდიტემ ბრძანა ადონისის სისხლიდან აღმოცენებულიყო ნაზი ყვავილი ანემონი⁸, იქ კი, სადაც ქალღმერთის

⁷ მოთხორიბილია შ. გვინიჩიძის მიერ.

მითი ადონისისა და აფროდიტეზე ბერძნებს გადმოღებული აქვთ ფინიკიელებისაგან. თვით სახელი ადონისი არაა ბერძნული; ფინიკიურია ის და „ბატონს“ ნიშნავს. ფინიკიელებმა კი, თავის მხრივ, ეს მითი ბაბილონელებისაგან გადმიდეს; მათ ჰქონდათ მითი სიყვარულის ქალღმერთის იშთარისა და მშვენიერი ჭაბუკის თამუზეს შესახებ, რომელიც კვდებოდა და ყოველ გაზაფხულს აღდგებოდა ხოლმე მკვდრეთით.

ბერძნულ მითში ადონისს ჰკლავს გარეული ტახი. ეს ვეება, ჯაგარაყრილი მხეცი, რომელმაც სიცოცხლე მოუსპო ადონისს, სუსხიანი ზამთრის სიმბოლოა, ყოველ სასიცოცხლეს დროებით რომ ჩაკლავს ხოლმე ბუნებაში.

⁸ ანემონი – ანუ, ქართულად, ყაყაჩორა, ხაშხაში: მისი ყვავილები გადაიშლება ხოლმე მზეზე დღის განსაზღვრულ საათებში; ხანმოკლეა მისი ყვავილობა.

გასისხლიანებული ფეხებიდან სისხლი დაეწვეთა, ყველგან საუცხოო ვარდები აღმოცენდა, – ალისფეროვანი, ვით აფროდიტეს სისხლი. შეეცოდა ყოვლისშემძლე ზევსს დამწუხრებული სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე. უბრძანა თავის ძმას ჰადესს და მის მეუღლეს პერსეფონეს ყოველ წელიწადს გამოეშვათ ადონისი აჩრდილთა სამყაროდან დედამიწაზე. და აი იმ დროიდან მოყოლებული ადონისი ნახევარ წელიწადს რომ ჰადესის სამფლობელოში ატარებს, მეორე ნახევარს დედამიწაზე ცხოვრობს ქალღმერთ აფროდიტესთან. მთელი ბუნება ჰხარობს და ჰყვავის, როდესაც დედამიწასა და მზის ცხოველყოფელ სხივებს უბრუნებდა ოქროსთმიანი აფროდიტეს გულის სატრფო, ახალგაზრდა, მშვენიერი ადონისი.

პირთა სახელების და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი⁹

ა

- აგენორი** – ფინიკიის ქალაქ სიდონის (დასავლეთით ახლანდელი პორტ – საიდისა) მეფე, ევროპას მამა.
- აგენორი** – ალკმეონის პირველი ცოლის არსინოეს ძმა. თავის ძმა პრონესთან ერთად მოჰკლა ალკმეონი, როდესაც მან მიატოვა მათი და არსინოე და სხვა შეირთო ცოლად. აგენორი თავის მხრივ მოჰკლეს ალკმეონის ვაჟიშვილებმა მეორე ცოლისაგან.
- ადონისი** – კვიპროსის უფლისწული, სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს საყვარელი მშვენიერი ჭაბუკი, რომელიც ნადირობისას დაიღუპა და აფროდიტემ ნაზ ყვავილად აქცია.
- ადრასტე** – არგოსის მეფე, თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის მთავარ–სარდალი და ეპიგონების ლაშქრობის მონაწილე.
- აედონი** – თებელი გმირის ზეთოსის ცოლი.
- ათენა** – (რომაელების **მინერვა**) – ზევსის ასული, უდედოდ დაიბადა თვით ზევსის თავიდან, სრული სამომარი შეჭურვილობით. „ყოვლისშემძლე მამის ასული“, – ასე უწოდებდნენ მას. სიბრძნის, ომისა და ყოველ–გვარი ხელსაქმის ქალღმერთად ითვლებოდა, გმირების ბრძენ მრჩეველად და მათ მფარველად იყო მიჩნეული.
- აითრა (ეთრა)** – ტროიძენის მეფის პიტთევსის ასული, თეზევსის დედა.
- აკარნანი** – ალკმეონისა და კალიროეს ძე, თავის ძმა ამფოტერესთან ერთად შური იძია მამის მკვლელობისათვის, მოჰკლა ალკმეონის პირველი ცოლის არსინოეს ძმები და მშობლები.
- აკროპოლისი** – მალღობის წვერზე აგებული ციხე–სიმაგრე ათენაში.
- ალკმენე** – თებეს მეფის ამფიტრიონის ცოლი, რომელსაც ზევსისაგან შეეძინა

⁹ შეადგინა შ. გვინჩიძემ

შვილი.

- ალკმეონი** – ამფიარაეს და ერიფილეს ძე, თებეს წინააღმდეგ მეორე ლაშქრობის მთავარსარდალი. შური იძია მამის სიკვდილისათვის, მოჰკლა თავისი დედა, ორჯერ შეირთო ცოლი, მოკლულ იქნა პირველი ცოლის ძმების მიერ.
- ამფიარაე** – არგოსელი მისანი. თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის ერთ-ერთი სარდალი. პოლინიკეს მიერ მოსყიდული თავისი ცოლის ერიფილეს დაჟინებითი მოთხოვნით მონაწილეობა მიიღო თებეს წინააღმდეგ პირველ ლაშქრობაში, თუმცა იმთავითვე იცოდა, რომ ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდებოდა. ბრძოლის დროს ცოცხლად შთანთქა დედამიწამ. მისმა შვილმა ალკმეონმა შური იძია მისი სიკვდილისათვის და მოჰკლა ერიფილე.
- ამფიონი** – ზევსისა და ანტიოპეს ძე, ნიობეს ქმარი, თებეს ამშენებელი, თავის ძმა – ტყუპთან, ზეთოსთან, ერთად მოჰკლა თებეს მეფე ლიკოსი, და ძმები დაეუფლნენ თებეს.
- ამფოტერე** – ალკმეონისა და კალიროეს ძე, ძმა აკარნანისა (იხ. აკარნანი).
- ამფიტრიონი** – თებეს მეფე, ალკმენეს ქმარი.
- ანტეოსი** – გოლიათი, ძე ზღვათა უზენაესი ღმერთის პოსეიდონისა და გეასი (დედამიწის). იგი ორთა ბრძოლაში ჰერაკლემ მოწყვიტა მიწას და დაახრჩო ჰაერში.
- ანტიგონე** – თებეს მეფის ოიდიპოსისა და იოკასტეს ასული. თავისი ძმის პოლინიკეს სიკვდილის შემდეგ, რომელიც ეტეოკლესთან, თავის ძმასთან, ორთა ბრძოლაში დაიღუპა, ანტიგონემ, თებეს მეფის კრეონტის აკრძალვის მიუხედავად, მიწას მიაბარა პოლინიკე, რისთვისაც ცოცხლად დამარხულ იქნა ლაზდაკიდების საგვარეულო აკლდამაში, და იქ თავი მოიკლა.
- ანტიოპე** – (1) თებეს მეფის ნიქტევსის ასული, ზევსისაგან შეეძინა ტყუპი ვაჟები – ზეთოსი და ამფიონი და ცოლად გაჰყვა სიკიონის მეფეს ეპოპევსს. მას სდევნიდნენ ბიძა ლიკოსი და მისი ცოლი დირკე. შური იძიეს ლიკოსსა და დირკეზე ანტიოპეს ვაჟებმა – ზეთოსმა და ამფიონმა. 2) ამორძალი, თეზევსის პირველი ცოლი.
- აპოლონი** – სინათლის, მზის, მეცნიერებისა და ხელოვნების ღმერთი, ძე ზევსისა და ლეტოსი.
- აპულეუსი** – გამოჩენილი რომაელი პოეტი. დაიბადა ახალი წელთაღრიცხვის 125 წელს.
- არგოსი (არგუსი)** – ასთვალა ურჩხული.
- არესი** – (რომაელების მარსი) – ზევსისა და ჰერას ძე, ომის ღმერთი.
- არკადია** – მხარე პელოპონესის ცენტრალურ ნაწილში.
- არსინოე** – არკადიის მეფის ფეგევსის ასული, ალკმეონის პირველი ცოლი. არსინოეს ძმებმა – აგენორმა და პრონემ მოჰკლეს ჯერ ალკმეონი და მერე არსინოეც.
- არტემიდე** (რომაელების დიანა) – ზევსისა და ლეტოს ასული, აპოლონის და; ნადირობის, ცხოველთა და მთვარის ქალღმერთი, ქალწული; შეიარაღებული იყო, თავისი ძმის აპოლონის მსგავსად, მშვილდ-ისრით.
- აფარევსი** – იდასისა და ლინკევსის მამა, მეფე მესენიისა.

აფარიდები – მეფე აფარევსის ვაჟები – იდასი და ლინკევსი.

აფროდიტე (რომაელების **ვენერა**) – ზევსისა და დიონეს ასული. სხვა თქმულე-ბით, ზღვის ქაფიდან და ურანოსისაგან წარმოიშვა, პირველად კუნძულ კვიპროსზე გამოჩნდა; სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთად ითვლებოდა.

აქელოე – შუა საბერძნეთის დასავლეთ ნაწილში იმავე სახელის მდინარის ღმერთი. ებრძოდა ჰერაკლეს დეიანირას გამო, მაგრამ ძლეულ იქნა ჰერაკლეს მიერ. ალკმეონის ცოლის კალიროეს მამა იყო.

აქილევსი – პელევსისა და თეტიდას ძე, ტროას ომის მთავარი გმირი.

ბ

ბელე – ეპაფეს ძე, ეგვიპტის მეფე, ეგვიპტოსისა და დანაეს მამა.

ბორიო (**ბორეასი**) – ჩრდილოეთის ქარის ღმერთი.

გ

გალატეა – ზღვის ნიმფა, მშვიდი ზღვის განსახიერება; სდევნიდა მას თავისი სიყვარულით ცალთვალა კიკლოპი პოლიფემი.

გორგონები – სამი და, ურჩხულები. მათი ერთი შეხედვა ყოველ სულდგმულს აქვავებდა. ამ სამში ერთი – მედუზა მოკვდავი იყო. მას თავი მოჰკვეთა გმირმა პერსევსმა.

დ

დანაე – ეგვიპტის მეფის ბელეს ძე, ორმოცდაათი ქალიშვილის მამა (იხ. დანაიდები).

დანაიდები – დანაეს ორმოცდაათი ქალიშვილი. ცოლებად მათი შერთვა უნდოდათ მათ ბიძაშვილებს ეგვიპტოსის ორმოცდაათ ვაჟიშვილს. დანაიდები გაექცნენ ეგვიპტიდებს. ჯერ თავი შეაფარეს არგოსში, შემდეგ, როდესაც ეგვიპტიდებმა დაამარცხეს არგოსელები, დათანხმდნენ ბიძაშვილებზე დაქორწინებას, მაგრამ მამის ბრძანებით ქორწინების პირველ ღამესვე მოჰკლეს თავისი ქმრები. მხოლოდ ერთმა დამ ჰიპერმნესტრამ არ შეასრულა მამის ბრძანება.

დაფნე – ნიმფა, აპოლონის სატრფო, რომელიც ხედ იქცა. „დაფნეს ხე“ აპოლონის ღვთაებრივი ხეა.

დეიანირა – კალიდონის (ეტოლია) მეფის ოინევსის ასული, ჰერაკლეს ცოლი.

მშვენიერი იოლეთი გატაცებული ქმრის, ჰერაკლეს, სიყვარულის დაბრუნების მიზნით ურჩხულ ნესოსის სისხლით ჟღენტოს ძვირფას წამოსასხამს და საჩუქრად უგზავნის ჰერაკლეს. ჰერაკლეს სხეული სასიკვდილოდ იშხამება ნესოსის შხამით. დეიანირა, რა წამს გაიგებს თავის უნებლიე დანაშაულს, თავს მოიკლავს.

დელოფოსი – ქალაქი, აპოლონის სამისნოთი სახელგანთქმული.

დემეტრე (რომაელების **ცერერა**) – კრონოსისა და რეას ასული, დედამიწისა და ჭირნახულის ქალღმერთი, პერსეფონეს დედა.

დემოფონი – თეზევსისა და ფედრას ძე. მიიღო და მფარველობა გაუწია ჰერაკლიდებს არგოსის მეფის ევრისტევსის დევნისაგან.

დიომედე – ტიდევსის ძე, თებეს წინააღმდეგ ეპიგონების ლაშქრობის მონაწილე.

დიონე – ოკეანეს ასული, ზევსისაგან შეეძინა აფროდიტე.

დიოსკურები – ზევსის ტყუპი-ვაჟები – პოლიდეკე (პოლუქსი) და კასტორი (იხ. პოლიდეკე და კასტორი).

დირკე – თებეს მეფის ლიკოსის ცოლი. იგი სდევნიდა ანტიოპეს. დირკე ამისათვის ანტიოპეს ვაჟიშვილებმა, ზეთოსმა და ამფიონმა, მიაბაწრეს გახელებული ხარის რქებს და მისი დაფლეთილი გვამი მდინარეში გადააგდეს. ამ მდინარეს დირკე ეწოდა.

დრიადები – ტყის ნიმფები.

ე

ეგვიპტოსი – ბელეს ძე, ეგვიპტის მეფე, რომლის ორმოცდაათმა ვაჟიშვილმა ძალდატანებით შეირთეს ცოლებად თავისი ბიძის დანაეს ორმოცდაათი ასული – დანაიდები.

ეგიალევსი – არგოსის მეფის ადრასტეს ძე, თებეს წინააღმდეგ ეპიგონების ლაშქრობის მონაწილე.

ევრიალე – მეკისტევსის ძე, ეპიგონების ლაშქრობის მონაწილე.

ევრიდიკე – თებეს მეფის კრეონტის ცოლი; თავისი ვაჟის ჰემონის სიკვდილი რომ გაიგო, თავი მოიკლა.

ევრიპიდე – საბერძნეთის უდიდესი დრამატურგი. ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის 480–406 წლებში.

ევრისტევი – მიკენის მეფე, მხდალი და მუხანათი ადამიანი, რომელსაც ჰერაკლე მონა-მსახურად ჩაუგდო ხელში ჰერამ. ჰერაკლემ ევრისტევსის მძიმე სამსახურში თორმეტი საგმირო საქმე შეასრულა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ჰერაკლეს სიკვდილის შემდეგ ევრისტევი სდევნიდა მის შთამომავალთ – ჰერაკლიდებს.

ევროპა – ფინიკიის ქალაქ სიდონის მეფის აგენორის ასული. მისდამი ტრფობით აღსავსე ზევსი ხარად გადაიქცა, შეისვა ზურგზე, გაცურა ზღვა, კუნძულ კრეტაზე მიიყვანა და იქ დააბინავა, სადაც ზევსისაგან სამი ვაჟი შეეძინა – მინოსი, რადამანთი და სარპედონი.

ევროსი – აღმოსავლეთის ქარის ღმერთი.

- ელევსინი** – დაბა ატიკაში, ათენის მახლობლად, ქალღმერთ დემეტრეს საკუთრებით სახელგანთქმული.
- ელინი** – ბერძენი ხალხის მითიური წინაპარი. მისგან მიიღო ბერძენმა ხალხმა სახელი – ელინები.
- ეპაფე** – ზევსისა და იოს ძე, ლიბიას და ბელეს მამა.
- ეპიგონები** – სიტყვა „ეპიგონები“ ნიშნავს – „შემდეგ დაბადებულნი“. თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის მონაწილეთა შთამომავალნი, თებეს წინააღმდეგ მეორე ლაშქრობის მონაწილენი.
- ეპოპევსი** – სიკიონის მეფე, ანტიოპეს ქმარი.
- ერებთევსი** – ათენის მითიური მეფე.
- ესქილე** – საბერძნეთის უდიდესი დრამატურგი. ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის 525–456 წლებში.
- ეტეოკლე** – 1) ოიდიპოსისა და იოკასტეს ძე, განდევნა თავისი ძმა პოლინიკე თებედან. 2) იფისის ძე, თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის ერთ-ერთი სარდალი.

3

ვერგილიუსი – შესანიშნავი რომაელი პოეტი. ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის 70–19 წლებში.

ზ

- ზევსი** (რომაელების **იუპიტერი**) – კრონოსისა და რეას ძე, ყოვლისმპყრობელი, ღმერთთა ღმერთი. მან დაამხო კრონოსი, დაამარცხა საშინელ ბრძოლაში ტიტანები და შეიქნა სამყაროს მბრძანებელი. მისი ეპითეტებია „ღმერთებისა და ადამიანთა მამა“, „ელვის–მტყორცნელი“, „ღრუბელთმკრეფელი“, მისი კავშირისაგან ქალღმერთებსა და მოკვდავ ქალებთან წარმოიშვა მრავალი ღმერთი და გმირი: აპოლონი, ჰერმესი, დიონისე, პერსევსი, ჰერაკლე და სხვ.
- ზეთოსი** – ზევსისა და ანტიოპეს ძე, ძმა – ტყუპი ამფიონისა. ამფიონთან ერთად მოჰკლა თებეს მეფე ლიკოსი (იხ. ამფიონი).
- ზეფიროსი** – დასავლეთის ქარის ღმერთი.

თ

თებე – ქალაქი შუა საბერძნეთში.

თეზევსი – ატიკური მითების მთავარი გმირი, ათენის ლეგენდარული მეფე, ეგეოსის ძე.

თერსანდრე – პოლინიკეს ძე, ოიდიპოსის შვილიშვილი, ლაბდაკეს უკანასკნელი შთამომავალი. ეპიგონების მიერ თებელების დამარცხების შემდეგ გამეფდა თებეში, შემდეგში მონაწილეობა მიიღო ტროას ომში და ამ ომში დაიღუპა.

თეტიდა – ზღვის ღვთაების ნერევსის ასული, პელევსის ცოლი, თესალიელი გმირის აქილევსის დედა.

ო

იანუსი – რომაელების ღვთაება. ორპირსახიანს უწოდებდნენ და ასედაც სახავდნენ. „ორპირსახიანი იანუსი“ კარების, ყოველგვარი საქმიანობის დასაწყისისა და დასასრულის ღვთაებად იყო მიჩნეული.

იდასი – აფარევსის ძე, ლინკევსის ძმა (იხ. აფარიდები).

ილიონი – ტროადის სამეფოს მთავარი ციხე-ქალაქი.

ინაქე – არგოსის უძველესი მეფე, იოს მამა.

იო – არგოსის მეფის ინაქეს ასული, რომელიც შეიყვარა ზევსმა და გადაქცეულ იქნა პროხად.

იოკასტე – მეფე ლაოსის მეუღლე და ოიდიპოსის დედა და ცოლი. ოიდიპოსმა არაფერი იცოდა რა, ისე მოჰკლა მამა და ცოლად შეირთო დედა. როდესაც ეს საშინელი დანაშაული გამოჰქადაგდა, ოიდიპოსმა თვალები დაითხარა, იოკასტემ კი თავი ჩამოიხრჩო. ოიდიპოსისაგან იოკასტეს შეეძინა შვილები: ანტიგონე, ისმენე, ეტეოკლე და პოლინიკე.

იოლაოსი – ჰერაკლეს ძმისწული და მისი მრავალი ბრძოლის თანამონაწილე. ჰერაკლეს სიკვდილის შემდეგ იოლაოსი გამოექომაგა მის შვილებს და დაიცვა ევრისტევსის დევნისაგან.

იოლე – ევბეის მეფის ევრიტოსის მშვენიერი ასული. ჰერაკლემ მოისურვა იოლეს ცოლად შერთვა, მაგრამ ამისათვის ევრიტოსს უნდა შეეჯიბრებოდა მშვილდოსნობაში და ეჯობნა მისთვის. მიუხედავად იმისა რომ ევრიტოსი შესანიშნავი მშვილდოსანი იყო, ჰერაკლემ აჯობა მას, მაგრამ ევრიტოსმა თავისი ასული მაინც არ მისცა. მაშინ ჰერაკლემ ომი აუტეხა მას, დაამარცხა და იოლე ტყვედ წმოიყვანა. გზაში ჰერაკლე მოკვდა (იხ. დეინარა). ჰერაკლემ იოლე თავის ვაჟს ჰილეს უანდერძა ცოლად.

იონი – აპოლონისა და კრეუზას ძე, იონელთა ტომის წინაპარი.

ისმენე – ოიდიპოსისა და იოკასტეს ასული, ანტიგონეს და.

იფიკლე – ჰერაკლეს ნახევარძმა, ამფიტრიონისა და ალკმენეს ძე.

იფისი – არგოსის მეფე.

კ

- კადმოსი** – ფინიკიის მეფის აგენორის ძე, ევროპას ძმა, თებეს დამაარსებელი, მოხუცებულობისას გველეშაპად იქცა.
- კალიროე** („ლამაზად მიმდინარე“) – მდინარის ღმერთის აქელოეს ასული, ალკმეონის მეორე ცოლი.
- კაპანევსი** – თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის ერთ–ერთი სარდალი.
- კასტორი** – ტინდარევსისა და ლედას ძე, პოლიდეკეს ძმა.
- კენტავრი** – მითიური არსება – ნახევრად – ცხენი და ნახევრად – ადამიანი. ასეთი იყო, მაგალითად, აქილევსის აღმზრდელი ქირონი.
- კეიკოსი** – ქალაქ ტრაქინეს მეფე, რომელთანაც თავი შეაფარა ჰერაკლეს ცოლმა დეიანირამ თავისი შვილებით.
- კეფისი** – მდინარე ატიკაში და ღმერთი ამ მდინარისა.
- კიკლოპები** – ცალთვალა გოლიათები, ურანოსისა და გეას შვილები, როლებმაც ზევსისათვის გამოსჭედეს ელვა და მეხი. მათ რიცხვს ეკუთვნის პოსეიდონის ძე პოლიფემი.
- კლიტოსი** – ალკმეონისა და არსინოეს ძე. მამის დალუპვის შემდეგ გაიქცა და ელიდაში დასახლდა.
- კრეონტი** – იოკასტეს ძმა, ოიდიპოსის ცოლისძმა. ოიდიპოსის შვილების და–ლუპვის შემდეგ მართავდა თებეს.
- კრეუზა** – ათენის მეფის ერეხთევსის ასული, რომელსაც აპოლონისაგან შეეძინა ვაჟი იონი.
- კრონისი** – (რომაელების სატურნი) – ცისა (ურანოსის) და დედამიწის (გეას) შვილად ითვლებოდა. ურანოსის დამხობის შემდეგ მთელს სამყაროს (კოსმოსს) განაგებდა, ქვეყნიერების უზენაეს ღვთაებად, მის მომწყობ–მომწესრიგებლად ითვლებოდა. ცოლად შეირთო თავისი და რეა (რომაელთა ოპსი), რომლისგანაც შეეძინა სამი ვაჟი – ჰადესი, პოსეიდონი და ზევსი, სამი ქალი – დემეტრე, ჰესტია და ჰერა.

ლ

- ლაბდაკე** – თებეს მეფე, ლაოსის მამა, ოიდიპოსის პაპა.
- ლაოდამოსი** – თებეს მეფე, ეტეოკლეს ძე, ოიდიპოსის შვილიშვილი, ებრძოდა ეპიგონებს, თებეს წინააღმდეგ მეორე ლაშქრობის მონაწილეებს. მოკლულ იქნა ეპიგონების ლაშქრობის მთავარსარდლის ალკმეონის მიერ.

ლაოსი (ლაიოსი) – თებეს მეფე, ოიდიპოსის მამა. მოჰკლა საკუთარმა შვილმა ოიდიპოსმა.

ლედა – სპარტის მეფის ტინდარეოსის ცოლი, კასტორისა და კლიტემნესტრას დედა: ზევსისაგან შეეძინა პოლუქსი (პოლიდეკე) და ელენე.

ლეტო (ლატონა) – აპოლონისა და არტემიდეს დედა.

ლიკოსი – თებეს მეფე, ანტიოპეს ბიძა, მოჰკლეს ძმებმა – ტყუპებმა ზეთოსმა და ამფიონმა.

ლინკევსი – 1) ეგვიპტოსის ერთ–ერთი ვაჟი, ჰიპერმნესტრას ქმარი (იხ. ჰიპერმნესტრა), 2) აფარევსის ძე, იდასის ძმა (იხ. აფარიდები).

მ

მაკარეა – ჰერაკლეს და დეიანირას ასული, ნებაყოფლობით მიიტანა თავი სამსხვერპლოზე, რათა ამით მოეპოვებინა ჰერაკლიდების დამცველი ათენელებისათვის ევრისტევსზე გამარჯვება.

მიკულა სელიანიწოვიჩი – რუსული თქმულებების გმირი.

მინოსი – ზევსისა და ევროპას ძე, უფროსი იყო ძმებს შორის, წილად კუნძულ კრეტა ერგო. სიკვდილის შემდეგ ქვესკნელის მრისხანე მსაჯული და განმკითხველი.

მინოტავრი – კაციჭამია, ნახევრად – ხარი, ნახევრად – ადამიანი კუნძულ კრეტაზე.

მოსხი – ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის ბრძენი პოეტი.

ნ

ნაიადები – წყლის ნიმფები.

ნარგისი (ნარცისი) – თავის თავზე შეყვარებული ჭაბუკი, სიკვდილის შემდეგ გადაიქცა ყვავილად.

ნერეიდები – ზღვის ღმერთის ნერეოსის ასულები.

ნიმფები – წყაროების, ტყეების, მთების და სხვ. ქალღმერთები.

ნიობე – ტანტალეს ასული, თებეს მეფის ამფიონის ცოლი, შვიდი ქალისა და შვიდი ვაჟის დედა. აპოლონმა და არტემიდემ დაუხოცეს შვილები.

ნიქტევსი – ლაბდაკეს მცირეწლოვანების გამო განაგებდა თებეს. ანტიოპეს მამა. ომი აუტეხა ანტიოპეს ქმარს ეპოპევსს, მაგრამ დამარცხებულ იქნა.

ნოტოსი – სამხრეთის ქარის ღმერთი.

ო

- ოვიდიუს ნაზონი** – სახელგანთქმული რომაელი პოეტი, ცნობილი „მეტა–მორფოზების“ (მითიური გარდაქმნების) და სხვა შესანიშნავ ნაწარმოებთა ავტორი. ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის 43 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 17 წლამდე.
- ოიდიპოსი** – თებეს მეფის ლაოსისა და იოკასტეს ძე. არ იცნობდა თავის მშობლებს, მოჰკლა მამა და ცოლად შეირთო დედა. გამოიცნო სფინქსის გამოცანები და გახდა თებეს მეფე, მაგრამ, როდესაც გამომჟღავნდა მისი უნებლიე დანაშაული, თვალები დაითხარა.
- ოკეანე** – მითიური მდინარე, რომელიც გარს უვლის მთელ დედამიწას. ზღვათა, მდინარეთა და წყაროთა ყველა ღმერთთა წარმომშობი.
- ოლიმპო** – მთა ჩრდილოეთ საბერძნეთში, თესალიასა და მაკედონიას შორის. ძველი ბერძნები ღმერთების ადგილ–სამყოფელად თვლიდნენ, ამიტომ მათ, ამ ღმერთებს ოლიმპელები ეწოდებოდათ.

პ

- პანი** (რომაელების **ფავნი**) – ჰერმესისა და ნიმფა პენელოპეს ძე. ტყის, სამოვრე–ბის, ჯოგებისა და მწყემსების ღმერთად ითვლებოდა. აგრეთვე „პანიკური შიშის“ ღმერთი იყო.
- პართენოპე** – თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის ერთ–ერთი სარდალი, არგოსის მეფის ადრასტეს ძმა.
- პელევსი** – აქილევსის მამა, თეტიდას ქმარი.
- პერსევსი** – ზევსის ძე დანაეისაგან, მოჰკლა მედუზა.
- პერსეფონე** (რომაელების **პროზერპინა**) – ზევსისა და დემეტრეს ასული, ჰადესის მეუღლე.
- პითია** – აპოლონის ქურუმი ქალი, მისანი დელფოში.
- პითონი** – გველეშაპი, რომელიც მოჰკლა აპოლონმა.
- პოლიდეკე** (**პოლუქსი**) – ზევსისა და ლედას ძე, ძმა კასტორისა.
- პოლინიკე** – ოიდიპოსისა და იოკასტეს უფროსი ვაჟი. იგი თებედან განდევნა მისმა ძმამ ეტეოკლემ, თავი შეაფარა არგოსის მეფეს ადრასტეს, რომლის ასულთანაც იქორწინა. თებეს წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ეტეოკლესთან ორთა ბრძოლაში დაიღუპა მასთან ერთად.
- პოლიფემი** (**პოლიფემოსი**) – ცალთვალა კიკლოპი, ზღვის უზენაესი ღვთაების პოსეიდონის ძე.
- პოსეიდონი** (რომაელების **ნეპტუნი**) – კრონოსისა და რეას ძე, ზღვათა უზენაესი ღვთაება.
- პრომაქოსი** – პართენოპეს ძე, ეპიგონების ლაშქრობის მონაწილე.
- პრონე** – ალკმეონის პირველი ცოლის არსინოეს ძმა.

პსოფიდა – ქალაქი არკადიაში.

რ

რადამანტი – ზევსისა და ევროპას ძე, დატოვა კრეტა და გადასახლდა ბეოტიაში, სადაც დიდი სახელი მოიხვეჭა როგორც კანონმდებელმა და მოსამართლემ.

რეა (რომაელების **ოპსი**) – კრონოსის ცოლი, ზევსისა და სხვა ღმერთების დედა.

ს

სარპედონი – ზევსისა და ევროპას ძე. ძლიერი სახელმწიფო დაარსა ლიკიაში.

სატირები – ვაზის, ღვინისა და მოლხენის ღმერთის დიონისეს თხის ფეხებიანი მხლებელნი.

სიკიონი – ქალაქი პელოპონესის ჩრდილოეთ მხარეში, კორინთოს უბის სანაპიროზე.

სოფოკლე – საბერძნეთის უდიდესი დრამატურგი. ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის 496–406 წლებში.

სფინქსი – ნახევრად – ქალი და ნახევრად – ფრინველი, რომელიც თებეს მახლობლად კლდეზე ბინადრობდა და გამოცანებს იძლეოდა. კლდიდან გადაიჩეხა, როდესაც ოიდიპოსმა გამოიცნო მისი გამოცანები.

ტ

ტარტაროსი – ჯოჯოხეთი, ქვესკნელი, საიქიო, აჩრდილთა სამყარო.

ტერფსიქორე – ცეკვის მუზა.

ტიდეუსი – კალიდონის მეფის იონევსის ძე. გაიქცა კალიდონიდან არგოსში, სადაც ცოლად შეირთო ადრასტეს ასული. თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის ერთ-ერთი სარდალი.

ტირეზია – თებეს სახელგანთქმული ბრმა მისანი, რომელმაც გამოამჟღავნა ოიდიპოსის დანაშაული.

ტიტანი – დევგმირი, ბუმბერაზი. ტიტანები აუჯანყდნენ ზევსს. მოიწადინეს მიეღწიათ ზეცამდე და ჩამოეგდოთ ზევსი. მთა მთაზე შედგეს, კლდე კლდეზე და გაუმართეს საშინელი ბრძოლა ზევსს, მაგრამ ყოვლისშემძლე ზევსმა სძლია ისინი და ტარტაროსში ჩაჰყარა.

ტიფონი – ასთავიანი ურჩხული, რომელიც ცეცხლს აფრქვევდა პირიდან. აღუდგა ზევსს. ზევსმა სძლია იგი და ტარტაროსში ჩაავდო.

ტროა – სამეფო მცირე აზიაში.

ტროფონი – ხუროთმოძღვარი, რომელმაც ააგო დეფოს ტაძარი. სიკვდილის შემდეგ გაღმერთებულ იქნა. სამისნო ტროფონისა სახელგანთქმული იყო მთელს საბერძნეთში.

ფ

ფეგევსი – არკადიის მეფე, რომლის ასული არსინოე იყო ალკმეონის პირველი ცოლი. როდესაც ალკმეონმა მიატოვა არსინოე და შეირთო კალიროე, ფეგევსმა მოაკვლევინა თავის ვაჟებს ალკმეონი. სამაგიერო გადაუხადეს ალკმეონის შვილებმა, – მათ მოჰკლეს თვით ფეგევსი და მისი ვაჟები.

ფილირა – ოკეანის ასული, დედა კენტავრ ქირონისა.

ფლორა – ყვავილთა ქალღმერთი რომაელებისა.

ქ

ქირონი – კრონოსისა და ფილირას ძე, უბრძნესი კენტავრი, რომელმაც აღზარდა აქილევსი და ზოგიერთი სხვა გმირიც.

ქსუთოსი (ქსუთე) – კრეუზას ქმარი.

ჰ

ჰადესი (რომაელების პლუტონი) – ჯოჯოხეთის, ქვესკნელის, აჩრდილთა სამყაროს უზენაესი ღვთაება.

ჰარმონია – ასული არესისა და აფროდიტესი, თებეს მეფის კადმოსის ცოლი. მოხუცებულობისას, მსგავსად კადმოსისა, გველეშაპად იქცა.

ჰელიოსი – მზის ღმერთი.

ჰერა (რომაელების იუნონა) – ასული კრონოსისა და რეასი, ღმერთთა ღმერთის, ყოვლისმპყრობელი ზევსის და, აგრეთვე მისი ცოლი. ქორწინების მფარველი ქალღმერთი.

ჰერაკლე (რომაელების ჰერკულესი) – ძე ზევსისა და ალკმენესი, საბერძნეთის უდიდესი გმირი.

ჰერაკლიდები – ჰერაკლეს შვილები და შთამომავალნი, რომლებმაც თავი შეაფარეს ათენში გმირ თეზევსს, ჰერაკლეს ძველი მტრის ევროსთევსის დევნისაგან. ათენელებმა სასტიკად დაამარცხეს გათავხედებული ევროსთევსი და იხსნეს ჰერაკლიდები ამ დევნისაგან.

- ჰემონი** – თებეს მეფის კრეონტის ძე, ანტიგონეს საქმრო. როდესაც კრეონტის ბრძანებით ლაბდაკიდების საგვარეულო აკლდამაში ცოცხლად და–მარხულმა ანტიგონემ თავი ჩამოიხრჩო, ჰემონმა მის ცხედართან განიგმირა მკერდი.
- ჰერმესი** (რომაელების **მერკური**) – ძე ზევსისა და ტიტან ატლანტეს ასულის მაიასი, ღმერთების მოციქული, მიცვალებულთა მეგზური საიქიოს, ვაჭრობის, მოგზაურობის, მჭერმეტყველების, სიზმრის, გამომგონებლობის, ხელობის, მეჯოგეობის, სამოვრების მფარველი ღმერთი.
- ჰეპესტო** (რომაელების **ვულკანი**) – ზევსისა და ჰერას ძე, ცეცხლისა და სამჭედლო ოსტატობის ღმერთად ითვლებოდა.
- ჰილე** – ჰერაკლესა და დეიანირას ძე. ჰერაკლეს ანდერძით ცოლად შეირთო მამის ტყვე ქალი იოლე. მამის სიკვდილის შემდეგ გამოექომაგა ჰერაკლიდებს ევრისტევსის წინააღმდეგ და ათენელების დახმარებით დაამარცხა ეს ბოროტი მეფე.
- ჰიპერმნესტრა** – დანაეს ერთ–ერთი ასული. თავის დებს შორის ერთადერთი იყო, მამის ბრძანება რომ არ შეასრულა, – არ მოჰკლა თავისი ქმარი ლინკევსი. (იხ. დანაიდები).
- ჰიფსიპილე**– კუნძულ ლემნოსის დედოფალი. ლემნოსზე ქალებმა ყველა მამაკაცი მოჰკლეს და დედოფლად თვით ჰიფსიპილე აირჩიეს. მაგრამ გამოირკვა, რომ მან თავისი მამა თოასი არ მოჰკლა, ამისათვის იგი ლემნოსელებმა დასაჯეს, – სამშობლოდან გააძევეს. შემდეგ ამისა მეკობრეებმა მოიტაცეს ჰიფსიპილე და მიჰყიდეს ნემესის მეფეს ლიკურგს, რომელმაც ძიძად მიუჩინა იგი თავის ნორჩ ვაჟიშვილს.
- ჰომეროსი** – საბერძნეთის უდიდესი პოეტი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნის მახლობელ ხანებში ცხოვრობდა, ავტორი პოემებისა – „ილიადა“ და „ოდისეა“.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა;

თებეს ციკლის თქმულებანი;

1. ზეთოსი და ამფიონი;
2. აედონი;
3. პოლინიკე და მეფე ადრასტე;
4. თებეს წინააღმდეგ გალაშქრება;
5. თებეს გარშემო ბრძოლის გაჩაღება;
6. არგოსელების ბანაკის ხელმეორედ დაზვერვა;
7. ღვიძლი ძმების ორთა ბრძოლა;
8. არგოსელების მხედრობის დამარცხება;
9. ათენელების გალასქრება თებეს წინააღმდეგ;

10. ანტიგონე;
11. ეპიგონების გალაშქრება თებეს წინააღმდეგ;
12. დამლუპველი საჩუქარი;

I. არგოსის ციკლის თქმულებანი

1. მეფე ინაქეს მშვენიერი ასული (იო);
2. დანაე და დანაიდები;

II. კრეტას ციკლის თქმულება

1. ევროპა;

III. ატიკის ციკლის თქმულებანი

1. იონი;
2. ჰერაკლიდები;

IV. გ მ ი რ ე ბ ი

1. დიოსკურები და აფარიდები;

V. დ ა მ ტ ე ბ ა

1. დაფნე;
2. გალატეა და აკისი;
3. აესაკოსი და ჰესპერეა;
4. ადონისი;
სამიებელი.